

თამარ ბართაიბა

პიესები



გამომცემლობა
0600 ღვერდი

რედაქტორი
თამარ კიკნაველიძე

დამკაბადონებელი
ლიპა სხირტლაძე

მხატვარი
ვანო აბულაძე

ISBN 978-9941-466-75-5

© თამარ ბართაია, 2016.

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016.

სარჩევი

სათამაშო პისტოლეტი	5
მთავარი ორლი	41
სფალინის სანუკვარი სპრდაფი	93
ხუთი შეხვედრა და არც არაფერი...	133
გრინვიჩის მერიდიანი	153
მყყაოს სახლები	167
და-ქოც-ნაც-ებულები	195
პიესების შესახებ	234

სათამაშო

პისტოლეტი

მოქმედი პირნი:

მებ – იგივე მედეა.
იო – იგივე იორამი.

* * *

ავანსცენაზე გამოდის მეა (ჩანში შესული) სიმპათიური ქალბატონი, რომელსაც ორივე ხელით უჭირავს ლამაზად შეფუთული ამანათი. დიდხანს ჩუმად დგას და ოდნავ იღიმება, მერე კი საიდუმლო ხმით ამბობს:

– დღეს, ჩემი გარდაცვლილი მეგობრისაგან ამანათი მივიღე, ჯერ არ გამიხსნია, ცოტა არ იყოს, ვდელავ.

დიდხანს არის ჩუმად, დარბაზს მოათვალიერებს და იტყვის:

– ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო.

ცოტა ხანს კიდევ შეჩერდება და ჩქარი ნაბიჯით გავა.

სცენა განათდება და გამოჩნდება ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამყარო. ერთ მხარეს პატარა გოგონაა (სკოლის მოსწავლე მეა), მეორე მხარეს კი – ახალგაზრდა ვაჟი (იო).

ისინი თავ-თავიანთ ტერიტორიებზე ფუსფუსებენ, ერთმანეთს ვერ ხედავენ, ვერ ამჩნევენ და არც ერთმანეთის ლაპარაკი ესმით.

მებ – ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო.

თოთხმეტი წლის ვარ, სულ რაღაც 4 დღეში გავხდები თოთხმეტის, მაგრამ უკვე ნახევარი წელია, როცა მეკითხებიან, რამდენი წლის ხარო, ვეუბნები, რომ თოთხმეტის, მერე რა, რა მოხდა...

იო – მე ვარ იო, დაბადების მოწმობაში იორამი მიწერია.

მეა – ჩემი ნამდვილი სახელია მედეა, მაგრამ ყველა მეას მეძახის, მეც, მეა უფრო მომწონს.

00 – მე 25-ის ვარ, ძალიან ცნობილი...

მება – მე არავინ მიცნობს, თითქმის არავინ, მიცნობენ მარტო...

00 – ძალიან პოპულარული მსახიობი ვარ, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარულიც.

მება – ...ჩემი კლასელები, მეზობლები, ხო, ზაფხულში ჩემთან სოფელში რო ჩამოდიან, კიდევ ვიღაც-ვიღაცები გამახსენდება, ოჟ რა ცოტა, კიდევ გამახსენდება.

00 – ისეთი პოპულარული ვარ, ისეთი პოპულარული, რომ აი, აქა მაქვს, აქ (კისერზე იკიდებს ხელს), თითქოს, მახრჩობენ.

მება – სხვათა შორის, უკვე ორ კლასელს მოვწონვარ. მართალია, არ ტყდებიან, მაგრამ მე მაგას გამომაპარებენ?! გუშინ ერთმა, პირველმა მაინცა და მაინც ჩემს პალტოს დააკიდა თავისი ქურთუკი, ვითომ სხვაგან ადგილი არ იყო, მეორემ?! მეორემ უარესი ქნა, აიღო ჩემი ჩანთა და მესამე სართულიდან გადააგდო. თან თვალებში მიყურებდა და ასე ნელ-ნელა უშვებდა ხელს.

00 – აღარ შემიძლია ამდენი სიყვარულის ატანა, ამდენი შეყვარებული დეგენერატის, ამდენი ცრემლის, მეზიზლება, აუ, აუ, თავი დამანებეთ დამანებეთ, რაა...

მება – სხვათა შორის, ერთი წუთით.. ერთი წუთით. აი, ეს უკვე ნამდვილი სიყვარულია, რაც შარშან მოხდა, ზაფხულში. ერთმა ბიჭმა მე ამომირჩია, მოიცა... ერთი, ორი, სამი, ხუთ გოგოში. ხუთინ ვიყავით და ასე თქვა, ამის გარეშე მე ფეხბურთს არ ვითამაშებო, ეს თუ არ დადგა კარშიო. რა, არ გჯერათ? დედას ვფიცავარ.

00 – ვერ ვიტან ამ სიტყვას „დედას ვფიცავარ“, „დედას ვფიცავარ“. ყველა სიყვარულს მეფიცება გარშემო, რატომ გადამე-კიდნენ?! მწერენ და მწერენ წერილებს.

00 და მება (ერთად) – არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ყველაფერი ნახევარი საუკუნის წინ ხდება, არც ინტერნეტია და არც მობილური.

00 – წერილების მთელი მთა მექნება მიღებული. მაგას რა წამაკითხებს?!

მებ – არ გჯერათ, რომ მართლა შევუყვარდი იმ ბიჭს? აი, წერილი, – „მეა, მე შენ მიყვარხარ“. მართალია, თავიდან დიდი ასოებით იწყება და მერე წვრილდება, თან ქვემოთ ჩამოდის, ეტყობა, დაუხაზავ ფურცელზე არ არის წერას მიჩვეული, მაგრამ ხომ ფაქტია, აი, ვისაც არ გჯერათ, მოდით და თქვენი თვალით ნახეთ.

00 – (იცინის) ახლა ერთ ნაპერწკალს მივცემ ამ წერილებს და ამდენი გრძნობა უცებ დაიფერფლება. რა გულსატკენია, ნწუ, ნწუ.

მებ – ამას მთელი სიცოცხლე შევინახავ, რომ მერე ჩემს შვილიშვილებს ვაჩვენო, დიახაც ასეთი რამეები უნდა კარგად შევინახო. მეც მიყვარს. ვისაც ვუყვარვარ, მე რატომ არ უნდა მიყვარდეს?! მართალია, ჯერ პასუხი არ მიმიწერია, მაგრამ აუცილებლად მივწერ, ბოლოს და ბოლოს, ასეთი მოკლე წერლის მიწერაც შეიძლება, მაგრამ ჯერ ვერ მოვიცალე.

00 – აი, ამათთვის, არც ერთისთვის, პასუხი არ მიმიწერია, ზოგი არც წამიკითხავს. ხოლო რაც შეეხება ნამდვილ სიყვარულს...

მებ – ხოლო რაც შეეხება ნამდვილ სიყვარულს...

მებ და 00 (ერთად) – დარწმუნებილი ვარ, რომ ნამდვილი სიყვარული არსებობს.

00 – ეს ვინ გაბედა ჩემთან ერთად ლაპარაკი?

მებ – მე მეა... ვაიმე ვინმემ არ გაიგოს...

00 – ჩემი პოპულარობის გამო ათას სისულელეში მხვევენ. აი, ახლაც... მოკლედ, ვარსკვლავები ყველგან სჭირდებათ და ყველგან ფეხქვეშ ეგებიან და მე ამას მიჩვეული ვარ.

მებ – კონკურსი გამოაცხადეს, „რომეო და ჯულიეტას“ დგამენ.

14 წლის ყველა გოგონას, ვისაც სურვილი და სამსახიობო მონაცემი აქვს, შეუძლია, კონკურსში მიიღოს მონაწილეობა.

00 – მე, ამ შემთხვევაში, რეჟისორის ამპლუაში გახლავართ.

მება – იცით, ვინ დადგამს სპექტაკლს? იორამი. დიახ, დიახ.

გავგიუდები. ღმერთო, ამას რას მოვესწარი. თუ ვერ გავიმარჯვე... არა! გამორიცხულია ეს როლი მე უნდა ვითამაშო!

00 – უიურის თაგმზღვდომარეც მე გახლავართ... რა გაუძლებს ამ სისულელეს. არადა, რას იზამ...

მება – ეს რომ სადმე ვთქვა, ჯულიეტას როლზე კონკურსზე მივდიგარ-მეტქი, მეტი არ უნდათ ჩემს კლასელებს.

00 – ამდენი თოთხმეტი წლისა თუ არსებობდა, ვერც წარმოვიდგენდი. რას გვანანან.

მება – ... თოთხმეტის – რომ ვამბობ, ისე უკვირთ, თითქოს, ათ წელს ვამატებდე... ჰმ, მე ვიცი, როგორც გაგაცურებთ.

00 – კონკურსი დაიწყო...

მება – აი, ისიც, ცხოვრებაში უფრო ლამაზი ყოფილა.

00 – ეს ბავშვია თუ ქალია? თუ ლილიპუტი?

მება – ჩემი კლასელებისაგან განსხვავებით, სიმაღლეში ჯერ არ გავზრდილვარ, მაგრამ ბებიაჩემი ამბობს, რომ მამაშენიც ასე იყოო....

მოკლედ, დედაჩემის ბიუსპალტერში ორი შეკვრა ბამბა მაქვს ჩატენილი, ერთი აქეთ, მეორე იქით. ცოტა პომადაც მის-ვია, ცოტა...

00 – რას ჰგავს, უცნაურად უპრიალებს თვალები.

მება – ცოტა კონიაკიც დავლიე. ამასწინათ წავიკითხე, ეს წერდა, – ერთი ჭიქა კონიაკი საერთოდ მიხსნის ყველანაირ დააძაბულობასო. მართალი ყოფილა.

00 – მოკლედ, ლამაზია თუ მახინჯი ვერ გავარკვიე.

– თუ შეიძლება, ფეხზე ადექით და აქ ამოდით, სცენაზე.

მება – აი, ახლა დამიტრიალდა ყველაფერი თავში, კონიაკი... ნეტავ, არ წავიქცეოდე.

00 – როგორ დავიღალე ამდენი სისულელით. უჰ (თავისთვის), – თქვენი სახელი?

მება – მეა... (ჩუმად)

00 – დიახ, თქვენ?

მებ – მეა... მეა მქვია...

00 – რამდენი წლის ხარ?

მებ – ვაი, მგონი, მიმიხვდნენ... მე? მე თხუთმეტის ვხვდები.

00 – იცეკვეთ.

მებ – რა ვიცეკვო, აი, ახლა კი კონიაკმა თავისი ქნა და დედაჩემის ფრანცუსკებმაც მაგრად მომიჭირა, მესამე ბამბის შეკვრა ხომ იქ მაქვს გადანაწილებული.

00 – რა იყო, გიჭირთ სიარული?

– რა სჭირს ამ ბავშვს?

– ავად ხომ არ არის? – ამას უკვე უიურის დანარჩენი წევ-რები ამბობენ ჩემს გასაგონად. ეს იმიტომ, რომ მე მასიამოვნონ. ჩემი განწყობა დაიჭირეს და, ხომ იცით, როგორც ხდება...

მებ – ერთი, რაც ნამდვილად ვიცი, ეს ცეკვაა. ყველანაირ ცეკვაზე დაყყავდი ბებიაჩემს. ხალხური, სამეჯლისო, ბალეტი, ყველაფერს ვცეკვავ, სახლშიც სულ ვცეკვავ, სკოლაშიც, სტუმ-რად, მასპინძლად... მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ თითო ფეხი თითო ტონა მაქვს და ცეკვა კი არა, განძრევაც არ შემიძლია...

– რა ხდება? – ისმის ქირქილი. მე ვდგავარ, როგორც კო-ცონზე ცეცხლმოკიდებული უანა დ'არკი, მაგრამ ახლა ეს ცეცხ-ლი, მგონი, მარტო სირცხვილის გამო არ მიკიდია...

00 – მე მივდივარ და ვუახლოვდები.

მებ – ის მოდის, მიახლოვდება, უკვე ჩემ წინ დგას. პირვე-ლად ვხედავ მას ასე ახლოს. მიუხედავად ჩემი 11 სანტიმეტრი-ანი ქუსლებისა, კისერი ბოლომდე მაქვს აწეული, რომ მისი ცის-ფერი თვალების შუქში დავიმალო.

00 – მომშტერებია უაზრო, უტიფარი მზერით.

მებ – აი აქ არის, აი აქ (სახესთან მაქვს გაშლილი ხელი).

00 – მუსიკა!

მებ – ეს მთიულურია, ამას სოლოს ვცეკვავდი, პრიზიც კი მაქვს აღებული. კონცერტმეისტერი რამდენიმე ფრაზის შემდეგ ჩერდება და კლასიკურ აკორდებს იღებს... „გედების ტბა“, ამათ

ჰეთიათ, არ ვიცი?... აი, ვალსიც გაისმა... შენთან ერთად ვიცე-ავებდი. ერთ შემეხე და თავად დარწმუნდები, ჩემი ორტონიანი ფეხები უცებ როგორ პეპელასავით ჰაეროვანი გახდება.

იო – კარგად მინდა ჩავხედო თვალებში, მგონი, ვიუია.

მება – ის სულ ახლოსაა, მისი სუნთქვა მესმის, მე ხომ ფეხები ჩამიბეტონდა და ვეღარ ვინძრევი.

იო – ისე უტიფრად მიყურებს, თვალსაც კი არ ახამხამებს.

მება – ყველაფერი, ყველაფერი, რაც აქამდე მოვყევი, ტყუ-ილი ყოფილა. ის ორი ჩემი კლასელი, ის ბიჭიც სოფელში, ის სიყვარულიც, ის წერილიც.

იო – ცუდად ხომ არ არის?

მება – ცუდად? ცუდად კი არა, ასე კარგად არასდროს ვყო-ზილვარ (თავისთვის).

იო – აბა, რა სჭირს?

მება – მე? მე შენ მიყვარხარ, იო... და მთელი ცხოვრება მეყ-ვარები... და კოცონი გიზგიზებს, გიზგიზებს, გიზგი-ზებს.

იო – კარგი, თავისუფალი ბრძანდებით.

მება – რისგან ვარ თავისუფალი...

იო – ჩვენგან.

მება – რაა?

იო – შემდეგი შემოვიდეს, თუ შეიძლება...

მება – დიდი კასრით მასხამენ თავზე წყალს, ცეცხლი ქრება და შიშინებს.

მე თითქოს ვერკვევი, მაგრამ კომისია უკვე ახალშემოსულს უყურებს. გრძელფეხება, კოკრებივით ძუძუებით, ოქროსფერი თმით და დიდი მწვანე თვალებით... იომ გამომხედა, ერთი სული აქვს, როდის წავალ. ვერ მიტანს...

– რატომ? – ვაბობ ისეთი ხმით, რომ მეც მიჭირს, დავიჯერო, რომ ჩემი ხმაა.

იო – იმიტომ.

მება – იმიტომ? რატომ?

00 – იმიტომ.

მებ – ვერ ვხვდები.

00 – იმიტომ, რომ უნიჭო ხართ.

ასეთ თავხედს ასე უნდა ელაპარაკო.

მებ – და ამას მეუბნება ის, ვინც უკვე სიცოცხლეზე მეტად
მიყვარს...

00 – კარგად ბრძანდებოდეთ.

მებ – კარგად ვბრძანდებოდე?

როგორ უნდა ვბრძანდებოდე კარგად, როცა ამქვეყნად
ყველაზე ძვირფასი ადამიანი მეშვიდობება...

ქერა კულულებიანი, მწვანეთვალება გოგო მომხიბვლელად
მიღიმის. ბოროტო! ერთი შეხედვით ფერიას ჰგავს, არადა...
ეტყობა, ეს ყოფილა სასიყვარულო სამკუთხედი და ჩემი პირვე-
ლი მტერი... და დიდი ტანჯვაც დაიწყო. ჩემი ტონიანი ფეხებით
გავრბივარ, ორივე ხელის კვრით ვაღებ კარს, რომლის უკანაც
გულშემატკივარი მშობლების მთელი არმია დგას და გიჟივით
ჩავრბივარ მარმარილოს კიბეზე... კიდევ კარგი, ჩემს ასეთ დაცე-
მას ჩემი ოჯახის წევრები რომ არ შეესწრნენ... გზა სახლამდე არ
მახსოვს როგორ გავირბინე, კარს ბებიაჩემი მიღებს...

– ბევრი სამეცადინო მაქვს-მეთქი, ვამბობ და კარს ვიჯახუ-
ნებ. ეს მაგიური ფრაზა მარტო დარჩენის საშუალებას ყოველთ-
ვის მაძლევს...

სავარძელში ტირილისაგან მოკუნტულს მეღვიძება. საათს
გავხედე, ექვსი ხდება. ის ჯერ ისევ იქ არის... გულ-მუცელში
ცხელი ჰაერი მიტრიალებს. ახლა მთელი ცხოვრება ასე უნდა
ვიტანჯო, იმიტომ, რომ არც მწვანეთვალება ვარ და არც ქერა
კულულებიანი. მერე რა, რომ ყველაფერი წაბლისფერი მაქვს,
არა, ამას ვერ გავუძლებ... მოვკლავ და მერე თავსაც მოვიკლავ.
აბა, რა აზრი აქვს ახლა ჩემს სიცოცხლეს.

პო, მაგრამ ჯერ უნდა დავუმტკიცო, რომ უნიჭო არ ვარ.
ავიღებ ახლა მამაჩემის სანადირო თოფს და მაგას დედას
ვუტირებ.

თოფი ხელში მიჭირავს...

– მეა, რას შვრები? – ზურგსუკან მესმის ბებიაჩემის ხმა.

– არაფერს, ვათვალიერებ. შეიძლება, სკოლაში სპექტაკლში დაგვჭირდეს იარაღი. ააა. ეჲ, ბებო, ბებო! ნეტავი, ყველა შენსავით ადვილი მოსატყუუბელი იყოს.

უკვე ორივე ერთად ვიქექებით ჩემი ძმის სათამაშოებში. აი, ეს პისტოლეტი... მართლა ნამდვილს ჰგავს, ყოველ შემთხვევაში, შორიდან ეჭვიც არ გაგიჩნდება... მორჩა, ვერაფერი ვეღარ გიშველის, კარიდან სცენამდე 10 მეტრი მაინც იქნება. ამ მანძილზე შეუძლებელია, ეჭვი შეეპაროს, რომ ნამდვილი პისტოლეტით მივედი. შევალებ თუ არა კარს, იქვე ამოვილებ პისტოლეტს და შევძახებ: – მოლალატე! შენ სიკვდილის ღირსი ხარ! თუმცა, მოლალატეს ჯერ ვერ მიხვდება. მერე, აი, ასე გადავტენი, დავუმიზნებ და შევძახებ: – მიცანით?!

იარაღის ყველას ეშინია.

– აბრძანდით ახლა სცენაზე და ბოდიში მოიხადეთ იმისთვის, რაც მიწოდეთ! უკაცრავად, ქალბატონო, თქვენი სახელი არ ვიცი. მუსიკა თუ შეიძლება! კონცერტმეისტერი აკანკალებული თითებით იწყებს დაკვრას და მე ვცეკვავ ხელში იარაღმომარჯვებული მთიულურს, ტანგოს, ვალსს, ყველაფერს, ყველაფერს, ყველაფერს... ვცეკვავ მთელი თავდავიწყებით, ისე, როგორც ჯერ არავის უცეკვია. არ ვიცი, ეს რამდენ ხანს გრძელდება, მთელი კომისია იატაკზეა გართხმული და ბოდიშებს იხდიან. იოს არ ეშინია მხოლოდ. მე ვჩერდები, ის დგას და ტაშს უკრავს დიდხანს.

– ბრავო! ბრავო! – იძახის და მოდის ჩემკენ, იარაღს მართმევს და სადღაც მოისვრის. მერე ორივე ხელს წელზე შემოხვევს, ახლოს მიმიკრავს და მკოცნის, აი, აქ (ტუჩებზე იდებს ხელს). შეშინებული კომისიის წევრები მუხლისჩოქებზე მოხოდებიან და ტაშს უკრავენ, თან ფეხებს გვიკცნიან ორივეს. ჰა, ჰა, ჰა (იცინის). ა, ხო მაგარია!...

დილანდელ გრიმს ახლა უფრო მეტი ხალისით ვიკეთებ. დამაცადეთ. 20 წუთში მანდ ვიქენები!..

00 - რაღაც საშინლად ცუდ ხასიათზე დავდექი, ტანში მაჟ-რიალებს, არ ვიცი, ვცივდები თუ...

მებ - დამაცადე, ჯერ სადა ხარ?!

00 - რატომლაც ის გოგო ამეკვიატა, ვერ ამოვიგდე თავი-დან. თან ისეთი გაბოროტებული წავიდა...

მებ - ისევ ჩუმად ვიპარები სახლიდან. საცაა, დედაჩემი მოვა, მანამდე თუ არ მოვასწარი ყველაფერი, მერე გვიან იქნება. ისიც ბებიაჩემივით ყველაფერს კი არ იჯერებს...

00 - კონკურსი დამთავრდა, კომისიის წევრები გავუშვი, მათთან ერთად არ მინდოდა წასვლა. ცოტა ხანში მეც გავალ. მექნიკურად ჩაგშტერებივარ ქალალდებს, რა სიჩუმეა.

მებ - შენობას ვუახლოვდები და კარს ვაღებ. რა სიჩუმეა?!

00 - ისე, მართლა რაღაც უცნაური სიჩუმეა.

მებ - ოჰ, წაბრძანებულან გენიოსი შვილების მშობლები.

მარმარილოს კიბეს ავუყევი.

00 - კიბეზე ვიღაც ამოდის.

მებ - კიბეზე ჩემი ქუსლების ხმა ექოსავით ისმის.

00 - აქეთ მოდის.

მებ - იქით მივდივარ.

00 - კართან გაჩერდა.

მებ - კართან ვჩერდები. ნუთუ, წავიდა?

00 - თითქოს, ვიღაც მითვალთვალებს.

მებ - გასაღების ჭუჭრუტანიდან ვიყურები. ის იქ არის.

00 - ნამდვილად კარის უკან დგას... ფეხის ხმას თუ ვენდობი, ქალია. ქუსლების ხმა იყო.

მებ - რაზე ნერვიულობს დიდი ვარსკვლავი?

00 - ეტყობა, ჩემი თაყვანისმცემლებიდან არის ვინმე. ავტოგრაფი უნდა ან რა ვიცი, რა ჯანდაბა უნდა. გული ცუდს მიგრძნობს, ძალიან ცუდს.

მებ - ვერ შევდივარ.

00 – არ შემოდის.

მება – ისე ახლოს არის, ეს პისტოლეტი რომ ამოვილო, მაშინ-ვე მიხვდება, რომ სათამაშოა. მასხრად ამიგდებს. იქნებ, წავიდე?

00 – ყველა ჩემი ცოდვა მინდა გამახსენდეს. ისეთი თითქოს არავისთვის არაფერი...

მება – რაა? არაფერი არა?!

00 – მგონი, წავიდა.

მება – სად უნდა წავიდე? მერე მთელი ცხოვრება როგორ უნდა ვიცხოვო ასეთი ჭრილობით? არა, არსადაც არ წავალ, სანამ არ დავუმტკიცებ, რომ მეც არტისტი ვარ, დიახ, დიდი არტისტი.

00 – რა მჭირს, არა, რაღაც ხდება, ნამდვილად ხდება.

მება – აქეთ მოდის, ვაიმე, გაჩერდა. ახლა რომ შევიდე, ასე ახლოდან ნამდვილად მიხვდება, რომ სათამაშო პისტოლეტი მიჭირავს ხელში.

00 – წნევა ხომ არ მაქეს, თავბრუ მეხვევა.

მება – მორჩა! გადავწყვიტე. სულაც არ ამოვილებ ამ პისტოლეტს. ისედაც დავიჯერებ, რომ ჯიბეში ნამდვილი პისტოლეტი მიდევს. კი, ამას წინათ ამოვიკითხე, მსახიობმა თუ დაიჯერა, მაშინ მაყურებელიც ყველაფერს იჯერებსო. ...არა, ეს, ალბათ, ძალიან ძნელია, მაგრამ მე ხომ მსახიობობა მინდოდა... ხო, მერე? ახლა, ამ წუთს უნდა გადაწყდეს, შემიძლია თუ არა. თუ თავს ვიტყუებდი? ისევ ჭუჭრუტანაში ვიყურები. ის ჩემ პირდაპირ დგას – მოღალატე! გამყიდველი! ის, ვინც ჩემი გრძნობა აბუჩად აიგდო და ფეხქვეშ გათელა. არა, ამ შეურაცხყოფით ვერ ვიცხოვრებ!

მეა, მედეა! ან ახლა უნდა იძიო შური ან მთელი ცხოვრება ფეხქვეშ გათელილმა და შეურაცხყოფილმა უნდა იარო, გესმის? მესმის, ვპასუხობ საკუთარ თავს. ყველაფრისთვის ბოდიშს მოიხდი, არადა, მოგალავ, აქვე გაგათავებ. კარს მთელი ძალით ვაღებ. და მე მის წინ ვდგავარ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მკვლელი.

009 – უეცრად კარი იღება და ის საშინელი გოგო ჩემ წინ დგას. ინტუიცია არასდროს მღლალატობდა, ჩემი წამები დათვლილია.

მე1 – მიცანით?

009 – გიცანით.

მე1 – გახსოვთ, რაც მიწოდეთ?

009 – რამე არ შემეშალოს, თორემ, მომკლავს. ნამდვილად მომკლავს! მარჯვენა ჯიბეში პისტოლეტი უდევს და უკვე სასხლეტზე აქვს დადებული თითი. ერთი პატარა შეცდომა და ყველაფერი დამთავრდება.

მე1 – არ გესმით, რა გკითხეთ? თუ ეს თქვენთვის არაფერი არ არის?

009 – ერთ წამში ყველაფერი გამახსენდა, თუკი ვინმესთვის რამე უხეშად მითქვამს. ეს რა არი, ამაზე ათასჯერ მეტ საშინელებას ვეუბნებოდი თეატრში მსახიობებს. მაგრამ მეორე დღეს ისე მლიქნელურად მიღიმოდნენ, უარესის თქმა მომინდებოდა და უარესებს ვეუბნებოდი. ხმას ვერ ვიღებ.

მე1 – ადით სცენაზე.

009 – სცენაზე ვდგავარ, მუხლები მიცახცახებს.

მე1 – ბოდიში მოიხადეთ.

009 – ბოდიში.

მე1 – ხმამაღლა.

009 – ბოდიში.

მე1 – უფრო ხმამაღლა.

009 – ბოდიში! – ვყვირი და მუხლები მეკეცება.

მე1 – ის მუხლებზე დგას. ტირის.

009 – მაპატიე, მაპატიე, ბოდიში, ოღონდ ნუ მომკლავ, ოღონდ შემიბრალე და მთელი ცხოვრება შენზე ვიღოცებ.

მე1 – რაა? მე მეუბნება, ოღონდ შემიბრალე და მთელი ცხოვრება შენზე ვიღოცებო.

00 – გემუდარები, ვიცი, რომ ყველაფრის ღირსი ვარ. შენ უნიჭო კი არა ყველაზე ნიჭიერი გოგო ხარ.

მებ – მე მეუბნება, მე...

00 – ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ნიჭიერი.

მებ – მე მეუბნება ამას, ეს მეუბნება. თრთის, კანკალებს, ცახცახებს, რა საცოდავია?!

00 – არ მომკლა, ოღონდ არ მომკლა, შემიბრალე.

მებ – ჰმ, ახლადა მივხვდი. დაიჯერა, რომ ნამდვილი პისტოლეტით ვარ მოსული და ნამდვილი მკვლელი ვარ. ჰმ... ამას როგორ წარმოვიდგენდი.

ის და მე, ის და მე. რა საშინელებაა, ამის ყურება აღარ შემიძლია... მე მასთან ახლოს მივდივარ, რომ თვალებში ჩავხედო. ნუთუ, ეს ის კაცია? ნუთუ ეს ის კაცია, „პაკლონზე“ მისი გამოჩენისას ტაშით რომ ინგრევა დარბაზი? ნუთუ ეს ის კაცია, სპექტაკლის შემდეგ აგტოგრაფებისთვის მისულ თაყვანისმცემლებს ამაყად რომ ჩაუვლის გვერდზე, თითქოს, არც ესმოდეს, რას სთხოვენ... ნუთუ ეს ის კაცია, რამდენიმე საათის წინ... ააა?!

რა საშინელებაა! თითქოს, დაპატარავდა. არა, არა, ამის ყურება დიდხანს არ შემიძლია, ეს საშინელებაა. საერთოდ ველარ ვიტან ვერც ერთ მსახიობს. აქ ვამთავრებ ჩემს სამსახიობო კარიერასაც. კარისკენ მივდივარ. გასვლამდე უკან ვტრიალდები, პისტოლეტს ჯიბიდან ვიღებ და სცენისკენ ვისვრი.

00 – პისტოლეტი ჩემ წინ ვარდება. ქუსლების ხმა დიდხანს ისმის. ის მშვიდად და წყნარად ჩადის კიბეზე, დიდხანს დავცერი პისტოლეტს და ხელში ვიღებ. მუხლებზე ვდგავარ.

ხელში სათამაშო პისტოლეტი მიჭირავს.

განადგურებული ვარ.

მებ – პირველი, რაც გავაკეთე, სახლში მისულმა იოს ფოტოსურათები ჩამოვხსენი კედლებიდან, დავაქუცმაცე და ნაგავში ჩავყარე. საღამოს კი ჩემი ოჯახის წევრებს გამოვუცხადე, რომ მსახიობბა აღარ მსურდა და აღარასდროს დაუბრუნდებოდი ამ აზრს. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

00 – არ ვიცი, რამდენ ხანს ვიქენებოდი კიდევ ერთ ადგილას გაშეშებული, დარბაზში სინათლე რომ არ გამოერთოთ. მაშინ გამოვერკვიე, სიბნელეში სანთებელა ავანთე, ქურთუკი მოვძებნე და ჩუმად გამოვიპარე შენობიდან. არავის ნახვა არ მინდოდა, თავი შარფში მქონდა ჩაფლული. ეს რომ არა, ისედაც ვერ მიცნობდა ვერვინ, რადგან ამ ერთმა საღამომ თითქოს დამაბერა და წელში მომხარა. სიარულის მანერაც კი გამომეცვალა. არავის ნახვა არ მინდოდა. გავაგრცელე ხმა, რომ ავად ვიყავი, ტელეფონი გამოვრთე და თითქმის ერთი კვირა სახლიდან ფეხი არ გამიღვამს. მძიმე ავადმყოფივით ვაგდივარ ლოგინში, სასთუმალთან სათამაშო პისტოლეტი მიდევს და ის ყველაფერი თავიდან არ ამომდის. ნეტა, მართლა მოვეკალი, მეზიზლება საკუთარი თავი, მძულს.

მება – ეს ამბავი ჩემს ორ დაქალს მოვუყევი. ისე მიიღეს, როგორც ჩემი მორიგი ფანტაზიის ნაყოფი. რაც უფრო ვცდილობდი, რომ დამეჯერებინა, მით უფრო სკდებოდნენ სიცილით. ბოლოს ხელი ჩავიქნიე. არ გჯერათ, ნუ გჯერათ, მე ხომ ვიცი, რომ ეს მართლა მოხდა.

00 – როდემდე ვიჯდები სახლში? ცოცხალი ადამიანი ვარ, მომშივდა. პროდუქტის ყველანაირი მარაგი ამომეწურა, მოწევა მინდა... სახლიდან გავედი...

მება – დღეს ჩემმა კლასელმა ციციმ დამირეკა და მითხრა, შენთვის სიურპრიზი მაქვსო, აბა თუ გამოიცნობ, რა სიურპრიზიო? რა თქმა უნდა, ვერ გამოვიცანი, რადგან სიურპრიზი სპექტაკლზე ორი ბილეთი ყოფილა, სადაც მთავარ როლს იო თამამობს. ჰმ, ეს ჩემთვის სიურპრიზი აღარ არის, ისე კი მაინც წავალ...

00 – დღეს სპექტაკლი მაქვს. მანამდე ორი სპექტაკლი მოვახსნევინე. მას მერე პირველად გამოვედი სახლიდან... სადარბაზოსთან ჩემი ორი მეზობელი ქალი დგას, ჩემს დანახვაზე ლაპარაკი შეწყვიტეს. მივესალმე, ცოტა შეცბნენ. ზურგიდან

ვგრძნობდი, რომ ქირქილი დაიწყეს. არა, წარმოუდგენელია, რომ ამათ ის ამბავი იცოდნენ, თუმცა, ვინ იცის... ერთი კვირაა, არც ტელევიზორი ჩამირთავს და არც გაზეთები წამიკითხავს. იმ გოგომ ნადვილად მთელ ქვეყანას მოსდომ ჩემი ამბავი. კი, აი, ამ კაცმაც ჩემს დანახვაზე თავის შვილს რაღაც გადაულაპარაკა. ჯობია, თავი ბოლომდე ჩავმალო შარფში, სანამ თეატრში მივალ და ყველაფერს გავარკვევ. ამინდიც რა საშინელია ჩემს ჯინაზე, მზიანი და კაშკაშია.

თეატრის დარაჯვს ვესალმები. ის გაკვირვებული მიყურებს და ფეხზე დგება. არა, აი, ამაში ნამდვილად არ ვცდები, რეკვიზიტორი ქალიც უკან მომყვება. ესეც მეჩვენება? ჩემი საგრიმიოროს კარს ძლიეს ვარგებ გასაღებს, შევდივარ, სკამზე ვჯდები, სინათლეს ვანთებ და სარკეში ვიყურები. ცივი ოფლი მასხამს.

– ბატონო იო, – კართან დგას რეკვიზიტორი.

აი, ინტუიცია არასოდეს მღალატობს, ყველამ ყველაფერი იცის,

– დიახ, – ვეუბნები.

ქალი დგას და უხერხულად იშმუშნება.

– რა მოხდა, ახალია რამე?

– არა, უბრალოდ მინდოდა მეკითხა, ცუდად ხომ არ ხართ?

– ცუდად? რატომ უნდა ვიყო ცუდად?

– არა, არაფერი. ისე, ბოლიში. – წასვლას აპირებს.

– მოიცა, მოიცა. თქვით ბარემ, რისი თქმაც გინდოდათ.

– არა, არაფერი. აი, მეც და შალვასაც მოგვეჩვენა, თითქოს...

– რა მოგეჩვენათ?

– რაღაც ისე მოხრილი შემოხვედით, თითქოს... რადიკულიტი ხომ არ გაწუხებთ?

– არა, არაფერი მაწუხებს. სულ ეგ იყო?

– ხო, თან აი, მოგვესალმეთ, სხვა დროს არ გეცალათ ხოლმე,

– გაისმა კარისკაცის ხმა, – კარგი, კარგი, წავედით, ლილი.

ნაბიჯების ხმა მიწყდა...

– მოგესალმეთ?! აა?! ის ჩემი მეზობლებიც ეტყობა მაგიტომ შეცხნენ, ალბათ, იმათაც პირველად მივესალმე...

საგრიმიოროს სარკეში ჩემს თავს დავაკვირდი. მართლა ავად ხომ არ ვარ? ფუ, რას ვგავარ. მსგავსი სიმახინჯე ჯერ თვალით არ მინახავს. სინათლეს ვრთავ და სიბნელეში თვალებს ვხუჭავ...

უკვე ერთი კვირაა, ეს კადრი ვერ მოვიშორე, როგორ ვდგავარ მუხლებზე, როგორ ვტირი და ვემუდარები, რომ არ მომ-კლას.

მებ – სპექტაკლზე წასასვლელად ვემზადები. როგორც ვიცი, სცენიდან დარბაზში ვერაფერს ხედავენ. რომც დამინახოს, მაინც ვერ მიცნობს. დღეს ჩემი მსხვერპლი ისევ გმირი იქნება, ისევ ამაყად გამოვა „პაკლონზე“ და ისევ ამაყად ჩაუკლის ავტოგრაფის მოლოდინში კულისებთან შეგროვილ, უიმედოდ შეყვარებული ქალების ბრბოს. ოო, რას გავერთობი?!

00 – არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი სიბნელეში. ორი დამწყები არტისტი ხმაზე ვიცანი, სახელები არც ვიცი, რაში მაინტერესებდა.

– ვა, პირველები ვართ. – ჩაილაპარაკა ერთმა.

– როგორ მოხდა? დიდი არტისტის საგრიმიოროში სინათლე არ ანთია.

ჰგონიათ, რომ აქ არავინაა. აი, ახლა ყველაფერს გავიგებ. ყველაფერს...

– ისე, რაღაც, ეს დღეები არ გამოჩენილა. ეტყობა თაყვანისმცემლებმა დაბრიდეს (იცინიან).

– ფუ, ერთი იცნობდნენ, რა ნაგავია.

– ჩუმად (აჩერებს მეორე), ვინმემ არ გაიგოს.

– გაიგოს, აი დარდი! ადრე თუ გვიან, მაგას ვინმე მაინც მოსვამს თავის ადგილას.

– რა დავუშავე?

– „წინ ნუ მიდგები, როცა მე სცენაზე ვდგავარ!“ სახელითაც არ მოუმართავს, ორი წელია, რაც აქ ვმუშაობ. მეტი რა უნდა დამიშავოს?

– რა ვიცი, სანამ ამ თეატრში არ მოხვედი, არ გჯეროდა, რომ გეუბნებოდი.

ჩემი საგრიმიოროს კარი იღება, სინათლე ინთება, კაკო შე-მოდის.

– ეე, აქა ხარ? – გაკვირვებულია. – რა გჭირს?

– ჩამძინებია.

ვიტყუები და თვალებს ვიფშვნეტ. ამის თამაში მაინც შემი-ლია ისე, რომ ეჭვი არავის შეეპაროს.

მებ – სპექტაკლი დაიწყო. მეშვიდე რიგის მეხუთე სკამზე ვზივარ, შესანიშნავად ჩანს ყველაფერი. არა, რა სისულეელეა, ნამდვილად სწორი არჩევანი გავაკეთე, მსახიობობას ნამდვილად სჯობია მაყურებლობა.

00 – ვგრძნობ, რომ ის დარბაზში ზის. მექანიკურად ვამბობ ჩემს ტექსტს და მექანიკურად დავდივარ სცენაზე. კი, ის ნამდ-ვილად დარბაზშია.

მებ – არც ისე გულწრფელია, როგორიც იქ იყო. აქ თა-მაშობს, იქ კი ის იყო, ვინც ნამდვილად არის...

00 – ისეთი შეგრძნება მაქს, თითქოს, ჩემ მაგივრად სხვა დგას სცენაზე. ეს მაყურებელიც უკვე მექანიკურად უკრავს ტაშს. რა მოსწონთ?

მებ – სპექტაკლი დამთავრდა. მსახიობები „პაკლონზე“ გა-მოდიან. შეიძლება მეჩვენება, მაგრამ აშკარად ავადმყოფივით დგას, ძალით იღიმება და აშკარად დარბაზში აცეცებს თვალებს.

00 – გრიმს დიდხანს ვიშორებ, ტანსაცმელს ვიცვლი, დროს ვწელავ. უკვე ყველამ გაიჯახუნა საგრიმიოროს კარი. ქურთუკს ვიცვამ და მანქანის გასაღებს ვიმარჯვებ. გარეთ გავდივარ, სიბ-ნელეში ვარჩევ, რომ ჩემი მანქანის გარშემო ისევ ძველებურად დგანან თაყვანისმცემელი გოგოები. იქნებ, ისიც მათ შორის არის?

მებ – წავიდეთ, შემცივდა. – ვეუბნები ციცის.

– მოიცა რა, აი, მოდის, შენ გაქს სურათი?

– არა.

00 – სიბნელეში ჩემს სურათებზე ხელს ვაწერ, პირველად ვაკეთებ ამას. მანქანაში ვჯდები და მივდივარ.

მებ – მე და ციცი ტაქსს ვაჩერებთ, იომ მანქანით ჩაგვიარა.

მებ და 00 (ერთად) – უნდა დავივიწყო ეს ყველაფერი.

00 – ვცდილობ, ისე მოვიქცე, როგორც ყოველთვის. სპექტაკლის მერე ჩვევა მაქვს, კარგად ვივახშმო და კონიაკიც ჩავარტყა. მერე გაზეთები, სად რას წერენ ჩემზე, მერე გვიან სადმე მეგობრებთანაც შეიძლება ვიზიტი, ჩემთვის ყველგან ნებისმიერ დროს ღიაა კარი, მე ხომ ვარსკვლავი ვარ!

მებ – ისე უნდა ვისწავლო, რომ ძალიან მაგარი ვინმე გამოვიდე, ძალიან ჭკვიანი და ძალიან წარმატებული. ოლონდ, ვინ – ჯერ არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ არასდროს მსახიობი არ ვიქნები.

00 – კონიაკმა თავისი ქნა, დაძაბულობა უცებ მომეშვა, ყველაფერი კარგად არის, ახლა სადმე წავალ. საძინებელში შევდივარ, ყველაფერი კარგად არის, პულოვერს ჩავიცვამ. გარდერობს ვალებ, პულოვერს ვიღებ და ამ დროს საშინელი ბრაზუნი ისმის იატაკზე. ძირს ვიხედები, ჩემს ფეხებთან სათამაშო პისტოლეტი აგდია. ხელში ვიღებ, ფანჯარას ვაღებ და მთელი ძალით მოვისვრი სიბნელეში. ყველაფერი კარგად არის.

მებ – სპექტაკლის შემდეგ სახლში მისულმა ჩემებს კიდევ ერთი განცხადება გავუკეთე: – მომეხმარეთ, რომ ჩემი ადგილი ვიპოვო ცხოვრებაში. ცოტა უკვირთ ჩემი ასეთი გარდასახვა და თან გახარებულები არიან. ბებიაჩემი მაინც ყველაზე ბრძენი ქალია. შენი ადგილი იქ არის, სადაც ყველაზე მეტი ნიჭი აღმოგაჩნდება. მაგრამ განსაკუთრებული მონაცემები რომ არაფერში მაქვს მსახიობობის გარდა? იქ კარიერა უკვე დავასრულე, ახლა ახალი ნიჭის გამოვლენას უნდა ვეღლოდო.

00 – მთელი ღამე პისტოლეტის ძებნაში გავატარე, ფანრით დავდიოდი ეზოში, გამთენისას ვიპოვე, ერთ ადგილას ჩაჭეჭყილა და საღებავიც აქერცლილია. ნამდვილს ალარ ჰეგავს. სახლში

ამოვიტანე და შევინახე, ოღონდ ისე, რომ ყოველ წუთს თვალში არ გამეჩხიროს. ამბობენ, დროს ყველაფერი მიაქვსო.

მებ და იო (ერთად) – ამ ამბავზე თუ ამდენი ვიფიქრე, გავა-ფრენ?.. მორჩა, რაც იყო – იყო, ეს ყველაფერი უნდა დავივიწყო, უნდა დავივიწყო სამუდამოდ.

* * *

ათი წლის შემდეგ

მებ – ამ ამბიდან 10 წელი გავიდა. განსაკუთრებული ნიჭი არაფერში აღმომაჩნდა. მე და ციციმ, ჩემმა სკოლის მეგობარ-მა – ხომ გახსოვთ? – ერთად ჩავაბარეთ კონსერვატორიაში მუსიკისმცოდნეობაზე.

ხო, როგორც ხედავთ, სიმაღლეში საგრძნობლად გავიზარდე. ვარ მაღალი, გამხდარი, ამბობენ, ლამაზიც. პისტოლეტის ამბა-ვი, რა თქმა უნდა, დამავიწყდა. ხანდახან აფიშაზე თუ მოვკრავ თვალს იოს გვარს, მაშინ მახსენდება, ზოგჯერ მაშინაც არა. რა სისულელე იყო ეს ყველაფერი, ბავშვი ვიყავი.

ხო, მართლა. გავთხოვდი და 2 შვილიც მყავს, ბიჭი 3 წლისაა უკვე, გოგო წლინახევრის, ჩემი ქმარი ფიზიკოსია, ძალიან ნი-ჭიერია და ძალიან უყვარს თავისი საქმე. ერთი სიტყვით, ყველა ამბობს, რომ ბედნიერი ოჯახი მაქვს. კაცმა არ იცის, მსახიობი რომ გამოვსულიყავი, როგორ წავიდოდა ჩემი საქმე. არა?!.. ვარ ჩემთვის მშვიდად, წყნარად და ბედნიერად. ბებიები ბავშვების გაზრდას ერთმანეთს არ აცლიან. ჩემი მეუღლის დედა და დედა-ჩემი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ჩვენც თითქმის ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს. ქმარი ჩემზე ორი წლით უმცროსია, სხ-ვათა შორის, რაღაცით იოს ჩამოჰვავს...

ცხოვრების წესი თითქმის არ შეცვლილა. დავდივარ ისევ ბიჭვინთაში ჩემს მეგობრებთან ერთად, ზამთარში ბაკურიანში. ერთი-ორჯერ საზღვარგარეთაც ვიყავი.

ჩემს ქმარს არ სცალია, ისეა თავისი საქმით დაკავებული. დაქალები არ გათხოვილან და ვართ ისევ ძველებურად. მოკლედ, ყველაფერი თავის რიგზეა. ვიღას ახსოვს პისტოლეტის ამბავი.

03 – ცოლი მომიყვანე, უკვე 6 წელია. ბავშვი არ გვყავს, ხანდახან მეჩვენება, რომ საერთო არაფერი გვაქვს, ხან პირიქით. ის ამბავი, პისტოლეტის, საერთოდ აღარ მახსოვს. ხო, სხვა ახალი არაფერია ჩემს ცხოვრებაში, თეატრიდან მალევე წამოვედი, იქაურობას ვეღარ ვიტან. ახლა მხოლოდ ტელევიზიაში და კინოში ვარ დაკავებული.

რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ ის გიუი გოგო მითვალთვალებდა. ერთხელ, მგონი, გამომყვა კიდეც. მოკლედ, ეს ისე გამახსენდა, თორემ საერთოდ აღარ მახსოვს ის სისულელე.

მებ და 03 (ერთად) – დრო მიდის და თანდათან ყველაფერი, რაც უმნიშვნელოა ქრება, რაც არა, არა...

03 – ისე, არ ვიცი, ჩემი ცხოვრება განდა ასეთი სევდიანი და უინტერესო, თუ საერთოდ ქვეყანა აირია და ხალხი შეიცვალა.

მებ – ახლა რასაც მოგიყვებით, თვითონაც არ მჯერა. ერთი კვირის წინ მე და ჩემი ჯგუფელი გოგოები აუდიტორიაში ვისხედით და ვმღეროდით. ეს არც ისე იშვიათად ხდება. უცრად კარი გაიღონ და ჩემი რექტორი, ბატონი დიმიტრი შემოვიდა. ჩვენ გავჩუმდით და დამნაშავეებივით გავუღიმეთ... გააგრძელეთო, გვითხრა. გავიცინეთ, გვეგონა, გვაშაყირებდა, როცა კატეგორიულად მოითხოვა, სხვა რა გზა გვქონდა, გავაგრძელეთ. თითო ჩემკენ გამოიშვირა და მითხრა, გამომყევიო.

ეს ერთი კვირის წინათ იყო. დღეს მეორედ ჩემს ცხოვრებაში ვიდექი სცენაზე, კონსერვატორიის მცირე დარბაზის სცენაზე და კარმენის არიას ვმღეროდი.

დარბაზში ჩემთვის უცნობი სამი ადამიანი იჯდა და ჩვენი რექტორი. ამის შესახებ სახლშიც კი არაფერი მომიყოლია.

მოკლედ, ლა სკალაში ვარ სტაურებაზე მიწვეული. გჯერათ? არც მე... სცენაზე როცა ავედი, ერთი წუთით გამახსენდა იო.

00 – დღეს საინფორმაციო გამოშვებაში ვიღაც ძალიან მომხიბულები გოგონა აჩვენეს. რამდენი ხანია, ასეთი გაბრწყინებული სახე აღარ მინახავს, ლა-სკალაში მიემგზავრება სტაუირებაზე, მეცო სოპრანო, ბედნიერი. ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შეიძლება. სულ უფრო აუტანელი ხდება.

მებ – აეროპორტში ჩემმა ქმარმა და მეგობრებმა გამაცილეს. ტელევიზიაც იყო მოსული და გადამიღეს.

00 – ის გოგო ისევ აჩვენეს დღეს, ქმარი აცილებდა... ქმარ-საც ჩამოართვეს ინტერვიუ. ნეტა, ჩემს ცოლსაც მიიწვევდნენ სადმე და წავიდოდეს, ოღონდ, სადმე წავიდოდეს.

* * *

ისმის კარმენის არია და ტაში.

მებ – დღეს „კარმენის“ პრემიერა გვქონდა. რა ვთქვა, არ ვიცი. მთელ ქალაქში ჩემი პლაკატებია გაკრული, ყველა უურნალის და გაზეთის პირველ გვერდზე ვარ, მაგრამ გული საშინლად მაქვს დამძიმებული, ჩემს ქვეყანაში ომია, სამოქალაქო ომი.

00 – მებიზღება აქურობა, ეს ხალხიც და ეს ქვეყანაც. მე და ჩემი ცოლი სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის აღმოჩენდით. რატომ ვაწამებთ ერთმანეთს, ვერ გამიგია.

მებ – დედაჩემი ხშირად მირეკავს და მთხოვს, რომ არ ჩავიდე, ბავშვები მენატრება, ქმარიც, თითქოს, მაგრამ ბავშვები განსაკუთრებით.

00 – ჩემი ცოლი გათხოვდა, სრულიად მოულოდნელად. ყოფილ პოლიტიკურ პატიმარს გაჰყვა. დილას აქ დალია ჩაი, საღამოს კი ტელეფონით შემატყობინეს ეს ამბავი. ვერ გავრკვეულვარ, მწყინს თუ მიხარია.

მებ – ვერ წარმომიდგენია, რომ რუსთაველის პროსპექტი დანგრეულია. ვერც იმსას ვიჯერებ ბოლომდე, რასაც მწერენ და რასაც მიყვებიან.

00 – რა ვაკეთო, აღარ ვიცი. ვინც მხვდება, პირველი იმას მეკითხება, რომელ მხარეს ვარ. არც ერთ მხარეს არა ვარ, არც ერთ მხარეს, თქვე პრიმიტივებო, გაიგეთ!

მებ – სახლში მინდა დაბრუნება, მაგრამ ჯერ ვერ დავბრუნდები, იმდენი ადამიანი გახდა ჩემზე დამოკიდებული... ბაგშვები მენატრება, სურათები ჩამოვხსენი, რომ მათზე აღარ ვიფიქრო. მორჩა, თავს არ დავზოგავ, ბევრი ფული უნდა ვიშოვო.

00 და მებ /ერთად/ – ომი დაიწყო.

/ცნობილი საოპერო არიების და ტაშის ფონზე ისმის სროლის და დაბომბვის ხმები).

00 – გაგრის მისადგომებთან ვართ, გუშინ რვა ბიჭი დაგვეღუპა, ვერც ერთი ვერ გამოვიყენეთ. უკან ვიხევთ. ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სამხედრო ფორმას ჩავიცვამდი და ხელში ავტომატს დავიკავებდი.

მებ – დღეს უცხოეთში მცხოვრები ქართველები აქციას ვაწყობთ.

00 – ხიდი აგვიფეთქეს, ორივე მხრიდან ალყაში ვართ. სოხუმი ცეცხლში იწვის.

მებ – გუშინ ნიუსებში აფხაზეთს აჩვენებდნენ, ბიჭვინთას მოვკარი თვალი, არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი იქ ხდება, იქ სადაც მართლა ყველა კენჭი ვიცი.

00 – ჩვენი ბატალიონიდან მხოლოდ ორნი გადავრჩით. ფეხში ვარ დაჭრილი, ზღვას სისხლის სუნი ასდის, ვერ წარმომიდგნია, რომ როდესმე ამ წყალში ცურვა მომინდეს.

მებ – არანაირ წარმატებას არ ჰქონია აზრი, როცა შენს ქვეყანაში სისხლი იღვრება. არაფერი მინდა, ოღონდ ახლა ჩემებთან ვიყო. გული რაღაც ცუდს მეუბნება, უფრო ცუდს, საშინელი წინათვრძნობა მაქვს.

00 – სოხუმი ეცემა. თვითმფრინავში, პირველ რიგში, დაჭრილები, ბაგშვები, ქალები აჲყავთ. ჩემს ადგილს ერთ პატარა ბიჭს ვუთმობ. ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთია.

მებ – ის თვითმფრინავი აფრენისას დაბომბეს.

მებ და მო – ჩემი თვალით ვუყურე, როგორ ჩამოვარდა და აფეთქდა.

მო – ჩემთვის ახლა სიკვდილი შვება იქნებოდა, სიკვდილს ვეძებ, მაგრამ ჯერ არსადაა.

მებ – ჩემი ძმა გუმისთასთან დახვრიტეს აფხაზებმა. ომში წასულა, არ ვიცოდი, ჩემებმა დამიმალეს.

მო – არავის დანახვა არ მინდა, არც ტელევიზორს ვუყურებ, არც გაზეთებს ვკითხულობ. ფეხი თითქმის მომირჩა. ისევ მარტო ვარ. ნეტავ, შემეძლოს საერთოდ წავიდე ამ ქვეყნიდან.

მებ – ჩემი ძმა ბებიაჩემის გვერდით დავკრძალეთ, სოფელში. ნუთუ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდება? ჩემი პატარა გოგო ისე მექცევა, როგორც პატივსაცემ სტუმარს, როცა ვკოცნი, წითლდება.

ხვალ უკან მივფრინავ. არაფერი აღარ მინდა, მაგრამ ჩემს თავს უკვე აღარ ვეკუთვნი, იქ მელოდებიან, მათ მაქციეს პრიმად და ვალდებული ვარ, მათთვის ვიმღერო.

მო – აქ თეატრი და კინო აღარავის სჭირდება და არც მსახობი.

მებ – იქ ხელოვანი ადამიანი ყველაზე ძვირად ფასობს.

მო – ხელოვანი ადამიანი, რა საცოდავად უღერს.

მებ – ისინი ამაში ფულს იხდიან, ძალიან დიდ ფულს და მეცვალდებული ვარ, ვიმღერო მათთვის, მემღერება თუ არა.

მო – საშინელი ნევროზი მაქვს, ღამეები აღარ მძინავს, მარტონბას დიდხანს ვეღარ გავუძლებ.

მებ – მომბეზრდა, ყველაფერი მომბეზრდა. საშინელებაა, როცა გეტირება და იძულებული ხარ, იმღერო.

* * *

003 – ცოლი მოვიყვანე, არაჩვეულებრივი ქალია, დახვეწილი მანერებით, სასიამოვნო გარეგნობის, ყოველთვის გემოვნებით ჩაცმული.

რატომ დადიან ასეთი ქალები სახლში წინდებჩაჩაჩულები და თმადაუვარცხნელები, ხმაც სხვანაირი რატომ უხდებათ? ა?

მე3 – ყველაფერს ეგუება ადამიანი.

003 – არა, მე ამასთან შეგუება არ შემიძლია.

მე3 – თავის ცხოვრებას ყველა თვითონ ირჩევს.

003 – ხოდა, მეც ვირჩევ, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია, ეტყობა, ჩემი საქმე არ არის ოჯახი, ან მე არ მიმართლებს.

ისევ მარტო ვარ.

მე3 – „გრანდ ოპერაში“ 3 წლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ჩემმა ქმარმა განქორწინება მთხოვა. ამერიკაში აპირებს წასვლას. დედაჩემი გამომიტყდა, რომ დიდი ხანია, რომანი თავის უფროსთან, ვიღაც ებრაელ ქალთან ჰქონია და ერთად მიემგზავრებიანო. დიდად არც გამკვირვებია. ცოდვა გამხელილი სჯობს. ჩემს ცხოვრებაშიც გაჩნდა ერთი ადამიანი; სულ მაწუხებდა, რომ ქმარი მყავდა. მაშინაც კი, როცა რომელიმე პატარა ქალაქის პატარა სასტუმროში ვიყავით მე და სტივი. მშვიდად არასდროს მიგრძნია თავი, სულ მეგონა, რომ კარი გაიღებოდა და ჩემი ქმარი პისტოლეტით ხელში დაგვადგებოდა თავზე. პისტოლეტი?! რამდენი ხანია, აღარ გამხსენებია იო... მგონი, იმისავით არც მყვარებია არავინ. ან იქნებ, პირველი იყო და იმიტომ.

003 – ოპერის თეატრში საქველმოქმედო კონცერტი იმართება. მე საღამოს წაყვანა შემომთავაზეს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან ვარსკვლავები. შემოსული თანხა ომის დროს დაზარალებულ ოჯახებს უნდა მოხმარდეს.

მე3 – თბილისში მიგფრინავ, მთელი გზა წამლებს ვსვამ. დიდი ხანია, რაც იქ არ ჩავსულვარ, ძალიან ვღელავ. ხვალ ოპერაში საქველმოქმედო კონცერტზე უნდა ვიმღერო. ზეგ ჩემი

ქალიშვილის დაბადების დღეა, წამოსვლის წინ დავურეპე და ვკითხე, საჩუქრად რა ჩამოვიტანო-მეთქი? არაფერიო, მთელი დღე ჩემთან ერთად იყავიო. ალბათ, ვერ შევუსრულებ. მე ხომ ჩემს თავს აღარ ვეკუთნი... დიდი ხანია...

00 – შეიძლება საღამოს წაყვანას არც დავთანხმებოდი, სცე-ნას დიდი ხანია ვეღარ ვიტან, მაგრამ ამბობენ, მედეა ჩამოდისო. ახლოდან მინდა ვნახო ნამდვილი ვარსკვლავი.

* * *

ისმის ტაში. იოს ხელჩაკიდებულს გამოჰყავს მეა ბისზე.

00 – არაჩვეულებრივი იყავით.

მებ – დიდი მადლობა.

00 – იცით, მე თქვენ მახსოვხართ.

მებ – მართლა?!

00 – დიახ, როცა პირველად მიემგზავრებოდით ლა სკალაში. სიუჟეტი ვნახე ტელევიზიით და მაშინვე გავიფიქრე, რომ დიდი მომავალი გექნებოდათ.

მებ – დიდი მადლობა.

00 – რას ბრძანებთ, ეს ფაქტია, მაგრამ მეც არასდროს მღა-ლატობს ინტუიცია.

მებ – მეც მახსოვხართ თქვენ.

00 – მართლა?

მებ – დიახ, ყველა თქვენი სპექტაკლი მქონდა ნანახი.

00 – როგორ, მაშინ ხომ სულ პატარა გოგონა იქნებოდით?

მებ – არც ისე.

00 – ძალიან ბეჭინიერი ვარ, რომ პირადად გაგიცანით.

მებ – მეც...

00 – იმედია, კიდევ შევხვდებით.

მებ – მეც. ხვალ მივურინავ.

00 – ალბათ, ერთი სული გაქვთ როდის წახვალთ აქედან.

მებ – პირიქით.

იო – მაშინ დარჩით.

მებ – დიდი ხანია, ჩემს წასვლა-დარჩენას მე აღარ ვწყვეტ.

იო – რას იზამთ, ასეთია ვარსკვლავური ცხოვრება. მეტს აღარ შეგაწყენთ თავს.

კარგად ბრძანდებოდეთ.

მებ – მშვიდობით.

იო – საოცარი ქალი ყოფილა.

მებ (თავისითვის) – ხომ არ მოვუყვე პისტოლეტის ამბავი?! გაგიჟდება? დილას რომ არ მივურინავდე... ეეჲ, მაინც სიმპათიურია, ჭალარაც როგორ უხდება, თვალები? არა, ასეთი ცისფერი თვალები არავის არა აქვს.

იო – საიდან მოიგონეს, რომ ცისფერი თვალებია ლამაზი, ან მწვანე, ან ის, რომ სილამაზეს აუცილებლად კონტრასტები ქმნის, შავი თმა და ღია ფერის თვალები ან პირიქით. ეს ძალიან მცდარი აზრია. ყველაზე ლამაზი თაფლისფერი თვალებია, ასე-თი ცეცხლი და ასეთი სითბო, ერთდროულად, არც ერთ ფერს არა აქვს.

მებ – ბარგს ვალაგებ. როგორ არ მინდა წასვლა.

იო – ამ კონცერტმა თითქოს ცოტა ხნით გამოაცოცხლა ეს ჩამკვდარი ქალაქი. რა ქალია?! ... ბუნებრივი, ყოველგვარი თამა-შის გარშე, რატომ არასდროს შემშვდა ასეთი ვინმე. ეს თვალები? საიდან მოიგონეს, რომ ცისფერი თვალებია ლამაზი, ან მწვანე, ან ის, რომ სილამაზეს აუცილებლად კონტრასტები ქმნის, შავი თმა და ღია ფერის თვალები ან პირიქით. ეს ძალიან მცდარი აზრია. ყველაზე ლამაზი თაფლისფერი თვალებია, ასეთი ცეცხ-ლი და ასეთი სითბო, ერთდროულად, არც ერთ ფერს არა აქვს.

მებ – ორი დღეა, რაც ლონდონში დავბრუნდი. მე და ჩემი ბიჭი დღეს კრანახის გამოფენაზე ვიყავით. ახლა კემბრიჯში უნდა დაბრუნდეს. ჩემი მანქანით მატარებლის სადგურამდე ვაც-

ილებ. უკვე კაცია, თბილისის ამბებს ვუყვები, თვითონაც ახალი ამბავი დამახვედრა, ძმა შესძენია ამერიკაში.

იოზე მინდოდა მეამბნა, „პისტოლეტის“ ამბის მოყოლა დავიწყე, მაგრამ მივხვდი, არ აინტერესებდა და გავჩუმდი. გამომიტყდა, გადავწყვიტე, რომ ფიზიკოსი უნდა გამოვიდეო. ეჱ, გენები, გენები მაინც თავისას შვება.

მატარებლამდე მივაცილე და უკან გამოვბრუნდი. „თაუერს“ მივუახლოვდი. მანქანა სადგომზე გავაჩირე, ქურთუკი ჩავიცვი და კიბით ავედი ხიდზე. უკვე ბნელოდა. მერე ფეხით გავუყევი ხიდს, სტივი ერთი კვირით პარიზში გაფრინდა, საოცარი მარტოობა ვიგრძენი.

ჩემთვის სამშობლო ჩემი სახლი და ბიჭვინთა იყო. ბიჭვინთა აღარ არის, ჩემს სახლსაც ანგრევენ. გავჩერდი და ტემზას გავხედე. აქ, ამ ადგილას ყოველთვის ბავშვობაში წაკითხული ინგლისური ლიტერატურის განცდა მეუფლება ხოლმე. რაც ჩამოვედი, სულ მეტირება, ყველაფრის გახსენებაზე მეტირება. ახლა მესმის იმ ვარსკვლავების, მრავალსართულიანი სახლების სახურავებიდან რომ ხტებოდნენ. ჩემი ფიქრის შემეშინდა, მოვტრიალდი და უკან წამოვედი, საკუთარ თავს მოვკარი თვალი თეატრის აფიშაზე. ქუდი თვალებზე ჩამოვიფხატე, ვითომ ახლა ვინმე მიცნობდა?!

* * *

მებ და იმ (ერთად) – 20 წელზე მეტი გავიდა.

მებ – ჩემს ვარსკვლავურ ცხოვრებაზე არაფერის მოყოლა არ მინდა, ეს ისეთივე ბანალურია და ერთფეროვანი, როგორც ნებისმიერი სხვა. ტაში, პრემიერები, ტაში, გასტროლები, ტაში, ახალი საოპერო თეატრები, ტაში, ახალი თაყვანისმცემლები. ტაში, ტაში, ტაში.

ახლა კვიპროსზე ვარ, სამი დღით ჩამოვედი. სასტუმროს ფანჯრიდან გავცექრი ხმელთაშუა ზღვას. მთელი ქვეყანა მოვიარე,

მსოფლიოს ყველა ზღვასა და ოკეანეში მაქვს ფეხი ჩადგმული, მაგრამ ისეთი ზღვა, როგორიც ბიჭვინთაში იყო, არსადაა მთელ მსოფლიოში. ის სითბოც ვეღარსად ვიპოვე, რაც ჩემს ბავშვობაში იყო ჩვენს ოჯახში... ისე გადის წლები, მათ საფლავზე ვერც კი ჩავდივარ.

II – თითქმის მთელი ცხოვრება მარტო გავატარე, თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე წელს, როცა ვითომ ოჯახი მქონდა. თუმცა, სრულფასოვანი ოჯახი არც არასოდეს მქონია. არც ბავშვობაში. მამა ადრე გაგვცილდა, დედაჩემიც ახალგაზრდა გარდაიცვალა. მე სულ რაღაც განსაკუთრებულს ვეძებდი ცხოვრებაში, ჩემი თავიც გამორჩეული მეგონა, გვერდითაც ასეთი, ყველასაგან განსხვავებული საოცრება მინდოდა მყოლოდა. რა ვენა, ახლაც ასე ვარ. სიმართლე ეს არის.

III – ყველანი კარგად ვართ, ჩემი ამბები იცით, ჩემი ვაჟი ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. ისიც მამასავით ფიზიკოსია და საკმაოდ წარმატებული. თუმცა, ერთმანეთს ვერც ისინი ხვდებიან. მყავს ერთი ამერიკელი შვილიშვილი, ოთხი ქართველი და ჯერ არც ერთი არ მინახავს. ჩემს ქალიშვილს ოთხი ვაჟი შეეძინა: საბა, ანდრია, დაჩი და ნიკოლოზი. მედეა, ჰელი – ჩემს პატივსაცემად.

IV – თეატრს მაინც ვერ დაგანებე თავი, ოღონდ, ახლა სხვა ამპლუაში ვარ. პიესებს ვწერ, სამი პიესა დავწერე და სამივე დაიდგა. ხვალ ჩემი სპექტაკლის სანახავად ინგლისელი პროდიუსერი მოდის. რაღაცები დაიძრა ამ ქვეყანაში. დღეიდან ინგლისურის სწავლას ვიწყებ, ოღონდ, არავის ვეუბნები. პედაგოგიც მკაცრად მყავს გაფრთხილებული, რა საჭიროა, დაიწყებენ მერე...

III – დღეს ჩემს სამშობლოში ისევ ომი დაიწყო. დღეს კონტრაქტის გაგრძელებაზე უნდა მომეწერა ხელი და ერთი კვირით გადავდე.

II – ომია, ომი... მე პირადად შევეჩვიი ომს და არეულობას. არაფერში აღარ ვერევი, ერთი წუთით არ შევწყვეტ წერას, არც

ინგლისურში მომზადებას. მასავლებელი ძალიან საყვარელი პატარა გოგოა. გუშინ დამირეკა და ბოდიში მომიხადა, მიჭირს გარეთ გამოსვლა და ალბათ ვეღარ შევძლებ სიარულსო. არ დავთანხმდი, ძალით ვათქმევინე მისამართი და მე თვითონ მივდივარ ახლა მასთან. არც ერთი დღით არ გავჩერდები. ჩემს ასაკში გაჩერების უფლება არ მაქვს. ყველას დავუმტკიცებ, რომ ეგრე არ არის, რაა...

მებ და 00 (ერთად) – ერთი კვირა გავიდა.

მება – მე და ჩემი პროდიუსერი დღეს ისევ შევხვდით.

– ჰა, დამთავრდა ეგ თქვენი სამდღიანი ომი.

ხმას არ ვიღებ. სამი დღე, 300-ზე მეტი დაღუპული, 3000-ზე მეტი გაუბედურებული ოჯახი. ჰმ, სამი დღე.

– მე მგონი, არაჩეულებრივი პირობებია, მიდებს წინ კონტრაქტს.

00 – კიდევ კარგი დროზე დამთავრდა ეს ომი. ერთი კვირაა, რაც ინგლისურზე იმის სახლში დავდივარ... ისე მიხარია, ისე მიხარია, ვერ წარმოიდგენთ. ორი პატარა გოგო ჰყავს, ტყუპები. ქმარს მიუტოვებია, სადღაც გადაკარგულში ცხოვრობს. ისეთი მაგრები არიან ეს ტყუპები, ისეთი მაგრები, ჯერ ახლა სწავლობენ სიარულს.

მება – იცი რა, – ვეუბნები ჩემს პროდიუსერს, უნდა დავბრუნდე.

– სად? – ცინიკურად იღიმება და ვითომ ვერ ხვდება სად.

00 – ვისწავლი ინგლისურს და მორჩა, აქედან უნდა წავიდე. ვიჯდები ჩემთვის რომელიმე პაბში ტემზასთან ახლოს და ვწერ და ვწერ.

მება – ჩემს სამშობლოში.

– სად? – იცინის – იქიდან ყველა გარბის და შენ ბრუნდები? – ჰა.

00 – ჩემს პედაგოგს ლიკა ჰქვია, შეიღლად შემეფერება, ძალიან კარგი გოგოა. მორიდებული, როცა რამეს მისწორებს, წით-

ლდება. გუშინ მთელი 3 საათი შევრჩი. ერთი ტყუპი მე მეჯდა კალთაში, მეორე იმას და ასე ვმეცადინეობდით. მეუბნება, რომ ძალიან ნიჭიერი ვარ. უკვე ავლაპარაკდი ინგლისურად.

მებ – რომელ სამშობლოში ბრუნდები, შენ თვითონ არ მითხარი ერთხელ, ჩემთვის სამშობლო აფხაზეთი და ჩემი სახლი იყო?

– ჰო, მართალია და აღარც ერთი აღარ მაქვს.

(ისევ იცინის)

– ძალიან საინტერესო ქალი ხართ, როგორც ყოველთვის...

იმ – გუშინ ლონდონიდან მოწვევა მივიღე. ჩემი პიესის დადგმა უნდათ ერთ-ერთ თეატრში. ტყუპებს ბევრი საჩუქარი ვუყიდე, ლიკასაც. შამპანიური, ნამცხვრები და ისე მივადექი. ლიკა, როგორც საყვარელ მამას, ისე ჩამომეკიდა კისერზე და ხტუნაობა დაიწყო. შამპანიური დავლიეთ, ახლა ცოტა ნასვამი ვარ, სახლში ვბრუნდები. ალბათ, ერთ თვეში წავალ.

მებ – კარგი, ხუმრობა ხუმრობა იყოს, მეტი დროც არა მა-ქვს. – კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს ჩემი პროდიუსერი.

უარის ნიშად თავს ვაქნევ. ხვდება, რომ აღარაფერი გამოუვა, მეც ვხვდები, რომ აღარაფრის შემცვლელი არა ვარ.

– გადაწყვეტილია?

ისევ თავს ვაქნევ.

ის დიდხანს არის ჩუმად.

– ალბათ, თბილისში სადმე კარგ სახლს იყიდი...

– არა, თბილისში არ ვაპირებ.

– აბა?

– სოფელში, სადაც ჩემების საფლავებია.

– სოფელი, პრინციპში მთელი სოფელი თავისუფლად შეგიძლია იყიდო.

იმ – დაზამთრდა, თოვლი მოვიდა, მე და ლიკა ერთმანეთში მხოლოდ ინგლისურად ვსაუბრობთ, სად ვიყავი ამდენ ხანს.

მებ – ისეთი ბედნიერი ვარ, დღეებს ვითვლი.

00 – გადავწყვიტე, ლიკა თავის ტყუპებიანად ჩემთან გად-
მოვიყვანო. რად მინდა ამხელა სახლი, თან ჩემი წასვლის დროც
მოახლოვდა. ტყუილად რატომ უნდა იხადონ ქირა.

მებ და 00 (ერთად) – გამგზავრებამდე 2 დღე დარჩა.

00 – სახლში მისვლა მიხარია, ტყუპებმა აიკლეს იქაურო-
ბა, ლიკას ერიდება, მაგრამ მე არაფერს ვუშლი. ერთადერთი,
ჩემი ნაწერები არ დახიონ, არადა, როცა ვწერ, მაინცდამაინც ის
ფურცელი უნდათ. ძალიან საყვარლები არიან და ძალიან ლა-
მაზები, ვგიუდები ისე შემიყვარდნენ. ლიკა უგემრიელეს საჭ-
მელებს აკეთებს.

მებ – ბარგის ნაწილი უკვე გამოვგზავნე. მამაპაპისეული
სახლიც დავიბრუნე. ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, ისეთი გახა-
რებულები არიან, ვერ წარმოიდგენო. მეზობლები ყოვედლე
მირეკავენ. იქნებ, ჩვენი სახლებიც იყიდოსო.

მებ და 00 (ერთად) – ძალიან ბედნიერი ვარ. დღეს მივემგ-
ზავრები.

00 – ჰიტროუს აეროპორტში ვარ.

მებ – ჰიტროუს აეროპორტში ვარ.

მებ და 00 (ერთად) – არავის გავაცილებინე თავი. ვერ ვიტან
გაცილებას.

00 – მე რომელი თვითმფრინავითაც ჩამოვფრინდი...

მებ – მე იმ თვითმფრინავით მივფრინავ.

00 – დღეს ჩემი სპექტაკლის პრემიერა იყო, ბევრი ქართ-
ველი მოვიდა. ელჩიც ბრძანდებოდა, იქიდან კულტურის მინ-
ისტრიც ჩამობრძანდა და ორი ტელევიზია, ცოტა ვლელავდი.
სახლში დავრეკე. ლიკამ მითხრა ფანტასტიკური იყავი, არაჩვეუ-
ლებრივად ილაპარაკეო. ჩვენ ისევ ინგლისურად ვესაუბრებით
ერთმანეთს.

მებ – ჩემს სახლში ვარ, ვზივარ ფოთლებგაცვენილი კაკლის
ხის ძირას და ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის.

– დედა, ხომ არ ნანობ? – მეკითხება ჩემი ქალიშვილი ხუმრობით. იცის, რაც მატირებს.

ეზოში ჩემი პატარა ბიჭები, ჩემი შვილიშვილები დარბიან.

შაბათ-კვირას გესტუმრებითო, მეუბნებიან. ახლა ძალიან მინდა, რომ დიდხანს ვიცოცხლო.

009 – ლონდონის ძველ უბნებში დავდივარ. ყველაფერი ისე-თი ახლობელია ჩემთვის... თვითონაც მიკვირს. აღარ იციან, რით მასიამოვნონ.

– you are great playwrighter.

– you are wonderful.

– you are brilliant.

– ასეა, ბატონო. ჩვენს ქვეყანაში არაფრის ფასი არ იციან.

რას ინებებთ? სად წაგიყვანოთ? – მეკითხებიან.

– შექსპირის საფლავზე!

010 – გუშინ ძროხა ვიყიდე, ჭრელი.

009 – მოწვევა გამიგრძელეს, ახალი პიესის შეგვეთა მაქვს, მალე ალბათ პირდაპირ ინგლისურად დავიწყებ წერას. ტყუპები ძალიან მენატრებიან, ლაპარაკი დაუწყითათ.

011 – გამახსენდა, ბავშვობაში ბაბუაჩემი როგორ ამყნობდა ხეებს, მადლიანი ხელი ჰქონდა. ყველას დამყნობილი თურმე არ ხარობს და ხან ვინ სთხოვდა, და ხან ვინ, მეც თან დავყვებოდი. ბევრჯერ მინახავს, გავიხსენე, გავბედე და ჩემს ეზოში 5 ნერგი დავამყნე.

012 – ხუთი სურათი უკვე დავწერე. რა ბედნიერებაა, რომ ეს ინტერნეტი არსებობს.

013 – რა ბედნიერებაა, რომ არც ინტერნეტი მაქვს და არც ტელევიზორი, შაბათ-კვირას ჩემები ჩამოდიან და ჩემს ამოყვანილ ყველს ვახვედრებ.

014 – რასაც ვწერ, ლიკას ვუგზავნი. ის ეგრევე მითარგმნის და მეც მეორე დღესვე მიმაქვს. მოსწონთ, ყველაფერი მოსწონთ.

ისე, რაც აქ სპექტაკლები ვნახე, მოეწონებათ აბა რა იქნება. ჰონორარიც მომცეს, ლიკასაც გავუგზავნე, გაგიჟდა.

მებ – სასაფლოზე ასვლა მიხარია. პატარა ლამაზი ეკლესია აუშენებიათ. კვირაობით თითქმის მთელი სოფელი წირვაზე დადის, უფრო, ახალგაზრდები. მამაოც სულ პატარა ბიჭია, ოცდაათი წლისაც არ იქნება.

მე – გუშინ სახლში დავრევე (ეტირება), ტყუპები მოვიკითხე. დაგალაპარაკებო, მითხრა ლიკამ.

– How are you, grandfather?

– Grandfather... ერთმანეთს გლეჯდნენ ტელეფონს.

თავი ვეღარ შევიკავე და ავტირდი.

მებ – კვირაობით ეკლესიაში დავიწყე გალობა.

მე – მეორე პიესას ვამთავრებ.

მებ – მეზობლის ბავშვებს ინგლისურში ვამზადებ, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ.

მე – ჰონორარზე წინასწარ მოვეღაპარაკე, ვუთხარი რომ შვილიშვილებს მინდა გავუგზავნო. ტყუპების სურათები სულ გულისჯიბეში მიდევს.

მებ – მაინც არ ისვენებენ... გაკვეთილის მერე ხან ვაშლებით სავსე კალათს მიტოვებენ, ხან გოგრას, ხან ჩურჩელებს. მოკლედ, ქველმოქმედება მაინც არ გამომდის.

მე – მე ქველმოქმედებისთვის არ მცალია, იმდენი რამე სჭირდებათ ბავშვებს.

მებ – ჩემმა ნერგებმა გაიხარა, ხუთივემ.

მე – გუშინ მეორე სპექტაკლის პრემიერა შედგა. ჩემს ასაკში ემოცია, დადებითიც და უარყოფითიც, ორივე ცუდად მხდის. მთელი დღეა, წევა მაქვს. სად შემიძლია ამდენი, პატარა ხომ აღარა ვარ, ბოლოს და ბოლოს, ბაბუა ვარ, რა – არა?

მებ – ჩემი ძროხა მაკედაა, აღარ იწველება, სამაგიეროდ, მალე ორი მეყოლება.

00 – არა, არა, სად შემიძლია, მეტს აქ ვეღარ დავრჩები. იქ დავწერ და იქიდან გამოგიგზავნით. არა მეტს ვერაფრით დავრჩები, შვილიშვილები მენატრებიან, ძალიან მენატრებიან.

ვნახოთ, ჩავალ და მერე იქნებ ისევ დავბრუნდე, ან იმათაც ჩამოვიყვან. ენა არ იციან, თუ რა პრობლემაა?!

უკან დასაბრუნებელი ბილეთი უკვე ავიღე, ახალი პიესის იდეა მომივიდა, შეიძლება, თვითმფრინავში დავწერო, უკვე ყველაფერი მოფიქრებული მაქვს. მთელი ცხოვრება... ჰმ...

(გაჩერდება) მთელი ცხოვრება, არც მანამადე და არც მერე ასე არ შემშინებია, არც ერთ ომში, არც... ჩემს ახალ პიესას „სათამაზო პისტოლეტი“ უნდა დავარქვა. ეს ჩემი ყველაზე მაგარი პიესა იქნება.

მებ – ამ საღამოს, ლოცვაზე რომ მივდიოდი, ჩვენი სოფლის მასწავლებელმა ისე, სხვათაშორის ამბად მითხრა: ლონდონიდან თბილისში მომავალ თვითმფრინავში იოს ინფარქტი დამართია და აეროპორტიდან პირდაპირ საავადმყოფოში გადაუყვანიათ უმძიმეს მდგომარეობაში.

მაშინვე მოვტრიალდი და იმავე დღეს ჩამოვედი თბილისში. ვიზიტი მეორე დღისთვის აღარ გადავდე.

უკვე დამე იყო. მორიგე ექიმმა მიცნო და რეანიმაციაში შემიშვა. გვერდით ჩამოვუჯექი, ყველა მხრიდან რაღაცაზე იყო შეერთებული. თეთრი წვერი, ქანდაკებასავით ფერმურთალი, მაგრამ მაინც ძალიან სიმპათიური.

დილამდე სასთუმალთან ვუჯექი. ყველაფერი მოვუყევი, ყველაფერი, პისტოლეტის ამბიდან დაწყებული, დღევანდელი დღით დამთავრებული... არ ვიცი ესმოდა თუ არა, ამას ჩემთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

საავადმყოფოდან პირდაპირ სოფელში დავბრუნდი, გზაში ტელევიზორი შევიძინე და ყველა საინფორმაციო გამოშვებას ვუსმენდი. ერთი კვირის შემდეგ გამოაცხადეს, რომ გარ-

დაიცვალა. თუმცა, სიკვდილის წინ ბოლო ინტერვიუს ჩაწერა მაინც მოესწროთ ჟურნალისტებს. თვითმფრინავში ახალი პიესა დავწერეო. დაკრძალვაზე არ წაგსულვარ, აქ, ჩვენს ეკლესიაში გადავუხადე პანაშვიდი.

დღეს კი მისგან ეს ამანათი მივიღე, ჯერ არ გამიხსნია. თავიდან ცოტა შევცბი, მაგრამ რიცხვი რომ წავიკითხე, გარდაცვალების წინა დღესაა გამოგზავნილი. აქამდე საერთოდ რომ ჩამოალწია, ისიც კი მიკვირს.

ხელები მიკანკალებს.
წერილია. კონვერტს ვხსნი. აი, თურმე, როგორი ხელი ჰქონია, სულ ხუთი სიტყვა წერია.

„დიდი მადლობა ყველაფრისათვის, ჩემო ძვირფასო“.

ამანათში კიდევ დევს რაღაც, თვალებს არ ვუჯერებ.

ეს ხომ ის სათამაშო პისტოლეტია.

2009 წ.

ମତ୍ସ୍ୟବାନୀ
ରକ୍ଷଣା

მოქმედი პირნი:

- მამის – ახალგაზრდა რეჟისორი
- ბაბუანა – რეჟისორის ასისტენტი
- რეზო – დურგალი (განათლებით ფილოსოფოსი)
- მაკო – მსახიობი
- ნუპა – გრიმიორი, რეკვიზიტორი
- ცოდნე – მაკოს მეგობარი

| მოქმედება

| სცენა

სცენა წარმოადგენს კულისებს. მამია სკამზეა მისვენებული, ჯეხები მეორე სკამზე აქვს შეწყობილი. ბუბუსია წნევას უსინჯავს, ნუკა ფურცლებით უნიავებს. საიდანლაც ისმის ჩაქუჩის ხმა.

ბუბუსია (ფონენდოსკოპს მოიხსნის) – რეზო! რეზო! ძია რეზო!

ნუკა – რამდენი აქვს?

ბუბუსია – გაიგებ?! ტუკ-ტუკ-ტუკ. წაილო ტვინი. მგონი, სამოცდაათი-ოცდაათზე.

ნუკა – აუუუ, ისე, მთავარია, მაღალი არ ჰქონდეს, არა?

(ბუბუსია თავიდან იწყებს წნევის გასინჯვას)

მამია – მომხსენი, აღარ მინდა... ეგ სოფლელი, ეგ მათხოვარი... ჰმ... ქალად ვაქციე, ქვეყანა ვაჩვენე. ვინ იყო?!.. ვინ იცნობდა?!

ბუბუსია – ღირსი ხარ.

მამია – ღირსი ვარ, ღირსი. უარესის ღირსი ვარ (მოიგლევს ფხრინწს).

ბუბუსია – კარგი, დაწყნარდი, ნუ ნერვიულობ.

მამია – როგორ დავწყნარდე? ყველა ბილეთი გაყიდულია. რა ვუთხრა მაყურებელს? აი ასე, დაკრა ფეხი და თავისზე 20 წლით ახალგაზრდას ძუკნასავით აეკიდა-მეთქი, ეს ვუთხრა?

(შემოდის რეზო ხელში ჩაქუჩით)

რეზო – რაშია საქმე, ბატონი მამია მეძახდა?

მამია – რაა? მე გეძახდით?

ბუბუსია – წაიღო ტვინი! კაპ-კუპ, კაპ-კუპ, თავი ამეხადა.

რეზო – არ გინდათ, და აპა, იყოს (დააწყობს ჩაქუჩის და ლურსმნებს და გატრიალდება), ჩემს საქმეს კი არ ვაკეთებ?!

მამია – სად მიდის?! რეზო! ბატონო რეზო! ვინ გითხრათ, გაჩერდითო?

რეზო – ვინ, და აგერ, ამ პატიოსანმა ადამიანმა.

მამია – ვინ კითხავს მაგას, აქ მე ვარ რეუისორი, გაიგეთ?!
აიღეთ თქვენი ჩაქუჩი და გააგრძელეთ, რასაც აკეთებდით.

რეზო – გასაცარი, თუ გნებავთ, ჩემთვის ხომ არ ვაკეთებ?
„დონ-უანის“ ნავია გატეხილი. ერთი საათი დარჩა სპექტაკლამდე.
თუ არ გჭირდებათ...

მამია – გააკეთეთ, გა-ა-კე-თეთ, სხვას ნუ უსმენთ, აქ მე
აწყვეტ ყველაფერს.

(რეზო ჩაქუჩის და ლურსმნებს წამოკრეფს და გადის).

მამია – რა ვქნათ?

ბუბუსია – გადაწყვიტეთ, ბატონო, აქ თქვენ არ წყვეტთ
ყველაფერს?

მამია – ო, კარგი რა, ახლა მაგის დროა? ისედაც გაგიუებას
ვარ, გამოსავალს ვერ ვხედავ. ეს როგორ გამიკეთა?! ეს როგორ
გამიკეთა?! ეს როგორ გამიჩედა?!

ბუბუსია – უარესის ღირსი ხართ, უარესის... მაგისთანას
მთავარი როლები კი არა... ერთს რომ მოვკიდებდი ხელს,
აქედან...

მამია – ეს დღევანდელი სპექტაკლი არ ჩამშლოდა და მერე
მე ვიცი.

ბუბუსია – გაცივდა კაცი, გასწიე ეს ფურცლები.

ნუკა – თვითონ ვერ იტყვის?

მამია – მეც არა ვთქვი, რა მაწუხებს...

ნუკა – კი ბატონო, მე კი არ მეხალისება /ამოილებს სიგა-
რეტს და გაატოლებს/. აუ, მითხარით რა, არის დღეს თუ არა
სპექტაკლი? წასვლა მინდა.

ბუბუსია – ვიცით?!

მამია – არის, არის!

ბუბუსია – შენ კიდევ გაქვს იმედი?

მამია – ერთხელაც დაურეკე, მიღი, აკრიბე.

ბუბუსია (რეკაცი) – არ იღებს, მთელი დღეა ვრეკავ, ვერ
ხედავთ?

მამია – იქნებ მესიჯი გაგვეგზავნა?

ბუბუსია – მესიჯის გაგზავნა არ ვიცი.

ნუპა – მოიტა, მოიტა.

(ბუბუსია უკმაყოფილო სახით აწვდის მობილურს)

ნუპა – რა მივწერო?

ბუბუსია – შე დამპალო... გათახსირებულო, უსინდისო...

ნუპა – აუ, მოიცა რა?!

მამია – მისწერე: რას გვიშვრები? ვიღუპებით, ყველა
ბილეთი გაყიდულია, ნუთუ ადამიანის გული არა გაქვს?

ნუპა (იმეორებს დამარცვლით) – გა-ყი-დუ-ლი-ა...

მამია – გაგვაგებინე, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

ნუპა – მერე?

მამია – მეტი არაფერი. გელოდებით.

ბუბუსია – ჰმ, გელოდებით, გკოცნით, საყვარელო, მწუ, მწუ,
მწუ...

ნუპა – ისე, მე შემიძლია მაგარი იდეა მოგაწოდოთ.

ბუბუსია – დაარტყამს ახლა რაღაცას.

ნუპა – აუ, ეს ვინ არი? ჯერ იცი, რას ვამბობ?

მამია – თქვი, თუ ამბობ.

ნუპა – ჩემს ოთახში ვიჯექით მე და მაკო.

ბუბუსია – ვისხედით.

ნუპა – არ ვინდა, რა. ვიცით, რომ ჩახრუხაძის ენით მეტ-
ყველებთ: მუნ ჭმუნვით ვისხედით.

მამია – იტყვი თუ არა, რას მაიმუნობ?!

ნუპა – შემეშვას და ვიტყვი.

ბუბუსია – შეშვებული არა ვარ?

მამია – კაი, ნუ გადაგვაყოლეთ. თქვი, თუ ამბობ.

ნუკა – მე და მაკო...

მამია – მაკო ვინდა ოხერია?

ნუკა – მაკო არ იცით, ბატონი მამია?

ბზბზსია – იცის, შტატგარეშე მსახიობი, გიუივით რომ
იცვამს.

ნუკა – სხვათა შორის, მაგრა საკაიფოდ აცვია და მაგარ
საკაიფო ვიდზეა. არ გინდა, რაა?!

მამია – ვერ ვიხსენებ, მერე?

ბზბზსია – ახალგაზრდა, სიმპათიური, თუმცა თქვენ ხომ
ახალგაზრდებს ვერ ამჩნევთ, სულ დამავიწყდა.

მამია – მერე, გისმენთ.

ნუკა – მაცლის?

მამია – დააცადე.

ნუკა – მოკლედ, ეს „პალაზენია რო გაიასნდა,“ რაც აქ ხდება,
მაკომ თქვა, მაგ როლს, მე ვთამაშობდიო; დედას ვფიცავარ, მეც
გამახსენდა, ძაან მაგარი იყო.

მამია – დონა ელვირას? სად თამაშობდა?

ნუკა – საკურსო სპექტაკლში, მთელი ტექსტი იცის ზეპირად
და ესეც, რაც აქ ხდება, ყველაფრის აზრზეა.

მამია – მერე რა, რას ნიშნავს, რატომ მოგვიყევი ეს ამბავი?

ნუკა – პროსტო რაა, შეეძლო ეთამაშა, დღეს რახან...

ბზბზსია – ოო, რა ელვირა, რის ელვირა, ბაგშვია
ცხვირმოუხოცავი.

(ამ დროს მობილური გაიწკარუნებს)

ნუკა – აუუ, მესიჯი მოვიდა. შენ კიდე ნუ იცი რა ყველაფერზე...

(ბუბუსიას)

მამია – რაო?

(ნუკა დიდხანს დასცერის)

ნუკა – პრინციპში მარტო ერთი სიტყვა წერია.

ბზბზსია – რა სიტყვა?

მამია – აღარ იტყვი, რა არის ის ერთი სიტყვა?

ბუბუსია – ეტყობა მაგიურია.

მამია – ამოღერლე, რას გვითვლის?

ნუკა – მკიდიხართო...

მამია – რაა?! დაუძახეთ! ჩქარა მომიყვანეთ ის გოგო, ჩქარა! მაგას ვაჩვენებ დაკიდებას. მაგას ვაჩვენებ, ვკიდივარ?! მორჩა, ყველაფერი მორჩა, დღეს სპექტაკლს ვთამაშობთ.

(მამია ყვირის, ლეწავს ყველაფერს, შეურაცხადი ხდება. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩაქუჩის ხმა, რომელიც მონოტონურად სულ ისმოდა, ჩერდება ბოლო ფრაზაზე).

II სცენა

ისმის მქუხარე ტაში. მამია და ბუბუსია კულისებიდან ჩუმად იჭვრიტებიან სცენაზე. ტაში მიწყარდება, მამია ფარდას მოსცილდება, კმაყოფილი სახით ჩაესვენება სავარძელში, ბუბუსია ჩაის უმზადებს. შემოდის რეზო.

რეზო – გილოცავთ, გადავრჩით, გადავრჩით.

მამია – გმადლობთ.

რეზო – სხვათა შორის, მერი იყო შურლაია არაჩვეულებრივი დონა ელვირა, მსგავსი არც მინახავს, რალა დაგიმალოთ და ქალბატონ დადასაც მერჩივნა.

მამია – დადა არ მიხსენოთ.

ბუბუსია – კი, ახლა მასე ამბობ, დაინახავ და დაგავიწყდება.

მამია – რაა?

ბუბუსია – დაგიბნელდება ისევ თვალებში (მიაწვდის ჩაის).

მამია – შენ მე ცუდად მიცნობ, ბუბუსია... გარეწარი!

ბუბუსია – ვნახოთ... ისე, მინდა გითხრათ, რომ დადაზე ნაკლები ნამდვილად არ იყო.

მამია – რამდენჯერ გაგიმეორო, აღარ ახსენო მაგის სახელი, მაგას როგორ დავუშვებდი, ასე გველურად მოქცევა თუ შეეძლო.

ბუბუსია – გველად რომ მოვიხსენიო, ხომ შეიძლება?

მამია – როგორც გინდა, ისე მოიხსენიე, თავი დამანებე.

ბუბუსია – ოო, რამდენ ხანს ველოდი ამ დღეს!

რეზო – სხვათა შორის, ომის მერე, მე მაშინ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და თან ღამის ცვლაში ვმუშაობდი ჩულქების ფაბრიკაში...

მამია – რის ფაბრიკაში?

რეზო – ჩულქების. მე, გენადი მიტროფანოვიჩი, აი ახლა მისი მოსახელეა შვილიშვილი, გენადის ბიძაც რაიკომის მეორე მდივანი იყო გარდაბანში. ო, რაც ჩვენ იქ პურ-მარილზე ვყოფილვართ!

ბუბუსია – აუ, დაგვენძრა, ეს არ გაჩუმდება.

მამია – დიდი მადლობა, ბატონო რეზო. შეგიძლიათ წახვიდეთ სახლში, მშვენივრად იყო ნავი შეკეთებული, დიდი მადლობა...

რეზო – არა, კაცო, სად მეჩქარება?! ამ ახალ გოგოს ველოდები, ჩვენს გადამრჩენელს, მინდა მივულოცო.

ბუბუსია – ის გვიანობამდე არ გამოვა.

რეზო – რა მეჩქარება, ჰოდა, ეს ჩემი გენადი მეუბნება, სხვათა შორის, ძალიან უყვარდა ბაბუამისი, რამე მთხოვე, არაფერი არ გჭირდებაო? რა უნდა ვთხოვო, მე ამის გარდა კერძო კოლეჯშიც ხომ ვარ, იქ კარგი ანაზღაურება მაქვს, მყოფის, რატომ შევაწუხო? არა ვარ სწორი?

მამია – დიახ, სწორი ბრძანდებით (რეზოს). ერთი აზრი მომივიდა (ბუბუსიას).

ბუბუსია – მაინც, მაინც?

რეზო – ჰოდა, მაგას ვამბობდი, მე და მიტროფანოვიჩი ერთად ვთამაშობდით, მე კასიო ვიყავი, ის ოტელო იყო...

მამია – უკაცრავად, თქვენ მსახიობი იყავით?

რეზო – ჰა, ჰა, ჰა (იცინის, ჩაბუირდება). არა, კაცო, დრამწრე გვქონდა ჩულქების ფაბრიკაში, მარა ისე, აკაკი ხორავა გვესტურა ერთხელ და გენადის უთხრა: ბევრი საინტერესო ოტელო მინახავს, მაგრამ ასეთი არც ერთიო. მერის რა უთხრა, თუ იცით?

მამია – ვინ მერის?

რეზო – შურლაიას, უნივერსიტეტშიც ერთ დროს ვსწავლობდით. რომ შემოვიდოდა კათედრაზე, ასე დავმწერივდებოდით ბიჭები (ჩაბუირდება სიცილით). ნოემბერში გარდაიცვალა, გენადიც იყო დაკრძალვაზე, ძალიან დააფასა. ფულიც უჩუქებია ოჯახისთვის, ღვინო, ყველი გამოუგზავნა... (ამ დროს ბუბუსია რაღაცას სთხოვს მამიას, მამია არ თანხმდება, ბუბუსია ყელსაც კი გამოუწევს, მაგრამ მამია ხელებს ასაცსავებს, უარზეა, რეზო ლაპარაკობს და ლაპარაკობს).

რეზო – რა ვიცი, თქვენ თუ დაგჭირდათ რამე, არ დაგზარდებით, მივალ გენადისთან. ჩემი დიდი ხათრი აქვს და დიდი სიყვარული, მე რა უნდა ვთხოვთ.

(ამ დროს შემოდის მაკოც, გრიმი ნახევრად მოშორებული აქვს. დაღლილი, მაგრამ ბედნიერი)

რეზო – ყოჩალ, ყოჩალ, ქალიშვილო.

მამია – გილოცავ, ჩემო კარგო, და დიდი მადლობა მთელი თეატრის სახელით. გმადლობთ, არ ველოდი, ეს მიზანსცენები, ასე ზუსტად, საოცარია პირდაპირ, როდის? სად? როგორ?

მაპო – ყველა სპექტაკლს ვესწრებოდი.

მამია – უღრმესი მადლობა (ხელზე კოცნის).

(შემოდის ნუკაც)

ნუკა – აუ, რა მაგარი იყავი, იცი? დაგლიჯა, არაა? როგორი გოგოა სცენაზე? ა? (გადაკოცნის მაკოს) ალიარეთ, ვისი იდეა იყო? (გადის)

ბებუსია – გადაგვჭამს ახლა თავს, ტვინს ამოგვწოვს.

მამია – ცოტა მეორე აქტში, ერთი ადგილი გქონდათ?! იცი სად?

მაპო – როცა სგანარელს ხელში ავყავარ.

მამია – აი, შენც ხომ იგრძენი?

მაპო – ფეხსაცმელი გამძვრა მაგ დროს და ჩუმად ვეძებდი სიბნელეში. თან მიზანსცენა არ მაძლევდა მოძრაობის საშუალებას... მოკლედ.

ბუბუსია – იმ სპილოს ფეხსაცმელი გაგძვრებოდა, აბა, რა იქნებოდა.

მამია – ბუბუსია! საკმარისია.

ბუბუსია – უკაცრავად, სპილო არ უნდა მეთქვა, ჩვენ ხომ გველზე შევთანხმდით.

რეზო – ქალიშვილო, კარლო კენჭაძე რა არის თქვენი?

მაპო – ვინ, ფილოსოფოსი?

რეზო – დიახ, დიდი კაცი, დიდი მეცნიერი.

მაპო – ბაბუაჩემის... მმ... მოკლედ ნათესავი იყო ჩემი.

რეზო – რა, გარდაიცვალა?

მაპო – არა, ისე ვთქვი, არც ვიცნობ.

რეზო – ჰო, არა უშავს, მე გაგაცნობ, დიდი მეცნიერი, ფილოსოფიაში მაგან და ნესტორ... (გვარი დაავიწყდა)

ბუბუსია – მაკო, რაღაც სიურპრიზი აქვს შენთვის ბატონ მამიას.

მაპო – კარგი რაა? რა სიურპრიზი?

ბუბუსია – არ ვიცი.

ნუკა (შემოირჩენს) – აუუ, ეს კიდევ აქ არი, დროზე რა, სანამ ანთხეულა, არ იცი, რა დასაბმელი გიჟია?

მაპო – მე ჯერ ვერ მოვდივარ (ნუკას). დიახ, გისმენთ, ბატონი მამია.

ნუკა – მე გითხარი (გადის).

რეზო – ოჳ, შაქარაშვილი, ნესტორ შაქარაშვილი, კინაღამ დამავიწყდა გვარი, კაცო (იცინის ჩაბუირებამდე).

ბუბუსია – ბატონო რეზო, დიდი ბოლიში, მაგრამ ბატონ რეუისორს საქმე აქვს მსახიობებთან.

რეზო – კი ბატონო, კი ბატონო. მეც წავედი, არც მე ვარ უსაქმური. გილოცავთ კიდევ ერთხელ ყველას, ნესტორის გვარი როგორ დამავიწყდა (ქირქილებს).

ნუკა (ისევ შემოირჩენს) – მაკო, მოკლედ, არ მოდიხარ? გაფრთხილებ, აჭრილია ტიპი.

ბუბუსია – არ მოდის.

ნუკა – კარგი, მე წავედი, მე არაფერ შუაში არ ვიქნები, იცოდე.

რეზო – საით მიდიხართ, ახალგაზრდავ?

ნუკა – ჩვენ შორს მივდივართ, ბატონო რეზო, გლდანში.

რეზო – ოჳ, გლდანში? კარგი დაგემართოს, როგორ მინდოდა კუკურის ნახვა, ბარემ ვნახავ, ამაზე უკეთეს დროს რას მივალ.

(ნუკა გადის და რეზოც უკან მიჰყება ლაპარაკ-ლაპარაკით)

მამია – რა არის, რა უბედურებაა. ამ კაცის მეტი ვერავინ იშოვეთ ქალაქში? ცოტა ახალგაზრდა დურგალი არ არსებობს?

ბუბუსია – კი მოგივათ ახალგაზრდა 50 ლარად. ესეც ენთუზიასტია, გიურ, გზაში არ ყოფნის ეს ფული.

მამია – ცუდი კაცი არ არის, მაგრამ რო ჩართავს...

ბუბუსია – უნდა მოაკეტინო, მე ვერ მიყურებ?

მამია – ბუბუსია, მე, ზოგიერთებისგან განსხვავებით, კარგად აღზრდილი ადამიანი ვარ.

ბუბუსია – გასაგებია, ვინც იგულისხმეთ ზოგიერთებში, ე. ი. მე უზრდელი ვყოფილვარ?

მამია – შენ გამოგდის, მე არ შემიძლია, მოკლედ დაბრძანდით. (ჩამოვდება, სიგარეტს მოუკიდებს, სამივე ჩუმადა).

მამია – დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ.

მაპო – ვაიმე, არ იცით, რა მჭირს?!

ბუბუსია – მომეცი ერთი, მეც ავნერვიულდი (გამოართმევს სიგარეტს და გააბოლებს). გვინია მე ვიცი რა სიურპრიზი აქვს?

მამია – თქვენ ეწევით? (მაკოს)

მაპო – არა. (სიჩუმეა, დიდი პაუზა)

მამია – ხვალიდან ვიწყებთ ახალ პიესაზე მუშაობას.

მაპო – დიახ, ვიცი.

მამია – ძალიან კარგი. მაშინ ისიც გეცოდინება რომელ პიესაზე.

მაპო – „ოიდიპოს მეფე“ – არა?

მამია – „ოიდიპოს მეფე“.

ბუბუსია – მაინც „ოიდიპოსი?“ ხო, მაგრამ იქ ქალის როლი?

მამია – არის, არის?

ბუბუსია – ერთია იოკასტე... სხვა ქალი?

მამია – ხვალიდან ყოველდღე გამოცხადდებით რეპეტიციაზე.

ბუბუსია – ვერ ვხვდები.

მაპო – ვაიმე, თავი სიზმარში მგონია.

მამია – ეს ნაწარმოებიც ხომ არ იცით ზეპირად?

ბუბუსია – კაი რა, მეღრძო ტვინი? რა ხდება, გამაგებინე.

მამია – თუ დამაცდით, ყველაფერს შეიტყობთ.

მაპო – ვაიმე, ძალიან ცუდად ვარ.

მამია – ჩემო კარგო, შენ დამტკიცებული ხარ იოკასტეს
როლზე.

ბუბუსია – არ არსებობს!

მამია – შენ რატომ არა გაქვს რეაქცია? არ გაქვს წაკითხული
ოიდიპოსი?

მაპო – კი, როგორ არა, მაგრამ ადრე... კარგად არ მახსოვს...

მამია – სახლში რომ წახვალ, წაიკითხავ. არა, ბუბუსია
გადმოგცემს. დადას ეგზემპლარი გადაეცი, გასაგებია?

ბუბუსია – ახლა გავაფრენ, რა იოკასტე, ამას ისეთი რა
გრიმი უნდა გაუკეთო?..

მამია – ქალბატონი ბუბუსია, რა იყო, გეწყინათ ქალბატონი
დადას მოხსნა მთავარი როლიდან?

ბუბუსია – მე მეწყინა? ეგ გველი ოლონდ აქედან წავიდოდეს
და...

მაპო – რაა, დადას როლს მაძლევთ? ვაიმე! (გული უხდება
ცუდად)

მამია – ყველა მსახიობის ცხოვრებაში დგება დღე, როდესაც
მას მთავარ როლს სთავაზობენ.

ბუბუსია – ფერი ალარ ადევს სახეზე.

მამია – ეგ არაფერი. კარგად ბრძანდებოდეთ.

ბუბუსია – მიღიხართ?

მამია – არ არის დრო? ხვალამდე. (გადის)

ბუბუსია (წვეთებს უსხამს მაკოს) – აჰა, დალიე (მერე თვითონაც დალევს).

მაპო – გონიე არა ვარ (დალევს).

ბუბუსია – დადა შემოიხევს ტანზე, გაგიუდება, ტანსაცმლიანად გაგიუდება. ვაა, რა სიურპრიზი ელოდება, რა სიურპრიზი. თან ფულიც თვითონ იჩალიჩა სპექტაკლისთვის. ო, რას მოვიფხან გულს, მაგრამ ვერ გავიგე?..

მაპო – მაგარი როლია, არა?

ბუბუსია – მაგარი? მაგარი კი არა, რამდენი წელია მაგის თამაში უნდოდა, „ბავშვობიდან ოცნებობდა ამ პიესაზე“ (გამოაჯავრებს მამიას). იმ გველმა, ოო, თუ რამე ჩაიდო გულში?..

მაპო – ვინ? უფრო სწორედ, როლს როდის მომცემთ?

ბუბუსია – ახლავე, მაგ სიამოვნებას მოვიკლებ?!.. (მოაქვს ნაბეჭდი გვერდები). იოკასტე – დადა (დადას გადაშლის) – რა გქვია შენ?

მაპო – მაკო.

ბუბუსია – მა-კო, იოკასტე – მაკო.

(ამ დროს კარი იღება და ახალგაზრდა ბიჭი შემოდის)

ბუბუსია – ვინ გნებავთ?

მაპო – ცოტნე? შენ აქა ხარ?

ცოტნე – გამოსირდი, შე ჩემა? რამდენ ხანს უნდა გელოდო?

მაპო – რაა?

ცოტნე – რა და ბებიაშენისა, რამე ხო არ აგივარდა თავში?

მაპო – წესიერად, ქუჩაში არა ხარ, გაიგე? თეატრში ხარ.

ცოტნე – მკიდია ეგ შენი თეატრი, წამოდი-მეთქი.

მაპო – არსად არ წამოვალ.

ცოტნე – მაშინ, იცი, რას გეტყვი? აირჩიე ან მე, ან თეატრი. ეგ გინდოდა, არა?

მაპო – უკვე ავირჩიე.

ცოტნე – რა აირჩიე?

მაპო – თეატრი.

ცოტნე – ჰოდა, შენი დედაც...

(ვეხს კრავს კარს და გადის. ბუბუსია შეშინებული და გაოგნებული დგას)

მაპო – მომაწოდეთ სიგარეტი (ბუბუსია მიაწვდის სიგარეტს, მოუკიდებს) ჩემი როლი მომეცით და ყავა მომიდუღეთ, თუ შეიძლება!

(ბუბუსია ფურცლებს მიაწვდის და ყავის მოსადუღებლად გადის)

III სცენა

სარეპეტიციო დარბაზი
(მამია, ბუბუსია, მაკო)

მამია (ბოლთას სცემს) – უკვე თერთმეტი საათია, არც ერთი წუთი არ ველოდებით არავის, სად არიან დანარჩენები?

ბუბუსია – მე რა ვიცი.

მამია – აბა ვინ უნდა იცოდეს, ვის ევალება?

ბუბუსია – ბატონი მამია, იცით რას გეტყვით, მე ყველას დავურეკე, სათითაოდ, სახლის ტელეფონებზე და არც ერთი არ ბრძანდებოდა სახლში.

მამია – მე ეგ არ მაინტერესებს, მე ვსვამ შეკითხვას: სად არიან მსახიობები, რეპეტიციაზე რატომ არ გამოცხადდნენ? ამაზე პასუხი უნდა გამცეს რეჟისორის ასისტენტმა.

ბუბუსია – მეც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სახლის ტელეფონზე არავინ არ მიპასუხა, თუმცა დავუბარე ოჯახის წევრებს. მობილურზეც ასევე ყველასთან გავუშვი ზარი, მაგრამ არც ერთმა არ გადმორეკა, რა ვქნა?

მამია – რას ნიშნავს „გავუშვი ზარი?“

ბუბუსია – მომცენ სალაპარაკო თანხა და დავრეკავ, ჩემი ფული რატომ უნდა ვხარჯო?

მამია – ვერაფერი ვერ გავიგე, თქვენ გაიგეთ რამე? ჩემს შეკითხვაზე პასუხი ვერ მივიღე. რა ხარჯი, რა ზარი... მსახიობები რატომ არ არიან რე-პე-ტი-ცი-ა-ზე, რატომ?

ბუბუსია – თავიდან აგიხსნათ?

მამია – მორჩა! არაფრის ახსნა აღარ მჭირდება, ვიწყებთ რეპეტიციას.

(სათვალეს მოიმარჯვებს და პიესაში ჩაიხედავს)

მამია – ოიდიპოსი... სად არის გელა?

ბუბუსია – გელას გახმოვანება აქვს. დაიწყეთ და შემოგიერთ-დებითო.

მამია – კარგია, პირველივე რეპეტიციაზე მთავარი როლის შემსრულებელი არ მობრძანდა, მშვენიერი დასაწყისია.

ბუბუსია – მოვა, დაიწყეთო და... აგვიანდება ცოტა.

მამია – ცოტა უკვე გავიდა. არ შეიძლება გახმოვანება 11 საათზე რომ არ დანიშნონ?

ბუბუსია – ისინიც ასე ამბობენ.

მამია – ვინ ისინი?

ბუბუსია – გახმოვანების სტუდიაში შემოგითვალათ, არ შეიძლება, რომ რეპეტიცია 11 საათზე არ დანიშნოთო?

მამია – ბებიამაგათისამ, ბებიამაგათისამ, ასე გადაეცით ჩემგან. არ გავიდნენ თავს?! იმ გელასაც გააგებინეთ, რომ ჩენთვის დიდი არტისტები და კორიფეული აღარ არსებობენ, ყველა გავარდება, ისე, როგორც ერთი ქალბატონი. გასაგებია?

ბუბუსია – გასაგებია.

მამია – ისე, სიტყვაში მოიტანა და ვინმეს ხომ არ შეგხმიანებიათ „ქალბატონი“?

(სიჩუმეა, პასუხს არ სცემენ)

მამია – შემდეგი... იოკასტე.

მაპო – დიახ.

მამია – როლი გაქვთ?

მაპო – დიახ.

მამია – გადახედეთ?

მაპო – გადავხედე კი არა, ზეპირად ვიცი.

მამია – რაა? რა არის, ტექსტების მანიაკი ხართ, რა დროს ზეპირად სწავლაა, ჩაგიჯდებათ არასწორად და მერე ორმაგი სამუშაო მომიწევს. შემდეგი... ისმენე, ანტიგონე – ჯერ არ მჭირდება. კრეონი? სად ბრძანდება ვაუა?

ბუბუსია – ვაუა შეიძლება საერთოდ არ მოვიდეს.

მამია – რაიმე პრეტენზია აქვს როგორც ყოველთვის?

ბუბუსია – როლების განაწილებას არ ვეთანხმები, ჩემს თავს კრეონში ვერ ვხედავო.

მამია – კარგია, როცა დაგვეთანხმება და დაგვინახავს, ჩვენი გემი უკვე შორს იქნება გასული.

მაპო – გასტროლებზე მივდივართ?

ბუბუსია – საიდან მოიტანე?

მაპო – აბა, გემით სად წავალთ?

ბუბუსია – აუჰ!

მამია – ჰმ, ტირესიას როლის შემსრულებელი რატომ არ ბრძანდება?

ბუბუსია – რადიკულიტი აქვს.

მამია – უჰ, ახალი ამბავი? ამჯერად რომელი მხარი გაუკავდა ჩვენდა საუბედუროდ?

ბუბუსია – ისევ მარცხენა.

მამია – კიდევ კარგი, კიდევ კარგი, გადავრჩენილვართ, მარჯვენა რომ არ გაუკავდა... შემდეგი? ლაიოსის მწყემსი, იოკასტეს მხევალი... ესენი სად არიან?

ბუბუსია – არ ვიცი.

მამია – არ ვიცით. კარგია. ქურუმები, მოახლე ქალები... კარგი. ქალბატონო ბუბუსია, თქვენ თვად თუ წაიკითხეთ პიესა? ეს თქვენს მოვალეობაშიც შედის... მე გთხოვეთ, რომ ყველას წაგეკითხათ...

ბუბუსია – დიახ, წავიკითხე.

მამია – ალბათ დიდი ხნის წინათ და კარგად აღარ გახსოვთ?

ბუბუსია – არა, სულ ახლახანს.

მამია – უი, რას ამზობთ?! რადგან მსახიობებმა არ დაგვდეს პატივი, იქნებ თქვენ მოგვიყვეთ, რა ხდება ამ დასალუპავ თებეში.

ბებულია – ჩვენ კითხვით გვქონდა, მოყოლით არ გვქონია.

მამია – ჰმ, შემდეგ რეპეტიციაზე ყველას მოყოლით გექ-ნებათ „ოიდიპოსი“ თავიდან ბოლომდე. პიესა მოკლედ უნდა იყოლებოდეს, ანეკდოტივით, ანეკდოტივით, გასაგებია? ქალ-ბატონო მაკო, აბა გავიმეოროთ, რა გვაქვს დავალება შემდეგი შეხვედრისთვის.

მაპო – ანუ, რა უნდა მოვყვეთ?

მამია – დიახ.

მაპო – ესე იგი, მოვყვეთ ანეკდოტები ოიდიპოსზე.

მამია – მე ვთქვი, რომ ოიდიპოსზე მინდა ანეკდოტები?

მაპო – არა? რა ვიცი, მე ასე გავიგე.

მამია – რატომ? ქართული არ გესმით?

მაპო – უკაცრავად, ცოტა გაფანტული ვარ, სადღაც წავედი.

მამია – სხვა დროს ნულარ გაიფანტებით და, როცა აქ ზიხართ, აქ იყავით.

მაპო – აბა, რა უნდა მოვყვეთ?

მამია – ის პიესა, რომელშიც მთავარი როლი უნდა ითამაშოთ.

მაპო – ეგ ხო ვიცი.

მამია – რა იცით?

მაპო – ჩემი როლი ზეპირად ვიცი.

მამია – გავიგეთ, რომ თქვენი როლი ზეპირად იცით, მაგრამ დანარჩენი საერთოდ რა ხდება? არ გაინტერესებთ?

მაპო – კი, როგორ არა.

მამია – ესე იგი, სიუჟეტის მოყოლა არავის არ შეუძლია...

რეზო (კულისებიდან) – თუ ნებას მომცემთ. უნებლიერ შე-მომესმა თქვენი შეკითხვა. მე მოვყვები.

მამია – ... აქ მსახიობებზეა ლაპარაკი, ბატონო რეზო, დიდი მადლობა.

რეზო – ბატონი ბრძანდებით, ბატონი ბრძანდებით (რეზო იწყებს რაღაცის დაჭედებას).

მამია – ესე იგი, ნაწარმოები იწყება შემდეგნაირად... რას წერთ?

მამო – ჩავიწერ ბარემ.

მამია – არაფრის ჩაწერა არ არის საჭირო.

– თებეში გაჩნდა შავი ჭირი და მუსრი გაავლო ნახევარ მოსახლეობას. ცოცხლად დარჩენილები შეიკრიბნენ მთავარ მოედანზე და მეფესთან აპირებენ შეხვედრას. მეფეა ოიდიპოსი, რომელიც დღეს არ ბრძანდება და მის ტექსტს წაიკითხავ შენ.

ბზბზისია – მეე?

მამია – რა, ელამი ვარ? მგონი შენ გიყურებ. დაიწყეთ.

ბზბზისია – „ჰე, ხალხო, ძველი მამამთავრის, კადმოსის შვილ-ნო! რას დამხობილხართ სალოცავი რტოებით ხელში ან იქ მთელ ქალაქს...“

მამია – სტოპ! რაშია ახლა საქმე?! ხალხი კი შეიკრიბა და უნდათ, რომ მეფეს გააგებინონ საშინელი ამბავი, მაგრამ ეს ოიდიპოსი მაგარი შებერტყყილი ვინმეა, ისედაც მშვენივრად იცის ყველაფერი და მაგარი მომზადებულია ხალხთან შესახვედრად... მაგრამ ვის ვუყვები? მერე თავიდან უნდა გავიმეორო, როცა ოიდიპოსი დაგვდებს პატივს და რეპეტიციაზე მობრძანდება?

ბზბზისია – ისე, რა დროს „ოიდიპოსია“, არ შეიძლებოდა რამე უფრო თანამედროვე, სახალისო დაგვედგა? ხომ ხედავთ, რეპეტიციაზე მსახიობები არ მოვიდნენ და რომელ მაყურებელს მოიყვან ასეთი სპექტაკლის სანახავად?

მამია – ვინც ამ ნაწარმოებზე იტყვის, რომ ეს არ არის თანამედროვე, ის არის ბრიყვი და უვიცი. კლასიკა იმიტომ არის კლასიკა და უკვდავი, რომ მასში ყოველთვის დევს მარადიული იდეა. მარადიული სატკივარი.

ბზბზისია – კაი რა, მაინც? თუ ჩემი ძმა ხარ, არ გინდა ეგ მაღალფარდოვნება. სხვები შეიძლება დააბოლო, მაგრამ მე ძალიან კარგად ვიცი, რატომაც დგამ ამ პიესას, რა „მარადიულიც“ გაწუხებს.

მამია – რატომ ვდგამ? რა საინტერესოა? იქნებ მეც გამა-
გებინო.

ბუბუსია – რატომ და „ოიდიპოსის კომპლექსის“ გამო.

მამია – მერე რას ნიშნავს ეს „ოიდიპოსის კომპლექსი?“ იქნებ
აგვისნა?! ისე, არ გეამათები, რომ ეს ნაწარმოები ოიდიპოსის
კომპლექსზეც არის.

ბუბუსია – მე მაგას არ ვამბობ, კარგად ხვდები რა
„კომპლექსაც“ ვგულისხმობ.

მამია – მაინც რომ ვერ ვხვდები?

ბუბუსია – „ოიდიპოსის კომპლექსი“ არის, როცა ახალგაზრდა
ბიჭს დიდი ქალი უყვარს.

მამია – ჭკვიანო, რა საინტერესო მოსაზრებაა... ვინ გითხრა,
პატარა? „ოიდიპოსის კომპლექსი“ რას ნიშნავს, გითხრა?

ბუბუსია (აწყვეტინებს) – აღიარე, რომ იმ გველის დავიწყება
არ შეგიძლია. აკი, მორჩა, დავივიწყე, მძულსო?

მამია – ვინ, ვინ, რაო, რაო, ვინ გველი, რა გველი?

ბუბუსია – არ იცით, არა, ვის ვგულისხმობ? გაიქცა,
დაგტოვათ, გიღალატათ და კიდევ სპექტაკლებს უძლვნით იმ
ძუკნას? ეს ხომ მისი არჩეული პიესაა!

მამია – შენ ხომ არ გავიწყდება ვის ელაპარაკები? და
მეორეც – მარტონი არა ვართ. ის „გველი“, როგორც თქვენ
მოიხსენიეთ, გუშინ გაიქცა.

ბუბუსია – ჰოდა, ჯანდაბაში წასულა და მოუსვლელში,
დავდგათ რამე სხვა, თანამედროვე, რა დროს ოიდიპოსია?

მამია – ჯერ ერთი დაიმახსოვრე, რომ ეს იქნება თანამედროვე
სპექტაკლი, მეორეც – რეჟისორი მე ვარ და რასაც მინდა, იმას
დავდგამ.

ბუბუსია – გამოდის, რომ მაინც იმას ველოდებით, როდის
დაგვდებს პატივს, როდის მობეზრდება ახალ საყვარელთან
ლოგინში კოტრიალი...

მამია – გეყოფა!

ბუბუსია – როდის დაცხრება მისი ავხორცი ვნებები, როდის?..

მამია – გაჩუმდი-მეთქი.

ბუბუსია – არა, არ გავჩუმდები! მეტი ალარ შემიძლია! მანცი, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, გონს მოდი, გაახილე თვალები! ახალგაზრდა ხარ, ნიჭიერი, სიცოცხლით სავსე... ვისი, ვისი გულისთვის იმწარებ ცხოვრებას? როდემდე ველოდოთ, სანამ იქით არ მობეზრდებათ და არ ამოკრავენ წიხლს? რა ენაღვლება, იცის, რომ აქ მუდამ გამლილი ხელებით ელოდებიან... ოლონდაც, ოლონდაც კი მოვიდეს და მაშინვე ყველაფერს დავიგიწყებთ, მაშინვე ყველაფერს ვაპატიებთ, ჩვენ ხომ თავმოყვარეობა არ გაგვაჩნია...

მამია – დაწყნარდი, დაწყნარდი, ასე რატომ ნერვიულობ?! ჩემო პატარა, დაგავიწყდა, რომ ჩვენ ახალი იოკასტე გვყავს?

ბუბუსია – მაგიტომაც ვნერვიულობ, რომ ძალიან ახალ-გაზრდა იოკასტე გვყავს, რომელიც ვერაფრით ვერ იქნება ვერც ცოლი და ვერც ბებია. ვის ვატყუებთ, რატომ ვატყუებთ? ეს ხომ დღესავით ნათელია, გამოჩნდება თუ არა ქ-ნი დადა, ეს იოკასტე იმ წუთიდან შეიცვლება, ის კი გამზადებულ სპექტაკლში შემოვარდება...

მამია – ჰა, ჰა (იცინის), ახლა ყველაფერი გასაგებია. ბუბუსია, ჩემო პატარა, გითხარი თუ არა, რომ შენ მე არ მიცნობ?

(უცებ მაკო დასცხებს ტირილს)

მამია – ამას რაღა ატირებს?

მაპო – მე პირად ბედნიერებაზე ვთქვი უარი იმისთვის, რომ ეს როლი მეთამაშა.

მამია – რომელ პირად ბედნიერებაზე?

ბუბუსია – მართალს ამბობს, მე თვითონ ვარ მომსწრე.

მამია – ვერაფერი ვერ გავიგე?

ბუბუსია – შემოვიდა გუშინ, ერთი გენახა?! აპოლონივით ბიჭი...

მაპო – მე მას ხელი ვკარი და პირად ბედნიერებას თეატრი ვარჩიო.

ბუბუსია – რა ბიჭს ჰკრა ხელი, მერე რა ბიჭს?!

მამია – როგორ თუ ხელი ჰქონა, მე რა შუაში ვარ?

მაპო – რატომ თავიდანვე არ მითხარით თუ იოკასტე ბებია იყო, რატომ დამიმალეთ? მოფიქრების საშუალებაც არ მომეცით, რატომ? თქვენ თუ ბებიის როლს მთავაზობდით, ეს მე უნდა მცოდნოდა, ვამე დედიკოო... (ტირის მთელი ხმით)

ბუბუსია – კარგი, დაწყნარდი.

მაპო – რა დამაწყნარებს, ცოტნე მოვა, აუცილებლად მოვა სპექტაკლზე სანახავად და ბებიის როლში რომ მნახავს? ეგ ვაკაიფო? საბოლოოდ დავკარგავ ყველანაირ შანსს, დავიღუპები.

ბუბუსია – უკვე დაღუპული არა ხარ?

(შემოდის ნუკა)

ნუპა – ბატონო მამია.

მამია – შენდა გვაკლდი. რა იყო?

ნუპა – ვაიმე, ამას რა ჭირს, რატომ ტირის?

ბუბუსია – გუშინ იმ ბიჭს რომ აწყენინა.

ნუპა – აუუ, აუუ, იქ პროსტო არანაირი შანსი აღარ არსებობს. ცოტნესთან არანაირი შანსი აღარ არსებობს, გამორიცხულია. ის რომ იტყვის მციდიაო, ვსიო.

მაპო – ვაიმე, დედიკო, რომ არ დაგიჯერე, მსახიობია მსხვერპლს მოითხოვსო...

ბუბუსია – ეგ სილამაზეზეა.

მაპო – მერე მე რა სილამაზე მაკლია?

(შემოდის რეზო)

რეზო – უნებლიერ შემომესმა და რაღა დაგიმალოთ, ცოტა მეც გამიკვირდა, როცა ასეთი ახალგაზრდა მსახიობი ამ როლზე დაინიშნა, მაგრამ მეორე მხრივ, ფრონდის თეორიის მიხედვით, ასაკს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს თუ... კარგად დააკვირდით, თუ...

მამია – რა დროს ფრონდია, ბატონო რეზო... თქვენ კიდევ რა პანაშვიდი გამიმართეთ აქ?! აბა დროზე, ახლა ყველა თქვენ-თქვენს ადგილებზე, არ გავიდნენ თავს?!

რეზო – მართალი ბრძანდებით. ახლა ფრონიდის დრო არ არის, ეს გრძელი თემაა, ამისთვის ცალკე უნდა დავსხდეთ (რეზო გადის და იწყებს კაკუნს).

მამია – თქვენ არ გეხებათ?

ნუპა – მე შეკითხვა მაქვს?

მამია – არანაირი შეკითხვა.

ნუპა – აუუ, არ არსებობს?! თქვენ თვითონ არ მითხარით, პირველივე რეპეტიციაზე შემახსენეო?

მამია – რა გინდა, რა უნდა შემახსენო?

ნუპა – ოიდიპოსს რომელი წვერი მოვუმზადო, შავი თუ წითური?

მამია – რა დროს წვერია პირველ რეპეტიციაზე? ჯერ არც კი დაგვიწყია...

ნუპა – ვაა, მე რა შუაში ვარ, როგორც მითხარით, ისე მოვედი, რა წესია, ვერ გავიგე?

მამია – დამანებე, გოგო, თავი, ვერ ხედავ, რომ არ მცალია მაგისტვის? გამაგიუებს ეს ხალხი!

ნუპა – არ გინდათ, ნუ გინდათ (გადის და მაინც ტრიალდება). ისე ერთი სიტყვა რომ მითხრათ, ძნელია?

მამია – რა ერთი სიტყვა უნდა გითხრა?

ნუპა – წვერი შავი გინდათ თუ წითური?

მამია – მწვანე.

ნუპა – რა მწვანე, რა მეკაიფება?

მამია – მწვანე, მწვანე მინდა, ოიდიპოსს ექნება მწვანე წვერი.

ნუპა – კი ბატონო, რა პრობლემაა, ადრე იტყვით, ადრე იქნება (გასვლას აპირებს).

ბზბზსია – გეხუმრება, გოგო, რა მწვანე, ეს მართლა მწვანეს გააკეთებს და მერე...

ნუპა – აუ, თქვენ მე დამცენტრავთ. გავაკეთო თუ არა?

მამია – გააკეთე-მეთქი, გააკეთე, სხვას რატომ უსმენ? აბსურდს ვდგამ, არა მაქვს უფლება? თუ დედა შვილზე 20 წლით

უმცროსია, რატომ არ შეიძლება, შვილს მწვანე წვერი ჰქონდეს? ყველაფერი შეიძლება. ეს თეატრია, გაიგეთ! ეს პირობითობაა. აქ ასაკს, წვერს, კოსტიუმს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს თუ მთავარი არ იქნება. მთავარი თუ იქნება, მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დალაგდება. მთავარი კი ის არის, რომ ოიდიპოსი გამოიქცა... თქვე უწიგნურებო, ოიდიპოსი გამოიქცა თავისი სამეფოდან, სადაც ყველაფერი ჰქონდა, უფლისწული იყო, მაგრამ უწინასწარმეტყველეს, რომ მამას მოკლავდა და საკუთარ დედას შეირთავდა ცოლად... ამ წინასწარმეტყველებას გამოქცა, გადაიკარგა უცხო ქვეყანაში, მაგრამ ბედისწერას ვერ დაემალა. ბედისწერას ვერ გაექცევი, ვერც სიკვდილს ვერ დაემალები და ვერც სიყვარულს, ვერც შენს გრძნობებს ვერ მოერევი, სანამ თვითონ არ დაგტოვებს. გაიგე, ბუბუსია? ბედისწერაზეა ეს ნაწარმოები, მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ, იმიტომ რომ შენ, ასე პირდაპირ. ვიწრო ჩარჩოდან იყურები და თვალებზე ბინდი გაქვს გადაკრული. შენთვის ახალგაზრდას უნდა ახალგაზრდა უყვარდეს, ბებერი ბებერზე უნდა ქორწინდებოდეს, წესიერს წესიერი უნდა უყვარდეს და გარეწარს გარეწარი, მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება. გრძნობების მართვა შეუძლებელია. ეს პირსაც ჩემი ბედისწერაა. როცა რეუისორობა გადავწყვიტე, მაშინვე მინდოდა ამის დადგმა. ახლა მიდი და მიაბი ეს ყველაფერი გუშინდელ ამბავს. აბსურდს ვდგამ, გაიგე, და ამაში იქნება ჩემი შურისძიება. არც მე ვარ ეტყობა დიდი ადამიანი, დიახ, მე დავდგამ აბსურდს. აბსურდი მას ყოველთვის ყველაზე მეტად სძულდა და დავდგამ ისეთ სპექტაკლს, სადაც მას მთავარი როლი არასოდეს არ ექნება. აქ მე ვარ რეუისორი, მე ვწყვეტ ყველაფერს, გაიგეთ ერთხელ და სამუდამო!

ნუკა – მაშინ თქვენ გეკითხებით უკანასკნელად, რა ფერის წვერი ექნება ოიდიპოსს?

ბუბუსია – მწვანე! ვერ გაიგე? მწვანე!

II მოქმედება

სცენა წარმოადგენს აბსურდული სტილის ულტრა-თანა-მედროვე დეკორაციას. მასში ძნელია ამოიცნო რომელი საგანი რა ფუნქციის მატარებელია. მამია უკმაყოფილო სახით დადის სცენაზე.

მამია (ბუბუსიას) - კოსტიუმები კარგი გამოვიდა?

ბუბუსია - არ ვიცი, ვერ მოვასწარი ნახვა.

მამია (ტაშს უკრავს) - დროზე, დროზე. კოსტიუმები ჩაიცვით და გამოდით.

(შემოდის მაკო, მას უბრეტელო უზარმაზარი კაბა აცვია, რომელიც იღლიებთან ხელით უჭირავს, რომ არ ჩასძვრეს)

მაპო - ძალიან დიდია, ბატონო მამია, ამით როგორ ვითამაშო?

მამია - ეს რა უბედურებაა, რატომ შეკერეს ამხელა? შემოტ-რიალდი, ხელი გაუშვიო...

ბუბუსია - ამის ზომები დადაზე იყო აღებული, აღარ შეცვალეს, ეტყობა.

მამია - მერე ვისი ბრალია? ყველგან დადა, დადა, დადა... ხომ ვერ გამოვედით მაგ ქალის აბლაბუდას ქსელიდან.

ბუბუსია - გითხარით, არ გვინდა ეს საშინელი პიესა-მეთქი. ეტყობა, მართლა ჩვენი ბედისწერაა.

მამია - უკანასკნელად გაფრთხილებთ, რომ პიესაზე და დადაზე სიტყვა, კრინტი აღარ დაძრათ!

ბუბუსია - მე დავიწყე?

მამია (მაკოს) – გაუშვი ხელი, ხელი გაუშვი კაბას, არ გესმის? (მაკო კაბას ხელს გაუშვებს და ტრუსების და ლიფის ამარა დარჩება სცენაზე, სასწრაფოდ აიწევს ისევ).

მამია – ეს რა არის? სასწრაფოდ ახალი უნდა შევკეროთ.

ბუბუსია – ახალს ვერ მოგასწრებთ. ჩვენს მკერავს ერთ კოსტიუმზე 2 კვირა მაინც სჭირდება, 1 კვირაში პრემიერა გვაქვს.

მამია – სხვა მკერავები არ არსებობენ დედამიწის ზურგზე?

ბუბუსია – არსებობენ, მაგრამ ისინი კიდევ უფრო დიდხანს უნდებიან.

მამია – როგორ? რატომ ქმნით ყველაფრისგან პრობლემას? მე მახსოვს „ჯორდანოს“ კოსტიუმები 2 დღეში შეკერა ერთმა ქალმა.

ბუბუსია – რომელებიც 3 დღეში დაირღვა.

მამია (მაკოს) – მოდი ახლოს. იცი რაა?! აბა დაჯექი მანდ, აქეთ (მაკო ჩამოჯდება).

მამია – პრინციპში, როცა ზიხარ, არ ჩანს, რომ დიდია.

მაპო – რომ ავდგები, მერე რა ვქნა?

მამია – მოიცა, მოიცა, მოიცა, რაღაც აზრმა გამიელვა თავში, ერთი წუთი. ერთი წუთით... ნუკა სად არის? დაუძახეთ.

ბუბუსია – ნუკა.

მამია – ოიდიპოსი მზად არის?

ნუკა – მზად არის, თასმებს გავუსწორებ და მზად არის, ეს თასმები ძალიან გრძელია.

(ნუკა შემოდის, ხელში თოჯინა უჭირავს, რომელსაც ფეხებზე თასმები აქვს შემოხვეული, თოჯინას მაკოს მიაწვდის).

მაპო – ამას რა ვუყო?

მამია – იდეალური იქნებოდა, რომ იოკასტეს ოიდიპოსისთვის პირდაპირ სცენაზე მოეწოვებინა ძუძუ, ა?

ნუკა – აუუუ, ძან მაგარი, დაგლიჯავდა.

მამია – აა?! შოკში ჩავარდებოდა მთელი თეატრალური საზოგადოება... ეს იქნებოდა მსოფლიოს ისტორიაში ერთადერთი

სპექტაკლი, ჯერ ისედაც ჩვილი ოიდიპოსი არსად არავის არ გამოუყენებია, მეორეც არ არის გენიალური? ოიდიპოსი ძუძუს წივს... ფრონიდს თუ დავუჯერებთ, მამაკაცის ლტოლვა საპირისპირო სქესის მიმართ სწორედ აქედან იღებს სათავეს.

მაბრ – შანსი არ არის, მე ძუძუს სცენაზე არ ამოვილებ.

მამია – რატომ?

მაბრ – იმიტომ, რომ ეს არ წერია არსად, არც პიესაში და არც კონტრაქტში.

მამია – პიესაში ბევრი რამ არ წერია, მაგრამ ჩემი პროფესიაც სწორედ ის არის, რომ ტექსტის მიღმა რაც დევს, ის დავინახო.

ნუპა – აუუ, გინდათ ბუტაფორიულ ძუძუს გავაკეთებ და კაბაზე მივაბამ. აუუ, ძან მაგარი არ იქნებოდა?

მამია – ყოჩალ!

მაბრ – მიბმული, კი ბატონო... მიბმულს ამოვილებ, ჩემსას არა.

ბუბუსია – ე. ი. გამოდის, რომ იოკასტეს ორი ძუძუს ნაცვლად სამი ექნება. კარგია!

მამია – სხვათა შორის ამაში არის, რაღაც სიმბოლური...

ბუბუსია – რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ისე ეს კაბა იმხელაა, კიდე ორი ძუძუ ჩაეტევა.

მამია – ჰა, ჰა, რა სასაცილოა?! ტირესია შემოვიდეს!

(შემოდის რეზო, რომელსაც მუხლებზე გადახეული ჯინსები, პანკური ვარცხნილობა და ყურებზე ყურსასმენები უკეთია)

ნუპა – აუუ, ეს ბებერი ხაკერი საიდან გაეძრო?

მამია – ბატონო რეზო, აბა წინ გამოდით, დატრიალდით?

ბუბუსია – არ ესმის, „ნაუშნიკები“ უკეთია.

რეზო – კარგია, თანდათან მეც მომწონს. უხ! მიტროფანვიჩს უნდა ენახა, გადაირეოდა, გაგიუდებოდა. ის ისეთი კაცი იყო, ყველაფერ ახალს რომ მიესალმებიან. მისი მოსახელე უნდა დაგპატიუო სპექტაკლზე აუცილებლად.

ბუბუსია – ამას რა გააჩერებს ახლა?!

რეზო – რა ბრძანეთ? (მოიხსნის ყურსასმენებს).

მამია – კარგია, ძალიან კარგია... ცოტა ხნით ისევ კულისებში დაგველოდეთ, როცა დაგვჭირდებით, დაგიძახებთ.

რეზო – გუშინდელივით არ დაგავიწყდეთ.

მამია – თქვენ ისეთი მაგარი ყოფილხართ, მეტი რეპეტიცია რომც არ გავიაროთ...

რეზო – ეგ არ გამაგონოთ, ეგ არ გაიმეოროთ. ასეთ გენიალურ ნაწარმოებს არ ეკადრება უდიერად მოქცევა.

მამია – კიდევ კარგი, ერთი თანამოაზრე მაინც გამომიჩნდა.

რეზო – რას ამბობთ, რას ამბობთ, უფრო მაღალი ზნეობის მაგალითი, ვიდრე ოიდიბოსია, მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად მოიძებნება.

ბუბუსია – ვინ არის ზნეობრივი? კაცი, რომელმაც მამა მოკლა და დედა შეირთო ცოლად?

რეზო – ეს მისი ბედისწერაა. ნახეთ, რას ამბობს: „თურმე ვყოფილვარ დაწყევლილი დაბადებითვე. დედის სარეცლის წამბილწველი და მამის მკვლელი“.

ბუბუსია – ბედისწერაა თუ ბედის ირონია, ხომ ჩაიდინა ეს ორივე საშინელება, კიდევ ზნეობრივია, არ გადამრიო?

რეზო – ზნეობრივია, აბა, რა არის? კაცმა საკუთარი ცოდვები თავად გამოიძია და საკუთარ თავს ისე გამოუტანა განაჩენი. ეს არ არის ამაღლებული? მერე რამხელა სინანულია „მე ვარ, ეს მე ვარ“ – რას ამბობთ?!

მამია – ამაშია საქმე.

რეზო – არ მოეშვა, ჩააფიჩინდა ყველას ბოლომდე. პროკურორია, ნამდვილი პროკურორი.

მამია – დიახ და საერთოდ, ეს ნაწარმოები თავისი მთელი კონსტრუქციით არის დეტექტივი. დეტექტივია, აქამდე არ მითქვამს?

ბუბუსია – ეტყობა გამოგრჩათ.

რეზო – „ჩემი გვამი ჩემი ტანჯვის ციხედ“ უნდა ვაქციო. დაუკვირდით რას ამბობს. უჰ, ეს როლი მე უნდა მეთამაშა.

ბუბუსია – ითამაშეთ მერე, რა პრობლემაა?! აქ ყველაფერი შეიძლება.

რჩზო – როცა მე და მიტროფანოვიჩი ოტელოზე ვმუშაობდით...

ბუბუსია – ხომ არ გაგვეგრძელებინა რეპეტიცია, ბატონო მამია?

მამია – ვაგრძელებთ, მოემზადეთ...

ბუბუსია – ეს არის, რომ ამბობდით – ვერ ვიტან რეჟისორებს, რომლებიც კლასიკას აიღებენ და მერე, როგორც უნდათ, ისე ცვლიანო?

მამია – ახლაც მაგ აზრზე ვარ?! მე ნაწარმოებში არც ერთი სიტყვა არ შემიცვლია.

ბუბუსია – არ ჯობდა სიტყვა შეცვლილიყო?

მამია – დარწმუნებული ვარ, სოფოკლეს რომ ენახა ჩვენი სპექტაკლი, იამაყებდა, რომ საუკუნეების შემდეგაც მის უკვდავ ქმნილებას ასეთი იმპულსების მოცემა შეუძლია.

ბუბუსია – რა იზამთ, ავტორი ვერ დაესწრება თქვენს პრემიერას საპატიო მიზების გამო.

ნუპა – აუუ, აზრზე ხართ? ბილეთები უკვე აღარ არის....

ბუბუსია – საიდან მოიტანე?

ნუპა – გუშინ ერთ ჩემს ახლობელს უნდოდა 2 ბილეთი და მოლარეს უთქვამს, აღარ არისო.

ბუბუსია – ესეც კიდევ ერთი მახე, რომ მაყურებელი არ მოვიდეს.

მამია – მტრები გვყავს ყველგან, როგორ შეიძლება ორი კვირით ადრე არც ერთი ბილეთი აღარ იყოს. ჩვენ ხომ ჯერ არანაირი რეკლამა არ გაგვიშვია?..

ბუბუსია – ისე, ძალიან მაინტერესებს, რას დავწერთ აფიშაზე?! როლებს ასრულებენ...

ნუპა – სხვათა შორის, ქალაქში მაგარი ხმები დადის ამ სპექტაკლზე და სულაც არ არის გამორიცხული, რომ მართლა გაყიდული იყოს.

მამია (ბუბუსიას) – გაარკვიე ერთი, რა ხდება?

მაპო – არ არის საჭირო გარკვევა. გაყიდულია ყველა ბილეთი, მე ვიცი.

ბუბუსია – საიდან იცი?

მაპო – ჩემმა ნათესავებმა და მეგობრებმა შეიძინეს.

მამია – ყველა? როგორ?

რეზო – კი მაგრამ, ჩვენ რა ვქნათ, სტუმრები არ დაგპატიუოთ? მიტროფანოვიჩის შვილიშვილი...

ბუბუსია – დამშვიდდით, ოღონდაც მაყურებელი მოვიდეს და ყველას დავსვამთ... სკამებს ჩავდგამთ, რიგებს შორის რიგებს დავამატებთ... მეტი რა გითხრათ?!

მამია – წვიმის სპეციალისტს თუ დაუკავშირდით და ქარბუქის?

ბუბუსია – წვიმას და ქარბუქს ახლა ერთი ფირმა აკეთებს, მაგრამ რთულად არის საქმე.

მამია – რატომ? დავიჯერო ყველა თეატრში ქარბორბალებზე და თავსხმა წვიმებზე დგამენ სპექტაკლებს?

ბუბუსია – არა, მიტინგებზე დაყავთ ხალხის დასაშლელად.

მამია – ამ მიტინგებმა ხომ წაიღო მთელი ცხოვრება და ნერვები, აღარასოდეს არ უნდა დამთავრდეს?! აბა რა ვქნათ?

ბუბუსია – თვითონ შემოგვთავაზეს ასეთი აზრი. პოლიტიკურ პარტიებს შეუთანხმდით და ისე დაგეგმეთ სპექტაკლები, რომ მიტინგის დღეებს არ დაემთხვესო...

მამია – მართლა-თქმ? ეგღა გვაკლია კიდევ პოლიტიკურ პარტიებს ვუთანხმო პრემიერები... სხვაც ხომ არაფერი შემოგვთავაზეს?

ბუბუსია – კი, ბოლი.

მამია – რა ბოლი?

ბუბუსია – ბოლი სცენაზე.

მამია – დიდი მაღლობა გადაეცი. ბოლი და ცრემლსადენი გაზი თავისთვის შეინახონ კარგად.

მაპო – მე რა ვქნა, ეს კაბა რომ მძვრება?

მამია – მიიხუტე ოიდიპოსი ისე, რომ თან კაბაც არ ჩაგძვრეს და თან ვითომ ბავშვს ეხუტები... ყველაფერს მე ხომ არ გეტყვით?..

მაპო – ასე რომ დავიჭირო? შეიძლება? (უკუღმა ატრიალებს თოჯინას)

მამია – სტოპ! მაგარია! დატოვე! დედა, რომელმაც სულ რამდენიმე საათში შვილი უნდა გაწიროს, ვითომ რატომ არ დაიჭერს უკუღმა? კარგია, დატოვე, დაიმახსოვრე ეგ მდგომარეობა.

მაპო – კი ბატონო, ჩემთვისაც უფრო მოსახერხებელია. ისე-დაც ვერ ვიტან თოთო ბავშვებს.

მამია – მუსიკა! (მაკო იწყებს ცეკვას, თოვჯინით ხელში) (შემოდის ნუკა)

ნუკა – ბატონო მამია, დირექტორი გეძახით.

მამია – არ მცალია. რეპეტიციის შემდეგ-თქმ, გადაეცით. ცეკვა კარგია, შემდეგი.

ნუკა – კი ბატონო (ნუკა გადის).

მამია – მაკო, მომისმინე. ეს სცენა არის იოკასტეს მოგონება, ახსენდება, როგორ უბრძანა ქმარმა საკუთარი შვილი მოეშორებინა და ამით თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი უბედურება... ხო, ამიტომ შენ თან გიყვარს ეს ბავშვი, თან გძულს, თან გინდა მოეფერო, თან გინდა დაახრჩო. გამიკეთე ახლა ეს ყველაფერი, პლასტიკაში, ცეკვით. გრძნობა, გრძნობა!

ბუბუსია – რა მარტივი ამოცანაა, იქნებ თავად გვაჩვენო.

მამია – სიჩუმე! ზედმეტი კომენტარები არ გამაგონოთ!

მაპო – ამ თოვჯინას რა ვუყო?

მამია – გადამრევს ეს ქალი, არ არის ეს თოვჯინა, ეს ოიდი-პოსია, ჯერ ისევ ცოცხალი, მაგრამ მშობლებისგან განწირული ჩვილი.

(შემოდის ნუკა)

ნუკა – აუუ, ბატონო მამია?

მამია – რა გინდა, გოგო, რატომ ამომწოვე ტვინი?

ნუკა – მე რა შუაში ვარ? დირექტორმა სასწრაფოდ მოვიდესო.

მამია – არ გადაეცით, რომ რეპეტიციის შემდეგ?

ნუკა – გადავეცი, მაგრამ ასე სთქვა, შემდეგი რეპეტიცია ალარ იქნებაო.

მამია – რაო?

ნუკა – ფული გაყინულა ბანკში. გაყინეს, ყადაღა დაადესო.

მამია – რა ყადაღა? ვინ?

ბზბზსია – შხამიანი გველი, ესეც ვიცოდი, რომ რაღაცას მოგვიწყობდა. რა ვქნათ ახლა? ხომ გაფრთხილებდით?

ნუკა – დადას შემოუთვლია ან მე ვითამაშებ მთავარ როლს, ან არადა არანაირი ფულიო. ეს ჩემი არჩეული პიესააო.

ბზბზსია – რა ვქნათ, ბატონო მამია? გავუღოთ ფართოდ კარი ვარსკვლავს? მამინ ფულიც გვექნება და მაყურებელიც არ მოგვაკლდება. ეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თქვენ ხართ აქ მთავარი.

რეზო – თუ რამე პრობლემაა, მე მგონი, მიჭროფანოვიჩის შვილიშვილი უარს არ გვეტყოდა...

ბზბზსია – ააა! ოღონდ ახლა გაჩუმდით, ოღონდ ახლა და თუ გინდათ, მუხლებზე დავიჩინქებთ.

რეზო – რა არის, კაცო, რა ხდება, ჩემთვის კი არ ვამბობ.

მამია – დაუძახეთ ყველას!

ნუკა – ვინც ვართ, ყველანი აქ ვართ, დირექტორს დავუძახო?

მამია – არ არის საჭირო. დასხედით და მომისმინეთ, რასაც ახლა ვიტყვი, აღარ გავიმეორებ და აღარც შევცვლი.

რეზო – მიყვარს პრინციპული მამაკაცები.

(ყველანი გაისუსებიან, მამია სიგარეტს მოუკიდებს, დიდხანს არის ჩუმად).

პაუზა

მამია – ჩვენ ამ შემადგენლობით ვითამაშებთ პრემიერას.

ბზბზსია – ფული? დეკორაციის ძირითადი ნაწილი ჯერ არ მოუტანიათ. უფულოდ არ გამოგვატანენ.

მამია – ჩვენ პრემიერას არ გადავდებთ, ვითამაშებთ ამ შემადგენლობით, ამ დეკორაციაში და ამ კოსტიუმებში.

ბუბუსია – დავიბენი, ველარ ვაზროვნებ.

მამია – სამაგიეროდ, მე ასე დაჯერებული არასოდეს ვყოფილგარ საკუთარ შესაძლებლობებში. მენდეთ და მომყევით, ვისაც გჯერათ ჩემი.

რეზო – მე ორივე ხელს ვწევ (წინ გამოდის რეზო). რეჟისორი გემის კაპიტანივითაა, თუ არ ენდობოდი, მასთან ერთად ზღვაში არ უნდა გასულიყავო.

ბუბუსია – მიყვარს, როცა სიმბოლოებით და მეტაფორებით აზროვნებენ.

მამია – შენ არ მოდიხარ ჩემთან ერთად?

ბუბუსია – მეე? მე დიდი ხანია ისედაც ამ გემზე ვარ (ისიც ასწევს ხელს და წინ გამოვა).

(მაკოც ასწევს ხელს)

ბუბუსია – თქვენ, ქალბატონო ნუკა, არ ენდობით გემის კაპიტანს?

ნუპა – აუ, ძაან გთხოვთ რაა? მე შემეშვით. გჭირდებით, აქა ვარ, მე მსახიობი არა ვარ, მე ვარ მხატვარი.

რეზო – მერედა თეატრი უმხატვროდ ვინ გაიგონა?

ნუპა – ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ ყველას ეგ თეატრი. ჩემთვის პირველი ჩემი საქმეა და ჩემი პირადი ცხოვრება, და მერე დანარჩენი. ვერანაირ თეატრს ვერ შევეწირები.

მამია – ერთი თვალებში შემომხედე? ვის დასცინი, შე დეგე-ნერატო?

ნუპა – მე ახლა ვინმეს დავცინე?

რეზო – არა, მაგრამ კარგი იქნებოდა, შენც აგეწია ხელი, ჩვენც გაგვეხარდებოდა.

ნუპა – ხმა გაკლიათ?.. კი ბატონო (აიყვანს ხელში თოჯინა-ოიდიპოსს და ხელს ააწევინებს).

* * *

რეპეტიცია

სცენაზე არიან ბუბუსია და მაკო. მაკოს და რეზოს იგივე კოსტიუმები აცვიათ. ბუბუსიას კაცის შარვალ-კოსტიუმი, კისერზე მობილური და მწვანე წვერი აქვს მიბმული.

მამია – არ ვარგა, თავიდან. ოიდიპოსმა დაიწყოს (ბუბუსია მოემზადება).

მამია – დაიწყე, რას ელოდები?

ბუბუსია – რეპლიკა, კრეონის რეპლიკა არ უნდა მითხრა?

მამია – უკაცრავად, უკაცრავად (ავარდება სცენაზე), „არვინ გამოჩნდა ლაიონის სისხლის ამღები“.

ბუბუსია – ოიდიპოსი – „ეგ მეც მაეჭვებს, როგორ მოჰკლეს თქვენი ხელმწიფე და თქვენ გულხელი დაიკრიფეთ, არ მოიძიეთ“.

მამია – სტოპ! ერთი წუთით. აქ ვჩერდებით. რა ხდება სიუჟეტში, გავიხსნოთ. ოიდიპოსს ყველაში ეჭვი ეპარება. კრეონის ლალატში დარწმუნებულია, ხალხიც მაინცდამაინც კარგად არ უყურებს. კი, ოდესღაც ისინი იხსნა დიდი უბედურებისგან, მაგრამ იმის საფასური მიღებული აქვს, მეფედ აირჩიეს. ახლა ხალხს მისი ახალი გმირობა სჭირდება, თორემ ისინი ემუქრებიან „სჯობს უდაბნოში ხელმწიფობას ჩვენზე იმეფოო“, სერიოზული შავი პიარია მის წინააღმდეგ აგორებული და ამის მოთავედ კრეონს თვლის, არავისი აღარ სჯერა, ერთადერთი იოკასტე დარჩა, გესმის, მაკო, მის მიმართ ორმაგი სიყვარული აქვს გაცნობიერებული და გაუცნობიერებული „შენ ერთი დამრჩიო“ ეუბნება, გასაგებია, აბა დავიწყეთ, ოიდიპოსი!

მაპო – რომელი ოიდიპოსია ამ სცენაში, ჩვილი თუ ბუბუსია.

მამია – ამდენი ტყუილად ვილაპარაკე? თავიდან აგიხსნათ?

ბუბუსია – არ არის საჭირო, მე დავიწყებ. ე.ი. ოიდიპოსს საკუთარ თავში ეჭვი შეეპარა, რომ იქნებ მართლა ის არის მკვლელი, რადგან როცა ამ მხარეში პირველად მოდიოდა, მართლაც შემოაკვდა ჩსუბში ვიღაც, რომლის ვინაობაც არ იცის, ასე არ არის?

მამია – ჰო, ყოჩალ, დაიწყე.

ბუბუსია – ოიდიპოსი – „ეგ რა მითხარი, სული შფოთავს და დრტვინავს, გულიც საგულეს აღარ დგება, ო, იოკასტე!“

მაპო – იოკასტე – „ამას რად ამბობ, ოიდიპოს? შენ სულ გაფითოდი...“

ბუბუსია – ოიდიპოსი – „შენ თქვი, სამი გზის გზაჯვარედინზე მოჰკლეს მეფეო...“

მამია – იოკასტე! ცოტა მეტი ნერვი, მეტი გნება, მეტი ეროტიკა!

მაპო – „ასე ამბობდნენ მაშინ, ახლაც ასე ამბობენ...“

მამია – რას აკეთებს ქალი ასეთ დროს? იწყებს ჩვეულ ქალურ ხერხებს, რომ დაამშვიდოს, ბანზე აუგდოს სიტყვა, მიდის, აწყნარებს, გაინძერი, გოგო, ნუ ხარ ხესავით.

მაპო – ვერ ვხვდები?

მამია – რას ვერ ხვდები? მიდი, მოეფერე, მოესიყვარულე, აკოცე, გახადე, სექსი გინდა სექსი, ახლა სექსი თუ განმუხტავს ამ სიტუაციას.

მაპო – მე მინდა სექსი ბუბუსიასთან?

მამია – ბუბუსიასთან კი არა, ოიდიპოსთან. მიდი, მიდი, თან ეფერები, თან იხდი, თან ტექსტს ამბობ.

მაპო – ყველაფერი ერთად როგორ გავაკეთო?

მამია – უნდა გააკეთო.

მაპო – ან ერთი მითხარით, ან მეორე.

ნუპა – აუ, რა უნდა მაგის გაკეთებას, გოგო!

მაპო – ამას ადვილი ჰგონია მსახიობობა. მოდი და გააკეთე, თუ ასეა.

ნუპა – აუ, შეიძლება? (ახტება სცენაზე)

მოდი აქ, მოდი, ჩემო ოიდიპოს, რა დროს გამოძიებაა, მე და შენ რამდენი ხანია სექსი არ გვქონია, როგორი სექსი გინდა, გიჟო?

მამია – მიდი, მიდი, ოღონდ ეგ ყველაფერი შიგნიდან, ტექსტს სხვას ამბობ.

(ნუკა იმავეს აკეთებს, პიჯაკს გახდის ოიდიპოსს და თვითონაც თითქმის სულ გაშიშვლდება და ისე დაუდგება სცენაზე)

მამია – ბრავო, ბრავო (დანარჩენებიც დაუკრავენ ტაშს).
დარჩი სცენაზე, შენ იქნები იოკასტეს გრძნობა.

ნუკა – როგორ გრძნობა?

მამია – იოკასტეს გრძნობა, გენიალურია, ხან იტირებ, ხან
გაიცინებ, ხან იგმინებ.

ნუკა – აუ, ეგენი შეიძლება არ გამომივიდეს.

ბუბუსია – პროგრამაში როგორ ჩავწეროთ? იოკასტე – მაკო
კენჭაძე, იოკასტეს გრძნობა – ნუკა გოგავა?

მამია – რა დროს პროგრამაა, ბუბუსია, რატომ გვიშლი ხელს?
ხომ ხედავ, ექსპერიმენტებს ვატარებ, შენ კიდევ მომართული
ხარ, როგორ ჩამიშალო, როგორ გამიფუჭო განწყობა, გაჩუმდი
და შენი საქმე აკეთე.

მაპო – მე რას ვაკეთებ?

მამია – შენ იტყვი შენს ტექსტს და ამ დროს ნუკა იგივეს
გაიმეორებს, რაც წელან გააკეთა. თავიდან, აბა დაიწყეთ.

მაპო – „ეგრე რად შფოთავ, ოიდიპოს“?

ბუბუსია – ოიდიპოსი – „ჯერ ეს მითხარი, ლაიოსი როგორი
იყო? რამდენი წლისა“?

მაპო – იოკასტე – „ოდნავ ჭალარა, ხოლო სახით შენ
ჩამოგგავდა“.

მამია – შენ გგავდაო, გაახსენდა ლაიოსი, იმასთანაც მაგარი
სექსი ჰქონდა და ახლა ორმაგად აღგზნებულია. წარმოიდგინეთ,
ქალმა შვილი გაწირა, რომ ლაიოსთან ეცხოვრა, ავხორცია ეს
იოკასტე, არ დაგავიწყდეთ.

ნუკა – „ოდნავ ჭალარა, ხოლო სახით შენ ჩამოგგავდა“
(საოცარი ინტიმით იტყვის ნუკა და ისევ იხდის).

მამია – არაჩვეულებრივია, ბრავო, ბრავო, ზუსტად ასეთი
იოკასტე მჭირდებოდა, მორჩა, ეს არის ის, რაზეც ვოცნებობდი.

მაპო – მე?

მამია – შენ იქნები კრეონი?

მაპო – მე კრეონი?

მამია – აბა მე ხომ არ დავრჩები ბოლომდე ამ როლზე. ვაუა
ისევ არ მობრძანდა, ვერ ხედავს თავის თავს კრეონში.

ბუბუსია – იქნებ ვაუაც გაგვესინჯა იოკასტეზე, „მჟობნის-
მჯობნი არ დაიღევაო“.

მამია – გეყოფა, ბუბუსია. მორჩა, გადაწყდა, ნუკა იქნება
იოკასტე, მაკო – კრეონი.

მაპო – კი მაგრამ, კაცია კრეონი, მე კი ქალი ვარ, ბატონო
მამია.

ბუბუსია – თქვენი აზრით, მე ქალი არა ვარ, ოიდიპოსს რომ
ვთამაშობ?

მამია – რამე პრობლემაა?

მაპო – არა.

მამია – ჰოდა, მაშინ აჲა შენ კრეონის როლი ხვალისთვის.

მაპო – არ მინდა, ვიცი ზეპირად.

მამია – ძალიან კარგი, ხედავთ, რა უბედურია ეს ოიდიპოსი,
ყველგან ღალატი, ღალატი, ღალატი, არავისი აღარ სჯერა,
მისნებს ხომ საერთოდ ვერ იტანს, ეზიზლება, ასევე ეზიზლება
მისნები იოკასტესაც, რადგან ჰგონია, რომ მისი შვილიც
მისნის წინასწარმეტყველებას შეეწირა. მაგრამ თან რა ხდება.
პარალელურად ახლოვდება ახალი არჩევნები. იქაც იგივეა, რაც
ჩვენთან. ოიდიპოსს არ აირჩევენ თუ ხმების საჭირო რაოდენობა
ვერ მოაგროვა, ამხელა, უზარმაზარი ოპოზიცია ჰყავს და ბოლოს
ეს ტირესია, რომელმაც პირდაპირ უთხრა „შენ რომ ეძიებ, იგი
მკვლელი შენა ხარ თვითონ...“ მეტი რაღა უთხრას?

მაპო – მერე რატომ თავიდანვე არ დაიჯერა?

მამია – უფრო მეტიც. ნახეთ რას ეუბნება. ბატონო რეზო,
გთხოვთ.

რეზო – „იგი ძმაა თავისი შვილების. დედის, რომელმაც იგი
შობა – შვილიც და ქმარიც...“

მამია – ანუ, პრინციპში მეტი რაღა უნდა უთხრას.

რჩებო – ამას, ჩემთ ძვირფასებო, ლიტერატურაში ჰქვია „ოიდიპოსის ფენომენალური გულმავიწყობა“, რაც აწყობს – ახსოეს, რაც არა – ივიწყებს.

მამია – შესაძლოა, შესაძლოა, ერთი წუთით, ბატონო რეზო (უნდა რომ გააჩეროს).

რჩებო – შე კაი ადამიანისშვილო, გითხრეს ხო? გიწინასწარ-მეტყველეს დედას შეირთავ ცოლადო, გამოექცი დედას, მაგრამ ამ უფროს ქალს რომ ეცი, სულ ცოტა 15 წლით მაინც ხომ იქნებოდა იოკასტე შვილზე უფროსი, სულ არ გავიხედებოდი ჩემზე უფროსი ქალისკენ. დაილია ქალები?

მამია – მართალი ბრძანდებით, მართალი. ახლა თქვენი ბოლო ტექსტია.

რჩებო – „დაფიქრდი-მეთქი და ეს სიტყვა თუ გამტყუნდება, მაშინ მიწოდე ცრუ მისანი და უმეცარი“.

ნუპა – აუ, ძაან მაგარი ხართ, ბატონო რეზო. დაგლიჯა, არა?

რჩებო – კაცო, მე კი არ ვხუმრობ, მიტროფანოვიჩი და მე რომ გვნახა ხორავამ, გადაირია...

ბუბუსია – ააა! მიტროფანოვიჩი, ისევ მიტროფანოვიჩი. 5 საათია აქა ვარ. დავიღალე, სახლში მინდა, ისევ ქალი მინდა გავხდე (გაიძრობს პიჯაკს და ჰალსტუხს მოიხსნის).

მამია – კარგი, კარგი. ახლა ქოროს ამზავი გავარკვიოთ და წადით სახლებში. გაარკვიე რამე?

ბუბუსია – თეატრის სტატისტები უარს აცხადებენ.

მამია – რატომ?

ბუბუსია – დადასი ეშინიათ.

მამია – ეგ ვიცი, მე რაც დაგავალე, იმაზე რა გაიგე.

ბუბუსია – გაზეთებიდან აი რაც მოვიძიე (ამოიღებს გაზეთებიდან ამონაჭრებს).

ციტირებს: „დაგილაგებთ სახლს კარგად, მოგიხეხავთ იატაკს, გაგიწკრიალებთ ტუალეტს, პარალელურად მოვამზადებ ოჯახის ნებისმიერი ასაკის წევრს ფრანგულში, გერმანულში და თურქულში.

მამია – ჩვენთან რა კაშტირშია, ბუბუსია, ჩვენ ვეძებთ ქოროსთვის ანუ „მასოვეკისთვის“ ხალხს. ეს რა არის?

ბუბუსია – დამაცადეთ ბოლომდე. „გარდა ამისა, თანახმა ვარ თქვენ მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ სამუშაოზე გარდა პუტანკობისა“.

მამია – დაურეკე! შემდეგი.

ბუბუსია – „მოვუვლი ჩავარდნილ მოხუცს, გაუვალობის შემთხვევაში მაქვს ჩემი აპრობირებული მეთოდი, აგრეთვე ვარ კარგი კულინარი და საერთოდ თანახმა ვარ ყველა შემოთავაზებულ სამსახურზე“.

მამია – ასაკი?

ბუბუსია – ასაკს არ წერენ.

მამია – კარგი, საკმარისია, ხვალისთვის ქორო 20 კაცი გვჭირდება.

ბუბუსია – მაშინ მეც გამოვაქვეყნებ განცხადებას, გვე-საჭიროება მსახიობები მასიური სცენებისთვის.

ნუკა – აუუ, მოვარდებიან, დედას ვფიცავარ, ხალხი მოვარდება. დარწმუნებული ვარ... მსახიობება ყველას უნდა.

მაპო – მოვარდებიან, რადგანაც მათ არ იციან, რომ ეს პრო-ფესია მსხვერპლს მოითხოვს.

ნუკა – მსხვერპლის გარეშეც შეიძლება.

მამია – დღეისთვის საკმარისია, კარგად ბრძანდებოდეთ.

(ყველანი სცენაზე არიან, მამია ნერვიულად სცემს ბოლთას)

მამია – რა ვუყოთ ქოროს? არ ვიცი, რამე მოიფიქრე (ბუბუსიას), ეგ მათხოვერები, თანხა ეცოტავათ, არა?

ბუბუსიას – სიცილი დაიწყეს, მაგ ფასად სახლიდან ფეხს როგორ გამოვდგამთო.

მამია – როგორ? დავიჯერო, ვიღაცის განავალში ქექვას აღარ სჯობია სცენაზე დგომა?

ბუბუსია – არც აქ ვუჩივით მაგის დეფიციტს.

რეზო – ფული თუ ეცოტავათ, მე შემიძლია...

ბუბუსია – ააა! გააჩუმეთ, აღარ შემიძლია.

მამია – ბატონი რეზო, მე მაპატიეთ, პრემიერის წინ ყველა გიუდება და არ გეწყინოთ.

რეზო – კაცო, მე გენადის დახმარება სულ არ მჭირდება.

ბუბუსია – წავედი, მე წავედი.

მამია – სად?

ბუბუსია – ხომ მითხარი, ქოროზე რამე მოიფიქრეო.

მამია – კარგი. კრეონი მალე მოემზადოს.

კრეონის და ოიდიპოსის ფინალური სცენა. დაბრმავებული ოიდიპოსი, სინდისი ქენჯნის კრეონის წინაშე. ოიდიპოსის ტექსტს მე წავიკითხავ.

მაპო – კი ბატონ.

მამია – „ვაგლახ, ო, ვაგლახ! მას განკითხვა რა პირით ვთხოვო, ვისდამი ვიყყავ ეგზომ მკაცრი განუკითხველი“.

მაპო – კრეონი. „ნუ გეშინია ოიდიპოს, არას გაყვედრი. განა აქ მოველ, რომ დავცინო შენს მწუხარებას? ეხლავ იქ, სახლში შეიყვანეთ ეს უბედური“.

მამია – მოიცა, არ არის ეს სწორი. ფინალური სცენაა. ოიდიპოსმა, „თაგვმა თხარა-თხარაო და კატა გამოთხარაო“. გაარკვია, რომ მისნის წინასწარმეტყველება ასრულებულა. ოკასტემ თავი მოიკლა, ყოჩაღ, ნუკა, დღეს ძალიან კარგი იყო.

მაპო – იქნებ სხვებსაც გამოსვლოდათ ბოლომდე რომ ეცლიათ?

ნუპა – ჩემზე ამბობს?

მაპო – არა? ჯერ კაცი დამაწერე, მერე როლი, ნამდვილი მტაცებელი ხარ.

ნუპა – ეს სულ გამოქლიავდა, მე ვიჩალიჩე?

მაპო – ქლიავს გაჩვენებ!

(სწვდებიან ერთმანეთს თმებში, რეზო და მამია აშველუბენ)

რეზო – ყმაწვილებო! ყმაწვილებო! არ გეკადრებათ.

მამაი – გაჩერდით. გაჩერდით.

მამია – შეწყვიტეთ ჩქარა.

ნუპა – აუ, მე თუ ამას არ ვანანო.

(მაკო იწყებს ტირილს)

მაპო – დებილი, შურიანი, მტაცებელი, ვის აკადრა, ვის? მე, უპატიოსნესი ელიტარული ოჯახის შვილს! (ისევ წაიწევს ნუკასკენ, ნუკა მოსდებს)

ნუკა – ბატონო მამია, თქვენ ხართ ხომ აქ უფროსი, ძალიან გთხოვთ, ზოგიერთი გიუს თავდასხმისგან დაგვიცავით რაა? ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი ჩვენს უსაფრთხოებაზე.

მაპო – წაეთრიე აქედან, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს.

ნუკა – ვერ მოგანიჭებთ მაგ სიამოვნებას (მაკოს), ბატონო მამია, დღეს გჭირდებით?

მამია – არა.

ნუკა – მაშინ წავალ. პაემანზე მაგვიანდება. მე ხომ მსახიობი არა ვარ, მსხვერპლი გავიღო და საკუთარ ბედნიერებაზე უარი ვთქვა. მე უბრალოდ, სხვებზე ნიჭიერი ვარ. ვოუ, პაკა.

(ნუკა მიდის, მაკო კი მთელი ძალით დასცებს ტირილს)

მაპო – მე თვითონაც კარგად ვიცი, რომ კრეონის როლი არ გამომდის, იმიტომ რომ, მთლიანად იოკასტეზე ვიყავი აწყობილი. ეს მეორეხარისხოვანი როლია, მე მეორეხარისხოვანი როლებისთვის არ ამომირჩევია ეს პროფესია. გაიგეთ, თქვენ მე დამაკომპლექსეთ. ვაიმე, დედიკოო...

მამია – მე დაგაკომპლექსე?

მაპო – დიახ, დამაკომპლექსეთ, ისეთი გახსნილი ვიყავი, დედაჩემს კითხეთ ერთი, რა მონაცემები მქონდა პატარაობიდან.

მამია – კარგი, კარგი, დამშვიდდი.

მაპო – დედაზე უკეთ ვინ იცის შვილის მონაცემები, თქვით, ბატონო რეზო?

რეზო – მაგაში მართალი ბრძანდებით.

მაპო – არ მინდა ეს დებილი კრეონი, არ გამომდის, ვერ ვიტან ცოტა ტექსტს.

მამია – იცი რა, მაკო? მოდი კრეონს ისევ მე ვითამაშებ, არ გინდა, ნუ გინდა, შენ კიდევ 20 როლს მოგცემ ერთდროულად, არ გინდა?

მაპო – ეგ რას ნიშნავს? დამცინით?

მამია – გადასარევი რამ მოვიფიქრე. ქორო იქნები, ხალხი იქნები. ტექსტი რამდენიც გინდა, ყველა სცენაში დახუნძლულია.

მაპო – მართლა?

მამია – ხო, კარგი რამე მოვიფიქრე?

მაპო – ეგ მომწონს.

რეზო – აგაშენა ღმერთმა.

(შემოდის ბუბუსია და შემოაქვს გრაგნილი)

ბუბუსია – ხომ მითხარით, რამე მოვიფიქრეო. ესეც ქორო. (გაშლიან. გრაგნილზე მასიური სცენაა დახატული). ამასთან ერთად ცუდი ამბავიც მოვიტანე. დაბრუნდა.

მამია – ვინ?

ბუბუსია – დადა.

(მამია სავარძელში ჩაესვენება)

მაპო – კი მაგრამ, ეს რა არის? ქოროს მე ვთამაშობ, ეს დახატული ადამიანები ვის რაში სჭირდება. საიდან გაჩნდნენ აქ?

(ნახატზე ბევრი განაწამები სახეა, რომლებიც რაღაცას ითხოვენ)

მამია – ეხლა არ გამაგიურთ, ხმა არ გავიგონო არც ერთის, ყველა თქვენ თქვენს ადგილებზე.

მაპო – მე სად ვარ, გამაგებინეთ?

მამია – სადაც მე ვიტყვი.

(დიდ პანოზე ხალხმრავლობაა, განაწამები ხალხი რაღაცას ითხოვს)

შენ დადგები ამ პანოს წინ და იტყვი ამ ტექსტს.

რეზო – ერთი აზრი მომიტიდა.

მამია – არავითარი აზრი. გაიკეთე წვერი, იოკასტე სად ბრძანდება?

ნუპბ – აქ ვარ.

მაპო – მე სად დავდგე? ამ ნახატის მარჯვნივ თუ მარცხნივ?

მამია – უკან!

(მაკო მიდის მორჩილად)

ბუბუსია – ჰალსტუხი გავიკეთო?

მამია – გაიკეთე. მოამზადეთ მუსიკა, განათება. დავიწყეთ.

ბუბუსია – დადა.

მამია – დადა?!

ბერლდება და სიჩუმეში ისმის ქალის ხარხარი, ლერვა-მტვრე-
ვის ხმა, გაუგებრობა...

განათდება იქაურობა, ბრძოლის ველს ჰეგავს ომის შემდეგ,
ყველაფერი დაშლილი და დალეწილია, მამია ნაცემია, ნელ-ნელა
წამოიწევიან. ნათდება და ერთმანეთს შეათვალიერებენ.

ბუბუსია – ახლა რაღას იტყვით, ბატონო მამია?

მამია – ვაგრძელებთ, პრემიერას მაინც არ გადავდებ!

ბუბუსია – როგორ, რაც იყო, ისიც განადგურებულია, ფული
საიდან, ფული?!

მამია – არა, ჩვენ ამას ვითამაშებთ, ჩვენ დავდგამთ ოიდი-
პოსს, მე ყველას დავუმტკიცებ, რომ ჩვენ ცოცხლები ვართ,
ჩვენც შეგვიძლია რაღაც.

ბუბუსია – როგორ, როგორ?!

მამია – მუხლებში ჩავუვარდები ყველას, კულტურის
მინისტრს, ყველაფერს ავუხსნი, რაც არ მიქნია, იმას ვიზამ!

ბუბუსია – ეჱ, მაინც რა გულუბრყვილო ხართ, ბატონო
მამია. გენადის იმედი გაქვთ?

რეზო – ახლა კი კაციშვილი ველარ გამაჩერებს, რას ქვია,
იმედი არ უნდა გქონდესო, რამდენი გჭირდებათ, მითხარით და
კაცი არ ვიყო, თუ არ მოვიტანო მიტროფანოვიჩი...

ბუბუსია – ვინ არის ეს მიტროფანოვიჩი? რა დავაშავე
ასეთი, ღმერთო, რა...

რეზო – გენადი მიტროფანოვი, გენადი მიტროფანოვიჩის
შვილიშვილია, ჩვენი მინისტრი კულტურის, ჩემი ბავშვობის
მეგობრის შვილიშვილი.

მამია – მერე აქამდე ვერ თქვით?

რეზო – მათქმევინა ვინმემ?

მამია – აი ტელეფონი და თუ ასე... გენადი ჩვენი ბოლო
იმედია.

რეზო – ჩემით დავრეკავ, სხვისი ნომერი შეიძლება არ
აიღოს... გაუმარჯვოს ჩემს გენადის... კი, მე ვარ, შენი ჭირიმე
და სათხოვარი მაქვს, ხო, იმდენჯერ მითხარი, რატომ არაფერს
არ მთხოვო, აგერ შენ და აგერ მეე... რაშია საქმე და... აბა
მითხარი?.. ერთი რამის გარდა რაც გინდა მთხოვეო (მამიას). ჰო,
გისმენ... აა?! კაი, ჰო... გაგარკვევ. არა, მე პირადად არაფერი არ
მჭირდება. ესე იგი... კარგი, კარგი... (გათიშვავს და გაჩერდება).

ბუბუსია – რა ბრძანა ბატონმა მინისტრმა?

რეზო – მთავარ როლს ითამაშებს ქალბატონი დადაო...

ბუუსია – იქაც დაგვასწრო, რა ვქნათ?

მამია – საღამოს რეპეტიციამდე თავისუფლები ხართ.

(ჩუმად მიდის, სხვებიც ნელ-ნელა უკან გაჰყვებიან).

* * *

რეზო, მაკო და ბუბუსია.

რეზო – სად არის ბატონი მამია ამდენ ხანს, არასოდეს არ
აგვიანებდა.

მამია – არც ახლა არ დამგვიანებია, უფრო სწორად, ცოტა
დამაგვიანდა, არ შეიძლება? (შემოდის ნასვამი).

ბუბუსია – უჰ, რას გავხართ, ბატონო მამია?

მამია – რას ვგავარ? რას ვგავარ და რეჟისორს, რომელიც
სპექტაკლს ვერ დგამს. მეტი რას უნდა ვგავდე.

ბუბუსია – მე ბევრი ვიფიქრე და...

მამია – მერე?

ბუბუსია – დავიღალე, ეს კოშმარი არასოდეს არ დამთავრ-
დება, თუ...

მამია – თუ?

ბუბუსია – თუ დადას არ დავაბრუნებთ.

მამის – ჰომ, ამას შენ ამბობ, ბუბუსია და თანაც პირველი?

ბუბუსია – მე სხვა გზას ვერ ვხედავ. დადა მოიტანს ფულს, მოიყანს მსახიობებს, და რაც მთავარია, მაყურებელს. აბა, ვის რაში სჭირდება თეატრი უმაყურებლოდ.

მამის – რატომ? ჩვენ ყველა ბილეთი გავყიდეთ, ასე არ არის, მაკო? თუ არ ვცდები, შენმა თაყვანისმცემლებმა არც ერთი ბილეთი არ დატოვეს.

მამო – არა, უკან დააბრუნეს.

მამის – აი, კიდევ ერთი უბედურება, რატომ?

მამო – იმიტომ, რომ მე მთავარ როლს აღარ ვთამაშობ.

მამის – არადა, როგორ მინდოდა დამედგა სპექტაკლი, სა-დაც დავამტკიცებდი, რომ თეატრში მთავარი რეჟისორია, ვოცნებობდი აფიშაზე, რომელზეც დიდი ასოებით ეწერებოდა – როლებში:

ოიდიპოსი – რეჟისორის ასისტენტი ბუბუსია

იოპასტი – რეკვიზიტორი ნუკა

ტირესია – დურგალი რეზო

რეზო – მე ფილოსოფოსი გახლავართ.

მამის – უკაცრავად, უკაცრავად, ტირესიას როლში ფილოსოფოსი დურგალი ბატონი რეზო

და ა.შ. და ა.შ.

წარმომედგინა სპექტაკლის პრემიერა, როგორ აგდებენ მაყურებლები ჰაერში სათითაოდ ყველა მსახიობს. მე კი ამ დროს ვიმალები, რომ აღგზნებულმა, აუიტირებულმა მაყურებლებმა ჩემი ტანისამოსი ნაკუწ-ნაკუწ არ დაიტაცონ და დედიშობილა არ დამტოვონ... ჰმ...

ბუბუსია – გვეყო აბსურდი, დავუბრუნდეთ რეალობას, მეც ჩემს პროფესიას დავუბრუნდები, ნუკა თავისას, ბატონი რეზო თავის ჩაქუჩის და ლურსმნებს...

მამის – რა არის ცხოვრება, ამას პირველი შენ თუ იტყოდი, ვინ იფიქრებდა.

ბუბუსია – რა მნიშვნელობა აქვს პირველი ვინ იქნება და ბოლო ვინ. მხოლოდ ერთს გთხოვთ, ამჯერად მე ნუ დამავალებთ მის მოყვანას.

მამია – არც მე არ გავალ მის დასაძახებლად, თუ უნდა თვითონ მოვიდეს.

რეზო – რას იზამთ, ასეა ცხოვრება, გენიოსების ხასიათზე არავინ არ ლაპარაკობს. მე დავუძახებ.

(შემოდის ნუკა, რომელიც ცრემლებს იწერნდს)

ნუკა – დადა არ მოვა. წავიდა.

მამია – სად?

ნუკა – არ ვიცი. ჩაისვა ცოტნე მანქანაში და სადღაც წავიდა.

ბუბუსია – ისე, რომ არაფერი არ დაიბარა?

ნუკა – დამელოდეთო.

ბუბუსია – უკვე აღარც მეცინება და აღარც მეტირება.

რეზო – იქნება ამიხსნათ, რა ხდება?

ბუბუსია – ახლავე, ბატონო რეზო. გინდათ სპექტაკლი? წარმატება? მაყურებლის ტაში? მაშინ იცოდეთ, რომ ასეთ ადამიანებს ჩვენ თვითონ ვაძლევთ ყველაფრის უფლებას. ვინ არის თანახმა დაელოდოს დიდ არტისტს, მე პირველი ვწევ ხელს

(ბუბუსია ხელს ასწევს, დანარჩენებიც თანმიმდევრობით, დიდხანს არიან ჩუმად ხელებაწეულები და ყველანი მამიას მისჩერებიან. მამია სკამზე გადაესვენება და თვალებს დახუჭავს).

* * *

რაღაც სიზმრისეული, მისტიკური განწყობა იქმნება. ბურუსი, დაბალი განათება. შენელებული კადრივით შემოდის ანტიკურ სამოსში გამოწყობილი ქალი (დადა), დანარჩენებიც იქვე, ამ სტილში იწყებენ შემოსვლას.

მამია – დადა?!

რეზო – ეს თქვენ ხართ?

დადა – რა იყო, თვალებს არ უჯერებთ?

ბუბუსია – ოო, გველი შემოსრიალდა?

დადა – თქვენ რალას იტყვით, მაესტრო ახალს?

მამია – ახალი რა უნდა ვთქვა? მე, მგონი ისეც ყველაფერი ნათელია.

დადა – თუ ბნელი?

დადა – ეს მართლაც შენი ბედისწერაა.

მამია – მაინც დავდგამ „ოიდიპოსს“.

დადა – საცოდავო, შენ პირველი იტყოდი უარს, მწარე სი-მართლე რომ იცოდე.

მამია – შენი არ მჯერა.

დადა – გთხოვ, დამიჯერე და აქედან სამუდამოდ გადაიკარგე.

მამია – არსად არ წავალ.

ბუბუსია – გვითხარი, გველო, ასეთი რა ჩაიფიქრე.

დადა – მაშინ სიმართლეს შენ ახდი ფარდას. მზად ხარ ამისთვის?

ბუბუსია – მზად ვარ, ოღონდ ამ ტანჯვას მოელოს ბოლო.

დადა – ინტერნეტს კარგად უნდა ფლობდე, გუმანითა ვგრძნობ.

ბუბუსია – იმაზე კარგად ვიდრე თქვენ ფიქრობთ.

დადა – ჩემი, მამიასა და ამ მოხუცის დაბადების ადგილი ნახე, ამოიწერე დაწვრილებით მისამართებიც.

ბუბუსია – სულ ეგ არის?

დადა – ვაი, რომ სწორედ იქ იწყება ცოდვის სათავე.

(ბუბუსია გადის)

რეზო – გული ცუდს მიგრძნობს.

დადა – რაც უკვე მოხდა იმას უკან ვერ დავაბრუნებთ, ფილოსოფოსი ბრძანდებით, მიკვირს.

რეზო – სწორედაც ჩემმა განჭვრეტის ნიჭმა მიკარნახა ეს საღი აზრი.

მამია – თუნდაც სიზმარში მქონდეს ცოდვები, მზად ვარ ყველაზე პასუხი ვაგო.

დადა – ნეტავ, სიზმარი ყოფილიყო ჩვენი შეხვედრაც.

(შემოდის ბუბუსია)

მამია – რატომ ხარ ასე გაკვირვებული? (ბუბუსიას).

დადა – ოოო, ჯერ სადა ხართ... შფოთვა და გვემა წინ გველის ყველას.

მამია – იქნებ აგვიხსნა რა წერია მაგ ფურცელზე?

ბუბუსია – თურმე ოთხივეს ერთ ქალაქში და ერთ ქუჩაზე გქონიათ ბინა.

რეზო – რაო? რას ამბობ? ნემიროვიჩ-დავჩენკოს ქუჩა? ეს იყო ჩემი დაბადების, ყრმობის ადგილიც.

მამია – ჩემიც.

დადა – და ჩემიც.

რეზო – რა ნომერში ცხოვრობდი, შვილო? (მამიას).

მამია – ცამეტში, რიცხვი მართლაც თარსია.

რეზო – რას ამბობ, ნუთუ შენ ამბროსის ვაჟიშვილი ხარ.

დადა – ეს, სამწუხაროდ, სიმართლეა.

რეზო – როცა შენ გაჩნდი, მამაშენის გვერდით ვიდექი.

დადა – ეჲ რა იცოდა საბრალო ამბროსიმ მაშინ...

რეზო – მამაშენის მაშინდელი ნათექვამიც მახსოვს.

მამია – რაო, ასეთი განა რა თქვა?

რეზო – ეს ბიჭი ყველას ან დაგვაქცევს, ან აგვაშენებს, გული მიგრძნობსო.

მამია – დაიწყეთ, გისმენ, მოუთმენლობამ ხელი დამრია.

დადა – სოფელი, სადაც მე გავჩინდი.

მამია – მგონი, ძალიან შორიდან იწყებ.

დადა – შენ თუ არ გინდა, სულ გავჩუმდები.

მამია – არა, მე ჩემზე მინდა მიამბო.

დადა – ჩემი ამბავი შენთან ისე გადახლართულა...

მამია – ერთი სული მაქვს ყველაფერი გავიგო მალე.

დადა – შავი, შავტუხა მაყვალივით გოგო ვიყავი, და სახე-ლადაც მაყვალა მერქვა.

რეზო – ნუთუ ეს შენ ხარ?

დადა – მე ვარ, რევაზ, ეს ჩემი თვალის ფერი არ არის, მწვანე ლინზებით ვუმზერ სამყაროს დიდი ხანია.

რეზო – ის გიშერივით შავი თმები რაღა უყავი?

დადა – ეჲ, თმა სადა მაქვს, თანაც შავი და გიშრისფერი, არც ეს გეგონოს ხელოვნური, ნამდვილი თმაა.

მამია – რა პარიკა?

ბუბუსია – არადა თმები მშურდა მისი ყველაზე მეტად.

დადა – უნდა შეგეძლოს შენი ნაკლის ისე დაფარვა, რომ გარშემო ვერვინ მიხვდეს.

დადა – გაგახსენდა წარსულის წლები?

რეზო – იმაზე მეტიც, რაც რომ უნდა გამხსენებოდა.

მამია – რა რებუსებით ლაპარაკობთ, იქნებ ამიხსნათ ბოლოს და ბოლოს?

რეზო – რას ვიფიქრებდი, საცოდავი ამბროსის სიტყვა თუკი ასე გამართლდებოდა.

მამია – რომელი სიტყვა?

რეზო – ან დაგვაქცევს, ან აგვაშენებს, გაჩნდი თუ არა პირველი ეს თქვა, აკი გითხარი.

მამია – დაქცეულია, როგორც ვხვდები.

რეზო – საბრალო ამბროსის, ნუთუ სიმართლეს ფარდა ეხდება.

დადა – მე და ამბროსის შევიყვარდა ერთმანეთი თავდავიწყებით.

რეზო – მე გახლავართ ამ ამბის მოწმე.

მამია – როგორ? თქვენ შორის სხვაობა ხომ დიდი იყო?

დადა – ასაკს გულიხმობ? უფრო ნაკლები ვიდრე ჩემ და შენ შორის არის.

მამია – ეს უნდა გეთქვათ? ეს არის ჩემი უბედურება?

დადა – არა, ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი ამბის.

დადა – ჩვენს დიდ სიყვარულს, რა თქმა უნდა, ორთავ ვმალავდით, მას ცოლი ყავდა, პატარა ვაჟიც, და თანაც არ დაგავიწყდეთ, ეს ხომ ქალაქი ქუთაისია.

ბუბუსია – არც თბილისშია რამე სხვაგვარად, აქაც არ სძინავთ ბოროტ ენებს და გველებივით ასავსავებენ.

დადა – (რეზოს) გახსოვს ის დღე?

რეზო – მახსოვს და ნეტავ დამვიწყებოდა.

დადა – გამთენისას ვაცილებდი ჩემი სახლიდან, სიყვარულისგან და ვნებისგან ქანცგაწყვეტილს.

რეზო – ეჰ, ძმაო ამბროსს, რა იცოდი წინ რა გელოდა.

დადა – „რამდენიმე დღით სხვა ქალაქში გავემგზავრეო“, დაუტოვა წერილი ცოლ-შვილს.

რეზო – ამბროსი მაშინ ისეთ ფორმაში იყო, თავად კენტავრსაც შეშურდებოდა.

დადა – განშორების დრო მოახლოვდა... სიფრთხილეს თავი არ სჭირებო, ჩემი თავშალი მოიხურა, წელში მოხრილმა, თითქმის ფარავდა თავშალი ჯოხზე დაყრდნობილს, ის გარდასახვის ოსტატი გახლდათ.

მამია – აი თურმე საიდან მოდის ჩემი ლტოლვა თეატრისადმი.

დადა – აქ გავჩერდები, ისე ავღელდი, თითქოს იგივე ამ წუთებშიც განმეორდება.

რეზო – მე გავაგრძელებ, ცოდნა ესეც, სუნთქვა შეკრული ელოდება თავის განაჩენს, გაგახსენდება მამაშენს თითქოს საჩუქრად ჩამოეტანოს შენთვის ველოსიპედი.

მამია – რატომ „თითქოს“? 13 წლისა ვიქნებოდი, დღევანდელი დღესავით მახსოვს.

დადა – არც მაშინ გამგზავრებულა, გადაადგილდა მხოლოდ ქუჩის ბოლოში ჩემთან.

მამია – რა კავშირი აქვს ველოსიპედს ამ საქმესთან, იქნებ ამიხსნათ.

რეზო – იმ დაწყევლილ დღეს შენ შეასკდი საკუთარ მამას.

მამია – მამას? ასეთი არაფერი არ მახსენდება. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მოხუც ქალს დავეჯახე და წავაქციე,

შეშინებული მყისვე სახლში გამოვიქეცი და მას შემდეგ დავი-
ვიწყე ველოსიპედი.

უფრო სწორედ, კი, იმ დღეს მამა გარდამეცვალა და საკა-
ტაოდ აღარ წავსულვარ.

დადა – უბედურო, შენ მოჰკალი მშობელი მამა.

მამია – ეს ტყუილია, მამაჩემი ძირს დავარდნილი ნახეს
ქუჩაში, გულმა უმტყუნა, როცა ოჯახში მოიჩეაროდა.

დადა – ეს შენ გგონია რომ მოხუც ქალს გადაუარე, მოხუცი
ქალის სამოსელში ამბროსი იყო, აკი გითხარი.

მამია – რაო, რას ამბობ, მამა მოვკალი?

რეზო – გეუბნებოდი, არ გინდა-მეთქი სიმართლის ცოდნა.

მამია – შენ ეს იცოდი? მერედა რატომ არ განაცხადე?

რეზო – ამბროსის ხსოვნას ვეცი პატივი.

მამია – მე კი მამის მკვლელს ამხელა ტვირთის ზიდვა მარ-
გუნე.

რეზო – ეს ამბავი ჩვენ ორს გარდა არვინ იცოდა, საწყალი
ამბროსი დიდხანს იგლოვა ერთგულმა ცოლმა.

მამია – ვაიმე მამა, ეს რა მესმის, ის ქალი მახსოვს, ძირს
რომ გაგორდა... მამაჩემიც იმ დღეს მოვდა...

დადა – ქვაზე დაარტყა თავი საბრალომ, მყის მასთან
გავრჩდი, მაგრამ უკვე მიბარდა პატრონს.

მამია – ეს რა მესმის, რატომ გავრჩდი ასე ბედკრული ან შენ
რად შეგხვდი, განა ეს ცოდვა არ მეყოფოდა?

დადა – მეც გვიან მივხვდი ყველაფერს.

მამია – კიდევ კარგი რომ ყველაფერი არ გადმოვიდა ჩემზე
იმ ცოდვის.

ბუბუსია – ასე გგონია? რომელი ცოდვის?

მამია – ოიდიპოსის.

დადა – თუ დაფიქრდები, არც ისე შორს ხარ მაგ ცოდვისაგან,
დედად გერგები.

რეზო – ეგ მართალია.

მამია – ახლა რაღა ვქნა, როგორ ვიცხოვრო. შენ რას აპირებ? (დადას)

დადა – მე მონასტერში მელოდებიან.

ბუბუსია – ეგ სიკვდილს უდრის ალბათ შენთვის.

დადა – არა, უფრო მეტს. (გადის)

რეზო – ახლა მესმის მისი ტანჯვა-წამების.

მამია – ნუთუ დამთავრდა ყველაფერი, სადა ხარ, დადა?

ბუბუსია – დადა წავიდა, იქნებ იქ მაინც მოინანიოს ავხორცი წლები.

მამია – შენ სად ხარ, ბუბუ? ხმა მესმის შენი, მაგრამ ვერ გხედავ.

რეზო – ხომ კარგადა ხარ?

მამია – ვერც თქვენ ვერ გხედავთ, რეზო, გამოჩნდი.

რეზო – ხუმრობ თუ რას გაგს შენი სიტყვები?

მამია – ასე რად ბნელა, ვინ გამორთო ახლა სინათლე? აკი ამბობდით, რომ ყველაფერი გადახდილია...

ბუბუსია – ოი, საბრალო, მართლა ვერ ხედავ?

რეზო – ისევ შაქარმა აუწია გუშინდელივით?

მამია – ვერაფერს ვხედავ, ნუთუ დაგბრმავდი?

ბუბუსია – ახლა სიბრმავე უფრო შვენის შენს ტანჯულ ყოფას.

რეზო – ბედნიერი შენი მშობლები, შენს ასეთ ტანჯვას რომ არ მოესწრენ.

ბუბუსია – ხელი მომეცი.

მამია – შენა ხარ, ბუბუ?

ბუბუსია – მე ვარ, მამია. გძინავს, თუ რა გჭირს.

(გარემო ისევ ჩვეულებრივია, მამია თვალს მოავლებს იქაურობას).

მამია – რა იყო, ხდება რამე?

ბუბუსია – კიდევ ერთხელ გეკითხებით, ვინ არის თანახმა დაელოდოს დიდ არტისტს, მე პირველი ვწევ ხელს.

(ბუბუსია ხელს ასწევს, დანარჩენებიც თანამიმდევრობით, დიდხანს არიან ჩუმად ხელებაწეულნი და ყველანი მამიას მის-ჩერებიან. ბოლოს მამიაც ასწევს ხელს),

მამია – კარგი, დღეს საკმარისია, დავიშალოთ.

(ყველანი გადიან, გზაში რეზო ეკითხება მამიას).

რეზო – გავიგე თქვენც ქუთაისიდან ყოფილხართ წარმო-შობით...

იცით, კიდევ ვინ არის ქუთაისელი? (ხმა იკარგება).

2007 წ.

სტალინის
სანუკვარი
სარდაფი

პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ნინო – ოჯახის დიასახლისი, 35-40 წლის

ვახტანგი – ნინოს მამა.

კოთე – ნინოს მეზობელი 50 წლამდე

პიპასო – კოტეს მეგობარი

დათო – ჯარისკაცი

გუბა – ნინოს ვაჟი

ტონის – ხანში შესული ქალბატონი, ყოფილი პედაგოგი

ერლომი – მოხუცი მწერალი

ურნალისთი

ოპერატორი

პირველი მოქმედება

პიესას საფუძვლად უდევს რეალური ისტორიები.

სცენა წარმოადგენს საცხოვრებლად გადაკეთებულ სარდაფს, რომელსაც ზემოთ ასასვლელი კიბე აქვს, კიბესთან ახლოს კი, თითქმის ჭერთან – პატარა ფანჯარა.

სარდაფი საშუალო ზომისაა – დაბალჭერიანი, ბუხრით, სა-დაც დგას ტახტი, მაგიდა სკამებით, კომოდი, წიგნის თაროები ბევრი წიგნით და ტელევიზორი.

დიდი ეკრანი დამონტაჟებულია ავანსცენაზეც, სადაც შემდეგ იგივე გამოჩენდება, რაც ტელევიზორში.

ოთახს გვერდით კედლებზე, საძინებლებში გასასვლელი კა-რები აქვს. სიღრმეში, უკანა კედლის მიღმა, სამზარეულოა.

* * *

ორმოც წლამდე ასაკის სიმპათიური ქალი (ნინო) ადგილს ვერ პოულობს, ბოლთას სცემს. საძინებლიდან ისმის მოხუცი კაცის ძლიერი სპაზმური ხველა. ნინო დროდადრო კიბეზე არბის და ცაში იყურება, შორიდან ისმის თვითმფრინავების გადაფრენისა და დაბომბვის ხმები. ნინო ტელევიზორს რამდენვერმე ჩართავს. და გამორთავს. ისმის შიშინი, მაუწყებლობა გათიშულია. ტელე-ფონს ეცემა, არც ის მუშაობს, არც მობილური. კომოდის უჯრას

გამოაღებს და იქიდან რაღაც საბუთებს ამოყრის, ჩანთაში ჩატენის. სამკაულების პატარა ყუთსაც მთლიანად ჩანთაში ჩაუშვებს, საყურებს და ბეჭდებსაც მოიხსნის და იმასაც ჩაყრის. (თითქოს სადღაც გასაქცევად ემზადება). დაბომბვის ხმები უფრო ახლოვდება. ნინო საძინებლებში ჩუმად შეიხედავს. მერე ისევ ჩანთას ეცემა, კიდევ დაამატებს რაღაცებს, როგორც ჩანს, სურათებსაც, მექანიკურად იწყებს დათვალიერებას. (სახე წამით გაუნათდება). ჩანთა ისეა გატენილი, რომ აღარ იკეტება.

– „ჩათლახები!“ – გაისმის მეორე ოთახიდან მოხუცი კაცის (ვახტანგის) ხმა. ნინოს რეაქცია არა აქვს, აგრძელებს ჩანთაში ნივთების ჩალაგებას.

– ნინო! – გაისმის ხმა ზემოდან.

ნინო – ხო, ბატონო კოტე?..

კოტე (ჩამოდის კიბეზე) – ეს რა ხდება, კაცო, ეს რა ხდება?

ნინო – არ ვიცი, ბატონო კოტე, არაფერი არ ვიცი. აქ არიანო, ქალაქის მისადგომებთან. თქვენც გაიგეთ?

კოტე – მისადგომებთან კი არა, რა ვიცით, იქნებ უკვე შემოვიდნენ... ჩაირთო ტელევიზია?

ნინო – არა!

კოტე – არც შენი მობილური იჭერს?

ნინო – არა, ყველაფერი გათიშულია.

– „ჩათლახები!“ – გაისმის მეორე ოთახიდან მოხუცი კაცის (ვახტანგის) ხმა.

კოტე – ვაა..

ნინო – ნუ მიაქცევ ყურადღებას, ეს ერთი სიტყვა აქვს აჩემებული.

კოტე – ჰმ, შენი მდგმურები სად არიან, წავიდნენ?

ნინო – კი, გუშინ სპეციალური რეისით გაფრინდნენ.

კოტე – მაგათ რა უჭირთ, ასეთ დროს არც ერთი ნორმალური ქვეყანა თავის მოქალაქეებს არ ტოვებს... მერე ვერ წაგიყვანეს შენც?

ნინო – გვეპატიუებოდნენ, ბავშვსაც კარგ სკოლაში შევიყვანთო...

ქოტე – ენა ხომ იცის კარგად?

ნინო – როგორც ესენი ამბობენ, პრობლემა საერთოდ არაა აქვს.

ქოტე – ამ ასაკში ნასწავლი სულ სხვაა. დაბრუნდებიან?.. თუმცა...

ნინო – არა მგონია. ისე კი მეც დავიღალე, აქ არ შეიძლება ცხოვრება, ბავშვი, მოხუცი. როცა გავაქირავე, მაშინ მამაჩემი არ იყო ჩავარდნილი. სარდაფი მაინც სარდაფია.

ქოტე – სარდაფი ეძახე შენ და ცოტა ხანში შეიძლება ყველაზე საჭირო ადგილი გახდეს.

ნინო – აბა?! დღეს ვაპირებდი ზემოთ აბარებას. ანანოს ოთახიდან არაფერი არ წაიღეს, ისევე დაუტოვეს, როგორც მაგათ ბავშვებს ჰქონდათ. სათამაშოებით, კომპიუტერით, ავეჯით... ისეთი სილამაზეა, სად ახვალ?!.. (ისმის დაბომბვის ხმა ახლოს).

– „ჩათლახები!“ – ისმის მეორე ოთახიდან მოხუცი კაცის (ვახტანგის) ხმა.

ქოტე – რამდენის არის ანანო?

ნინო – ხუთის.

ქოტე – ის ბავშვებიც მისი ასაკის არიან თითქმის, არა?

ნინო – მარკი შვიდის გახდა, ჰილარი ოთხის.

ქოტე – ოჳ, გოგო განსაკუთრებით არაჩვეულებრივი ბავშვია, ქართულად რომ ესალმება ყველას...

ნინო – ჰო, ძალიან სასაცილო ვინმეა. ფაქტობრივად ერთად გაიზარდნენ, ქართულად უფრო კარგად ლაპარაკობს ვიდრე ინგლისურად. ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს... სტივენი ალბათ დაბრუნდება, ის ხომ წითელ ჯვარშია.

ქოტე – რამდენი წელია, რაც აქ არიან?

ნინო – სამი, უფრო სწორად სამი წელი და შვიდი თვე. ისე, ექვსი წელია რაც საქართველოში ცხოვრობენ, ჰილარი აქ დაიბადა.

კოტე – შენი საქმეები ხომ მოაგვარე?

ნინო – კი, სესხი დავფარე, გუგას სწავლის ფულიც ბოლომდე გადახდილი მაქვს. ამათ სამსახურიც მიშოვეს.

კოტე – გუგა, გუგა.... რამდენი ხანია აღარ მინახავს.

ნინო – კიდევ კარგი, რომ აქ არ არის, თორემ ჭკუიდან შევიშლებოდი. მაგასაც წაიყვანდნენ ალბათ არა?

კოტე – აბა რას იზამდნენ?

ნინო – თქვენი გია უკვე კაცია, რომ შეხედავ... ეს ჰმ?!.

კოტე – ესეც ბავშვია, ისეთ მესიჯებს მიგზავნის (ხელს ჩაიქნევს) კიდევ კარგი დედამისი არ მოესწრო ამ ამბავს. ერთი თვის წინ პირველად ნახა ავტომატი ახლოდან, რა იცის ან ბრძოლის, ან ომის...

ნინო – ის იქიდან უნდა ნახოთ, რას იქადნება – მაგათ ამას ვუზამთ, იმას ვუზამთ... კიდევ კარგი, კიდევ კარგი, რომ აქ არ არის, თორემ რა დააბამდა მაგას.

კოტე – სამსახურზე რას ამბობდი?

ნინო – ამათ მიშოვეს. ჩემმა მდგმურებმა.

კოტე – უცხოელებთან?

ნინო – ჰო, ძიძად, ფრანგები არიან, ტყუპი გოგონები შეეძინათ, იმ კვირიდან უნდა დამეწყო. (ისევ ახლოს ვარდება ჭურვი) სტივენმა დამიბარა, დროშა არ ჩამოხსნა, წითელ ჯვარს არ დაბომბავენო....

კოტე – რუსებისთვის არც წითელი ჯვარი არსებობს და არც თეთრი. რა უნდათ აქ, რაა, კონფლიქტის ზონიდან 60 კილო-მეტრით ვართ დაშორებული, აქ სად მოდიან?

ნინო – არ ვიცი, ვერაფერს ვეღარ ვხვდები. რა, მართლა დაგვბომბავენ?

კოტე – არა, ნუ გეშინია, ალბათ წითელ ჯვარს მაინც არ ესვრიან, 21-ე საუკუნეა ბოლოს და ბოლოს. ოცდამეერთე!

ნინო – ხო, მეც მაგის იმედი მაქვს. მაგრამ სად არიან? სანამ სათითაოდ არ ამოგვხოცავენ, იქამდე არ გამოიბერტყავენ ყურებს.

პოტე – ნახე, იქნებ ჩაირთო?

ნინო ტელევიზორს ჩართავს, ისევ გათიშულია)

ნინო – გიასთან არ ირეკება?

პოტე – არა, ყველანაირი კავშირი გაწყდა?

ნინო – როგორ? ომია! როგორ შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს.

პოტე – შეიძლება სარდლობას აქვს კავშირი. მაგრამ ჩვენ...

ნინო – კიდევ კარგი საერთაშორისო რეისები შეწყდა თორემ, რა ვიცი რა მოუფრივინებს თავში ამ ჩემს სულელ ბიჭს.

პოტე – შეწყდა, ხომ?

ნინო – უკვე ერთი კვირაა მარტო სპეც-რეისები დაფრინავენ. მანამდეც, სანამ ეს ამბავი დაიწყებოდა, სტივენი სულ ამბობდა, უცხოელები მიდიანო, გრძნობდნენ, რომ რუსეთი რაღაცას ამზადებდა...

პოტე – ისეთი მასიური ანტიქართული პროპაგანდა მიდიოდა თურმე რუსეთის ყველა არხზე... მაგათ ჩვენზე მეტად ეშინიათ რუსების.

ნინო – თქვენ ისევ იქ მუშაობთ, ბატონო კოტე?

პოტე – არა, სადღაა ჩემი სამსახური, მეგობარმა წამიყვანა, ავეჯის ცეხი აქვს და ვეხმარები. ჩემი სამსახური?!.. სასტუმროდ გადააკეთეს.

ნინო – რად უნდათ ერთი გამაგებინა ამდენი სასტუმრო, ამდენს ვის ელოდებინ.

პოტე – შენი ქმარი ისევ ამერიკაშია?

ნინო – კი, იქ ბრძანდება. თავისთან ეპატიუებოდა შვილებს ახალი ძმის გასაცნობად.

პოტე – რა ყოფილა ცხოვრება?.. მაგას ვერასოდეს ვერწარმოვიდგენდი. ცოლი ამერიკელია?

ნინო – არა, ქართველი. ისიც მასავით სამუშაოდ იყო გადახ-ვეწილი უცხო ქვეყანაში.

პოტე – ასეა, ტყუილად კი არ არის ნათქვამი – თვალი თვალს რომ მოსცილდება.. ასეა ასე...

ნინო – მავის დარდი სულ აღარ მაქვს, მით უმეტეს ახლა. (დაბომბვის ხმები ისევ ისმის, ამჯერად უფრო ახლოს და უფრო ძლიერად. ნინო წამოხტება და საძინებლებში შეიხედავს).

პოტე – ოხ, ამათი დედები... ესენი ვინ არიან? ესენი ვინ არიან?

ნინო – რა გვეშველება, ბატონო კოტე? რა ვქნათ? რამე მითხარით...

პოტე – რა უნდა ვქნა, იარალი მე არა მაქვს... ვუთხარი, მე წამიყვანეთ-მეთქი, გიაზე მეტს ვეღარ ვიზამდი? დაჭრილებს მაინც გამოვიყვანდი ან საჭმელს მივუტანდი, რა ვიცი რა დღეში არიან. ასე გულზე ხელდაკრეფილი ვიჯდე და ველოდო როდის შემოვლენ და ტყვედ როდის ამიყვანენ? ბოლოს რომ ველაპარაკე, ცხინვალის მისადგომებთან ვართო, ორ დღეში ყველაფერი მორჩებაო... აბა თუ მორჩება... ახლა იწყება ყველაფერი.

(ისევ ისმის ძლიერი დაბომბვის ხმები).

ისეთი ხმაა თითქოს აქ ჩამოინგრა.

– ვახ ამათი დედა... (ისმის გინების ხმა და სარდაფში მტკრის ბერტყვით ჩამოდის კოტეს ასაკის კაცი პიკასო).

ლადო – მე ამათი დედა... ისვრიან, სად ისვრიან? ვის ესვრიან, მე ამათ დედას შევეცი...

პოტე – პიკასო, შენა ხარ? ბიჭო, დაჭრილი ხომ არ ხარ?...

პიპასო – არა, არა ვარ, ამათი დედა...

პოტე – ხო, კარგი, ნუ იგინები, მარტონი ხო არ ვართ?!

პიპასო – ნინო, ბოდიში შენთან, ეხლა კიდე ზრდილობა მომთხოვე რა, შენც იცი ხოლმე...

ნინო – რა ხდება? ცენტრში ხომ არ ყოფილხართ?

პიპასო – არაფერი არ ხდება. კაციშვილის ჭაჭანება არ არის. ჩემი ძმისშვილია ჩამოსული, რატის გოგო ხო ჟურნალისტია და იმას ვეძებ, ვნერვიულობ, გამოსირებულმა ჩემმა ძმამ აქ როგორ გამოუშვა...

პოტე – რას იზამდა, სამსახური, რეპორტაჟი ცხელ წერტილში.

პიპასო – მაგასაც შევეცი და მაგის ცხელ წერტილსაც. ბავშვი აქ როგორ გამოუშვა? იმის მერე ვრეკავ და არ პასუხობს.

ნინო – გათიშულია ყველგან... ჩაის ხომ არ დალევთ?

პიპასო – არა, ჩაის არა, მარა ერთ ჭიქას თუ რამეს ჩამარტყმევინებ, ჩემო დაიკო, თორემ ნერვები დაწყვეტაზე მაქვს...

კოტე – ოოო, სხა დროს, ხო წვეთს არ ეკარები...

(ნინოს კონიაკი მოაქვს და ორი ჭიქა. ხელები უკანკალებს. ასხამს).

კოტე – მე არ მინდა, არ დამისხა.

პიპასო – დაასხი, დაასხი.

კოტე – არ მინდა-მეტქი.

პიპასო – არ გინდა, ნუ გინდა.

(ჯერ თავისას გადაკრავს).

პიპასო – გაგვიმარჯოს. (მერე კოტეს ჭიქას აიღებს). ბიჭო, აქ ხომ დავდიოდით ბავშვობაში, რა საკაიფოდ გაგიკეთებიათ.

ნინო – ზემოთ გაქირავებული მქონდა... დროებით აქ ვართ.

პიპასო – მე და შენი ძმა სულ აქ ვიყავით შემომძვრალები და ესეც არ გახსოვს, ბიჭო?

კოტე – როგორ არ მახსოვს, შტაბი მქონდა...

პიპასო – დაიცა, რას ეძახდნენ ამას? სტალინის სარდაფი, არა? რატო ეძახდნენ, ტოო...

კოტე – რა ვიცი, ასე ამბობდნენ...

პიპასო – ვაა...

(მოშინაურდება. სროლა შეწყდება. ქურთუკს გაიხდის, ჯიბიდან იარაღს ამოიღებს და მავიდაზე დებს. ოთახს ათვალიერებს).

პიპასო – რა პონტში ეძახდნენ სტალინის სარდაფს?

ნინო – რა ვიცი, როგორც მამაჩემი ამბობდა, აქ ადრე სხვა სახლი მდგარა, პატარა და რაღაც დროს კეკეს თავის შვილთან ერთად აქ უცხოვრია.

პიპასო – ვაა, მართლა, ტოო? მე მეგონა ისეთ პონტში, პროსტა ეძახდნენ.

კოტე აიღებს პიკასოს იარაღს და ათვალიერებს).

პიპასო – იქით ოთახები გაქვთ?

კოტე – მხატვარ კაცს რათ გინდა ეს, იმის მაგივრად ფუნჯი გეჭიროს... მომეცი მე.

პიპასო – თუ ძმა ხარ რა (გამოართმევს და ჯიბეში ჩაიდებს. სროლა შეწყდება) რაც შენი ძმა გარდაიცვალა აქ აღარ ვყოფილვარ... რამდენი წელია, ტოო?

ნინო – ოჳ, რა ვიცი, 30-ზე მეტი.

პიპასო – აზრზე ხარ, აი აქ გვეონდა შტაბი. (შეიხედავს).

ნინო – მანდ მამაჩემი წევს.

(თითქოს შესვლას დააპირებს).

პიპასო – სხვა დროს ვნახავ.

პიპასო – არა, არა აქვს აზრი, გათიშულია.

პიპასო – დიდი ხანია?

ნინო – მეორე წელია.

პიპასო – ვაა, ისე სულ ამ ახვრის ბრალია ეს ყველაფერი.

კოტე – კაი ერთი რა?

პიპასო – რა კაი, ერთი მაგის ცოდვებისგან ვეღარ გავთავისუფლდით. (მაგარი დაბომბვა) კიდე სული რო გვიდგას... მაგის დედას შევეცი...

ნინო – ვაიმე, რა გვეშველება?

პიპასო – ჩვენ არაფერი არ გვეშველება. სტალინის სარდაფიო, ტოო, მე მეგონა ისე, პროსტა ერქვა.

კოტე – მე რაღაც მახსოვს, თითქოს აქ რაღაცებიც უპოვნიათ?

პიპასო – რა უპოვნიათ?

ნინო – საძირკველს რომ თხრიდნენ, ამ სახლს რომ აშენებდა პაპაჩემი... რა ვიცი, რაღაც ჯამები და მუზეუმში წაიღეს.

კოტე – ან იქნებოდა კეკესი, ან არა...

ნინო – ხო, ეგ ვინ იცის...

პიპასო – ესე იგი სახლი მერე აშენებულა.

ნინო – კი პაპაჩემბა ააშენა...

პიპასო – ერთი დიდი ბომბი დაეცეს რა მაგის ძეგლსაც, არ შეიძლება?

პოტე – ახალს წამომართავენ. არ იცი აქაურების ამბავი?

ნინო – ვაიმე, რა გვეშველება.

პიპასო – არაფერი, სანამ ჩვენი თაობაც არ დაიბრიდება, არაფერი.

პოტე – ოხ, შენი ჭირიმე, როგორ იცი ხალხის დამშვიდება?!

პიპასო – ვაა, ეგრეა, აბა რა გინდა. (სროლა შეწყდება) წავედი.

(მიღის)

პოტე – სად წახვედი?

პიპასო – ჩემი ძმისშვილი უნდა ვიპოვო, მგონი აღარ გვბრიდავენ.

(ნინო და კოტე დიდხანს სხედან ჩუმად, უხერხული სიჩუმეა)

ნინო – როგორი ნიჭიერი ბიჭი იყო არა?

პოტე – გადაყვა სმას.

ნინო – მგონი საზღვარგარეთ იყო არა წასული?

პოტე – კი, ესპანეთში. კარგად იყო სხვათა შორის, მაგრამ ვერ გაჩერდა...

(ისევ ისმის ძლიერი დაბომბვის ხმა).

– არის აქ ვინმე? (ისმის ზემოდან ხმა), – ჩქარა, მომეხ-მარეთ!

(კოტე აირბენს კიბეზე. ნინოც მიჰყვება. ისმის სროლის და ყვირილის ხმები. ცოტა ხანში კოტეს და ნინოს დაჭრილი ჯარისკაცი (დათო) ჩამოჰყავთ).

დათო – ეე, ბიჭო, იარაღი დამიტოვეთ!

(როგორც ჩანს, თავის მევობრებს გასძახებს. ნინო აირბენს და ავტომატს ჩამოუტანს).

დათო – იცოდეთ, დროზე მოდით!! (დათოს ტახტზე მიაწვენენ).

დათო – აა, ნელა!! უხ შენი...

კოტე – ნინო, ჩქარა, სპირტი, ბამბა... რაც გაქვს, მოიტანე ყველაფერი.

ნინო – ახლავე! /გადის და ყუთით შემოაქვს აფთიაქი/ ყველაფერია აქ. ეს იმათ დამიტოვეს. (მდგმურებზე მიანიშნებს).

კოტე – გაიხადე ეგ შარვალი. რა გქინა ბიჭო?

დათო – დათო. არა, არა ბიძაჩემო, გახდა არ მინდა! ქვემოდან ამიწი.

კოტე – აქაც სისხლის ლაქა გაქვს /აჩვენებს ბარძაყზე/.

დათო – ეგ ძველია, ეგ ეტყობა – სიარულში...

კოტე – ჰოდა, მერე ასე არ შეიძლება.

დათო – არა-მეთქი რაა, ქვემოთ გადამიხვიე თუ შეგიძლია, თუ არა და იყოს, მაგის დედაც!

კოტე – ხო, კარგი, კარგი. /გახდის ბათინქს და ჭრილობების დამუშავებას იწყებს/. ნინო, თბილი წყალი მომიტანე.

დათო – ბიძაჩემო, უთხარით თქვენ ცოლს დასალევი წყალიც წამოაყოლოს.

კოტე – ნინო, წყალი!

ნინო – (დაბნეული შემობრუნდება) ჰო, ახლავე, ვათბობ.

კოტე – დასალევი წყალი უნდა.

(ნინო იქვე მაგიდიდან მიუტანს წყალს, დათო დალევს).

დათო – ერთი ტელევიზორიც ჩართეთ, რა.

(დათოს სახეზე ეტყობა, რომ ძალიან სტკივა, მაგრამ თავს იკავებს).

(ნინო ჩართავს ტელევიზორს, ისევ შიშინებს)

დათო – რა ხდება, კი მაგრამ, ამათი დედები! (მუშტს დასცებს ტახტის სახელურს).

კოტე – ვეცდები პირველადი დახმარება გაგიწიო, თუ არადა ჰოსპიტალიც აქვეა.

დათო – სადღაა, ბიძაჩემო, ჰოსპიტალი? დაბომბეს.

ნინო – რაა? როდის?

დათო – იქიდან მოვდივარ, ბიჭებმა მიმიყვანეს, მაგრამ იქ იმისთანები წვანან, მე რა მიჭირს, ადგილებიც აღარ არის!

კოტე – შენ მართლა არაფერი გიჭირს... მოდი ბარემ ესეც
დალიე.

(მიაწვდის აბებს).

დათო – ეს რა არის?

კოტე – არაფერი ისეთი, ეს ტკივილგამაყუჩებელია და ეს
დასამშვიდებელი.

დათო – ეს არ მინდა.

(მიაწვდის უკან დასამშვიდებელს).

კოტე – ჰო, კარგი, რა ხართ, რა ხართ ეს ბიჭები.

ნინო – ბატონო კოტე, მშვენივრად გცოდნიათ ეს საქმე.

კოტე – მე?.. ჯერ ორი წელი რუსების ჯარში ვარ ნამსახურები
ტიუმენში, მეორეც, აფხაზეთის ომი აგერ არ იყო?

დათო – აფხაზეთში ომობდით?

კოტე – ხო, იმას თუ ომი ერქვა, ძალლი პატრონს ვერ
სცნობდა.

დათო – ოო, აქ ხო ყველაფერი ისეა, ჰმ... ფუ ამის დედაც,
ტელეფონზე ვერ დამირეკია, დედაჩემს ალბათ დაბრედილი
ვგონივარ.

კოტე – ვიცი, ვიცი, მეც ყოველდღე მაქვს კავშირი ფრონტის
საზთან.

(ნინოს თასი შემოაქვს და იქვე სკამზე დგამს).

ნინო – გასადილებთ, არ გინდათ?

დათო – არა.

ნინო – მაშინ, ჩაი ბუტერბროდით?

დათო – არა, არა, გმადლობთ, შიმშილით ნამდვილად არ
მშია.

კოტე – რბილ ნაწილშია ტყვია გასული, გადარჩენილხარ,
არტერიაში რომ არ მოგხვდა...

დათო – აუუ.. აბა, ნახეთ რა, ტელევიზორი ხო არ ჩაირთო?

(ნინო სახლის ტელეფონსაც და მობილურსაც ამოწმებს,
ტელევიზორსაც ჩართავს.)

დათო – რა უნდოდათ, რატომ გამოგვიყვანეს უკან, როცის გვირაბთან ვართო, ბიჭებმა. ჩავაეტავდით იმ გვირაბს და მერე რა ჩემ ფეხებს იზამდნენ?

(გადაფრენის ხმა ისმის).

პოტე – შენ ცხინვალთან ხომ არ იყავი?

დათო – არა, ცხინვალს კოჯრის „სპეცნაზი“ უტევდა.

ნინო – ჰოსპიტალში ბევრია დაჭრილი?

დათო – სიები ვნახე. 67 დაღუპულის გვარია გამოკრული.

ჩემები არც ერთი. (პირჯვარს გადაიწერს.) დაჭრილი 500-600-ზე მეტიაო... ის ვერ გავიგე, იქ რა მოხდა. ავიაცია რო გამოჩნდა, ყველაფერი ყველას თვალწინ მოხდა. კასეტური ბომბების ჩამოგდებაც ყველამ დავინახეთ, მერე ატყდა ამბავი, გაუგებრობა 41-ე და 42-ე ბატალიონებთან... მერე ეს რაციებიც გაითიშა... ვერ გავიგეთ, რა მოხდა? ვერ გავიგეთ, რატო იყვნენ იქ, სადაც იყვნენ... ვერ გავიგე, რატო გვითხრეს უკან დაიხიეთო... ერთი თვეა თურმე რუსეთი 58-ე არმიის წერტილის ატარებდა და ეს არის მაგათი საუკეთესო არმია? იმენა კედელზე ავაყუდეთ... კი, ნავოდკები ჩვენც გვქონდა, მაგრამ არტილერიამ იმუშავა, ძმაო?!

პოტე – ხო, ამბობენ ძალიან მაგარი ბიჭები არიანო...

დათო – მაგრები კი არა... ცხინვალი ჩვენი იყო... მერე, ამ ჯავაზეც ერთი გზა შედის და ვსიო. იქ მთელი ერთი ბრიგადით შესვლა იყო საჭირო. ჯავა ისედაც ციხესიმაგრეა... შევიდოდით, ჰა, 1-2 ბრიგადის მოხმარება დაგვჭირდებოდა... რა პონტში დაგვაბრუნეს უკან? მთელი ლამე იმენა არ გვძინავს... ყველა მზადაა, ელოდება ბრძანებას და გადასროლას ჯავისაკენ. ლამე წყდება არტილერიის სროლა. გვეუბნებიან მორჩაო, ვსიო, ყველაფერი მორჩაო... ჩვენც ვიუიქრეთ, ეტყობა სხვა ბრიგადები გადაიყვანეს შეტევაზე, მაგარ გასწორებულში ვიძინებთ, ვსიო-თქო რა, ბიჭები მოუვლიან ყველაფერს და სვალ სალამოთი სახლებში გაგვიშვებენ-თქო... ჩემებსაც ასეთ მესიჯებს ვწერდი სახლში. თურმე რა ხდება, ტოო, ომი დამთავრდა და წავაგეთ

ისე, რომ ბოლომდე არ გვიბრძოლია... ისე გამოგვიშვეს, ჯავაზე ბრძოლაში არ ჩაგვრთეს... რატო მაგის დედა ვატირე? არც ერთი ბრძოლა არ წაგვიგია და ომი წავაგეთ... რატო? რატო? მაგის...

კოტე – ხო, ამბობენ ძალიან მაგარი ბიჭები არიანო. ესეც დალიე, შვილო, დამიჯერე. დასამშვიდებელია, არაფერს არ გიზამს (აწევდის აბს).

დათო – არ გავითიშო, ჩემებმა უნდა მომაკითხონ.

კოტე – გაგაღვიძებთ, ნუ გეშინია, აქ არ დაგტოვებთ.

დათო – ყველა ბრძოლა მოიგეს ბიჭებმა, მე თვითონ ვარ ამის მომსწრე, სხვის მონაჩრახს კი არ გიყვებით...

კოტე – რეზერვისტების ამბავი ხომ არ იცი, ბოლო მონაცემები?

(ნინო კოტეს საფენების გადახვევაში ეხმარება).

დათო – რეზერვისტებზე საერთოდ არა მაქ არანაირი ინფორმაცია, არც სად ვინ ომობდა, ან ვინ რამდენი დაკარგა, ან რამდენი დაიჭრა? ვიცი ის, რაც ყველამ იცოდა: მაგარი დაბნეულები დარბოდნენო...

კოტე – ცხინვალთან რომ დარჩენენ იმათზე გეკითხები, მგონი, ალყაში მოექცნენო...

დათო – ჰო, ეგენი ბოევიკებმა ყველა ჩახოცესო...

ნინო – ახლა ათას ჭორს იტყვიან სანამ ტელეფონები ჩაირთვება.

დათო – ისე, დედას ვფიცავარ, იქ ნაღდად არ იყო ეგეთი პონტი, რო – აუუ, ჩაგვხოცეს რუსებმა! პირიქით, მე ლიჩნად მაგარი ამაყი ვარ იმით, რაც ჩემი თვალით ვნახე.

კოტე – ეგ ამბავი როდის გაიგე?

დათო – რომელი?

კოტე – ცხინვალის რეზერვისტებზე?

დათო – ჩემი ძმაკაცი ელაპარაკებოდა, აი, აქ რო მომიყვანა...

კოტე – ბოლოს როდის ელაპარაკა?

დათო – თუ გადარჩა ვინმე, მაშინ ტყვედ აიყვანდნენ, ეგენი ცოცხალს არავის დატოვებენ (დათოს თანდათან ძილი მოერევა და გაითიშება).

პოტე – დაეძინა, რამე დავაფაროთ.

(ნინოს პლედი შემოაქვს და დათოს გადააფარებს).

ნინო – საწყალი, რა დღეში აქვს ნერვები. რამდენი წლის იქნება?

პოტე – გიაზე სამი-ოთხი ოთხი წლით იქნება უფროსი.

ბავშვები არიან, რა დროს ამათი ომია. (კოტე წამოდგება).

ნინო – მიდიხსართ?

პოტე – გავალ, იქნებ რამე გავიგო, ეს ჯერ არ გაიღვიძებს ისეა დაღლილი.

(დაბომბვის ხმები უფრო ახლოვდება). კიდევ კარგი, შენს გოგოს არ ეღვიძება.

ნინო – „ნაუშნიკები“ უკეთია ყურებზე, მუსიკას უსმენდა და აღარ მოვხსენი. სხვა დროს ვუშლიდი, ახლა მე თვითონ კარგად გავუსწორე ყურებზე, იქნებ ვერ გაიგოს ეს ხმა.

პოტე – ბატონი ვახტანგი?

ნინო – მამაჩემს გონება თითქმის აღარ უმუშავებს, მაგისთვის სულ ერთია, რაც ახლა ხდება, მეც ვეღარ მცნობს.

პოტე – ზოგჯერ ასეთი მდგომარეობა სანატრელი ყოფილა, როცა ყველაფერი სულერთია. გავალ, გავიგო რა ხდება ერთი... (კოტე კიბეზე ადის, მოხუცის ხველის ხმა დროდადრო ისმის).

(ნინო ტელევიზორს ჩართავს

იბომბება ცხინვალის სოფლები – კარალეთი, ქურთა, თამა-რაშენი, და როგორც ახლა ჩემთვის გახდა ცნობილი, ამ წუთებში ბომბავენ გორს, ჩვენს ისტორიულ ქალაქს.

კადრში ჩანს 2008 წლის ომის ცნობილი დოკუმენტური კადრები და კარს მიღმა ისმის დიქტორის ხმა:

დიქტორის ხმა: თქვენ კადრში ხედავთ სი-ენ-ენი-ს მიერ გადაღებულ მასალას, (მსხვილი ხედით ჩანს გორის ცენტრი და სტალინის მონუმენტური ძეგლი)

დიქტორის ხმა:

– რამდენიმე ტყვია აქვს მოხვედრილი ბელადის ძეგლსაც. მიუხედავად იმისა, რომ გორელები დღედაღამ პატრულირებენ

სტალინის ძეგლს, მტერმა მაინც მოახერხა ჯაშუშების შემოგზავნა და სახეში ექვსი ტყვიის სროლა, ბელადის ცხვირმა ხუთი ტყვია მედგრად აისხლიტა, თუმცა მეუქვსე საბედისწრო ტყვიამ სტალინს მარცხენა ნესტო დაუზიანა. ეს ფაქტი ყოველი გორელისათვის პირადი შეურაცხყოფაა და ისინი მოითხოვენ ჯაშუშის დაჭერას და ლინჩის წესით გასამართლებას... ამ ფაქტის შემდეგ ყველა გორელი ებმება რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში, ვისაც იარაღი არა აქვს – თოხებით, ბარებით, დანებით, ჩანგლებით, და კონსერვის გასახსნელებითაც კი ნახავთ ნამდვილ პატრიოტებს.

ისინი მზად არიან ვაჟკაცურად დახვდნენ მტერს.

ისმის „შავლეგო“.

ინტერვიუ კადრში:

შურნალისტი – რისთვის გიჭირავთ ეს ნივთი და აგვიხსენით თუ შეიძლება, რა არის და რა დანიშულება აქვს მას?

რესპონდენტი შუახნის მამაკაცი:

დიახ, ეს არის კონსერვის გასახსნელი, ჩინური წარმოების არ გეგონოთ, ძველი რუსულია, აი წარწერაც: „სდელანო ვ ეს ეს ერ“

სტალინის შეურაცხყოფა ჩემი შეურაცხყოფაა, ამით უნდა ჩავუმტვრიო ამის გამზედავს ცვხირ-პირი.

გასახსნელებითაც კი მზად არიან ვაჟკაცურად დახვდნენ მტერს.

იმის „შავლეგო“.

შურნალისტი – რატომ ჩვეულებრივი იარაღით არ მოხვედით?

რესპონდენტი (ასაკოვანი მამაკაცი) – ახლა ტელევიზორში ვჩანვარ?

შურნალისტი – დიახ, დიახ, პირდაპირი რეპორტაჟია ცხელი წერტილიდან, თუ შეიძლება მიპასუხეთ შეკითხვაზე: რატომ ჩვეულებრივი იარაღით არ მოხვედით?

რესპონდენტი – ასაკოვანი მამაკაცი: სადა მაქვს იარაღი? თოფუ რომ მქონოდა ამას კი არ წამოვიდებდი.

შურნალისტი – აი თუნდაც დანით...

რესპონდენტი – დანები და ჩანგლები წეიღენ ჩემმა ბიჭებმა, დაიტაცენ, რავარც კი მთავრობამ მოგვიწოდა „ქუდზე კაციო“ შეიარაღდით ვისაც რა გაქვთ სახლშიო!“, ხო იყო ასე?“ ერთი დანა და ჩანგალი აღარ დატოვეს საჭმელი რომ მეჭამა.

შურნალისტი – ამდენი რათ უნდოდათ?

რესპონდენტი – უყურე ახლა ამას, რას ქვია ამდენი? ჩინურია ვერ გეიგეთ, ჭამის დროს იღუნება და თითო-თითო ეყოფოდათ საბრძოლოდ?

შურნალისტი – და დღეს თქვენ, როგორც გორელი, სატალინის დასცავად რუსული წარმოების იარაღით დგახართ სტალინის ძეგლთან...

რესპონდენტი – დიახაც და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავ. მე გორელი არა ვარ, გურული კაცი ვარ, ახლა გლდანელი. იქაც „გ“-ა და აქაც „გ“-ა, გურიაც „გ“-ზე იწყება. რა განსხვავებაა. შოთა ვარ ჯიბუტი და ახლა ჩემი სამი ვაჟკაცი ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონ ჯიბუტები სამშობლოს იცავენ, დგანან ერთმნეთის გვედი-გვერდ.

(რეკავს მობილური)

– ააა, ჩემი ფრიდონია რეკავს:

რაიო, ჰა, ჰა ჰა, მოგვშივდა, სახლში შემევიარეთ და კონსერვის გასახსნელს ვერ ვპოულობო? სად წეიღეო?

რა დროის სახლია, რეიზა არ ხართ ომში?

ტაქსს მოუთხოვია ძვირი (შურნალისტს). კონსერვის გასახსნელს თხოულობენ ისევლე... ჰა, ჰა ჰა, ჩართეთ ტელევიზორი და გეიგებთ საცხა ვარ. არ მცალია ახლა თქვენდა. ცხელ წერტილში ვარ. (გათიშავს მობილურს).

გლდანის მე-6 მიკრორაიონი, მეშვიდე კორპუსი დგას ჩემს უკან! აგე ეს ხალხი. ერთი ავტობუსი. ჩვენ სტალინმა გაგვაერთიანა და გორში მაგის დასაცავად ჩამოვედით ერთი ავტობუსით.

„სტალინ დიდება შენი...“ (იწყებს სიმღერას).

უშრნალისტი – ქარველებს გმირობის არაერთი მაგალითი გვაქვს, ძმები ხერხეულიძეები, ძმები სამასი არაგველი, ძმები ოცდაექვსი კომისარი და აი, ესეც ძმები ჯიბუტები...

(გაისმის პრეზიდენტის ხმა. დიდ ეკრანზეც გამოჩნდება იგივე კადრი, დოკუმენტური ჩანაწერი, სააკაშვილი მიმართავს ხალხს).

ისევ სი-ენ-ენის კადრები ჩანს.

- კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ნურსად ნუ გაიქცევით, თბილის საშიშროება არ ემუქრება, თუ მსგავსი საშიშროება გაჩნდა, მე პირველ რიგში მოგახსენებთ ამის შესახებ. ახლა მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ერთმანეთის გვერდით დავდგეთ, ეს როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ყველას, ახლა როგორმე უნდა მივიპყროთ მთელი მსოფლიოს ყურადღება. მართალი გითხრათ, ცოტა გაოცებულები ვართ მეც და ჩემი კოლეგებიც, რომ ჯერ ჩვენი დასავლელი მეგობრებისაგან არანაირი ქმედითი ნაბიჯები არ არის გადადგმული, მაგრამ ეს არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

მე მაქვს მუდმივი სატელეფონო კონტაქტი მათთან. ხვალ აპირებენ საქართველოში ჩამოსვლას ჩვენი მეგობარი ქვეყნების ლიდერები, მათ შორის ნიკოლა სარკოზი, მე მოგიწოდებთ ყველას, რომ ხვალ, დღის სამ საათზე დიდი თუ პატარა ყველანი გამოვიდეთ, რუსთაველის გამზირზე, რათა მთელ მსოფლიოს დავანახოთ რომ ჩვენ არავისი არ გვეშინია და არსად არ გავრჩივართ. ყოველ ორ საათში ჩვენ მოგაწოდებთ ინფორმაციას არსებულ ვითარებაზე, ჩვენი მებრძოლები გადაადგილდებიან ხაშურის მიმართულებით,

(ნინო სასოწარკვეთილი მისჩერებია ტელევიზორს, დათოს ღრმად სძინავს, ახლოდან ისმის თვითმფრინავის გადაფრენის, ჭურვების ჩამოყრის და აფეთქების ხმა, კოტე კიბეზე ჩამოირჩენს, სინათლე ჩაქრება).

ნინო – რა ხდება, ბატონო კოტე, რა ხდება, გამაგებინეთ, რა ვქნა?

პოტე – გვბომბავენ ეს ნაძირლები! გვბომბავენ, სახლებს ცეცხლი უკიდია, ტყეებსაც, ქუჩებში დახოცილები და დაჭრილები ყრიან.

(დაბომბვა გრძელდება, თითქოს სახლს რაღაც ხვდება, ნინო კოტეს შემოეხვევა, ყვირის).

ნინო – მიშველეთ, ბავშვს რა ვუყო, სად წავიყვანო? მამაჩემი, მამაჩემს ხომ არ დავტოვებ?

(თვითმფრინავი გადაიფრენს, და სიჩუმე დაისადგურებს ცოტა ხნით).

პოტე – ამაზე საიმედო ადგილას სად უნდა წაიყვანო?

ნინო – მგონი, რაღაც იწვის! კი, ჩემი სახლი იწვის.

(ნინო კიბეზე აირბენს, კოტეც უკან მიჰყვება).

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

კიბეზე ჩამოდიან ნინო, კოტე და რუსი ეროვნების /60 წლამდე/ ქალბატონი /ტონია/. სამივეს სახე და ხელები გამურული აქვთ, ხანძართან ბრძოლის კვალი ატყვიათ. ღონემიხდილები ჩამოსხდებიან სკამებზე, ხმას არც ერთი არ იღებს. მაგიდაზე მდგარ წყლით სავსე გრაფინს ბოლომდე გამოცლიან. ტონია მძინარე ჯარისკაცს მიაშტერდება.

ნინო – აკი წითელ ჯვარს არ ესვრიანო?

ოოშე – ეგ მე არ მითქვამს, ეგ შენ თქვი!

ნინო /ტონიას/ – დაჭრილია, წუხელ მოიყვანეს.

ტონია არაფერს ამბობს. წამოდგება და წიგნების თაროსთან მივა. ნერვიული მოძრაობებით იწყებს წიგნების გადარჩევას, თან გამწარებული რაღაცას ბურტყუნებს.

ტონია – Ненавижу, ненавижу, „не народ, а скотина, хам, дикая орда душегубов и злодеев“!

ნინო – რა ბრძანეთ ტონია მასწ?

ტონია – ეს მე არ ვბრძანე, Это Булгаков про русских... О, Достоевский – «народ, который блуждает по Европе и ищет, что можно разрушить, уничтожить». Вот и Горький – «наи важнейшее приметою удачи русского народа есть его садистская жестокость...» Пушкин – «народ, что не признает человеческое достоинство, что, целиком не признает ни свободного человека ни свободной мысли».

(ტონია, იმ ავტორების წიგნებს, რომელთა ციტატებსაც ამბობდა, ბუხარში შეყრის და ცეცხლის წასაკიდებლად ნავთის ბოთლს დასწრდება, კოტე მივარდება და ხელებს დაუჭერს).

პოტე – ტონია კანსტანტინოვნა, ტონია კანსტანტინოვნა, რას შევრებით...

(ნინოც მიეხმარება, ბოთლს წაართმევს).

ტონია – დაწვით! დაწვით ეს წიგნები და არასოდეს არავის არ წააკითხოთ.

ნინო – დაწყნარდით, დაწყნარდით, ძალიან გთხოვთ. თქვენ ამას როგორ ამბობთ?

ტონია – მძულს, მძულს ეს წიგნებიც, ეს რუსეთიც...

ნინო – ხო, მაგრამ მეორე რუსეთიც ხომ არსებობს.

ტონია – არ არსებობს, მეორე რუსეთი არ არსებობს, სად არის? კარგი რუსეთი? (კასეტებს დასწრდება) ეს ხომ შენი საყვარელი რეჟისორია? (ხელში უჭირავს კასეტა, ნინოს მიაჩერებს) ეს იცი ვინ არის? მთავარი იდეოლოგია პუტინის, ამაყია თურმე რომ რუსეთი ძველ დიდებას იბრუნებს.

ნინო – ხო, ვიცი, ვიცი, მეც მოვისმინე!

ტონია – ყველა მძულს, ჩემი თავი მძულს... რას შევწირე ჩემი ერთადერთი ბიჭი? აფხაზებს? ჩეჩენებს? არა, რუსის ტყვიამ მომიკლა აფხაზეთში. იქნებ ახლა მაინც გავიგოთ, რომ არც აფხაზია და არც ოსი, იქნებ გაიგოს თქვენმა 21-ე საუკუნის ცივილურმა საზოგადოებამ, რომ მეორე რუსეთი არ არსებობს. არ არსებობს კარგი რუსეთი, გესმით, გესმით?! არ არსებობს. რა უფლება აქვთ? რა უფლება აქვთ, რა უფლება აქვთ?

(ტონიას სკამზე დასვამენ, ნინო წყალს დაუსხამს, კასეტა ისევ ხელში უჭირავს, კოტე ბუხრიდან წიგნებს აკრეფს და თაროზე შემოაწყობს).

– ტონია, ტონია! (ისმის გარედან ხმა).

ნინო – ვინ არის?

ტონია – ჩემი ძმა, ანატოლი, მე მეძებს.

ნინო – მე მეგონა დაბრუნდა ტიუმენში.

ტონია – არა, ეშინია, გარეთ არ გამოდის. ვერ მოასწრო, იყო რუსეთის საელჩოში, მაგრამ?! ყველამ მოაკითხა თავისიანებს, ებრაელებმა – ებრაელები წაიყვანეს, ამერიკელებმა – ამერიკელები, ინგლისელებმა – ინგლისელები... მარტო რუსეთს არ ენალვლება თავისი მოქალაქეები, ჭირსაც წაუღიათ, სად არის კარგი რუსეთი? მე თუ ქართველი ქმარ-შვილი მყავდა, ანატოლი ხომ ყველა მხრიდან რუსია... კოტე, ადი და უთხარი მაგ საცოდავს, რომ ახლავე ამოვალ.

ქოტე კიბეზე ადის, ტონიაც წამოდგება, ჩუმადა).

ტონია – გიას ბატალიონზე თქვეს, ცოცხალი თითქმის არავინ არ გადარჩენილაო. მაგრამ ტყვეებიც აუყვანიათ და რუსებში ცვლიანო?

ნინო – რაა?

ტონია – მაგის სათქმელად მოვდიოდი თქვენთან. 15 წლის წინათ ხომ კოტემ ჩამომისვენა არკადი... ახლა ჩემი ჯერია... იქნებ გადავურჩინო ბიჭი.

(ტონია ხელს ჩაიქცეს და კიბეებზე ადის. ნინო დიდხანს დგას ჩუმად, მერე კასეტას გადაამტვრევს, ბუხარში შეაგდებს და აქვითინდება, რეკავს ტელეფონი).

ნინო – ...ხო, სტივენ, ხო, როგორ იმგზავრეთ? რა? ჩამოხვედი?! რა გვიშავს, ცოცხლები ვართ... კი, კი. ფანჯრებია ჩამსხვრეული, სახურავს ეკიდა ცეცხლი, მაგრამ მალე ჩავაქრეთ... გია დაიღუპა... ხო. – არა, არა, მე როგორ წამოვალ, სტივ, არა, ვერ წამოვალ... არ ვიცი არაფერი, ტელევიზორი გათიშულია, არა დიდი მადლობა, ნუ მთხოვ, მე და ანანო რომ ვიყოთ მარტო, შეიძლებოდა, მაგრამ მამაჩემს რა ვუყო, ვერ დავტოვებ, ვის დავუტოვო? რაა... ვერ წარმომიდგენია მამაჩემი თვითმფრინავში ინვალიდის ეტლით? ეტლს მომიტანეს? ვინ მომიტანს? რა ვიცი, ვეღარ ვაზროვნებ. სტივ, როდის მოხვალ? (აფეთქების ხმა ისმის) არ მესმის შენი ხმა, რაა?... (გაითიშება).

ქიბეზე კოტე ჩამოდის, ნინო თავს ჩაქინდრავს და ატირდება).

პოტე – გითხრა ტონიამ? (ნინო თავს დაუქნევს) მაგარი ვიღაცაა, არ გამკვირვებია... ჯობია არ ახვიდე ზემოთ... ყველა-ფერი იწვის – სახლები, ტყეები, ქუჩები მიცვალებულებით არის სავსე... ჯობდა საეროდ არ გათენებულიყო.

(ისმის ისევ ტელუფონის ხმა).

ნინო – ხო, სტივენ, გაითიშა... ვიცი, ვიცი, დიდი მადლობა, ტვინი აღარ მიმუშავებს, არაფრის გადაწყვეტა არ შემიძლია, რამდენ საათში გამომივლი? ჰო, კარგი, მოდი და... დროებით...

პოტე – შენი მდგმური იყო?

ნინო – ჰო, ჩვენი წაყვანა უნდა.

პოტე – წადი, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, წადი, წადი, მამაშენს მე მივხედავ, მაინც აღარავინ მეყოლება საზრუნავი. ჩემი სახლი...

ნინო – რაა?

პოტე – ჭურვი დაეცა, ნახევარი ჩამონგრეულია... წადი, წადი, მე მივხედავ მამაშენს.

ნინო – მამაჩემისთვისაც ჩამოუტანია ინვალიდის ეტლი, სამივე მივყავართ.

პოტე – მაშინ რაღას ფიქრობ? გუგაც იქ არის. მერე იქნებ ოდესმე რამე ეშველოს ამ ქვეყანას და დაბრუნდებით.

ნინო – თქვენც ამას მირჩევთ?

პოტე – აბა ამ ჯოჯოხეთში გინდა დარჩე? წადი, წადი!

ნინო – სამი საათისთვის მოვალო.

პოტე – მეც მოვალ მაგ დროისთვის და გაგაცილებთ, ახლა კი წავედი.

ნინო – სად?

პოტე – დაჭრილების გადაყვანაში უნდა მივეხმარო. ... (გაჩუმდება), ჯერ მიცვალებულების გადმოსვენების უფლებას არ გვაძლევენ, მგონია რომ სიზმარში ვარ.... მეუფემ დამირეკა.. მიცვალებულებში გია არ არისო...

ნინო – ტელეფონზე ისევ არ პასუხობს?

პოტე – არა.

ნინო – ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავთ, აუცილებლად გამოჩნდება, აუცილებლად.

(კოტე მიდის, დაბომბვისა და აფეთქების ხმა ისევ ისმის.)

(ნინო გადის მეორე ოთახში, გამოაქვს დიდი ჩანთები და კარადიდან იწყებს რაღაცის გადმოყრას და ჩანთებში ჩაყრას. დათოს ეღვიძება).

დათო – აუ, უკაცრავად, დიდხანს მეძინა?

ნინო – არაუშავს, ფეხი გტკიგა?

დათო – არა, რა ხდება, ჩემი ბიჭები არ მოსულან? ხო არ გამოსირდნენ ეგენი, ესეც გამეთიშა, დასატენია. პირს დავიბან, შეიძლება?

ნინო – კი, კი, რა თქმა უნდა, იქით. კი, გამომართვი.

(მისცემს პირსახოცს. დათო კოჭლობით მიდის, ნინო ტელე-ვიზორს ჩართავს).

ურნალისტი – თქვენ კადრში ხედავთ გორის ცენტრს. პოლიციამ დააკავა ეჭვმიტანილი, რომელმაც სატალინის ძეგლის ასაფეთქებლად თვითნაკეთი ბომბი ისროლა. საბედნიეროდ, ბომბი არ აფეთქდა, მაგრამ დაკავებულს გაჩერეკისას აღმოაჩნდა ის ტაბელური იარაღი, რომლიდან გასროლილმა ტყვიამაც სტალინს მარცხენა ნესტო დაუზიანა. ხალხი მოითხოვს ეჭვმიტანილის ლინჩის წესით გასამართლებას. (კადრში ჩანს პიკასო, რომელიც სამართალდამცავებს გაკავებული მიჰყავთ, ის მთვრალია, უშვერი სიტყვებით ილანძლება და სამართალდამცავებს უძალიანდება.

კიბეზე ჩამოირბენს ხანში შესული წვეროსანი, ინტელექტუალური გარეგნობის კაცი.)

ნინო – ბატონო ერლომ, თქვენ აქ როგორ მოხვდით?

ერლომი – მტრის ბანაკში ვიყავი დასაზვერად.

(გაიცინებს).

ნინო – კი მაგრამ!?

ერლომი – ტელევიზორი რატომ არა გაქვს ჩართული?

ნინო – ჩაირთო?

ერლომი – მიდი, შენ მოამზადე ყველაფერი. როგორ არის?

ნინო – როგორც იყო.

ერლომი – ერთადერთი ძმაკაცი დამრჩა ამქვეყნად და იმასაც ფეხში ჰქონდია რაც აქ ხდება. (იცინის).

(ეკრანზე გამოჩენდება დაბომბილი ვორი. რუსი ჯარისკაცი, რომელიც ქართველი ჯარისკაცების კარგი პირობებით არის დაბოლმილი, ქართველი ჯარისკაცის ნაქონ ბათინკებს იცვამს (დოკუმენტური მასალა).

ერლომი – (სიცილს იწყებს) ამდენი დიდი თუ პატარა ომი მინახავს და პირველად ვნახე, რომ დამპყრობელს დაპყრობილის ჩექმა აცვია.

ნინო – რა კარგია რომ მოხვედით, თორემ ისე ვიყავი... რამეს მოგიტანთ.

ერლომი – მოიტანე, მოიტანე, დასალევიც მოაყოლე რამე თუ გაქვს.

(შემოდის დათო, ერლომი ფეხშე წამოდგება და სათვალით კარგად დააცეკერდება).

დათო – გამარჯობა.

ნინო – ეს ჩვენი სტუმარია.

ერლომი – უცებ გუგა მეგონა.

ნინო – ხო, ისე რაღაცით მართლა ჰეგავს.

ერლომი – (ხელს ჩამოართმევს) დაბრძანდით.

დათო – გმადლობთ... (ნინოს საჭმელი და სასმელი შემოაქვს) თქვენი მეუღლე წავიდა?

ერლომი – რაა?

ნინო – არა, ის ჩემი მეზობელია. ჩემი მეუღლე არ არის. კოტეზე ამბობს.

ერლომი – იბრძოდი, ბიჭო?

დათო – ვიბრძოდი, თუ ამას ბრძოლა ქვია.

(ტელევიზორში ჩანს ჩანგლების მოპარვის სცენა, უნიტაზები, ლეიბები რომ მიაქვთ რუსებს და ა. შ. დოკუმენტური).

ერლომი – შენ კიდე ამათ გინდა ომი მოუგო? ვერ მოუგებ, ვერ ხედავ რა მაგრები არიან?

(დათო ცოტა დაბნეულია ბოლომდე ვერ ხვდება ერლომი ხუმრობს თუ მართლა ამბობს).

ნ0630 – დათო, ბატონი ერლომი მამაჩემის ბავშვობის მეგო-ბარია, ცნობილი მწერალი.

ერლომი – ცნობილი არა ისა, ცნობილი რომ ვიყო ეს ბიჭიც მიცნობდა არა? აბა ჩამოასხი თითო.

ნ0630 – რა ხდება, ბატონი ერლომ, იქნებ თქვენ მაინც გამარკვით?

ერლომი – მეე? მე რა ვიცი, ეგ მამაშენს ჰკითხე ყველა ომში ის არის ნამყოფი.

რუსებს ომს როგორ მოუგებ? დედამიწაზე არ არის ერი, რომელიც ამათ მოუგებს. ამათმა თავიანთი მეფე მოკლეს თავისი პატარა შვილებით და დღემდე მის მკვლელს, აგერ უკვე საუკუნეა, საზეიმო წრეს უვლიან.

ნ0630 – ლენინზე ამბობთ?

ერლომი – ხო აბა სხვა რამე ხდება მავზოლეუმში? მიწამაც კი არ მიიღო, ისეთი ცოდვილია.

დათო – მერე რატომ იმათ არ სჯის ღმერთი?

ერლომი – აბა, ვის სჯის? ჩადით ერთი რუსეთში, ნახეთ რა ხდება, გაცდები თუ არა დიდ ქალაქებს, ფეხზე დამდგარ ადამიანს ვერ იპოვი, ყველა გალეშილი ყრია ძირს. მეტი სასჯელი რა გინდა, ადამიანების სახე დაკარგეს. კაცები, როგორც წესი, გენეტიკურად ლოთები არიან, ქალები? არც ქალებს აკლიათ ეს საქმე და მეორე, რითაც არიან ცნობილი რუსი ქალები, ჩემზე უკეთ იცით თქვენ. ვის როგორი ტავარნი ვიდი აქვს, იმის მიხედვით იყიდებიან, თუ თავის ქვეყანაში და თუ საზღვარგარეთ. ესენი აბორტს გადარჩენილი შთამომავლობა, არასასურველი შვილები, რომლებიც მშობლებმა არ ისურვეს, ბებიები და ბაბუები არ ჰყავთ, მშობლიურ სითბოს და სიყვარულს მოკლებული ხალხი! მოკლებული არასწორი სიტყვაა, არ იციან, რა არის სიყვარული, მეგობრობა, სამშობლო. ასეთ დროს კი მზრუნველი მთავრობა ასეთებს ცოცხით მოხვეტავს, აჭმევს, ჩააცმევს და ეტყვის, რომ

ისინი უყვარს და მათაც ეს სიყვარული ჰგონიათ, იმიტომ, რომ სხვა სიყვარული არ იციან. იმიტომ მოსწონს ეს ჩექმა, რომ უკეთესი არ ჰქონია, იმიტომ მოსწონს ის საწოლი, რომ უკეთესზე არ სძინებია, არც უნიტაზი უნახავს ახლოდან. ახლა ეტყვიან, რომ ეს ყველაფერი იმიტომ არა აქვს, რომ მტერმა წაართვა, მტერი კი ბევრია – ჩვენ, ჩეჩინები, მალე ინგუშები გამოჩნდებიან, მთელი ევროპა და რაც მთავარია – ამერიკა. ვისი გჯერა შენ ყველაზე მეტად, დათო?

დათო – რა პონტში მეკითხები?

ერლომი – აი მაგ პონტში.

დათო – რა ვიცი მე? დედაჩემის, ჩემი ძმების, ბაბუაჩემის, ძმაკაცების.

ერლომი – გჯერა ხომ, ჰოდა რა გინდათ მაგ საცოდავებისგან. ეს ყველაფერი, რაც შენ ჩამოთვალე, მაგისთვის „ველიკაია რასია“, და თუ ამაში შეეცილები, არ დაგზოგავს. „მაწ რასია“ კი თავის შვილებს არ ითვლის იმიტომ, რომ ისინი უთვალავი ჰყავს, ამაშია საქმე.

(ნინო მთელი ამ ხნის მანძილზე ჩანთებში რაღაცებს აღავებს).

დათო – ეგრე გამოდის, რომ ესენი ჩვენზე ცუდად ყოფილან.

ერლომი – ეჭვი არ შეგეპაროთ; ავადმყოფების შთამომავლობა! რას ელოდით ამათგან, საკუთარი ბავშვები არ დაინდეს ბესლანში, თეატრში ამდენი ხალხი ჩახოცეს, საცხოვრებელი კორპუსი ააფეთქეს, რომ ტერორისტებისთვის დაებრალებინათ. რამეს ცვლიან? 21 წელი, 37, 56, 9 აპრილი, აფხაზეთის ომი. რამე შეიცვალა მათ აზროვნებაში ან საქციელში? რას ელოდით?

ნინო – გამოკითხვა ჩაუტარებიათ რუსეთში, ყველა დროის პოპულარული პოლიტიკოსი ვინ აღმოჩნდა თუ მიხვდებით?

ერლომი – სტალინი იქნებოდა.

ნინო – მართალია, როგორ მიხვდით?

ერლომი – აბა რა. მაგას რა მიხვედრა უნდა.

ნინო – მერე არ იციან, რომ ბელადი გორშია დაბადებული? რატომ გვბომბავენ?

ერლომი – მაგიტომაც გვმბობავენ.

დათო – მაგიტომ, რატომ?

ერლომი – რა ვიცი, ისე ვამბობ, მართლა კი არ ვიცი ყველაფერი. რუსისგან წუ გიკვირთ ის, რაც ხდება, ეს მისი წესია, სხვას ნურაფერს ელით, ხალხო, გაიგეთ!

ნინო – თუ ასეა და ეს ომი გარდაუვალი იყო, გამოგვეყვანა ეს ჩვენი მოსახლეობა, ხომ ვხედავდით რომ იმათ ერთი თვით ადრე დაიწყეს მზადება, რატომ ჩავიგდეთ ამ დღეში თავი?

ერლომი – ეჰ... /ხელს ჩაიქნევს/ შენ გაგიმარჯოს, აბა მაგრად იყავი და მშვიდობას გაუმარჯოს.

(ერლომი არაუს გადაკრავს). იცი სად ხარ ახლა? ეს სტალინის საყვარელი სარდაფია, ჰა. ჰა, ჰა.

დათო – რა ბრძანეთ?

ერლომი – ამ ადგილს ყველა სტალინის სარდაფს ეძახდა გორში.

დათო – აქ ცხოვრობდა სტალინი?

ნინო – ხო, ასე ამბობდნენ მანამ, სანამ ბაბუაჩემი იყიდდა თურმე ამ სახლს.

ერლომი – გაჩერდი, კაცო, რა სტალინი, რის ბაბუა, აქ იყვნენ ხოლმე შემძვრალები შენი ძმა და მთელი უბნის ბიჭები, სულ რაღაცას თხრიდნენ. შტაბი გვაქვსო. მამაშენი კიდე სულ შეწუხებული იყო, საძირკველს გამოუთხრიან ამ სახლსო, არადა ვერც ყრიდა იქიდან. ეს მე მოვიგონე, ვითომ ადრე ეს სარდაფი სტალინის იყო და ფრთხილად იყავით-მეთქი.

ნინო – თქვენ მოიგონეთ? კი მაგრამ ეს როგორ?

ერლომი – მე მოვიგონე, მე დავარქვი ამას სატალინის სა-ნუკვარი სარდაფი... თუ არ გჯერა, ჰკითხე მამაშენს.

ნინო – მამაჩემს როგორ ვკითხო?

ერლომი – იცი, როგორც უნდა ჰკითხო, თუ ხო-ს თქმა უნდა, ხელზე მოგიჭერს.

ნინო – ვაა, საოცრებაა, არადა სკოლიდან ერთი-ორჯერ ექს-კურსიაზეც მოიყვანეს ბავშვები.

ერლომი – კი ბატონი – მასე იყო, მარა ეგ რომ მეთქვა, მაშინ რაც მოვიგონე, დღეს შეიძლება აქ ალარც ვმჯდარიყავი. ასე ვაშინებდით ვინც აქ შემოძვრებოდა, ჩქარა, თორემ სტალინი გაიგებს რომ მის სანუკვარ სარდაფში შეძვერი და დედას გიტირებს-მეთქი. კი გაჭრა ამ ტყუილმა, ამის მერე ფეხი აღარ ჩამოუდგიათ ბიჭებს, ზემოთ ამოვიდნენ ჰაერზე და დაიწყეს ფეხბურთის, კალათბურთის თამაში და რა ვიცი კიდევ რა.

ნინო – კაი რაა, არადა...

ერლომი – აბა, გაგვიმარჯოს! დავალევინოთ ამ ბიჭს.

დათო – გაგიმარჯოთ! დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

ნინო – რას ამზობ, შვილო, რისი მადლობა.

ერლომი – დიდხანს ვეღარ იარსებებს ის ქვეყანა, თანდათან კარგავს სიცოცხლის უნარს და ლპება, ვერ გრძნობთ, რომ ამ სუნმა უკვე მთელი კაცობრიობა შეაწუხა?

ნინო – ხო, მაგრამ ჩვენ ყოველთვის რატომ ვიჭყლიტებით პირველები.

ერლომი – იმიტომ რომ ჩვენ სულ პირველობის პრეტენზია გვაქვს. რა არ არის ასე? მატრაკვეცა ერთ ვართ.

დათო – რაღაცაში კი თქვენთან ვარ, მაგრამ რაღაცებში...

ერლომი – არა შენ შემოგევლე, ჩემი დათანხმება რა საჭიროა, მე თვითონ არ მემახსოვრება ხვალ, დღეს რა ვთქვი, ჩემნაირებს ახლა არც აზრს ეკითხება ვინმე და...

დათო – არა, მასე ნუ გაიგებთ, უბრალოდ ერთი რაღაცა მინდა იცოდეთ, რომ ის ბიჭები, ვინც იქ ჩაიხოცნენ, ნამდვილი ვაჟკაცები იყნენ და ნამდვილი გმირები.

ერლომი – იმაზე ღმერთმა დამიფაროს სხვას ვფიქრობდე, ისეთები მეც მყავდა და ყველა სხვადასხვა ომში შემომეცალა. მოიცა ერთი ჩამოვასხა, ისინი ყველანი ზეციურ საქართველოში არიან, ზოგი 56-ში, ზოგიც მერე. იცი რა, ჩემო დათო, ეს რაც ხდება, რა თქმა უნდა, ტრაგედია, მაგრამ, როგორ აგიხსნა, იქნებ საჩუქარია ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად. უწმინდესმა თქვა ერთხელ „იქ უფრო დიდი საქართველოაო“ და მართლია, იმ დიდ

ადამიანებს გაუმარჯოს, დიდ საქართველოს რომ შეუერთდნენ, (გადაკრავს).

დათო – გაუმარჯოს. (გადაკრავს).

ერლომი – ნინო, შენ მოამზადე ჩემი ინსტრუმენტები?

ნინო – ჯერ რა გეჩქარებათ?

ერლომი – იქნებ ტყვედ აგვიყვანონ და მერე ასეთი ლამაზი ბიჭი წვერგაუპარსავი უნდა ჩავაბაროთ რუსებს? უკვე ვეღარ მცნობს (დათოს). მაგრამ, სანამ მე ვცნობ, ჩემს მოგალეობას კვირაში ერთხელ ვასრულებ. შემდეგ ავირასაც მოვალ. წვერი უნდა გავპარსო, ხველის ხმა ხომ გესმის? მთელი ცხოვრება ერთად მოვდივართ, საბავშვო ბალიდან.

ნინო – კი, თუ დაგვიდით. სტივენს მივყავართ თავისთან.

ერლომი – კარგი ერთი, მართლა ამბობ?

ნინო – ჰო, ინვალიდის ეტლს მოგვიტანენ მალე და ამ საღამოს უნდა გავფრინდეთ.

ერლომი – მე არ შეიძლება წამიყვანოთ? (ნინო იცინის). უთხარით რა ჰქვია იმას? სტილისტი. ჰო, მამაჩემის პირადი სტილისტია-თქო.

ნინო – მე მეგონა მეტყოდით, სად მიდიხარო?

ერლომი – რატომ უნდა გითხრა, თავის საქმე ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს?

დათო – სად მიბრძანდებით?

ნინო – ბრიტანეთში გვეპატიუება მეგობარი.

დათო – (დათო წამოდგება) მე წავედი თორემ... (ტელევიზორი ისევ ჩაირთვება, ჩანს ხალხით გადაჭედილი, რუსთაველის გამზირი, აუიტირებული სახეები, ისმის მუსიკა. მომღერლები საგანგებოდ დაწერილ სიმღერას ასრულებენ, პარარელურად კი სარდაფში ისმის დაბომბვის ხემბი. კადრში ჩანს უურნალისტი, რომელიც დადის და აუიტირებული მომიტინგებისაგან ინტერვიუებს იღებს (დოკუმენტური მასალა).

შურნალისტი – ახლა კი მოვუსმინოთ ცნობილ მწერალს, რომელიც გახლავთ ავტორი დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილი

ფრაზისა „სტოპ რაშა“. როდის მოგივიდათ ეს იდეა... /მწერალი სერიოზული სახით ჰყვება თავის იდეაზე/.

ერლომი (ისევ იცინის, ბუირდება) – ერთი ასეთი ფრაზა რომ მომეგონებინა, ხომ მიცნობდა ეს ბიჭი, (ნინოს) შენ კიდევ ატყუებ აქ რალაცას: „ცნობილი მწერალი, ცნობილი მწერალი“.

დათო – წავედი, თორემ დაგავიწყდი მგონი ჩემებს, დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

ერლომი – წახვედი? აბა, შენ იცი.

ნინო – ხომ გვინახულებ, როცა ყველაფერი დამთავრდება?

დათო – აუცილებლად. იმ კაცსაც, დიდი მადლობა გადაეცით ჩემგან.

ნინო – მე გაგაცილებ. ბატონი ერლომ, ერთი წუთით ავალ დათო და ნინო კიბეზე ადიან. ერლომი მარტო რჩება ტელე-ვიზორიდან, ცნობილი სახეების პატრიოტული მოწოდებები.... გორის შემზარავი კადრები... თბილისში ჩამოსული მსოფლიოს ცნობილი პოლიტიკოსები... ლტოლვილები... რუსი სამხედროების ბლოკპოსტები. აგრესია... ცეცხლში გახვეული ტყეები... და ა. შ.)

შეიძლება? (ისმის ზემოდან ხმა, ერლომი წამოდგება, კიბეზე უურნალისტი გოგო და ოპერატორი ბიჭი ჩამოდიან).

„შურნალისტი – აი, ჩვენ კიდევ ერთი ოჯახი აღმოვაჩინეთ გორში, რომელიც დაბომბვას უვნებელი გადაურჩა, თუ შეიძლება, მოგვიყენოთ, როგორი იყო ეს ღამე?

ერლომი – მე არაფერ შუაში არა ვარ, ახლა მოვედი, ჩემი მეგობრისთვის წვერი უნდა გამეპარსა.

ურნალისტი – ალბათ, მაყურებლისთვის გასაგებია, რომ წუხანდელი საშინელი ღამის შემდეგ, რაც გორში მტრის პირისპირ დარჩენილმა მოსახლეობამ გადაიტანა, შეიძლება არა-ადეკვატური იყოს ადამიანი. თქვენ ახლა კადრში ხედავთ მოხუც მამაკაცს, რომელიც მარტო აღმოვაჩინეთ სარდაფში. გამომართვით, (შეაჩერებს ხელში ვერცხლისფერ ყუთს), მაგრამ ის მარტო არ არის, დღეს ჩვენ გვერდით არის მთელი მსოფლიო.

(ერლომს) თქვით, რომ დიდი მადლობელი ხართ ყველასი, ვინც ასეთ მძიმე წუთებში არ მიგატოვათ.

ერლომი – დიდი მადლობა, მაგრამ მე აქ არაფერ შუაში არა ვარ.

შურნალისტი – ხედავთ, ისინი ვერ გატეხა ომშა, გვითხარით რამე.

ერლომი – მე, რა უნდა გითხრათ?

შურნალისტი – მოუწოდეთ ხალხს, რომ დღეს ყველანი დავდგეთ ერთად, ხელი-ხელს ჩავჭიდოთ და დავანახოთ მტერს რომ არ გვეშინია.

ერლომი – მე მოვუწოდო? მე ვის უნდა მოვუწოდო?

შურნალისტი – ჰო, თქვით, რომ არ გეშინიათ მაგათი!

ერლომი – არც მაგათი მეშინია და არც არავისი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

ოპერატორი – ვსიო, მორჩა, წავედით „არ მეშინია“ – საკაი-ფოდ თქვა, ამას ჩავსვამთ.

შურნალისტი – კარგი წავედით (მიდიან).

(კიბეზე ჩამოდის ნინო).

ნინო – ბატონო ერლომ, თუ შეიძლება მომეხმარეთ, ეტლი მოიტანეს მამაჩემისთვის.

ერლომი – ეტლი? კი მაგრამ არ გავპარსო? (ერლომი ადის მაღლა. ტელევიზორში ჩანს გორი. შემართული მოსახლეობა და მათ შორის ერლომიც ტექსტით: „არავისი არ მეშინია“ (ხელში ჰუმანიტარული დახმარებით).

ნინო და ერლომი კიბეზე ინვალიდის ეტლს ჩამოიტანენ და იატაკზე გააგორებენ, ერლომი ჩავდება, და გაატარებს).

ერლომი – ერთი ასეთი ჩემთვისაც რომ ჩამოიტანონ, არ შეიძლება?

ნინო – ღმერთმა ნუ დაგაჭირვოთ, რას ამბობთ.

ერლომი – რომ არ მჭირდება, მაშინ არის კარგი, თორემ... კარგი, მივხედავ ახლა ჩემს ძმაკაცს, ასე გაბურძგნილს ხომ არ გავუშვებ ევროპაში.

ნინო – კარგი, მაშინ მეც მოვემზადები, რამეში ხომ არ გჭირდებით, ბატონო ერლომ?

ერლომი – არა ბატონო, დაგვანაბევთ თუ შეიძლება თავი.

ერლომი ვახტანგის საძინებელში შედის, ნინო ანანოსთან, კიბეზე ახალგაზრდა ბიჭი ჩამოდის და შუა ოთახში ჩერდება, ნინო ოთახიდან ფრთხილად გადმოდგამს ორ დიდ ჩანთას, საძინებლის კარს ჩუმად მიხურავს, ჩანთებს ხელს წამოავლებს და ადგილზე გაშეშდება).

ნინო – გუგა?

გუგა – დეე! (შემოეხვევა გუგა დედამისს, ნინო ქანდაკებასავით დგას, ჩანთებსაც კი არ გაუშვებს ხელიდან) დე, რა იყო, არ გაგიხარდა ჩემი დანახვა, რა გჭირს?

ნინო – როგორ ჩამოხვედი, აკი ფრენა არ არისო?

გუგა – სპეცრეისით. როგორა ხართ, დე. ანანოს სძინავს?

ნინო – მერე რატომ? რატომ ჩამოფრინდი? ვერ ხედავ, რომ ჩვენ მივდივართ.

გუგა – ვიცი, მითხრა სტივენმა. კარგი რა, შენ რა მართლა აპირებ წასვლას?

ნინო – რა, არ უნდა წავიდეთ? არ იცი რა ხდება? ვერ ნახე?

გუგა – ვნახე, ყველაფერი ვნახე.

ნინო – ჰოდა წავალთ, ყველანი ერთად, დღესვე, 2 საათში, მე, შენ, ანანო და ბაბუა.

გუგა – სად დედა, სად?

ნინო – სად და სტივენთან, ჯერჯერობით, სტივენთან, მერე ვნახოთ. შენ სწავლას გააგრძელებ, ანანო სკოლაში შევა, სტივენმა მითხრა, რომ ბაბუას იქ უკეთ მოუვლიან, მეც...

გუგა – დედა, თქვენ თუ გინდათ, წადით, მე...

ნინო – რას ნიშნავს, მე? რას ნიშნავს, მე? ჩვენ წავიდეთ და შენ აქ დაგტოვოთ, ვისთან დაგტოვო, გუგა?

გუგა – დედა, მე პატარა ბიჭი აღარა ვარ.

ნინო – არა, ვერსად ვერ დაგტოვებ, რას მეუბნები, გუგა, არა, წამოხვალ, შენც ჩვენთან ერთად წამოხვალ.

გუბა – დედა, კარგი, გეყოფა!

ნინო – (იწყებს ტირილს) იცი, გია დაიღუპა...

გუბა – ვიცი, ძია კოტე ვნახე!

ნინო – ჰოდა, მერე რა გინდა? შემდეგი გინდა რომ იყო?

შენ გვინია, რომ ყველაფერი დამთავრდა? არა, გუგა! ჯერ ყველაფერი წინ არის, შენ არ იცი, აქ რა ხდება, შენ ამას ვერ წარმოიდგენ, ჯერ ამას ვერც გაიგებ, იმიტომ რომ იქიდან ეს ყველაფერი სულ სხვანაირად ჩანს.

გუბა – არა, დედა, იქიდანაც ჩანს ყველაფერი!

ნინო – მერე, სად არიან თუ მასეა, ეს გვიშველის ახლა? (წამოავლებს ხელს ვერცხლისფერ ჰუმანიტარულ ყუთს) და შენ გვერა, რომ..

გუბა – დედა, მე ჩამოვედი და არსად წასვლას არ ვაპირებ.

ნინო – გუგა....

გუბა – გამოვიცვლი, შეიძლება?

ნინო – კარგი, მიდი და მერე ვილაპარაკოთ. (გუგა თავის ზურგჩანთას აიღებს და აბაზანისკენ გავა, ნინო უაზროდ მისჩერებია ტელევიზორს. იქ უახლეს მოვლენებს აჩვენებენ.. რუსების ძალადობა და ა. შ., კადრში ისევ გორის ცენტრი ჩანს და სტალინის ძეგლი.

და სი-ენ-ენის რეპორტაჟი, რომელიც ხმოვანდება ქართული თარგმანით.

ქალაქში, რომელშიც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა სტალინმა, გამოჩნდა ადგილობრივი მკვიდრი, რომელმაც გაბედა, პროტესტი გამოიხატა და დაუპირისპირდა ამ მონსტრს, ეს კი იმის ნიშანია, რომ ეს საზოგადოება დიდ ნაბიჯებს დგამს ევროკავშირში შესასვლელად. პროფესიონალი მხატვარი, ტარიელ ალავიძე, მეტსახელად პიკასო, დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და ინტერნეტის ყველა გვერდი ამ ინფორმაციით იწყება.

(ცოტა ხანში ოთახში სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გუგა შემოდის).

ნინო – ეს რა არის?

გუბა – ფორმაა. არ მიხდება?

ნინო – არა, გუგა, გემუდარები, გუგა, ჩემი გულისთვის, ანანოს გულისთვის, ბაბუს რომ შეეძლოს, ისიც ამას გეტყოდა, ნუ დამღუპავ, გუგა! (ტირის, ხმაურზე ოთახიდან გამოდის ერლომი).

ერლომი – რა ხდება? ვინ მოვიდა? ვაა, გუგა, შენი ჭირიმე! (გადაეხვევიან ერთმანეთს).

ნინო (ჩაუვარდება ერლომს მუხლებში) – თქვენ მაინც უთხარით, გემუდარებით, თავს მოვიკლავ.

ერლომი – რა ბიჭი დამდგარა, ნახე რა ვაჟკაცია.

გუბა – დედა, გეყოფა!

ნინო – ამისთვის ვაკეთებდი ყველაფერს, რომ ეს აქაურობისთვის ამეცილებინა! (ზემოდან გაისმის კოტეს ხმა).

კოტე – გუგა, მანდა ხარ?

გუბა – ხო, აქ ვარ, ძია კოტე. (ნინოს) ახლა მაინც გაჩერდი, სირცხვილია.

(ნინო წამოდგება, კოტე კიბეზე ჩამოდის, ნინო კოტეს გადაეხვევა და აქვითინდება).

ნინო – რა მეშვეოლება...

კოტე – მეც ბევრი ველაპარაკე, მაგრამ...

ერლომი – კაცია და თავისი საქმე თვითონ უნდა გადაწყვიტოს.

გუგა (კოტეს) – ტონია მასწი იქ არის ისევ?

კოტე – მამაოს მანქანაში ჩასხდნენ და აღარ გადმოდიან.

ერლომი – რატომ? რა ხდება? მეც გამაგებინეთ!

კოტე – ცოცხალ ტყვევებში თუ არ გავიცვლებით, გარდაცვლილებზე მაინც გაგვცვალეთ მე და ჩემი ძმაო.

ერლომი – ძმა? რომელი ძმა?

კოტე – რუსეთიდან ჰყავდა სტუმრად და აქ ჩარჩა. ძმას დიდად ვერ ვატყობ სურვილს, მაგრამ ტონიას ვინ რას გაუბედავს.

(ყველას გაეცინება).

ერლომი – ესე იგი რჩები?

გუბა – ახლა ძია კოტეს მივყვები.

ნინო – მერე?

გზაბა – მერე თბილისში მივდივარ, ცოცხალ ჯაჭვში უნდა ჩავდგე. თქვენც ხომ არ წამოხვალთ, ბატონო ერლომ? კარგი იქნებოდა მაინც ყველა გიცნობთ?

ერლომი – მე? არ დაიჯერო, თქვენს მეტი კაცი არ მიცნობს.

კოტე – კარგი, არ გინდათ ახლა.

ერლომი – ჯერ იქ წამოვალ, თქვენთან ერთად. მიცვალებულების გადმოსასვენებლად.

ნინო – შეგიშვებენ?

კოტე – პატრიარქს მივყვებით.

ნინო – მე რა ვქა?

ერლომი – დარჩი და მიხედე მამაშენს. ისე იმ კაცს ჰქონდავინმემ? იქნებ არც იმას უნდოდა წასვლა (ყველანი ადიან, რჩება ნინო, დაბნეული ერთ ადგილას დგას, კოტე ჩამოირბენს).

ნინო – რა იყო?

კოტე – რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ მგონი ახლა არ არის მაგის დრო.

ნინო – ჰოდა შენც მაშინ თქვი, როცა დრო იქნება.

კოტე – მეშინია, მერე გვიანი არ იყოს.

ნინო – შიში, რამდენ რამეს აფუჭებს ეს გრძნობა.

კოტე – კარგი, წავედი.

ნინო – მე გეტყვი, მაშინ რაღაცას

კოტე – მითხარი.

ნინო – გადმოდი ჩვენთან.

კოტე – თქვენთან?

ნინო – ხო, ხედავ, მე არ მეშინია?!

კოტე – რა სტატუსით?

ნინო – არ ვიცი, სტატუსები ყოველთვის არ ამართლებს ცხოვრებაში.

კოტე – კარგი, ოლონდ ერთი პირობით, ბატონი კოტე აღარ დამიძახო.

ნინო – კარგი, კოტე.

(კოტეს ჩაუცინება, ტრიალდება და მიდის).

6069 ტელევიზორს ჩართავს.

უურნალისტის ხმა: ახლა თქვენ კადრში ხედავთ ცოცხალ ჯაჭვს, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს. მთელი საქართველო გაერთიანდა მშვიდობის და სიყვარულის სახელით. დედაქალაქის მოედანზე ხალხის ტევა არ არის, აյ არის პრეზიდენტი თავის ოჯახთან ერთად, მთავრობის წარმომადგენლები, უცხოეთიდან ჩამოსული პოლიტიკოსები, უურნალისტები, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, აქვე არიან ცნობილი პროდიუსერები, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომზე ჰოლივუდში მხატვრული ფილმის გადაღებას გეგმავენ. (ჩანს დოკუმენტური კადრები).

სცენაზე არიან ესტრადის ვარსკვლავები. და მათ გვერდს უშვიერწებს ახალი გმირის მეუღლე - ემზარ გაგნიძის მეუღლე, ვისი ქმარიც ამ უთანასწორო ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაიკარგა.

თქვენ ახლა კადრში ხედავთ მას. ის არ ტირის. არა, ის დღეს მტრის ჯინაზე ვარსკვლავებთან ერთად იმღერებს. მის ჩაცმულობაზე კი იზრუნა მოდელების სახლმა „შავლეგოს ცოლის სამოსელი“.

ტაშით შევეგებოთ მეგობრებო, ტაშით!!!

(ისმის სიმღერა) და აი ამ წუთისთვის მე მატყობინებენ, რომ ემზარ გაგნიძემ დარეკა. ის ცოცხალია. მას მანქანა გაფუჭებია. სოფელ ბალდათში ჩარჩენილა. ახლა კი კიდევ ერთი ინფორმაცია კონცერტის დასრულებამდე, სპეციალური ვერტმფრენით ჩამოაფრენენ ემზარ გაგნიძეს ამ მოედანზე. ტაში, მეგობრებო, ტაში.

და აი, პირველი ცრემლები მისი მეუღლის თვალებზე.

ჩვენ ვერასოდეს ვერაფერი ვერ მოგვერევა. ეს ის ცრემლია, რომელიც ქართველ ქალს ყოველთვის ამშვენებდა და ალამაზებდა. დიახაც მშვენიერი ქართველი ქალი, რომლის ჩაცმულობაზეც იზრუნა მოდელების სახლმა „შავლეგოს ცოლის სამოსელი“.

არაა ჩვენ არ გვიწერია გადაშენება. არა და ამას დღეს მთელი მსოფლიო ხედავს. აქვეა ბატონი ტარიელ ალავიძეც, იგივე პიკასო და დღეს გორელი პიკასო არანაკლებ ცნობილია თავად პაბლო პიკასოზე. ახლა კი სიტყვას გადავცემ ყველასათვის ცნობილ პოეტს, რომელმაც რუსეთ საქართველოს ომზე პოემა დაწერა. ომი დამთავრდა, პოემა კი გრძელდება, გთხოვთ... ტელემაუწყებლობა ითიშება, ნინო წამოდგება და მამამისთან მიდის, ინგალიდის ეტლთან ჩაცუცქდება.

ნინო – რა ხდება, მამა, გამაგებინე, რა ხდება. არაფერი აღარ მესმის, არაფერი. სად სიმართლეა, სად ტყუილია... საით წავიდე? ვერაფერი ვერ გავიგე. იქნებ შენ მაინც მაგრძნობინო, მომეცი ხელი (მოკიდებს ხელს ხელზე და მაგრად მოუჭერს, ტირის) როგორც ბავშვობაში, იქნებ ცოტა ხნით მაინც დამიბრუნო ის სიძლიერე, გახსოვს ზურგზე, რომ შემისვამდი, მე კისერზე შემოგხვევდი ხელებს და ასე მივცურავდით ზღვაში, გახსოვს? არასოდეს, ერთხელაც კი არ შემშინებია, დედაჩემი კიოდა ნაპირიდან – ნინო ხელი არ გაუშვა... იმას ეშინოდა, მე კი ერთი წამითაც, არ ვიცოდი რა იყო შიში, სანამ შენ გვერდით ვიყავი. მამა, გემუდარები, მითხარი რამე – მაგრძნობინე...

შენც ყოფილხარ როდესმე ასე? ხოო, მაშინ ისეთი დალაგებული რატომ მეჩვენებოდა ეს ქვეყანა, შენც გეშინოდა? ხოო, მართლა? არ მჯერა? არადა ისე მაგრად მიჭერ ხელს, მამა, მესმის, გავიგე, მაგრამ ერთი სიტყვა მაინც მითხარი...

ვასტანგი – ჩათლახები!

ნინო – ოოო, შენ ხო გაატრაკე საქმე ამ შენი „ჩათლახებით!“.

კაი, წამოდი, დავიძინოთ, დაისვენე (ვახტანგს ინვალიდის ეტლით საძინებელში შეაგორებს).

ტელევიზორი ისევ ირთვება:

ისევ თბილისი, კონცერტი, ცოცხალი ჯაჭვი და ჟურნალისტის ხმა: ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქალაქ გორში, რომელიღაც სახლში ყოფილა სარდაფი, რომელსაც გორელები სტალინის სანუკვარ სარდაფს ეძახდნენ. და დღეს კაცობრიობა, ბოლოს

და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს სტალინის ძეგლისგანაც და მისი სანუკვარი სარდაფისგანაც.

- „ჩათლახები“ – გაისმის ვახტანგის ხმა. და სიჩუმე ჩამოვარდება, დედა! (ისმის საძინებლიდან პატარა გოვოს ხმა).

ნინო – ხო, დედიკო, გაიღვიძე? ახლავე მოვალ! (ნინო ცრემლს იწერნდს).

ანანო – დე, მარკი და ჰილარი სად არიან?

ნინო – თავიანთ სამშობლოში წავიდნენ.

ანანო – დე, ჩვენც წავიდეთ რა, ჩვენს სამშობლოში.

ნინო – ჩვენ, ჩვენს სამშობლოში ვართ.

2008 წ.

ԵԱԴՈ ՇԵԽՎԵԴՐԸ
ԾԱ ԱՐՑ ԱՐԱՅԵՐՈ...

მოქმედი პირნი:

შეთი

ნიკბ

სილკე – ნიკას მეუღლე

ზურაბი – ქეთის მეუღლე

ნინი – ქეთის მეგობარი

დიქტორი – კლინიკა. სტომატოლოგთან მოსაცდელი გრძელი დერეფანი. რამდენიმე ადამიანი სავარძელში ზის და თავის რიგს ელოდება. იქვე, პატარა მაგიდაზე უურნალ-გაზეთებს უინტერესოდ ფურცლავენ. ქეთი და ნიკა ერთმანეთის პირისპირ სხედან, ნიკა მობილურზე მესიჯებს წერს, ქეთი უურნალს ათვალიერებს. უეცრად ქეთი ნიკას შეიცნობს და დააკვირდება, ნიკაც ამოხედავს და ფეხზე წამოდგება.

ნიკა – გამარჯობა...

ქეთი – გამარჯობა....

ნიკა – როდის შემოხვედი, ვერ დაგინახე.

ქეთი – ვერც მე დაგინახე.

ნიკა – სტომატოლოგთან ხარ?

ქეთი – ხოო, შენ? როდის ჩამოხვედი?

ნიკა – ერთი კვირაა, რა ხდება შენკენ?

ქეთი – რა ვიცი?! ისეთი არაფერი, შენკენ?

ნიკა – ჩემკენაც ისეთი არაფერი.

ქეთი – როდის მიემგზავრები?

ნიკა – ზეგ.

ქეთი – ზეეგ? ააა?

ნიკა – ხეალ ახალი სასტუმრო იხსნება, ჩემი პროექტია, სანაპიროზე...

ქეთი – ააა? ...ვიცი ხოო, სანაპიროზე, კი ყველა მაგაზე ლაპარაკობს, არ ვიცოდი შენი პროექტი თუ იყო.

ნიკა – ხო, ჩემია, შენკენ რა ხდება?

ქეთი – ისეთი არაფერი.

ნიკა – გამეხარდა შენი ნახვა.

ქეთი – მეც.

ნიკა – შენი ტელეფონი არა მაქვს.

ქეთი – არც მე, ჩაიწერე.

ნიკა – ახლვე?!. მითხარი აბა... იცი რაა, მოდი შენ თვითონ ჩამიწერე აქ რაღაც სხვანაირად არის.

ქეთი – კარგი (უწერს ნომერს) ... აი ზარიც გამოვუშვი (ტელეფონი რეკაგს), შენს ნომერსაც დავაფიქსირებ.

ნიკა – ჰო, რა თქმა უნდა. ხვალ გნახავდი, თუ გცალია...

ქეთი – სად? ისევ იქ ხომ არ მეპატიუები? ნაქირავებში.

ნიკა – აა? გახსოვს? შენ იქ ნამყოფი ხარ?

ქეთი – არა, ვერ მოვასწარი, კიდევ გაქვს იმ ხალხთან კონტაქტი?

ნიკა – არა საიდან? ის უბანი საერთოდ დაუნგრევიათ...

ქეთი – რამდენი წელია აქეთ არ ყოფილხარ?

ნიკა – კაი ხანია, ბოლოს როდის გნახე?

ქეთი – გოგიტას დაკრძალვაზე.

ნიკა – ჰო გოგიტას დაკრძალვაზე. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ.

ქეთი – ჰო, დიდი დრო გავიდა.

კაბინეტის გაღების ხმა

სილპე – ნიკ, ძალიან დაგღალე არა?

ნიკა – გაიცანი, ეს ჩემი მეუღლეა, ეს ქეთია, ჩემი მეგობარი.

სილპე – თუ, ძალიან სასიამოვნოა, სილკე.

ქეთი – ქეთი.

სილპე – რა კარგია რომ მარტო არ იყავი, თორემ ძალიან ვნერვიულობდი იმდენ ხანს გაცდევინე. არაჩეულებრივი ექიმები გყავთ, აბა ჩვენთან კატასტროფული ფასებია, თან დროც არა გვაქვს. ბაგშვებმა ალბათ გადადგეს სახლი. ეს ბიჭები მაინც, არ ვიცი, სულ კუდში უნდა სდიო, თქვენ რამდენი შვილი გყავთ?

ქეთი – მე? ერთი.

სილპე – ბიჭი?

ქეთი – არა, გოგონა.

სილპე – ნიკ, დაპატიუე სასტუმროს გახსნაზე შენი მეგობარი?

ნიკა – არა ჯერ ვერ მოვასწარი, გეპატიუები, ხვალ 5-საათზეა გახსნა.

ქეთი – დიდი მადლობა.

სილპე – აი მოსაწვევიც, შეგიძლიათ ვინმე წამოიყვანოთ, ორ კაცზეა.

ქეთი – დიდი მადლობა. თქვენც მესტუმრეთ... ჩაიბიე...

სილპე – სიამოვნებით, ვგიყდები ისე მიყვარს საქართველოში სტუმრად სიარული. ხვალ უკვე დაგეგეგმილი გვაქვს, ზეგ მივფრინავთ, ამ საღამოს შესაძლებელია?

ქეთი – საღამოს?! კი, რა თქმა უნდა.

სილპე – ოო, ძალიან კარგია.

ნიკა – დიდ მადლობა.

სილპე – აბა დროებით, საღამომდე.

ქეთი – კარგად ბრძანდებოდეთ.

ნიკა – ნახვამდის.

ქეთი – ნახვამდის.

* * *

შეხვედრა პირველი.

სკოლის ებო

ნიკა – ბიჭო, ეს გოგო ვინ არის?

გოგიტა – არის რა, ჩევენს პარალელურ კლასში გადმოვიდა.

ნიკა – რა ქვია?

გოგიტა – მგონი, ქეთი.

ნიკა – იცნობ?

გოგიტა – რა იყო, შეჩემა, გულში ხო არ ჩაგივარდა?

ნიკა – ოოო, ნუ იცი რაა შენ...

შეხვედრა მეორე

ნიკა – გამარჯობა.

შეთი – გამარჯობა.

ნიკა – ჩვენ, მგონი, პირველად არ ვხვდებით ერთმანეთს.

შეთი – ცოტა ხანს ერთ სკოლაში ვსწავლობდით.

ნიკა – მეცხრე კლაში, ერთი სემესტრი, მერე მე ჩხუბი მომი-
ვიდა და სხვაგან გადამიყვანეს.

შეთი – ხო მახსოვს, მერე აღარც შემხვედრიხართ არსად.

ნიკა – მერე მე საერთოდ წავედით, მამაჩემი დიპლომატიუ-
რი მისით გაიწვიეს და ჩვენც იძულების წესით გავყევით.

შეთი – არ გინდოდათ წასვლა?

ნიკა – არა, რა მინდოდა.?!. არც მე და არც ჩემს ძმას. 15,
17 წლის ბიჭებს მთელი საძმაკაცო აქ გვყავდა, არსადაც არ
გვინდოდა წასვლა.

შეთი – თქვენი ძმა, მგონი, მალევე დაბრუნდა.

ნიკა – ჰო და მერე აფხაზეთის ომიც მალე დაიწყო...

შეთი – ვიცი, ჩემი მეზობელიც მაგასთან ერთად დაიღუპა.
გუგა.

ნიკა – ხო, გუგა მაგარი ტიპი იყო, მე დასფლავებაზეც არ
გამომიშვეს.

შეთი – ხო, მაშინ ყველა მაგაზე ლაპარაკობდა, ლანძღავდ-
ნენ ფრანგებს, ვიზა არ მისცესო.

ნიკა – ფრანგები არაფერ შუაში არ იყვნენ, მამაჩემის ჩაწყო-
ბილი იყო.

შეთი – კაი რაა?!..

ნიკა – ამასწინათ გამომიტყდა, შემეშიდა რომ შენც არ დამე-
კარგეო. ისე რომ ჩამოვსულიყავი, ომში არ ვიცი, მაგრამ აქედან
ნაღდად არსად აღარ წავიდოდი.

შეთი – მაშინ სწორად მოქცეულა დიპლომატი მამა.

ნიკა – თვითონ ასე მიიჩნევდა... მეც პოლიტიკისთვის მამზა-
დებდა, მაგრამ მთლად ვერ გავუმართლე.

ქეთი – ახლა დიდი ხნით ჩამოხვედი?

ნიკა – ახალი სასტუმროს აშენებას აპირებენ და მომიწვიეს.

ქეთი – სად? აქ? ბათუმში?

ნიკა – ხომ, მომენატრა აქაურობა, სიამოვნებით დავთანხ-
მდი.

დაგინახე თუ არა ეგრევე გიცანი, საერთოდ არა ხარ შეცვლი-
ლი.

ქეთი – მართლა? მეც მაშინვე გიცანი. სად დიპლომატია და
სად არქიტექტურა? რატომ შეიცვალე პროფესია?

ნიკა – დიპლომატობა და პოლიტიკა ჩემი საქმე არასოდეს
არ იყო, ესეც მამაჩემმა გადაწყვიტა, მაგრამ...

ქეთი – მაგრამ რაა!?

ნიკა – რა და გავიზარდე ამასობაში, ჰა, ჰა, ჰა.

ქეთი – ისე მართლა გაზრდილი ხარ. ჰა, ჰა, ჰა, სკოლაში ამ
სიმაღლე მართლა არ იყავით...

ნიკა – ასეა, ბატონო, რაც დამოუკიდებელი გავხდი, სი-
მაღლეშიც გავიზარდე, ჰა, ჰა, ჰა.

ქეთი – ზურა! ზურა! აქეთ! (ეძახის). ჩემი ქმარია, მე მეძებს
(ნიკას).

ზურა – მოგცე გასაღები? (ზურა ქეთასთან მიდის).

ქეთი – არ მინდა, ჩააბარე, სად მიდიხარ? გაიცანი ნიკა.

ზურა – ზურა, გამარჯვობა.

ნიკა – გამარჯვობა, ნიკა.

ზურა – ფეხბურთის სათამაშოდ მივდივართ, შენ რას იზამ?
ახლა გიცანით, ბატონი კარლოს შვილი ხართ ხომ?

ნიკა – გახლავართ.

ზურა – კაი წავედი, ქეთუს, ბიჭები მელოდებიან, შენ რას
იზამ?

ქეთი – რამეს მოვიფიქრებ.

ზურა - უკაცრვად კარგად ბრძანდებოდეთ. მიხარია, რომ გაგიცანით.

ნიკა - გმადლობ, მეც მოხარული ვარ თქვენი გაცნობით. კარგად ბრძანდებოდეთ.

ზურა ქეთის კოცნის და მიდის.
უხერხული პაუზა.

ნიკა - შვილები გყავთ?
ქეთი - არა.

ნიკა - ახალი დაქორწინებულები ხართ?
ქეთი - არა, სამი წელია. შენ?

ნიკა - მე თერთმეტი წლის გოგონა მყავს.
ქეთი - მართლა?! არ ვიცოდი, ცოლი ფრანგია?

ნიკა - არა ცოლი არ მყავს და არც მყოლია, ჩემი შვილის დედა ფრანგია.

ქეთი - გასაგებია.
ნიკა - თუ გცალია სასტუმროს მშენებლობის ადგილს გაჩვენებ, მერე იქნებ ყავაც დაგველია სადმე ზღვის პირას.
ქეთი - კი როგორ არ მცალია, სიამოვნებით.

* * *

ზღვის სანაპირო, ტალღების ხმა, შორიდან ისმის მუსიკის ხმა.

ქეთი და ნიკა მთელი გულით იცინიან.

ნიკა - ჰა, ჰა, ჰა, აუ დიდი ხანია ამდენი არ მიცინია. მერე მერე.

ქეთი - რა ვიცი ეგეთი უცნაური ბავშვი ვიყავი, ყველაფრის წრეზე ვეწერებოდი, ყველფერი მაინტერესებდა, ეტყობა იმ დღესაც გარკვევით თქვეს, რომ მარტო ბიჭები გვინდაო, მაგრამ მე ეს არ გამიგონია, მარტო წრე გავიგონე და ჩავეწერე, რომ მივედი მხოლოდ ბიჭები დამხვდნენ, მასწავლებელმა კიდევ, ჭა-

ღარა კაცი იყო, კარგად მახსოვს, ჩათვალა, რომ ისე მინდო-და მის წრეზე სიარული, მიუხედავად გაფრთხილებისა, უკან არ დავიხიე. მოკლედ დააფასა ჩემი დიდი მონდომება და ამიყვანა.

ნიკა – ჰა, ჰა, ჰა, აღარ შემიძლია, მერე? მერე?

ქეთი – ამ წრეს ერქვა ნორჩ „ტექნიკოსთა წრე“ მომავალი მეცნიერი ბიჭები დადიოდნენ, ყველას სათვალე ეკეთა, ნამდვი-ლი გენიოსების სახეებით, გიუები, გემებს და თვითმფრინავებს აშენებდნენ.

ნიკა – ჰა, ჰა, ჰა.

ქეთი – და მე, ერთი კინკილა გოგო. და ვაკეთებდი ამ თარა-ზოს.

ნიკა – ერთი კარგად ამიხსენი რა არის ეგ თარაზო?

ქეთი – აი ასეთი დაახლოებით 30-40 სანტიმეტრია, ხის, თხელი ზემოთ შუაში აქვს დამაგრებული ოდნავ მოლუნული პა-ტარა შუშის მილი რომელიც მეტალის ჩარჩოშია ჩასმული. და მილის ცენტრში არის აღმნიშვნელი ხაზი, და თუ ეს ხელსაწყო, სწორ ადგილას დევს, ხაზი და ჰაერის ბურთულა, ერთმანეთს უნდა კვეთდნენ.

ნიკა – ა, ხომ, ვიცი, გამახსენდა, ნანაზი მაქვს.

და თარაზოს გაკეთება საიდან მოგივიდა აზრად?

ქეთი – მე რა მომივიდა, იმ კაცმა, წრის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, უფრო იოლი ეტყობა არაფერი მოაფიქრდა. მოკ-ლედ, დავდიოდი და ნახევარი წელი ვაშალაშინებდი მაგ შენს თარაზოს, ბოლოს ისეთი პროფესიონალური თარაზო დავამზა-დე, რა თქმა უნდა, ჩემი ოსტატის დიდი დახმარებით...

ნიკა – და მიიტანე სკოლაში...

ქეთი – ხო, როგორც ხდებოდა ჩვენს დროს. დაგვავალეს, თქვენი ხელნაკეთები მოიტანეთო და მეც მივიტანე. გოგოებმა მოიტანეს თოჯინებისთვის შეკერილი კაბები, ნაქსოვები, ნახა-ტები და მე.

ნიკა – შენ თარაზო, ჰა, ჰა, ჰა. და როგორ დამთავრდა ეგ ამბავი?

ქეთი – ჩემმა დამრიგებელმა შავიდლე მაყარა, მატყუარა ხარო, მერე მშობლები დაიბარეს, სახლიდან თარაზო მოუპარავს და თან იტყუება რომ მე გავაკეთეო. დედაჩემმა არც კი იცოდა რა იყო თარაზო, ისიც არ იცოდა, რომ ამ წრეზე დავდიოდი, მოკლედ მერე ყველაფერი გაირკვა..

ნიკა – არაჩეულებრივი ისტორიაა, ძალიან ბევრი ვიცინე, თითო ჭიქა ხომ არ დაგველია, თუ გეჩქარება უკვე?

ქეთი – არა, სად მეჩქარება. ისინი ფეხბურთის მერე რესტო-რანში მიდიან საქეიფოდ...

ნიკა – ხო არ?!...

ქეთი – არა, იმათი დანახვა აღარ შემიძლია, ამომივიდა ყელში ყოველდღე ერთი და იგივე, ფეხბურთი – დალევა, ფეხ-ბურთი – დალევა...

ნიკა – თუ, შეიძლება? (ოფიციანტს), შამპანური მოგვიტანეთ.

(ისმის შამპანურის დასხმისა და ჭიქების მიქახუნების ხმა.

ნიკა – იცი რაა?! რაღაც, ზუსტად ასეთი წარმომედგინე, როგორიც ხარ. შენ გაგიმაჯოს, ძალიან მიხარია, რომ შევხდით...

ქეთი – მეც, ახლა შენ მომიყევი რას აკეთებდი ამდენ ხანს ევროპაში?

ნიკა – როდის ბრუნდები თბილისში?

ქეთი – ერთ კვირაში.

ნიკა – დამირეკე და გაჩვენებ ჩემს ნამუშევრებს, ზოგიერთის მაკეტიც მაქვს სახელოსნოში. ხო დამირეკავ?

ქეთი – კი, აუცილებლად, საქართველოში როდემდე რჩები?

ნიკა – თვის ბოლოს მივემგზავრები, სანაპიროზე ხომ არ ჩავიდეთ?

ქეთი – წამო.

* * *

შეხვედრა მესამე

ნიკა – მოგწონს ჩემი სახელოსნო?

ქეთი – არაჩვეულებრივია.

ნიკა – ხოლ? მეც მომწონს. ასეთი იქ რომ მქონდეს?! ისე თავიდან მამაჩემის იყო. აქ განსაკუთრებული სტუმრები ამოყავდა, დიპლომატები, ეტყობა სხვა ოთახებისგან იზოლირებული რომ იყო, უფრო თავისუფლად გეგმავდნენ თავიანთ გაიძვერულ გეგმებს.

ქეთი – ჰა, ჰა, ჰა.

ნიკა – თორე არა რაა. მე კიდევ მაგ დროს ტერორისტობა მინდოდა. ისეთი პროტესტი მქონდა ყველაფრის მიმართ.

ქეთი – რამდენი ყვავილი გქონიათ?

ნიკა – ხოლ, დედაჩემა ზამთრის ბალი გააკეთა და ამის მოვლაში გაყავს დრო. აბა მე წლის განმავლობაში ერთი თვეც არა ვარ აქეთ და... მოკლედ მოგეწონა სასტუმროს პროექტი?

ქეთი – ძალიან. როდის დაიწყება მშენებლობა?

ნიკა – ალბათ ერთ წელიწადში.

ქეთი – ეს რა არის?

ნიკა – ეს ჩემი ძმის გაკეთებულია, მაშინ ყველა სიგიჟედ თვლიდა, ახლა მთელ მსოფლიოში ასეთი რამეები ყველა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმშია.

ქეთი – რა არის, ვერ ვხვდები?

ნიკა – კაი, მოდი, აგიხსნი. ეს არის ნაჭრისგან შეკერილი მილი, ალაგ-ალაგ ნახვრეტები აქვს, რომ ჰაერი შემოვიდეს, ნახე რამსიგრძეა, ამაში უნდა შეძვერე და გახოხდე.

ქეთი – მერე?

ნიკა – ოო?! ახლა ყველაფერი თუ გითხარი წინასწარ, მაშინ სიურპრიზი აღარ გამოვა.

ქეთი – კარგი, შევძვრები.

ნიკა – კი ბატონო.

ისმის ნაჭრის შრაშუნის და ქეთის დაგუდული ხმა.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – ახლა, რა ვქნა?

ნიკა – ახლა გახოცდი, არ შეგეშინდეს მეორე ოთახში მოგიწევს გასვლა, უჰაერობა ხომ არ არის?

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – არა, ნორმალურია.

ნიკა გადის, ისმის ხოხვის ხმა, დიდხანს მიხოხავს.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – ვაი, ნიკა შენა ხარ?

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – მეორე მხრიდან შემოძვერი, ეს არის ამის მთელი საიდუმლო. ერთმანეთისთვის უცხო ადამიანები სხვადასხვა ოთახიდან შემოძვრებიან და აქ ხვდებიან ერთმანეთს პირველად.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – შენ საიდან შემოძვერი?

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – მეორე ბოლოდან.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – ვერ გხედავ.

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – ეს პრინციპში ორი უცნობი ადამიანისთვის არის, რომლებიც პირველად აქ ხვდებიან, და სანამ დაინახავენ, მანამდე შეერძნებებით აღიქვამენ ერთმანეთს.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – რა მაგარია?! წარმომიდგენია კომუნისტების დროს ეს რომ სადმე გაეკეთებინათ, რა ამბავი ატყდებოდა.

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – ჰმ...

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – საიდან გავძვრეთ?

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – აქ ვერ მოტრიალდები, ან უკან-უკან უნდა წახვიდე ხოხვით, ან წინ, იმას უნდა გაყვე, ვინც აქ შეგხვდა, თუ უკან წახვალ ე. ი. იმას არ გინდა რომ გაყვე, ეს იმას ნიშნავს, რომ არ მოგეწონა.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – ჰო, მაგრამ თუ ვერ ტრიალდები.

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – მაგაშია საქმე, ვერ ტრიალდები, მაგრამ უკან-უკან ხოხვით წასვლა გირჩევნია იმასთან ერთად წინ წასვლას.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – მე რა ვქნა?

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – შენი გადასაწყვეტია.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – უკან დაბრუნება არ მინდა. ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – მაშინ მე უნდა გამომყვე. ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – რამხელა მხრები გქონია, გარეთ არ შემიმჩნევია.

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – მეც აღმოვაჩინე რაღაც.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – რაა?

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – შენნაირ ქალს ვერასოდეს ვერაფრის გაკეთებას ვერ დავავალებდი.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – რატომ?

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – შემეცოდებოდა, ისეთი სუსტი ხელები გაქვს.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – ...

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – კარგი, არ გაწვალებ, აქვე ახლოსაა გამოსაძრომი.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – მართლაა?

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – ხო ერთხელ მამაჩემი ძალიან გამწარდა, ნაკუწებად უნდოდა ექცია ეს „ნაჭრის სამოთხე“, ჩემი ძმა ეძახდა ასე. დედაჩემმა გადაარჩინა დაჭრას, მაგრამ ერთ ადგილას მაინც მოასწრო რომ გაეჭრა.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – გაგიჟდებოდა შენი ძმა.

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – სხვათა შორის არ გაკერა და ამ ადგილს ჯოჯოხეთის ხვრელი დაარქვა

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – ჰა, ჰა, ჰა, მაგარი ტიპი ყოფილა შენი ძმა.

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – კი მაშინ კიდევ ისე ვერ ვხვდებოდი. შენ ძალიან მოეწონებოდი.

ქეთის ხმა ნაჭრის მილიდან – მართლა?

ნიკას ხმა ნაჭრის მილიდან – სულ კონფლიქტი ჰქონდა ჩემს მშობლებთან, სულ ჩხუბობდნენ, რომ გარდაიცვალა, იმის მერე, მამაჩემს აქ ფეხი აღარ ამოუდგამს.

(ხვრელიდან გამოდიან ტანისამოსს ჩამოიბერტყავენ, ხმები უკვე ჩვეულებრივად ისმის).

ქეთი – არადა გარედან როგორი უზუნველყოფილი და ბედნიერი ოჯახი ჩანდით.

ნიკა – ვჩანდით. უზრუნველყოფილები ალბათ ვიყავით კიდეც, ბედნიერები არასოდეს...

ქეთი – ...

ნიკა – მამაჩემს ვიღაცამ ჩააგონა, რომ აქ შენს ბიჭს ნარკომანები ამოჰყავს და წამალს იჩხირავენო, მაგიტომაც ჭრიდა.

ქეთი – რამდენი ბოროტი ადამიანია.

ნიკა – არც უმაგისობა იყო, ამოვიდა და მართლაც იპოვა ნემსები.

მერე დედაჩემი ეცა, არ დაჭრაო, შეეშინდა ბიჭი სახლიდან არ გაქცეულიყო, მამაჩემმა მაკრატელი მოისროლა, რაღაცამ აისხლითა და დედაჩემს ფეხში გაერჭო, ძლივს გადაარჩინეს, არტერია ჰქონდა დაზიანებული.

ქეთი – არადა, ნარკომანი შვილი მის წლობით ნაშენებ კარიერას ხო დაანგრევდა.

ნიკა – თუმცა მალე პირიქით მოხდა.

ქეთი – რას გულისხმობ?

ნიკა – ჩემი ძმის სიკვდილის მერე, ომში გმირულად დაღუპული შვილის მამა გახდა.

ქეთი – ჰოო.

ნიკა – ჰო, მაგრამ, საბედნიეროდ, პოლიტიკიდანაც სამუდამოდ წავიდა და სამსახურიდანაც... ამის მერე დავიწყე მამაჩემის შეყვარება, თორემ, ბავშვობიდან მეგონა, რომ მაგაზე უფრო დიდი მტერი არ მყავდა.

ქეთი – რა უცნაურია ცხოვრება. არ მინდა წასვლა, მაგრამ ...ჩემს ქმარს უნდა შევცვდე.

ნიკა – კარგი. ერთი რაღაც მინდა რომ გითხრა.

ქეთი – მითხარი.

ნიკა – საშინელი პროტესტი მქონდა მამაჩემის და კომუნისტების მიმართ, ეს ზიზღი ჩემი ოჯახიდან იწყებოდა. ყველგან კარლოს ბიჭი ვიყავი, არსად არ მქონია ნამდვილი ურთიერთობა.

ჩემი ოჯახის პრივილეგირებულობიდან გამომდინარე ან ძალით მეტმასწოდნენ, ანდა ხაზგასმით გამოხატავდნენ ჩემ მიმართ სიძულვილს. სინამდვილეში, ნამდვილად როგორიც ვიყავი, მხოლოდ ჩემმა ძმამ იცოდა. ამ რამდენიმე წლის წინათ, თბილისის ერთ ძველ უბანში პატარა ოთახი ვიქირავე, როგორც სოფლიდან ჩამოსულმა სტუდენტმა, სხვა სახელით და სხვა გვარით, აი იქ, ისეთი მიმიღეს, როგორიც ვარ. საერთო ტუალეტი, საერთო სამზარეულო, დავდივარ იმათ დაბადების დღეებზე, ნათლობებზე, წამლები მიმაქვს როცა ვინმე ავად ხდება. მორიგეობით ვგვი კიბეებს, გამაქვს ნაგავი. იციან, რომ დაუსწრებელზე ვსწავლობ და ამიტომ არ ვარ სულ იქ. ახლა გონიათ, რომ საზრვარგარეთ ვარ წასული ოჯახის სარჩენად. ბინის ქირას დღემდე წესიერად ვაგზავნი. ძალიან ვუყვრვარ და მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ მრცხვენია ამდენ ხანს რომ ვატყუებ. სულ მეხვეწებიან, ან ნათე-სავი არა გყავს, ან მეგობარი, შენც ვინმე მოიყვანე, გაგვაცანიო. აქამდე არავის მიყვანის სურვილი არ გამჩენია, პირველად მომინდა, რომ შენთან ერთად მივიდე იმ ხალხთან, თან, სიმართლის თქმის დროც, დადგა, წამოხვალ?

ქეთი – წამოვალ.

ნიკა – ძალიან მაგარი ვიღაცა ხარ? ქალების ოთხმოცდა-ცხრამეტი პროცენტი, თუ ასი არა, აუცილებლად დამისვამდა ერთ შეკითხვას?

ქეთი – რა შეკითხვას?

ნიკა – იმ ხალხთან, რა სტატუსით წარმადგენო ანუ ჩემზე რას ეტყვი, შენი ვინ ვარო?

ქეთი – ისე მართლა რას ეტყვი?

ნიკა – რას ვეტყვი და ვეტყვი რომ ერთადერთი ქალია ვინც პროფესიონალურ თარაზოებს ამზადებს და იქნებ რამეში გამოგადგეთ. არ არის საკმარისი?

ქეთი – სავსებით საკმარისია? წავედი.

ნიკა – კარგი, ხვალ აქ მოდი და ერთად წავიდეთ.

* * *

მეორე დღე, ქეთის და ზურას სახლი.

ზურა - ფეხბურთის მერე საქეიფოდ მივდივარ ნუნუკას აგარაკზე.

ქეთი - მე ვერ წამოვალ.

ზურა - რატომ?

ქეთი - საქმე მაქვს, სხვაგან მივდივარ.

ზურა - სად სხვაგან მიღიხარ?

ქეთი - მეგობარს უნდა შევხვდე.

ზურა - ვინ მეგობარს?

ქეთი - გახსოვს, ზღვაზე რომ გაგაცანი?

ზურა - ვინ რო გამაცანი, კარლოს ბიჭი? მერე ეგ რა შენი მეგობარია?

ქეთი - ძალიან გთხოვ, შეპირდი, ერთგან უნდა გავყვე.

ზურა - რას შეპირდი? შენ ხო არ გამოქლივდი, ახლავე ჩაიცვი და ჩამოდი, მანქანაში გელოდები.

ქეთი - ზუ, ძალიან გთხოვ რაა, ამ ერთხელ, ხვალ მიფრინავს, მერე მოგიყვები, ძალიან მაგარი ამბავია.

ზურა - რაა, რას მომიყვები, შენ ხო არ გაგიჟდი გოგო?

ქეთი - არაფერი არ ხდება, ძალიან გთხოვ, ამაღამ მიფრინავს, შევპირდი.

(ისმის სილის გარტყმის ხმა).

ზურა - რა არაფერი არ ხდება?! ეგლა მაკლია რამე ხდებოდეს. დროზე ჩაიცვი და ჩამოეთრიე.

(ისმის კარის გაჯახუნების ხმა. შემდეგ უკვე მანქანის კარის გაღების და დაკეტვის ხმა, მანქანის დაქოქვა და ადგილიდან დაძრა ანუ ქეთი ზურას მანქანაში ჩაჯდა).

ზურა - ბოდიშს გიხდი, ვერ მოვზომე, მაგრამ... გადამიყვანე ჭკუიდან.

შენში კი არ მეპარება ეჭვი, ღმერთმა დამიფაროს... შენ არ იცი კაცების ამბავი, მაგის ნაბოზარი დედაც, პროექტზე აინტერესებს არა შენი აზრი?! ჰმ, დავაი რაა, დაახვიოს... მამამისის

შვილი მამამისისნაირი გაიძვერა იქნება, ერთი მაგის ძმა იყო ნორმალური მაგ ოჯახში და ისიც მოინელეს. ეგ, ვერც მაშინ და ვერც ახლა, ვერ გაიგებ ვინ არის, ერთი ჩუმჩუმელაა, ფუ მაგის!

კაი მაპატიე შევრიგდეთ, მწუ. (კოცნის).

ზურა – შენც მაკოცე, შენც მაკოცე, თორემ იცოდე ხრამში გადავეშვები.

(ისმის კოცნის ხმა).

ზურა – ჩემი სულელი გოგო, ხო იცი როგორ მიყვარხარ...

(მანქანის ხმა თანდათან იკარგება).

* * *

რამდენიმე თვის შემდეგ.

ქეთი და ნინი, ქეთისთან სახლში.

შეთი – იცი ნიკა მიყვარს.

ნინი – რაა?

შეთი – ხოო, ახლა მივხვდი, რომ აქამდე არავინ არ მყვარებია, ეს ადამიანი ნამდვილად ჩემი მეორე ნახევარია, ამ სიტყვის მნიშვნელობაც ახლა გავიგე.

ნინი – გაგიუდი, გოგო?! მოგკლავს შენი ქმარი...

შეთი – მეორე ამბავიც მაქვს...

ნინი – რა იყო?

შეთი – ფეხმძიმედ ვარ?

ნინი – რაა?! მოხდა თქვენ შორის რამე?

შეთი – არა, გაგიუდი?! თითიც არ დაუკარებია, არც არაფერი არ უთქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისიც იმავეს გრძნობს.

ნინი – მერამდენე თვეში ხარ?

შეთი – დამშვიდდი, ორი თვის ფეხმძიმე ვარ, ის კი უკვე ნახევარი წელია რაც წასულია.

ნინი – ეს რა მითხარი, რამდენი წელია რაც ერთად ხართ შენ და ზურა?

სამი არა და ეხლა ...

შეთი – ოთხი.

ნინი – და რა მოხდა, კი მაგრამ...

შეთი – ეტყობა ნამდვილმა ქალმა გაიღვიძა ჩემში...

* * *

შეხვედრა მეოთხე

ისმის ჩოჩქოლი, დაკრძალვაა

ნიპა – გამარჯობა, ქეთი.

შეთი – გამარჯობა.

შეთი – როგორ ჩამოფრინდი? ამბობენ აეროპორტი დაკუტილიაო.

ნიპა – სპეციალური რეისით.

შეთი – გოგოტას სიკვდილს ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი.

ნიპა – არ ვიცი რა გითხრა, არადა ჩემთან აპირებდა ჩამოსვლას.

შეთი – ...შენ როგორ ხარ? ააშენეს შენი სასტუმრო?

ნიპა – რად უნდათ ამ ქვეყანაში რამის აშენება, აქ მხოლოდ დასანგრევად არის მომართული ხალხი. რა უქნიათ რუსთაველის პროსპექტისთვის, კადრებში კიდევ ასე არ ჩანდა, ოოოჲ.

შეთი – გეზიზლება არა აქურობა?

ნიპა – არ უნდა მეზიზლებოდეს?

შეთი – კარგი, წავედი, გამეხარდა შენი ნახვა.

ნიპა – მეც, სასაფლაოზე არ მოდიხარ?

შეთი – არა, ვერ წამოვალ, ბავშვს ძუძუს ვაწოვებ.

ნიპა – შვილი შეგეძინა?

შეთი – ხოო, გოგო მყავს პატარა, შვიდი თვის.

ნიპა – გილოცავ.

შეთი – გმადლობთ.

ნიპა – ნახვამდის.

შეთი – ნახვამდის.

* * *

ქეთის სახლი. ქეთი და ნინი.

შეთი – იცი ნიკა იყო ჩამოსული გოგიტას დაკრძალვაზე.

ნინი – მერე?

შეთი – არაფერი. ჩემი ხელი ეჭირა ორივე ხელით, როცა
მემშვიდობებოდა.

ნინი – გითხრა რამე?

შეთი – ისეთი არაფერი.

ნინი – მაგისთვის დამიბარე? მეც მეგონა, რამე მნიშვნელო-
ვანს მომიყვებოდი.

შეთი – კი მნიშვნელოვანიც მაქვს, გადავწყვიტე ზურას
გავცილდე.

ნინი – რაა, გაგიჟდი, გოგო, ასეთ დროს? თან პატარა ბავშ-
ვით?

შეთი – გადაწყვეტილი მაქვს.

ნინი – ახლა სად არის ზურა?

შეთი – ფეხბურთის სათამაშოდ არიან, მერე სადღაც საქეი-
ფოდ მიდიან.

ნინი – ცოდოა.

შეთი – არა მგონია, ისიც დაისვენებს.

ნინი – ნანობ არა ცოლად რომ გაყევი?

შეთი – რას ამბობ, მაშინ ეს ხო ეს არ მეყოლებოდა, ნახე
რას ჰეგავს.

ისმის პატარა ბავშვის ტირილი

ასლანდელი დრო

ქეთის სახლი. ქეთი და ანა. მეორე ოთახიდან ისმის ანას ხმა.

ანა – დე, რა ხდება, ვინმეს ველოდებით?

შეთი – ხო ჩემი ძველი მეგობარი დავპატიჟე ჩავის
უცხოელ ცოლთან ერთად

ანა – ხომ?! მე არ ვიცნობ?

შეთი – არა, იცი რაა, რაღაც არა ვარ მაგათ ხასიათზე.

ანა – მერე მაგაზე ადვილი რა არის, დაურეკე და რამე მოიგონე.

ქეთი – მოვიგონო?

ანა – ჰო, რა პრობლემაა?.. თუ არ გინდა?!?

ქეთი – მართალი ხარ, პრიციპში მოსაგონებელიც არაფერია.

ანა – კაი მე წავედი, მაგარი ახალი სასტუმრო გაიხსნა და გოგოებთან ერთად მივდივარ.

ქეთი – ეგ რომელი, სანაპიროზე?

ანა – ხო, სანაპიროზე.

(ისმის კარის მიხურვის ხმა.

ქეთი მობილურს აიღებს და ნომერს მოძებნის).

ქეთი – გამარჯობა, ნიკა.

ნიკა – გამარჯობა, ქეთი.

ქეთი – იცი რაა, ისედაც იმდენი ყალბი დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში, რომ აღარ მინდა კიდევ ერთი მივამატო, მოკლედ, შენ თვითონ მოიფიქრე რამე მიზეზი, რომ ჩემთან აღარ მოხვიდეთ.

ნიკა – კარგი, მე უკვე ვეძებ ამ მიზეზს. დაგირეკავ, როცა მარტო ჩამოვალ, თუ შეიძლება.

ქეთი – შეიძლება... კეთილ მგზავრობას გისურვებ.

ნიკა – გმადლობთ.

ქეთი – აბა შეხვედრამდე.

ნიკა – შეხვედრამდე.

2012 წ.

გრინვიჩის
მერიდიანი

ღამეა. გარეთ წვიმს.

ოთახში სამნი არიან:

60 წელს გადაცილებული ქალი და მამაკაცი (ნუნუ და კოტე) და 25-27 წლის ბიჭი (ნოდარი).

(ნოდარი ფანჯრიდან იყურება, ნუნუ სუფრას აწყობს, კოტე მაგიდასთან ზის და ფოტოალბომს ათვალიერებს).

ნოდარი – რა ადგილია არა, ბიძაჩემო? აი, ეს არის ნამდვილი ლონდონი, ნისლი, წვიმა, თოლიები ტემზაზე, ა? ხოა გასაშტერებელი?

(კოტე წამოდგება და ისიც გაიხედავს).

კოტე – ეს რა შენობაა?

ნოდარი – ესაა მილენიუმდომი. ხო გავს კოსმოდრომს?

კოტე – კი, ცოტა უცნაური არქიტექტურაა, მაგრამ ძალიან ლამაზია, მომწონს.

ნოდარი – რაია იცი, ბიძაჩემო, ამნაირს ყველგან ააშენებენ, მაი არაფერია, მარა, დედას ვფიცავარ Tower Bridge-ისნაირი სილამაზე თუ იყოს სადმე დედამიწაზე.

მთელი ბოვშვობა ვოცნებობდი, რომ ერთხელ მაინც პიკადილზე ჩამოვმჯარიყავი კიბეზე და ევისრულე. სურათი მქონდა ბიტლების ნანახი, პიკადილზე გადაღებული და მაშინ რო ჩევიჭედე თავში, მორჩა აქანე თუ არ მოგხვდი, არ მინდა-თქვა სიცოცხლე. ისე აგიხდეს ყველაფერი რავარც ყოველ გავლაზე მეიქ არ ვჯდებოდე.

ნუნუ – დასხედით, დასხედით, თორემ გაცივდა ყველაფერი.

კოტე – მოდი რა შენც, რამდენი სურათი გქონია, ნუნუ.

ნუნუ – შენც გადაგიღებ, მიყვარს სურათები.

კოტე – (აგრძელებს ალბომის დათვალიერებას). ეს ხო იცი? გელას ბიჭი, ცხინვალთან მოკლეს.

ნუნუ – ვიცი, ვიცი, საცოდავი, ადრე ჭირდა ყველაფრის გაგება, თორებ ახლა მგონი თქვენზე ადრე ვიგებ ყველაფერს.

ნოდარი – ნახეთ რა ლამაზია ღამით განათებული გემი.

ნუნუ – კარგი, დასხედით, გეყოფა ფანჯარაში ყურება, მიირთვით, ნოდარ! არ გესმის?

ნოდარი – კი ბატონო, ახლა ერთი ეს ჩამოვასხათ, ინგლისი და ვისკი განუყოფელია, ხომ იცით?

კოტე – კი, კი, თქვენ აქ ახლოს ცხოვრობთ?

ნოდარი – არა, ისე ჩემიც მაგარი ადგილია – South Kensington-ზე, მარა ეს უფრო მომწონს. რაღაცით საქართველოს მაგონებს, სულ არ გავს, მარა მაინც გავს ტემზა რიონს, დედას ვფიცავარ. ჩემი სახლის ფანჯრიდანაც ასე იყო. ასე ჩანდა რიონი.

კოტე – გენატრება ქუთაისი?

ნოდარი – ოცდაშვიდის ვარ, რომ წამევედი ოცის ვიყავი.

კოტე – კაი, კაცო...

ნოდარი – აბა რაი?! პატარა ამბავია შვიდი წელი? თქვენ პირველად ხართ ინგლისში?

კოტე – ერთხელ ოქსფორდში ვიყავი, ორი წლის წინ, კონფერენციაზე.

ნოდარი – აქანეც კონფერენციაზე იყავით?

კოტე – აბა სად მაქვს იმდენი ფული, ჩემით ვიარო სამოგზაუროდ.

ნოდარი – ისე ბატონო, თქვენ ქე უნდა ცხოვრობდეთ იმ ფერათ... რომე... აქანე რამდენი აქვთ იცით თქვენნაირ პროფესორებს? უუუუ, მაგდენი რომ მქონდეს?!

კოტე – რა გვარი ბრძანდებით?

ნოდარი – მე ვარ კიკვაძე, ნოდარია კიკვაძე, მარა აქანე ვარ რაიმონდ მატიატიუსი, პრიბალტიკელი. აი ამ პასპორტით

ვარ უკვე ოთხი წელია. რავარი ნაწვალები და რამფერი დღეები
მაქვს გამოვლილი ამ დასაქცევ ლონდონში, ნუ იტყვით.

(კოტე პასპორტს ართმევს და ათვალიერებს.)

კოტე – ვერც მივხვდებოდი, რომ ყალბია.

ნოდარი – უუუ, თქვენ კი არა ამ პასპორტით რამდენი ან-
გარიში მაქვს გახსნილი რომ იცოდეთ?!

ნუნუ – კაი, ბიჭო, ნუ გადარიე ეს კაცი. აბა, გაგვიმარჯოს!

კოტე – გაგვიმარჯოს, გაგვიმარჯოს!

(ნუნუ მაგიდაზე ჭადებს აწყობს).

ნოდარი – ვაიმე, მაგიტო მიყვარხარ ნუნუ მამიდა.

ნუნუ – მამიდას მეძახის, აქ გავიცანი, რაღაცით ჩემ ძმას
მივამსგავსე და მართლა ჩემი გვარის არ გამოდგა?!

ნოდარი – დეილოცოს ის დღე ნუნუ მამიდა რომ შემხვდა,
ამფერი ქალი ლოდონში არ დადის, დედას ვფიცავარ.

კოტე – გაუმარჯოს, არც თბილისში დადიოდა მასეთი გოგო,
მაგრამ გაგვექცა.

ნოდარი – აი, ხო ვამბობდი, დედას ვფიცავარ თუ არ ვიყო
მაგაში დარწმუნებული, თან ახლა, რომ წარმოვიდგენ ახალ-
გაზრდა ნუნუ, აშხვართული ქეა ახლაც, მანქანით, თბილისში,
აუუუუ, ბოდიში ბიძაჩემო, თქვენ საიდან იცნობთ მამიდაჩემს?

კოტე – ერთად ვართ გაზრდილები, კლასელები ვართ,
ნუნუს ძმა და მე წყალბურთს ერთად ვთამაშობდით.

ნოდარი – კლასელი?! ჰმ, ჩემს კლასელებს კი ოულნიშნავთ
ათი წლის თავი მარა, ვაკდები ყველაფერს.

კოტე – მოგვაკითხავდა ნუნუ ვარჯიშის მერე თავისი შავი
ვოლგით და რამდენი შურიანი თვალი გვაყოლებდა მზერას ეჲ,
ვინ იცის.

ნოდარი – ხოდა მამა, მაგ შურმა და ბოლმამ ქნა ასე რო
წოუვიდა საქმე ნუნუს, თუარა იყო ამის ლირსი? თვალია რაც
არის, თუ გეითვალე?.. სულ მაგის ეშინოდა დედაჩემს.

ნუნუ – კაი, ბიჭო, გაჩუმდი, შენ რა იცი როგორ წამივიდა საქმე. მაგარი სასაცილო ბიჭია არა? მაგრამ ძალიან მიყვარს, რა უნდა ვთხოვო, რომ დამზარდეს.

ნოდარი – აბა ამნაირ ქალს ოჯახი არ უნდა ყოლოდა?! ბი- ძაჩემო, ბოდიში, თქვენი სახელი ისევ დამავიწყდა.

კოტე – კოტე.

ნოდარი – ხო, კოტე, კოტე, ნუნუ მამიდას შემოევლოს ჩემი თავი, რავარც მე ამან მიპატრონა ამ უპატრონო ქალაქში, დედა არ უპატრონებდა ასე შვილს.

ნუნუ – კარგი, კარგი, გეყოფა, მეც დამისხი, კოტე.

(კოტემ ვისკი ჭიქებში ჩამოასხა და ნოდარს ოდნავ მოჭუტუ- ლი მზერა მიაპყრო).

კოტე – ალბათ როგორ ენატრები დედაშენს?!

ნოდარი – უიიი, ვენატრები, აბა არ ვენატრები? ხანდახან ძილში ისე ტკბილად მესიზმრება მისი წყევლა, რომ გამემეღვი- ძება პატარა ბოვშვივით ვიწყებ ტირილს.

კოტე – ჰა, ჰა, ჰა. რა წყევლა?

ნუნუ – ახლა იმისთანებს იტყვის სულ გადაგრევს, ხოა ნალ- დი ქუთაისელი, ა?

კოტე – კი, კი.

ნოდარი – ქუთაისელი? ქუთაისელი ვარ, აბა ვინ ვარ?! ქუთაისი კი მენატრება, რავა არ მენატრება. მარა, ბიძაჩემო, გინდ დეიჯერე და გინდა არა, გაზი, შუქი და წყალი ერთად არ მინახია ისე გევიზარდე.

კვირაში ერთხელ მოწანწკარდებოდა ეს წყალი, გაავსებდა საცოდავი დედაჩემი ვანას და ქე იჯდა მერე გველეშაპივით ვანის კართან.

ნუნუ – ჰა, ჰა, ჰა. (ახვიხვინდა ნუნუ და სიცილს სიგარეტის მწევლის ხველაც მიაყოლა).

ნოდარი – დედას ვფიცავარ თუ ვიტყუებოდე რამეს. ჩვენთან ასე ერთად იყო ვანა და ტუალეტი, ორი ონკანი კი ეყენა, მარა ცხელიდან წამოსული წყალი არ მინახავს, არ გჯერათ?

ნუნუ – დედაზე მოუყევი რა კოტეს, დედაზე, ჰა, ჰა, ჰა. – (ისევ ჩაბუირდა ნუნუ და ხველა აუტყდა).

ნოდარი – საბანაოდ რომ შევიდოდი ხო, ბიძაჩემო. უკვე დიდი ბიჭი ვიყავი და თლად ვანაში არ მიხტებოდა, მარა კართან იდგა და მიზანდა, ჩქარა ქენი თუარა დაგატყლიზნი მაგ უნიტაზზეო. უნიტაზზე რატომ? იკითხავთ ახლა, ბიძაჩემო, რატომ და ორი საქმე კეთდებოდა ერთად, თან ბანაობდი და თან ირეცხებოდა აი უნიტაზი. აბა ოთხი ბოვშვი ჩვენ ვიყავით და დედაჩემი და მამაჩემი.

პოტე – ჰა, ჰა, ჰა.

ნოდარი – დედას ვფიცავარ. ერთი ნუკრია იყო ჩვენს კორპუსში, უგრეხელიძე, იმან მეიგონა აი უნიტაზე დასადგომები და ქე ყიდდა კაი ფასად, სანამ ერთი ათმა კაცმა არ მეიმტვრია კისერი. ხო იცინეთ, იცინეთ, აბა რა იქნებოდა საპნიანი ფეხი სრიალებდა და ზოგი კინჩხსს იტეხდა და ზოგი კისერს. მარა მაინც მენატრება ქუთაისი. რა მენატრება იცი?

ზამთარში მოპარულ პაკრიშკას რომ წოუკიდებდით ცეცხლს და გავთბებოდით...

ნუნუ – ესე იგი შენ მოგბეზრებია კომფორტი, ჩემო ნოდარია, ეგ არ გითქვამს ჩემთვის აქამდე.

ნოდარი – არა, ნუნუ მამიდა, კომფორტი რავა მომბეზრდა?!

ნუნუ – ასე არ თქვა?

პოტე – დავაცადოთ ჯერ ხომ არ დაუმთავრებია.

ნოდარი – ასე იცის ამან, მამიდაჩემმა, კი არ მაცლის ლაპარიკს.

სულ დამცინის, მარა მაინც ძაან მიყვარს ამას შემოვევლე.

ნუნუ – კაი, მიდი გააგრძელე.

ნოდარი – ხოდა იმას ვამბობდი, პაკრიშკას რომ მევიპარავდით სხვა უბანში, და რომ დავანთებდით. ჯერ ჩვენი ბირჟის ბიჭები შემოვგროვდებოდით, მერე კაცები ჩამევიდოდნენ, მერე ბოვშვები და მოხუცები, ბოლოს ქალები ვითომდა ოჯახის

ასახიკად, ტყვილა. შეგროვდებოდა მთელი კორპუსი პაკრიშვის გარშემო და დეიწყებოდა გლახაობა, მარა რა დეიწყებოდა, აი ის გლახაობა მენატრება ყველაზე უფრო, დედას ვფიცავარ.

კოტე – ოოო, ქუთაისელების იუმორი... მართალს ამბობს ეს ბიჭი რა გინდა, ნუნუ?

ნოდარი – ბიძაჩემო, თქვენ რომ იუმორს ეძახით, მაგას ჩვენ ქუთაისელები გლახაობას ვეძახით და არ თქვას ტყვილა არავინ, რომ ჩვენსავით ვინწე გლახაობს დედამიწის ზურგზე.

ნუნუ – ჰა, ჰა, ჰა, ხო არის მაგარი ტიპი, კოტე, ა?

ნოდარი – ისე კი არ ვამბობ, ბიძაჩემო, მთელი ევროპა მაქვს მოვლილი, სანამ აქანე ჩამევიდოდი ოთხი ქვეყანა ისე გამევიარე, თბილისში არ ვარ ნამყოფი, ქუთაისიდან პირდაპირ შუაგულ ევროპაში ამოყვავი თავი. არც ერთი ენა არ ვიცოდი, მარა ახლა იმნაირ ლონდონურს ვლაპარაკობ, კაცი ვერ ხვდება ინგლისელი რომ არ ვარ. მარა რაცხა, შტერულს გლახაობენ ესენი. ადრე მეგონა არ მესმის-თქუა, მარა დამიჯერეთ, მაინც შტერულია.

კოტე – რატომ, ინგლისური იუმორი ცნობილია?!

ნოდარი – კაი რა, ბიძაჩემო, „სტივი ხვდება მაიკლს და ეკითხება საწვიმარი რეიზა გაცვიაო? ხომ არ წვიმსო? მაიკლი პასუხობს, რომ გაწვიმდესო?“ აგი მოყვა გუშინ ჩემმა თანამშრომელმა და გეისტკლიცნენ სიცილით. აია იუმორი?

და ამას ქვია გლახაობა?

ნუნუ – ჰა, ჰა, ჰა, კარგი გაჩუმდი, ბიჭო. დამახრჩობს ეს უპატრონო.

მჭადი არ გასინჯე, კოტე? შენ საპატივსაცემოდ გამოვაცხვე.

კოტე – ეს მჭადია?

ნუნუ – მჭადია ხო! აქ მხოლოდ ბრაზილიური ფქვილი იყიდება, სხვანაირი არ გამოდის, რამდენიც არ უნდა აცხო, შიგნით მაინც სველია.

კოტე – გმადლობთ, გავსინჯავ, მაგრამ ისე მჭადი დიდად არ მიყვარს.

ნოდარი – აუუ, მე რაფერ მიყვარს და მენატრება დედაჩემის გაკთებული საჭმელები?! როგორ ახერხებდა ის საწყალი?! ახლა რომ ვფიქრობ, კვირაში ერთხელ მოდიოდა წყალი და ვასვასი გოუდიოდა ყველაფერს, იმფერი წესრიგიანია. ახლა აქ ნუნუა ჩემი დედა, ეს რომ არ მყავდეს აქ, მარტო ვიქნებოდი, დედას ვფიცავარ.

პოტე – მარტო რატომ, ამდენი ქართველები არიან.

ნოდარი – მაგენი ყველა ჩემნაირია. დაგსხდებით შაბათ-კვირას და ყველას ერთი ოცნება გვაქვს, პასპორტი! ნამდვილი პასპორტი! წელიწადში ერთხელ რომ ჩავიდეთ ან სატიროლში, ან ქორწილში, რაფერი ძნელია იცი, ბიძაჩემო? ომი რომ იყო, დაგვაწყდა წერვები, მარა რას იზამ. დედას ვფიცავარ, თუ ყველანი არ წავსულიყავით წინა ხაზზე, მარა როგორ? იტყვი ვინც ხარ და გიკრავენ თავს ციხეში. სანამ ციხიდან გამოგიშობენ ქე დამთავრდა ეს ომი სამ დღეში. არადა აქანე ბევრად უფრო ძნელია, როცა შენ ქვეყანას ბომბავენ, არ გჯერათ, ბიძაჩემო?

პოტე – მჯერა როგორ არ მჯერა. არც თქვენ ხართ აქ კარგ დღეში, მაგრამ ეტყობა სხვა გამოსავალი არ არის.

ნოდარი – არ არის, არა. ჩვენ გარდა აქ თითის ანაბეჭდებს არავის არ უღებენ. ზანგებს არ ექცევიან ასე. სულ იმას ვოცნებობ, როდის შევალთ ნატოში, ევროკავშირში, ალარ უნდა დაგვადგეს საშველი? – ჩამევიდოდი მეც წყნარად, წელიწადში ორჯერ, სამჯერ.

ნუნუ – წელან ერთხელ უნდოდა, ახლა მოუმატა. – (ახვიხვინდა ისევ ნუნუ).

ნოდარი – სამჯერადაც მინდა და მეტჯერაც, მარა თლად ვეღარ წავალ აქედან. აქაურობის გარეშე უკვე აღარ შემიძლია. ახლა ჩემია ეს Tower Bridge-იც, South Kensington-იც და Night Bridge-იც. ახლა Harrods-შიც თუ არ შევიარე, აი საათი Harrods-შია ნაყიდი. ამ ფასად ახლა ნახევარ ქუთაისს გამოკვებავ.

პოტე – ყოჩალ შენ, ამდენს თუ შოულობ. (კოტემ სათვალე მოიხსნა და ისე დააცქერდა საათს).

ნოდარი – რაის ვშოულობ, მოპარულს ვყიდულობ. ეს ბათინ-კიც სხვადსხვა ზომაა, მარა ეტყობა რამე?

ახლა მე ნამეტანი გამიჭირდება თლათ ქუთაისში, მოვკვდები, დედას ვფიცავარ. აი ნუნუ, რომ არის დღეს ლონდონში, ასე ვიყო, არ მინდა მეტი. ბევრი ლონდონელი ვერ დეიტრაბახებს.

სახლი აქვს, კარი აქვს ამისთანა ადგილას, თავზე არ გადადის, მარა საკმარისი ფულიც აქვს, და რაც მთავარია პასპორტი!

კოტე – მოდი, გაუმარჯვოს ჩვენი პატარა სასტუმროს დიდ დიასახლისს, ნუნუ, გაგიმარჯვოს!

ნოდარი – პატარა? ასეთი სასტუმრო მომცა და მეტი თუ ვინატრო რამე?! მამიდა გაგიმარჯვოს!

ნუნუ – გმადლობთ, გმადლობთ, რომელი საათია? თუ დროზე არ გავედით ტრეფიკებში მოვყვებით და თვითმფრინავზეც დაგვაგვიანდება.

გესმის? მეტი აღარ დალიო, ბიჭო, ნოდარია.

კოტე – ნუნუ, შენ ხომ არ აპირებ დაბრუნებას?

ნუნუ – ნოდარიას აღარ უნდა დაბრუნება და მე რამდენი წელია, რაც აქეთ ვარ თუ იცი?

კოტე – კი იქნება ორმოცი, არა?

ნუნუ – ზუსტად ოცდაცხრამეტია.

კოტე – ისე შენ ველარც შეეგუები იქაურობას.

ნუნუ – აქაურობას შევეგუე და ...იქაურობას? ის ხო ჩემია, სადაც არ უნდა ვიყო. კლიმატმა მიტირა ყოფა, ეს ასთმაც ასაკ-ში.

კოტე – შენს მერე იმდენი რამე შეიცვალა. ვერ იცნობ თბილისს, ვერც ქუთაისს, სხვათა შორის.

ნოდარი – ო, მაი არ მითხრა, მაი სულ არ მიხარია, მე იგი მენატრება, რაც მახსოვს.

ნუნუ – აქაც ბევრი შეიცვალა ამ ოცდაცხრამეტი წლის განმავლობაში.

ნოდარი – ოზდაცხრამეტი კი არა, შვიდ წელიწადშია შეცვლილი ყველაფერი, გადამრევს ეს ხალხი.

ნუნუ – სანამ აკრძალული მქონდა, მაშინ უფრო მინდოდა ჩამოსვლა, ახლა რა ვიცი, ჩემებიც ნახევარჯერ აქეთ არიან.

პოტე – ისე, შენ კი არა მე ველარ ვეგუები იქაურობას.

ყველა ცხვირს რომ ყოფს შენს საქმეში. წავიდა ის დრო, დაურეკავად თავზე დადგომა, უცხო ხალხის სტუმრად აყვანა.

ვერ გაიგო მაინც ამ ხალხმა. ჩემ შვილიშვილებთან დაურეკავად არ არსებობს ვინმე მოვიდეს. ეს ჩვენი დებილი კლასელები დაბერდნენ და ჭკვა კი არ მომატებიათ. როცა მოუფრიკინდებათ მაშინ დამადგებიან თავზე.

ნოდარი – არადა ხოა მაგარი?!

პოტე – არ ჯობია, დარეკო, შემითანხმდე, იქნებ დღეს სულ არ ვარ შენს ხასიათზე?

ნოდარი – არადა რომ მოვლიან მერე ხომ მოდიხარ ხასიათზე?

კოტე – მერე სხვა რა გზა მაქვს.

ნოდარი – ჰოდა მაგია ძაან მაგარი, დამიჯერე, ბიძაჩემო, აბა მე ქალთან ვერ დავწოლილვარ თუ ერთი კვირით ადრე არ შეუთანხმდი. ეგია საქმე. იგება ახლა, ამ წუთას სიცოცხლეზე მეტად მინდა შენთან ყოფნა.

ნუნუ – ესე იგი ჩვენი ბიჭები არ შეცვლილან? ჰა, ჰა, ჰა.

პოტე – არა, კაცო, რაც იყვნენ, აჩიკო და მირზა სკოლაში, ჭკუა კი არ მომატებიათ. სხვათა შორის დიდი მოკითხვები დამაბარეს შენთან. თუ ვახსოვართო?

ნუნუ – რას ქვია არ მახსოვს. მე ყველა მახსოვს, ჩემო კოტიკო, ეს ალბომია ყველაზე ძვირფასი, რაც იქიდან შემომრჩა.

როცა აქეთ წამოვედი, უკან დაბრუნებაზე აღარც მიფიქრია. ათი წელი წერილებსაც კი არ ვწერდი არავის, მეგონა აქედან დიდ საქმეებს ვაკეთებდი ჩემი რადიოთი, მაგრამ „სამშობლოს მოღალატე“ და რა ვიცი, რა აღარ დამწამეს.

პოტე – ბოდიშს გიხდი ყველაფრისათვის.

ნუნუ – შენ რა გაქვს საბოდიშო, დრო იყო ასეთი. ჩემი დაც კი არ მპასუხობდა ტელეფონზე, მიკიდებდა, ეეპ?! შენი ამბები მოყევი ერთი, ისე მიდიხარ დალაპარაკებაც ვერ მოვასწარით წესიერად.

პოტე – ჩემი ნინოს ბიჭები აქეთ არიან, კოტიკო ოქსფორდ-შია, მათე კემბრიჯში გადის სტაუირებას, ნინოც ნახევრად აქეთ არის, ვერ ტოვებს შვილებს, მეც ვერ მტოვებს, თორემ სულ წამოვიდოდა.

ნუნუ – შენ არ გინდა ალბათ საქართველოდან წამოსვლა? (კოტე გაჩუმდა).

ნუნუ – რა იყო, ბიჭო? არ გადამრიო შენც აქეთ მოდიხარ?

პოტე – იცი კოტიკომ ამერიკელი გოგო მოიყვანა ცოლად. აი, ნახე? – (კოტემ გულის ჯიბიდან სურათები ამოიღო და ნუნუს გაუწოდა).

პოტე – გოგოც შეეძინათ, ლუიზა. ჩემი ლუიზას საპატივსაცემოდ დაარქვეს.

ნუნუ – მაჩვენე.

(მოიმარჯვა სათვალე ნუნუმ და სიყვარულით დააცქერდა სურათებს).

ნუნუ – მერე?

პოტე – რა ვქნა, ნუნუ? ორ წელიწადში ერთხელ ისევ აქ თუ დამიძახებენ ლექციების წასაკითხად და ეგ არის და ეგ. აბა იქ მე აღარავის აღარ ვჭირდები. თანაც მე ჩემების გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. მით უმეტეს ლუიზას გარდაცვალების შემდეგ. რა ვქნა, ნინოსაც ხელს ვერ შევუშლი, სადაც მეტყვიან იქ წავყვები.

(ნუნუმ სურათები უკან დაუტრუნა და სიგარეტს მოუკიდა).

ნუნუ – ამას წინათ ცუდად გავხდი ძალიან, ძლივს მივაღწიე ტახტამდე, მთელი დღე ჰოლში ვეგდე, ტელეფონამდეც კი ვერ მივჩინდი.

პოტე – მერე ეს შენი მდგმურები?

ნუნუ – ესენი? სამი მდგმური მყავს, ერთი კანადელია, მესამე წელია, რაც აქ ცხოვრობს. მეორე – ექვსი, ავსტრალიელი. ფრანგი გოგო ხუთი წელია. დილას გადიან სამსახურებში და საღამოს გვიან ბრუნდებიან. მთელი ეს წლები ერთმანეთს მხოლოდ ორ სიტყვას ვეუბნებით, „ჰაი“ და „ბაი“.

იმ დღესაც ასე იყო, კაცს არ გაუგია ჩემი ცუდად ყოფნის ამბავი. მაშინ მივხდი, რომ მიყურებენ, მაგრამ კი ვერ მხედავენ.

ერთი ვიფიქრე, ხო არ დაგბრუნდე, ასე უპატრონოდ უცხო ქვეყანაში, როდემდე. მოკლედ, ჩემმა რძალმა შემომითვალა, ხო არ გაგიუდი, სად უნდა დაბრუნდე, ცოტა ხანში ჩვენც შენთან წამოვალთო. რატომ, რა ხდება?

ნოდარი – მასე მეც ქე მინდოდა ომის მერე დაბრუნება. მარა დედაჩემმა აქ არ დაგინახო ჩამოსულიო, შენი ტოლი ვინცა დარჩა აქანე ან ლოთია და ან ნარკომანიო. თანაც ბოგშევებს რა ვუყოთ, აგენის სწავლის ფულს ვინ გადაიხდისო, აბა?

კოტე – ეს რა ვიცი, არც ვიცი რა გითხრათ.

ნოდარი – ბიძაჩემო, მაინც კარგია აქ. აქ არის მთელი მსოფლიოს ცენტრი. აა, გრინვიჩის მერიდიანი აგერაა, მოდი, შეხედე.

გვონია ვხუმრობ?!?

(ჯერ ნოდარი მივიდა ფანჯარასთან, მერე კოტე, ნოდარმა დაორთქლილი მინა ხელით გაწმიდა და კოტეს თითით მიანიშნა).

ნუნუ – წავედით, წავედით, თორემ დაგვაგვიანდება.

კოტე – ძალიან მერიდება ამ ბიჭს რომ ასე ვაწუხებ, წავიდოდი ჩემით, მეტროც აქვეა.

ნოდარი – ეე, ჩვენ იცი რაფერ გვიხარია იქინე წასვლა?

ნუნუ – რამდენჯერ ისე წავსულვარ და თვითმფრინავს დავხვედრივარ, ვითომ ვინმეს ველოდებოდი. ნოდარ, ერთი სამახსოვრო ფოტო გადაგვიღე მე და კოტეს.

ნოდარი – ახლავე.

(ნოდარი ფოტოს უღებს ნუნუს და კოტეს და სამივენი ოთახიდან გადიან).

2010 წ.

ეუყარს
სახლები

მოქმედი პირნი:

გიორგი – ექიმი 40 წლამდე
ელენე – გიორგის ცოლი
ვახო – გიორგის მეგობარი
მერი – ვახოს ცოლი
მამა ალექსანდრე
გრემ ვუდი
ჟურნალისტი
ოპერატორი

სცენა წარმოადგენს დიდ სასტუმრო ოთახს. ოთახში ორნი არიან, ელენე და გიორგი (40-45 წლის ცოლ-ქმარი). ელენე ტახტზეა მისვენებული, კალთაში ლეპტოპი უდევს, თან ტელეფონზე ლაპარაკობს. გიორგის ყურსასმენები უკეთია. კომპიუტერთან ბის და რაღაცას აქტიურად წერს, ისიც ვიღაცას ესაუბრება. კედელზე დაკიდებულ ტელევიზორში დაბალ ხმაზე ისმის საინფორმაციო გამოშვება.

გიორგი – ვაა?!.. არა... პირველად მესმის. „მუყაოს სახლები“?! აბა, ერთი კარგად მომიყევი... მერე...

ელენე (ტელეფონზე ლაპარაკობს) – ...შევეჩვით, სხვა რა გზა გვაქვს, ...ნიკას წასვლა უფრო გაგვიჭირდა. ქეთი უფრო მაგარია, უცემ ადაპტირდა, თან ზუსტად იცის, რა უნდა. კი, სკაიპით ყოველდღე ველაპარაკებით. არა, სხვადასხვა შტატში არიან... ხო. რას გაიგებ. შენც მიერჩევი, აბა, კალთაზე ხომ არ გამოიბამ? თვითონ თუ უნდა წასვლა?! კაი რაა?! აქ რა განათლება უნდა მიიღოს. რაა?! მოძღვარი არ აძლევს კურთხევას?! თქვენც რა ყველაფერს მოძღვარს ეკითხებით.

გიორგი: კაი, კაცო?! სად? როდის?! მართლაა?!.. რომელ არხზეა?

გიორგი ტელევიზორის პულტს მოიმარჯვებს და ხმას აუზევს. ეკრანზე ჩანს უცნაური სავამოფენო სივრცე.

ელენე – გიორგი! ვლაპარაკობ!

(გიორგის არ ესმის, ტელევიზორთან ახლოს მიდის).

ელენე – კაი, დაგირეკავ, სკაიპში რეკავენ (ელენე ტელეფონს გათიშვავს).

რა წესია, ხო ხედავ, ვლაპარაკობ?!

გიორგი – აუუ, მოიცა, რაა?! რაღაც მაგარი ხდება. კოტე
მიყვებოდა.

(ტელეეკრანზე ჩანს უცნაური საგამოფენო სივრცე).

შურნალისტი – ძვირფასო ტელემაყურებლებო, დღეს ჩვენს
ქალაქში ჩამობრძანდა ბატონი გრემ უვდი და ჩამოგვიტანა ყვე-
ლასთვის უკვე კარგად ცნობილი პროექტი „მუყაოს სახლები“.
ეს გახლავთ მოდერნისტული ხელოვნების ბოლო სიტყვა და,
ჩვენდა საამაყოდ მინდა ვთქვა, რომ საქართველო არის მეცხრე
ქვეყანა, რომელსაც ბატონი გრემი თავისი არაჩვეულებრივი
პროექტით ეწვია. დიდი მადლობა, ბატონი გრემ, ძალიან გვიხა-
რია, რომ უკვე აქ ხართ და ვიდრე ჩვენს მაყურებელს თქვენი
პროექტის შესახებ უფრო დაწვრილებით მოუთხრობდეთ, მინდა
შეგეკითხოთ, – საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული
შტატები, ნორვეგია, დანია, გერმანია, პერუ, მალაიზია სინგაპუ-
რი და საქართველო. რით დავიმსახურეთ, რომ პირველ ათეულ-
ში მოვხვდით? რა პრინციპით არჩევთ ქვეყნებს? ვიცით, რომ
მთელ მსოფლიოში სულმოუთქმელად გელოდებიან.

გიორგი – გამარჯობა, მივესალმები ქართველ ტელემაყურე-
ბელს! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, მართლაც უამრავი
ქვეყნიდან გვაქვს მოწვევა. წარმოუდგენელია, რომ ყველგან
შევძლოთ ჩასვლა. ამიტომაც, მე და ჩემი ასისტენტები ერთად
ვიღებთ გადაწყვეტილებას. ჩვენს აპლიკაციაში არის ერთი ასე-
თი პუნქტი – რით გამოირჩევა თქვენი ქვეყანა სხვა ქვეყნების-
გან? რა არის ისეთი, რასაც სხვაგან ვერ ნახავთ? სწორედ ამ
შეკითხვაზე გაცემულმა პასუხებმა განაპირობა ის, რომ დღეს
აქ ვართ.

შურნალისტი – და რა არის საქართველოში ისეთი, რასაც
სხვაგან ვერ ნახავ, ბატონი გრემ?

გიორგი – ბოლო მონაცემებით, საქართველოში აღმოჩენილია
ყურძნის ყველაზე უძველესი წიპწა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ

დამთავრდა მითები იმის შესახებ, თუ სად დაიწურა პირველად ვაზი, ანუ რომელი ქვეყანა ღვიძის პირველი სამშობლო.

ნაპოვნია პირველი ევროპელის თავის ქალა.

საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ებრაელები არასოდეს დაურბევიათ.

უშრნალისტი – ე. ი. ყურძნის წიპწას, პირველი ევროპელის თავის ქალას და ჩვენს ტოლერანტობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს აქ ბრძანდებით?

გრემი – რა თქმა უნდა, თუმცა, ამ ყველაფერზე პრეტენზიას სხვებიც აცხადებენ და არც ის არის გამორიცხული, რომ სადმე უფრო ძველი წიპწაც იპოვონ და უფრო ძველი თავის ქალა... ჩვენ სხვა რამემ გაგვაოცა.

უშრნალისტი – ოო, საინტერესოა!

გრემი – ეს არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ნასესხები ფულით სტუმარს ეპატიუებიან.

უშრნალისტი – უცნაურია. მართალი გითხრათ, უფრო საა-მაყო არგუმენტს ველოდი, მაგრამ ახლა მთავარია, რომ „მუყაოს სახლები“ ჩვენს დედაქალაქს სტუმრობს, რაც ამ ეტაპზე ყვე-ლაბზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ბატონო გრემ, რას ნიშნავს „მუყაოს სახლი?“ რატომ გახდა ის ასეთი პოპულარული?

გრემი – იცით, რამდენიმე წლის წინათ აღმოვაჩინე, რომ ჩემს მეუღლესთან, რომელთანაც კონფლიქტი არასოდეს მქონია, აღარაფერი მაკავშირებდა, გარდა საერთო შვილებისა, რომლე-ბიც გაიზარდნენ და სხვადასხვა ქვეყანას მიაშურეს საცხოვრე-ბლად. შინ ორი, ერთმანეთის მიმართ ინტერესდაკარგული ადა-მიანი დავრჩით. სალაპარაკოც კი აღარაფერი გვქონდა. ერთმა-ნეთის ყველაფერი ვიცოდით. რა მოგვწონს? რა არ მოგვწონს? რა გვიხარია? რას ვერ ვეგუებით? ამიტომაც, ჩვენი ცხოვრე-ბა, ერთი შეხედვით, მშვიდად, მაგრამ უინტერესოდ გრძელდე-ბოდა. გიფიქრიათ იმაზე, ადამიანი საშუალოდ რამდენ დღეს ცოცხლობს, თუნდაც ღრმა სიბერემდე? სულ რაღაც 30 000

დღეც კი არა... და იმის მაგივრად, რომ ყოველი დღის გათენება გაგვხარებოდა, პირიქით იყო. არადა, ყოველი დღე ხომ საჩუქარია! რა აზრი აქვს იმ დღეს, რომელიც არანაირ ემოციას არ მოგვიტანს, არ აგვალელვებს, არ დაგვმუხტავს და ახალი ენერგიით არ აგვასებს. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ რაღაც შემეცვალა, ყოველ შემთხვევაში, მეცადა მაინც. შობა ახლოვდებოდა და იმ წლის მასპინძლები მე და ჩემი მეუღლე ვიყავით. სტუმრები კი, ტრადიციულად, ჩვენი მეგობრები, ჩვენსავით უაზრო ცხოვრებას შეგუებული ორი წყვილი. ექსპერიმენტიც აქედან დაიწყო.

შურნალისტი – როგორც ვიცი, ამ წვეულების შემდეგ წყვილები გაიცვალა.

ბრძმი – დიახ, ჩემმა პირველივე ექსპერიმენტმა გაამართლა. იმ დღეს ჩემთან ჩემი მეგობრის ცოლი დარჩა, ჩემი ცოლი კი ჩემს მეგობარს გაჰყვა.

შურნალისტი – ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თქვენ და თქვენმა მეგობარმა ცოლები გაცვალეთ?

ბრძმი – არა, მთლად ასე არ იყო. იქ მესამე წყვილიც იყო და მე იმის ცოლი შევირთე ცოლად. დიახ, ასეა და ჩვენ თავს დღემდე ძალიან ბედნიერად ვგრძნობთ.

შურნალისტი – როგორც ვიცი, მესამე წყვილი მალევე და-შორდა ერთმანეთს. ამას როგორ ახსნით?

ბრძმი – კი, ნამდვილად ასეა, უბრალოდ, იქ სხვა აღმოჩენა მოხდა. ქალი დარწმუნდა, რომ საპირისპირო სქესი აღარ აინტერესებდა და ეს გახდა მათი განშორების მიზეზი.

შურნალისტი – საინტერესოა, მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ საქართველო ტრადიციების მოყვარული ქვეყანაა და ოჯახის თემას, როგორი პრობლემებიც არ უნდა ჰქონდეთ, შოუდ არ გადააქცევენ. ამას არც საზოგადოება მიესალმება. არ გეშინიათ, რომ თქვენი პროექტი ჩავარდეს?

ბრძმი – პირიქით, გულისფანცქალით ველოდები, როდის ამუშავდება ქართული „მუყაოს სახლი“. რაც უფრო მეტია წი-

ნააღმდეგობა, მით უფრო მეტია მისი გარღვევის სურვილი. თანაც, როცა კონსპირაციულობაც ბოლომდე დაცული და გარანტირებულია, ყველას უჩნდება სურვილი, თუნდაც რამდენიმე საათით მაინც იყოს ის, ვინც ნამდვილად არის.

„შურნალისტი – ესე იგი თქვენ იმედი გაქვთ, რომ მსურველების ბევრი განაცხადი შემოვა.

ბრძმი – უკვე ბევრია შემოსული.

„შურნალისტი – წარმატებებს გისურვებთ.

ბრძმი – მე კი ქართველებს მოვუწოდებ, გათავისუფლდნენ ზედმეტი კომპლექსებისგან, თუ უნდათ, რომ ნამდვილ ცხოვრებას ეზიარონ. იცხოვრეთ ისე, როგორც თქვენ გსურთ და არა ისე, როგორც სხვებს უნდათ, რომ ცხოვრობდეთ – ეს არის ჩემი დევიზი. დიდი მადლობა.

„შურნალისტი – მაყურებელს მინდა შევახსენო, რომ პროექტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის უნდა შეხვიდეთ „მუყაოს სახლი“ წერტილი. გე. შეავსოთ აპლიკაცია, უპასუხოთ 100 შეკითხვას და თქვენ აუცილებლად იპოვით თქვენს მეორე ნახევარს. ოღონდ, ამისათვის მთავარია, იყოთ გულწრფელები და მხოლოდ გულწრფელი პასუხები გასცეთ შეკითხვებზე. როგორც კი მეორე ნახევარს იპოვნიან, შეგახვედრებენ მას „მუყაოს სახლში“ და რამდენ ხანსაც გინდათ, იმდენ ხანს გააგრძელებთ ურთიერთობას თქვენს ნამდვილ მეორე ნახევართან. აქ არ გექნებათ არანაირი ვალდებულებები, მხოლოდ სრულ თავისუფლებაზეა ყველაფერი დაფუძნებული. არ არის გამორიცხული, რომ „მუყაოს სახლში“ დაწყებული ურთიერთობა ნამდვილ სახლებში გაგრძელდეს. მოკლედ, „იცხოვრეთ თქვენი ცხოვრებით“, მე გემშვიდობებით კეთილი სურვილებით.

სიუჟეტი მთავრდება.

გიორგი – ოო, აქ ამბავი ატყდება?!

ელენე – ისე საათივით არის აწყობილი ამ ქვეყანაში ყველაფერი, რო „მუყაოს სახლილა“ გვაკლდა. მთელი დღეა ამ სისულელეზე ლაპარაკობენ.

(კარზე ჯერ ზარი გაისმის, შემდეგ კი აქტიური შინაურული ბრაზუნი).

გიორგი – აუ, დაგვენძრა?! ვახოა...

ელენე – კაი რაა?! რა დავაშავე?! ერთი კვირა დღე მაქვს და არ შეიძლება, რომ ჩემს გემოზე გავატარო?

გიორგი – კაი ჰომ, რა იყო შენც...

(გიორგი კარის გასაღებად გადის, ელენე ტანსაცმლის გამოსაცვლელად).

ოთახში ხმაურით შემოდიან გიორგის ასაკის ვახო, მისი მეუღლე მერი და მამა ალექსანდრე.

ვახო – ტელევიზორი ჩართუ, რა, ძმურად!

გიორგი – ჩართულია, რა იყო, რა ხდება? მობრძანდით, მამაო, დაგვლოცეთ.

მერი – ელენე არ არის სახლში?

გიორგი – კი, ისვენებს, ახლავე დავუძახებ.

ელენე, სტუმრები მოვიდნენ (გასძახებს).

ვახო – ბიჭო, ამ პედარასტების არხს რატო უყურებ?! რამდენჯერ გითხარი, ეგ არის სატანების ბუდე, მოიტა პულტი.

(გიორგი პულტს აწვდის, ვახო სხვა არხზე გადართავს).

ვახო – აი, აი, დაწყებულა. მაიცა, ეს უკან არ ახვევს?

გიორგი – კი, როგორ არა. რა იყო, მოხდა რამე?!

ვახო – მოხდა კი არა, მაგათ დედებს რო... (უესტით იგინება) მაგა ალექსანდრე – ვახტანგ!

გიორგი – აუ, მამაო, ბოდიში რაა, ხო იცით ჩემი ამბავი.

(კადრში ჩანს ჩეუბი, წივილი-კივილი, დარბევა. ვახო აღტაცებული შესცერის).

ვახო – აუ, აუუუ, ნიაზა ნახე ეხლა რაა?! რას წაუთაქებს, ჰა, ჰა, ჰა, ჯიგარი ხარ, ნიაზ! მოწვით?! აუ, მაგარი კაცია!

გიორგი – რა ხდება, გამაგებინეთ.

ვახო – აი, აი, მეც გავიჩითე, ტოო, ნახე ეხლა, იმას როგორ მოვდებ, ჰა, ჰა, ჰა.

მამა ალექსანდრე – ნწუ, ნწუ, ნწუ...

გიორგი – რა ხდება, მამაო?

მამა ალექსანდრე – რა ვიცი, რა ხდება. ებრაელებს მიუვარდნენ და „ხანუკას“ დღესასწაული დაარბიეს.

გიორგი – რაა? ბიჭო, შენ დაარბიე?

ვახო – არა, მაგათ ვაბლატავებ ახლა! არ დაგვაჯდნენ ყველანი თავზე. ვისაც რა მოუნდება, იმას ჩალიჩობს. ეგრე არ არის, ძმაო, ცხვირწინ მეჩეთებს გვიშენებენ, ხმას არავინ იღებს. ეგრე სად არის (ისევ ტელევიზორს მისჩერებია?! „ბუდა-ბარი“ ხო მივუნგრიეთ?! მაგათ... (უსტით იგინება).

გიორგი – რამ გაგაგიუა, ბიჭო! მე ეგ ხალხი ნორმალური არ მგონია. მაგათთან რა გინდა?

ვახო – აუ, ეხლა შენ ძმობას გეფიცები, მაგრა მაწყენინებ! ბიჭო, ამ ხალხის ზურგზე დგას დღეს ქართველობა. ამათ უჭირავთ კბილებით ჩვენი სინდისი და პატიოსნება.

მამა ალექსანდრე – დამშვიდდი, ვახტანგ, ამ ბრძოლით და დაპირისპირებით უფრო აძლიერებთ მტერს. ილოცე, რომ გონს მოეგოს. ვინც ბოროტებას ჩადის, იმას ღმერთი გამოუტანს განაჩენს.

ვახო – კაი რა, მამაო. ლოცვა თქვენი საქმეა და ჩხუბი ჩვენი. მაპატიეთ, მაგრამ, თქვენ რო არ გაგებლატავებინათ ეს ხალხი, ასე თავზე არ დაგვაჯდებოდნენ, ნალდად ასეა.

(საძინებლიდან ელენე გამოდის. ტანისამოსი გამოუცვლია, სტუმრებს მიესალმება).

ელენე – გამარჯობა, დამლოცეთ, მამაო.

მაგა ალექსანდრე – ღმერთმა დაგლოცოთ, ბოდიში, რომ
ასე შემოგეჭვრით ამ კვირა დღეს.

ელენე – არა, რას ბრძანებთ?!

ვახო – რა ბოდიში, მამაო, ეს იგივე ჩემი სახლია. მე და
გიორგი ტრუსიკის მეგობრები ვართ. ელენე კიდევ ჩემი დაა,
ჯიგარი, ერთი ეგ არის, ეკლესიაში ვერ მოვიტყუეთ.

მაგა ალექსანდრე – ყველას თავისი გზა აქვს, უფალი როცა
მოისურვებს, მაშინ მოვა.

ვახო – ო, ეგრე სად არი?!

გიორგი – ელენე, სტუმრებს არ გავუმასპინძლდეთ?

ელენე – ახლავე.

მერი – მოგეხმარები.

(ელენე და მერი სამზარეულოში გადიან).

გიორგი – მამაო, დაბრძანდით რაა? ვახო! როდემდე უნდა
იდგე ფეხზე?

ვახო ხელს გადახვევს გიორგის.

ვახო – მამაო, ეს იცით, რა გულის ბიჭია? არა, ისე სიფათზეც
ხო ეტყობა? თან მერე როგორი ექიმი! ამას ვენაცვალე (ჩაპროშ-
ნის).

გიორგი – ხო, კაი, მორჩი ახლა.

ვახო – რას მოვრჩე, შეჩემა, მამაოც ჩვენი ძმა არი. ვიღაცა
სოფლელი ქაჯი კი არ არის, ძველი სოლოლაკელია, აზრზე მო-
სული. უბანში, ძმაო, დღესაც სიტყვა ეთქმის. აბა მე, ხო იცი, რო
ამ ოჯახში ვიღაცა სოფლელ ქაჯს არ ამოგიყვანთ.

გიორგი – რა იყო, სოფლელებსაც ხო არ არბევ?!

ვახო – მაგათი დროც მოვა, ავყრი, საიდანაც ჩამოეთრნენ...

გიორგი – ეს სულ გაგიუდა.

ვახო – მამაო, მოკლედ, შენ ხო აზრზე ხარ, სადაც მოგიყვანე.
მოკლედ, ჩემი ძმა არის, რაა. ერთი შეცდომა დაუშვეს ოლონდ,
შვილები არ უნდა გაეშვათ ამერიკაში.

გიორგი – ოო, დაიწყო ეხლა ამან...

ვახო – რა, არ ვამზობ სწორს, მამაო? აქედან იქ როგორ უნდა აკონტროლო, ამდენი საცდურია გარშემო, ამდენი ხაფანგი. კი, რაზეა ბაზარი, შემოევლოს ჩემი თავი ორივეს, მაგარი ზრდილობიანი და წესიერი ბავშვები არიან. მაგრამ მაინც ვნერვიულობ. ერთი ორჯერ კი გავუტრაკე სკაიპში, ხო იცი, რო ველაპარაკები? არ გეუბნებიან?

გიორგი – კი, მითხრა შენმა ნათლულმა, შუალამისას რო დაურეც ჭკუის დასარიგებლად.

ვახო – იცი, რას გეტყვი? მე მაქვს მაგის უფლება, ჩემს ნათლულს როცა მინდა, მაშინ დავურეკო. თუ მინდა, მთელი ლამე არ დავაძინებ.

გიორგი – ბიჭო, აქ რო შუადლეა, იქ შუალამეა. რას აღვიძებ ბავშვებს, ცოდოები არ არიან?

ვახო – მიდი რაა, როცა ხოში მექნება, მაშინ დავურეკავ! ეგ ჩვენი საქმეა. და ისე, შენ რატო არ ურეკავ ჩემს თამთას?

გიორგი – შენ რო გყავს ტერორში, ეგ არ არის საკმარისი, ახლა მე ვუბურღო ტვინი?

ვახო – ჰა, ჰა, ჰა, ჯიგარი ხარ. ისე, ერთს რო გადავუბრიალებ თვალებს?! გვერდიდან არ ვიშორებ და მაინც, ხან სად გაძვრება და ხან სად. აქედან იქ – ამერიკაში?! როგორ გინდა, აკონტროლო!

გიორგი – რატო უნდა აკონტროლო, დაანებე რა თავი. თვითონ უკეთესად გაერკვევიან ყველაფერში. შენ მოგწონდა, ვინმე ჭკუას რო გასწავლიდა და შენიშვნებს გაძლევდა?!

ვახო – მაშინ სხვა დრო იყო, ახლა ყველას და ყველაფერს თვალყური უნდა ადევნო. მარტო საკუთარი ოჯახის კი არა, სხვების სინდისზე და პატიოსნებაზეც უნდა გეჭიროს თვალი.

გიორგი – მერე, შენ ვინ დაგნიშნა მაგ პოსტზე?

ვახო – მე თვითონ დავინიშნე ჩემი თავი, ეხლა რა გინდა, შენ ძმობას გეფიცები?

გიორგი – ეე, აზრი არა აქვს შენთან კამათს. დაბრძანდით, რა, მამაო.

(მაგიდის გარშემო სხდებიან).

გიორგი – მამაო, „მუყაოს სახლზე“ იცით რამე?

მამაო – ეჰ, ვიცი, ვიცი, ეგ საიდანლა შემოგვიგდეს? რა უნდა ჩვენთან მაგ გარყვნილებს? მოკლედ, ხან საიდან გვებრძვიან და ხან საიდან.

ვახო – აუ, რაზე ბაზრობთ, ვერ ვხვდები?

გიორგი – „ერის სინდისო!“ – ეგ როგორ გამოგრჩენია?

ვახო – რაო, რა ხდება, მამაო? საქმის კურსში ხართ?

მამა ალექსანდრე – რა და, ვიღაც გიუჯი ჩამოუყვანიათ შვე-დეთიდან თუ ნორვეგიიდან, ვითომ ჩვენი გიუჯები არ გვეყოფოდა. რაღაც პროექტიაო „მუყაოს სახლი“. თანაც, თურმე, უნდა გვიხაროდეს, რომ პირველ ათეულში მოვხვდით და პატივი დაგვდეს, აქ რომ ჩამოვიდნენ.

(შემოდიან ელენე და მერი და სინებზე დაწყობილი თევზე-ბით საჭმელები შემოაქვთ. სუფრა უცებ გაიშლება).

ვახო – რა „მუყაოს სახლი“? რის მუყაო? რა პონტია, ამიხსე-ნით, ვერაფერი ვერ გავიგე.

ელენე – რა პონტია და ადამიანს ეხმარებიან, რომ თავისი ნამდვილი მეორე ნახევარი იპოვოს ცხოვრებაში.

ვახო – და თუ უკვე ნაპოვნი ყავს?

ელენე – ეგრე ბევრს ჰგონია, რომ ნაპოვნი ჰყავს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ თურმე თავს იტყუებდა.

ვახო – ესენი როგორ ჩალიჩობენ?

ელენე – ტესტს ავსებ, ასი შეკითხვაა. მერე მთელ ინტერნეტ ესელში უშვებენ და ასე პოულობენ შენს მეორე ნახევარს, მთელ მსოფლიოში ეძებენ.

ვახო – სხვადასხვა ქვეყნიდან შეიძლება, რომ იყოს წყვილი?

ელენე – აბა?!

ვახო – და ეგ ნაღდი ამბავია, ტოო?

ელენე – ეხლა გაიგე? მთელ მსოფლიოში მაგ „მუყაოს სახლების“ ბუმია დაწყებული.

ვახო – მერი, მგონი დაგენძრა, თქვენთან ბოდიში, მამაო.

ელენე – ნეტავ, შენ შენს ნამდვილ მეორე ნახევარს ვინმე გაპოვნინებდეს და...

ვახო – მაიცა, კარგად ამიხსენით. იქნებ, ამ ტესტებით ჩემი მეორე ნახევარი ვიღაც მალაიზიელი ქალი აღმოჩნდა, მაშინ რას იზამენ?

ელენე – რას და, ჩამოგიყვანენ იმ მალაიზიელ ქალს, ან შენ გაგიშვებენ იმასთან.

ვახო – აუ, დაგლიჯა! და მერე?

ელენე – მერე შეგახვედრებენ „მუყაოს სახლში“ ერთმანეთს. იქ ორნი, მარტო როცა დარჩებით, უფრო კარგად გაიცნობთ ერთმანეთს. თან, თუ სურვილი გექნებათ, ყველაფერი მოსულა და მერე თქვენი ნებაა, გინდა ცოლს დაუბრუნდი და გინდა მალაიზიელთან გააგრძელე შენი ცხოვრება.

ვახო – დაოჯახებული ხალხიც ჩართულია ამ ამბავში?

გარე ალექსანდრე – ჩართული კი არა, მთელ მსოფლიოს ვირუსივით მოსდეს. თან ამბობენ, რომ ანონიმურობა გარანტირებულია. ალბათ, ასეც არის და სასწაული ხდება, ნამდვილი ღვთის რისხვაა, აბა, სხვა რა დავარქვა ამას...

ვახო – მაიცა, ტო! მეღადავებით?

გიორგი – რას გეღადავებით, მეც დღეს გავიგე.

ვახო – საიდან გაიგე?

გიორგი – ტელევიზორში იყო, ჩემი ყურით ვუსმინე.

ვახო – შენც იცოდი, შეჩემა? (მერის).

მერი – ვიცოდი, მერე რაა?!

ვახო – მერე, მე ახლა უნდა ვიგებდე ამ ამბავს შე (უსტით იგინება) შენთან ბოდიში, მამაო.

მერი – კაი რაა! რა უნდა მეთქვა, რა იყო მოსაყოლი?

ვახო – ამათ შიგ ხო არა აქვთ? ბოლიში რა, მამაო... და აქ უკვე დაიწყო ეგ პონტი?

ელენე – კი, კაცო. რიგები დგას თურმე, იმდენი განაცხადია შესული.

ვახო – რაომ?! ამათ (უესტით იგინება) იმათ კარგის! (უესტით იგინება) ეს როგორ არ ვიცოდი?

ელენე – და შენ გგონია, რო ასე ადვილად იპოვნი? ყველაფერი ანონიმურად და კონსპირაციულად ხდება.

ვახო – მიწიდან ამოვთხრი და მაგათ დედებს (უესტით იგინება) / სათითაოდ.

მამა ალექსანდრე – ო, ამას კიდევ ეს უნდოდა?! რას ვეუბნებოდით!

ვახო – აუ, მამაო, ეხლა შენც ნუ მცენტრავ, რაა?! ამის დამალვა შეიძლება?

(ვახო მოტილურს ამოიღებს და სასწრაფოდ იწყებს რეკვას).

ვახო – ბიჭო, ნიაზ, მუყაოს სახლი თუ რაღაც სირობაა, აზრზე ხარ? მერე, შეჩემა, მე რატომ არ მითხარით?.. საიდან ვიცოდი, ტომ? ამ წუთას გავიგე და გამოვქლიავდი! ვინ და ვინა ხართ?.. ხოდა, დამელოდეთ, მეც ორ წუთში თქვენთან ვიქნები. აი, გამოვდივარ რაა, ამათ პედერასტ დედებს რო (უესტით იგინება).

(ვახო მიდის, მამაო გაეკიდება).

მამა ალექსანდრე – ვახტანგ! ვახტანგ! დამშვიდდი, ვახტანგ!

ვახო – რა უნდა დავმშვიდდე, მამაო, ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს! ხო იცით, არა?! წავედი, მაგათ ბუნდლას არ დავტოვებთ, სადაც წავასწრებთ, იქ (უესტით იგინება).

მამა ალექსანდრე – მომეცი იარალი! იარალი მომეცი!

ვახო – კაი რაა?! პატარა ბავშვი ხო არა ვარ, მამაო?

მამა ალექსანდრე – კურთხევას გაძლევ, მომეცი იარალი!

ვახო – ვაახ ჩემი!

ვახო პატარა ბიჭივით მორჩილად ამოიღებს ტეტეს ტიპის პისტოლეტს და მამაოს აძლევს, მამაო ანაფორას აიწევს და ოსტატურად ჩაიდებს უკან).

მაგა ალექსანდრე – ასე უფრო მშვიდად ვიქნები, მე არავინ გამჩხრექს.

გიორგი – თქვენც მიდიხართ, მამაო?

მაგა ალექსანდრე – აბა, მარტო სად გავუშვა ეს გადარეული ხალხი?

გიორგი – აუ, შენ ვინა ხარ, ბიჭო! კაცი პირველად მოვიდა ოჯახში, თითო ჭიქა მაინც დაგველია!..

ვახო – არა, მამაო, თქვენ არ წამოხვალთ. მე ერთი წუთით გავალ, გავიგებ რა ხდება და ისევ ამოვალ. მერიც აქ რჩება.

მაგა ალექსანდრე – ნამდვილად? კარგი. იცოდე, დროზე თუ არ მოხვალ, აღარ დაგელოდები.

ვახო – არა, სიტყვა-სიტყვაა! როდის გადამიგდიხარ, არა გრცხვენია, მამაო?!

ვახო მიდის, ყველანი სუფრას მიუსხდებიან.

გიორგი ღვინოს ჭიქებში ჩამოასხამს).

გიორგი – მამაო, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს ოჯახში, გაგიმარჯოთ.

მაგა ალექსანდრე – კეთილი იყოს, ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ, ძალიან მძიმე დროში გვიხდება ცხოვრება, საეროსაც და სასულიერო პირებსაც.

ელენე – სასულიერო პირებზე ვერ ვიტყოდი მაგას. მე მგონი, ასეთ პატივში არც არასოდეს ყოფილან.

გიორგი – ელენე! კარგი, არ გინდა ახლა...

მაგა ალექსანდრე – არ არის პრობლემა, ვისაუბროთ, მეც მაინტერესებს თქვენი აზრი. რას ფიქრობთ?

მერი – ისე, ჩვენი მამაო გამონაკლისია, ისიც ჩვენსავით საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადის.

ელენე – რატომ, მამაო? არ გაგიმართლათ მრევლში? ასე ყველა ვახოსავით ჯიბეცარიელი თუ გყავთ, მალე საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც ვეღარ ივლით და ფეხით მოგიწევთ სიარული.

მამა ალექსანდრე – ჰა, ჰა, ჰა, მართალი ბრძანდებით.

გიორგი – ელენე! სამზარეულოში ჩუმად ხო არ სვამდით, რაებს ბოდავ?

მერი – ისე, ცოტა მართლა დავლიეთ, ჰა, ჰა, ჰა.

გიორგი – ჴო ვთქვი, არა?!

მამა ალექსანდრე – ელენე, თქვენს პირველ შეკითხვაზე მინდა, რომ გიპასუხოთ. მარტო ნიშნისმოგება რომ დამენახა, არ მომინდებოდა ამ საუბრის გაგრძელება. მაგრამ თქვენს ნათქვამში ტკივილიც დავინახე და ამიტომ, თუ ნებას დამრთავთ...

ელენე – მაპატიეთ, შეიძლება ცოტა უხეშად გამომივიდა, მაგრამ მე თვითონაც მაწუხებს, რომ ეკლესიაში არ დავდივარ.

მამა ალექსანდრე – მერე, რატომ არ დადიხართ?

მერი – მამაო, იცით რაა, ჩემი კლასელი... დავამთავრეთ თუ არა სკოლა, მალევე მონაზვნად აღიკვეცა. ერთი უბრალო, შეუმწიერესი გოგო იყო და, მართალი გითხრათ, მეამაყებოდა. ხშირად ჩავდიოდით მის სანახავად, იქიდანაც რაღაც თითქოს განწმენდილი და ამაღლებული ვბრუნდებოდი ხოლმე და მერეც კაი ხანს მიმყვებოდა ეს გრძნობა... წლები გრძელდებოდა ასე...

მამა ალექსანდრე – მერე რა შეიცვალა?

მერი – ისეთი თითქოს არც არაფერი, მაგრამ... როგორ აგიხსნათ... რა ვჭა, არ მომწონს, როცა მონაზონს ჩემზე უკეთესი ტელეფონი უჭირავს და ჩემზე უკეთეს მანქანაზე ზის.

მამა ალექსანდრე – ჴო, გასაგებია. სამწუხაროდ, პირველი არა ხართ, ვისგანაც ამგვარი საყვედური მესმის საეკლესიო პირების მიმართ.

გიორგი – იქნებ, სხვა დროს გვეკამათა ამ თემაზე და სხვა ადგილას? ელენე, შენ არ გაგიგონია – „არ განიკითხო და არ გა-

ნიკითხები?“ მით უმეტეს, საეკლესიო პირის განკითხვა რა ჩვენი საქმეა, არა, მამაო?

მაგა აღეძსანდრე – არ არის ეგრე. თუ საეკლესიო პირი ფუფუნებით იხრწნება, მაშინ ვალდებული ვართ, რომ მივუ-თითოთ. იცით, როდის იღუპება ადამიანი? როდესაც ის ფუფუ-ნებაში ცხოვრობს, გვერდით კი ვიღაც მშიერი ჰყავს და მას დახმარების ხელს არ უწვდის. მაგრამ ამან არ უნდა დაგაბრ-კოლოთ. ჩვენ ყველას ჩვენი ცოდვები მოგვეკითხება. ტაძრის გარეშე ღმერთთან ურთიერთობას ვერ დაამყარებ, ნუ ეძებთ უცოდველ მღვდელმასტურს, გახსოვდეთ, რომ ის მხოლოდ გამ-ტარია თქვენს და უფალს შორის.

მერი – მამაო, ხო იცით, ვახო რომ იყოს აქ, ხმის ამოღებას ვერ გავტედავდი. თვითონაც ხო კარგად იციან, რომ გამტარები არიან? პირიქით სიტუაციებში რატომ არ ახსოვთ ეს? ვიღაც 100 ათასიან ჯიპს რომ აჩუქებს, თავისთვის როგორ იტოვებენ, გაატარონ და დაურიგონ გაჭირვებულებს. ვერ ვიგებ, როცა გარ-შემო მართლა ამდენი მშიერი ადამიანია. რა ვქნა, ვერ ვიგებ...

გიორგი – ისე, ერთში კი ნამდვილად ვეთანხმები, მეტი თა-ნადგომის უნარი რომ გვქონდეს, ამდენი გაჭირვებულიც აღარ გვეყოლებოდა. მაგრამ მეორეც არის, ეს ხალხიც იმდენ საქმეს აკეთებს, დილას რომ თავიანთ ეპარქიაში არიან, საღამოს ქა-ლაქში უწევთ ჩამოსვლა. დანჯლრეული მანქანებით რომ იარონ, თავიანთი ეპარქიებიდან ვერ უნდა გავიდნენ.

ელენე – მერე, ნუ გავლენ. იქ ცოტაა საკეთებელი?! მეც და ჩემს ქმარსაც ორივეს სადოქტორო გვაქვს დაცული და ერთი დანჯლრეული მანქანის გამოცვლა ვერ მოგვიხერხებია. კი არ მშურს, მამაო, მაგრამ, სწორად გამიგეთ, მამაოს ცოლი ჯიპით არ უნდა დადიოდეს, არც ჩემზე ძვირფასად უნდა ეცვას. მე ასე მესმის. მე იქ ვერც თავმდაბლობის, ვერც სინანულის და ვერც სიკეთის მაგალითებს ვერ ვხედავ და ამიტომაც ვარ დაბრკოლე-

ბული. და ძალიან მაწუხებს ეს ამბავი, რომ არ მაწუხებდეს, ხმასაც არ ამოვიღებდი.

მერი – მესმის შენი, მაგრამ ყველა არ არის ეგეთი.

ელენე – ეჭვი არ მეპარება. ღმერთმა დაიფაროს, რომ ყველანი ასეთები იყვნენ, ბოდიშს გიხდით.

მაგა ალექსანდრე – საბოდიშო არაფერია, სამწუხაროდ, არც ახალია ჩემთვის, რაც ახლა თქვენგან მოვისმინე. მაგრამ მე თვითონ ბევრი არაფრის შეცვლა არ შემიძლია, ვერც ჭკუს სწავლებას ვერ დავუწყებ სხვას... იმედი მაქვს, რომ ჩენი ურთიერთობა ამით არ დამთავრდება. ახლა კი ჩემი წასვლის დროა, ლოცვაზე მაგვიანდება.

(მამაო მასპინძლებს და მერის ემშვიდობება და მიდის. გიორგი, მერი და ელენე მაგიდასთნ ჩუმად სხედან).

გიორგი – რა იყო, რა ჩუმად ხართ? მოხდა რამე?

ელენე – მოხდა, მოხდა.

სამწუხაროდ, ცუდად არის საქმე.

გიორგი – რა იყო?

ელენე – თამთა ფეხმძიმედ ყოფილა.

გიორგი – ვინ თამთა?

ელენე – აუუ, ვინ თამთა, გიორგი? ვახოს და მერის თამთა. რა დაგემართა?

გიორგი – ჰმ, მოკლავს ვახო.

მერი – კი არ მოკლავს, დაკლავს და მერე მეც მიმაყოლებს.

გიორგი – მერე, რას აპირებთ? ბიჭი რას ამბობს?

ელენე – ბიჭს ცოლი და ორი შვილი ჰყოლია და არც გაცილებულია და არც გაცილებას აპირებს. რას იტყვი?

გიორგი – რა უნდა ვთქვა, შოკში ვარ. თამთა რას აპირებს?

ელენე – თამთა ბავშვის მოშორებას არ აპირებს.

გიორგი – ჰომ, საქმე მართლა ცუდად ყოფილა...

(მერი ტირილს იწყებს).

გიორგი – კარგი, დამშვიდლი, რაღაცას მოვიფიქრებთ.

მერი – არ ვიცი, რა გვეშველება. ვერანაირ გამოსავალს ვერ ვხედავ, ვერანაირს.

ელენე – ხო იცი, რომ ნერვიულობით საქმეს მაინც ვერაფერს უშველო.

მერი – წავედი მე სახლში. იქნებ ცოტა დავისვენო, საერთოდ ვეღარ ვიძინებ.

ელენე – კარგი, როგორც შენ გინდა.

(მერი მიდის. ელენე თავის ლეპტოპს აიღებს და ტახტზე მიესვენება. გიორგიც კომპიუტერთან ჯდება.)

თანდათან ბნელდება. სივრცეში სხვადასხვა ადგილას ჩნდება ბევრი კომპიუტერის ეკრანი, სადაც „მუყაოს სახლის“ განაცხადები ივსება. შეკითხვებზე პასუხებს სხვადასხვა ასაკის ადამიანები იძლევიან (ოღონდ, არ ჩანან. მხოლოდ ერთმანეთში არეული მათი ხმები ისმის, შეკითხვებს კი რობოტი უსვამს. არც ერთი ფრაზა ბოლომდე არ ისმის, არც შეკითხვა და არც პასუხი).

განათება იცვლება და დაბალ სინათლეზე ერთმანეთის პირისპირ ორი სკაფანდრიანი პერსონა გამოჩნდება, ისმის რობოტის ხმა).

როგორცის ხმა: მოგესალმებით, თქვენ „მუყაოს სახლში“ ხართ და, ჩვენი გამოთვლით, რომელიც თქვენს გულწრფელ პასუხებზე იყო დაყრდნობილი, ერთმანეთისთვის შექმნილი ადამიანები ხართ.

შეგახსენებთ თამაშის წესებს: სკაფანდრებს ორივეს სურვილის შემთხვევაში მოიხსნით, მანამდე კი შეგიძლიათ ერთმანეთს რა შეკითხვაც გნებავთ, ის დაუსვათ. რა თქმა უნდა, მონაცვლეობით. როცა შეკითხვები დასრულდება, იხსნით სკაფანდრებს, თუ ამის სურვილი გაქვთ.

„მუყაოს სახლის“ დატოვების სურვილის შემთხვევაში, თქვენ-თქვენი გასასვლელი კარით გახვალთ, იმით, რომლითაც

შემოხვედით. თუ შემდგომში ორმხრივად გაჩნდება ურთიერთობის გაგრძელების სურვილი, განმეორებით შეხვედრას ისევ ჩვენ უზრუნველვყოფთ. გისურვებთ წარმატებებს.

(ორივე პერსონა, რომლებიც ერთმანეთისგან ერთი მეტრის მოშორებით სხედან, კოსმონავტებივით არიან ჩაცმულები, თავზეც იმდაგვარი სკაფანდრები ახურავთ, ოღონდ, მათი სახეებია არ ჩანს.

მათი საუბრის დროს ხმებს ადევს ვიზრაცია, რაც შეუძლებელს ხდის ხმის ამოცნობას).

პატი – გამარჯობა.

ქალი – გამარჯობა.

პატი – როგორც ვხვდები, ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, რადგან თარჯიმანი არ დაგვჭირდა.

ქალი – ხო, ამას მეც მიგაქციე ყურადღება.

პატი – ჩვენი პასუხები თითქმის დაემთხვა ერთმანეთს.

ქალი – ხო, ამათ თუ დავუჯერებთ.

პატი – რაშიც ეჭვი გვეპარება, აქ შეგვიძლია, რომ გადავამოწმოთ. მე მზად ვარ.

ქალი – მეც.

პატი – იქ მხოლოდ ხუთ შეკითხვაზე შეგვეძლო, რომ არ გვეპასუხა, თქვენ რომელი კითხვები დატოვეთ უპასუხოდ?

ქალი – ხუთივე გაინტერესებთ?

პატი – კი, რატომაც არა?! თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ.

მე მზად ვარ, რასაც კი შემეკითხებით, ყველაფერზე გაგცეთ პასუხი.

ქალი – ჰოო, კარგია, რომ არ ვჩანვართ და ვერც ხმით დავიმახსოვრებთ ერთმანეთს.

პატი – რატომ არის კარგი?

ქალი – ხომ შეიძლება, ნაცნობები აღმოგჩნდეთ. ამ ქალაქში ხო ყველა ერთმანეთს იცნობს.

პატი – აქ მაინც დავივიწყოთ ცოტა ხნით გარეთა სამყარო
და გავთავისუფლდეთ ამ კომპლექსებისაგან, თუნდაც, რამდე-
ნიმე საათით.

ქალი – და თქვენ გჯერათ, რომ ამ „მუყაოს ყუთს“ ეს შე-
უძლია?

პატი – მე ის ვიცი, რომ სპეციალური დანადგარი მაშინვე
აღიქვამს ტყუილს და განგაშის ზარი ირთვება.

ქალი – ა, ხოლ. მოკლედ, რახან თავი გავყავით, მე მზად ვარ.
მკითხეთ, რაც გენებოთ.

პატი – აპირებთ, რომ სკაფანდრი მოიხსნათ და თქვენი¹
ნამდვილი სახე დამანახვოთ და ხმა გამაგონოთ?

ქალი – რა თქმა უნდა, არა.

პატი – გაგიხარდათ, აქ რომ საპირისპირო სქესის მეწყვილე
დაგხვდათ?

ქალი – კი, პრინციპში.

პატი – „პრინციპში“ რა? თქვენთვის სულერთია, კაცი აღ-
მოჩნდებოდა თქვენი ნამდვილი მეორე ნახევარი თუ ქალი?

ქალი – მე საკუთარ სექსუალურ ორიენტაციში ეჭვი არა-
სოდეს შემპარვია, უბრალოდ, შეიძლება უფრო კარგად მეხალი-
სა.

პატი – ე. ი. აქ გასართობად მოხვედით.

ქალი – ხო, ყოველ შემთხვევაში, რაღაც სიახლეს ნამდვილად
ველოდები.

პატი – თქვენმა ოჯახის წევრებმა თუ იციან, აქ რომ ხართ?

ქალი – კიი... ყველამ არა.

პატი – აქედან რომ წახვალთ, სიმართლეს მოყვებით?

ქალი – კი, რატომაც არა?!

პატი – მე ამას არსად არ მოვყვები.

ქალი – რატომ?

პატი – ჯერ ერთი, ჩემმა ცოლმა რომ გაიგოს, ძალიან ეწყი-
ნება, შეიძლება გამცილდეს კიდეც.

ქალი – გეშინიათ, რომ მიგატოვოთ?

პატი – არა, სკანდალები მეზარება.

ქალი – გიყვართ თქვენი ცოლი?

პატი – მგონი, კი.

ქალი – კი თუ არა?

პატი – ხო, რა ვიცი, მივეჩვიე ამ ურთიერთობას.

ქალი – და ახლა ჩემსავით სიახლის ძიებაში ხართ?

პატი – შეიძლება. თქვენი ნამდვილი ხმა რომ მესმოდეს, უფ-

რო კარგი იქნებოდა.

ქალი – ეს დაივიწყეთ.

პატი – ესე იგი, თქვენც გათხოვილი ხართ?

ქალი – დიახ, ვარ.

პატი – ახლა არ მითხრათ, რომ გიუდებით თქვენს ქმარზე!

ვერ დავიჯერებ!

ქალი – არ ვგიუდები, მშვიდად მიყვარს.

პატი – ანუ, რო მოკვდეს, გეწყინებათ?

ქალი – ცოტა სულელერი შეკითხვაა. რა თქმა უნდა, მეწყინება.

პატი – თქვენც მკითხეთ.

ქალი – გიღალატიათ ცოლისთვის?

პატი – კი, კაცო, როგორ არა! თქვენ?

ქალი – მეც.

პატი – ხოოო, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ნამდვილად არა ხართ სკაფანდრის მომხსნელი. ხვდებოდა ქმარი?

ქალი – არა მგონია.

პატი – როგორ?! მე მივხვდებოდი.

ქალი – არა, ისე... ვიყავი შეყვარებული, ფიზიკურად არც შევხებივარ, მაგრამ ძალიან მიყვარდა.

პატი – ოჟ, ეგ რა ღალატია?!

ქალი – ჩვენი სურვილები ყველაფერში დაემთხვა, ურთიერთობებში, სექსზე აზრებშიც კი. აი, ახლა რომ მოვიხსნა სკაფან-

დრი და ძალიან მოგეწონოთ, გაქვთ იმის თავი, რომ უარი თქვათ ყველაფერზე? სახლზე, ოჯახზე, ცოლზე, შვილებზე; მომკიდოთ ხელი და ხმამაღლა აღიაროთ – ვიპოვე ჩემი მეორე ნახევარიო!?

პატი – რატო ხმამაღლა? ჩუმად დავითესებით, ეს ამ პროექტში მოსულა.

ქალი – სერიოზული პასუხი მინდა, შეგიძლიათ, ერთი ხელისმოსმით?..

პატი – შემიძლია.

ქალი – ყოჩაღ!

პატი – თქვენ?

ქალი – „მე ახლაც მზად ვარ, რომ მოვკვდე სიყვარულის-თვის“ – ეს ფრაზა 70 წელს მიტანებულმა ფანი არდანმა თქვაცოტა ხნის წინათ და შემშურდა.

პატი – ანუ სურვილი გაქვთ და ტრაკი არა? ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმაზე.

ქალი – არ ვიცი... მგონი, არა, ან ის დიდი გრძნობა არ მწვევია, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას.

პატი – არადა, პირველად ჩავუდრმავდი ამ რიცხვს, საშუალოდ რამდენ დღეს ცხოვრობს ადამიანი. რა ცოტა ყოფილა. ამ დღეების დიდ ნაწილსაც ისე ატარებს, როგორც სხვებს მოეწონებათ და არა ისე, როგორც თვითონ უნდა.

ქალი – ასეა, სამწუხაროდ, ერთმანეთს ხელს ვუშლით. თუ ვინმებ გაბედა და ის სურვილი გამოხატა, რისი გამოხატვის სითამამეც ჩვენ არ გვეყო, პირველები ჩვენ ავუმხედრდებით და ლამის ჩასაქოლადაც კი ვიმეტებთ, ასე არ არის?

პატი – თქვენ, მგონი, მართლა ჩემი მეორე ნახევარი ხართ!

ქალი – სამწუხაროდ, იმედები უნდა გაგიცრუოთ.

პატი – ამას პირველივე წუთიდან მივხვდი. ისე, თამაშის წესებში წერია, რომ თუ ორმხრივი სურვილი იქნება...

ქალი – ვიცი, შეგვიძლია სექსიც გვქონდეს.

პატი – ამჯერად ამის თქმას არ ვაპირებდი, ეს არ მიგულისხმია. ჯერ მეც არა ვარ მზად ამისთვის, მაგრამ ხელის შეხება კი ძალიან მინდა თქვენს ხელზე, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ.

ქალი – ეს მეც მინდა.

პატი – მაშინ, იასამნისფერ ღილაკს უნდა დავაჭიროთ ხელი და ხელები გაგვითავისუფლდება.

ქალი – მეც?

პატი – კი, მხოლოდ ორმხრივი სურვილის დროს არის ეს შესაძლებელი.

ქალი – ვაჭერ.

ოთახში სრული სიბნელე ისადგურებს.

პატი – საოცარი ხელები გაქვთ...

ქალი – თქვენგანაც უცნაური ენერგია წამოვიდა.

პატი – ჩვენ შეგვიძლია ეს ურთიერთობა ჯერჯერობით ასე გავაგრძელოთ, თუ წინააღმდეგი არა ხართ, შუქჩამქრალში.

ქალი – გავაგრძელოთ, რატომ აღარაფერს ამზობთ?

პატი – როგორ მინდა ახლა თვალებში გიყურებდეთ და თქვენი ნამდვილი ხმა მესმოდეს.

ქალი – მეც.

პატი – ღმერთო ჩემო.

ქალი – რა ცხელი ხელები გაქვთ!

პატი – აანთეთ სინათლე!

ქალი – ჰა, ჰა, ჰა, ასე მაღე მოგბეზრდათ?

პატი – არაა, ამის გაძლება შეუძლებელია.

პატი – რა ფერის თვალები გაქვთ?

ქალი – თაფლისფერი. თქვენ?

პატი – მე მოცისფრო-მონაცრისფერო.

ქალი – ოჟო, ჸო, ჸო, ცოტა ტრიპაჩი ხომ არა ხართ?

პატი – კი ვარ. მოდი რა, შენობით ვიღაპარაკოთ.

ქალი – კარგი.

პატი – რა საშინელებაა, ხვალ შეიძლება ისე ჩავუაროთ ერთმანეთს, რომ ვერც კი ვიცნოთ.

ქალი – ეს მეც გავიფიქრე.

პატი – მერე, არ გინდა რამე მოვიგონოთ? ნუ ვიქნებით ერთად, თუ არ შეგვიძლია, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ უბრალოდ ვიმეგობროთ, შევხვდეთ, ხელი-ხელზე მოგკიდოთ, ათასში ერთხელ მაინც.

ქალი – და თქვენ გჯერათ ქალის და კაცის მეგობრობის?

პატი – არა, შენ?

ქალი – არც მე.

პატი – მით უმეტეს.

ქალი – რა მოვიგონოთ?

პატი – აი, ხვალ.

ქალი – არა, ხვალ ძალიან მალეა.

პატი – იყოს ერთ კვირაში, სამხატვრო გალერეასთან, 12 საათზე.

ქალი – მერე, როგორ გიცნოთ?

პატი – იცი რა? მე არ მეშინია სკაფანდრის მოხსნის.

(კაცი სკაფანდრს იხსნის, ეს გიორგია).

გიორგი – დამიმახსოვრებ?

ქალი – ჰმ.

გიორგი – იცოდე, თუ არ მოხვალ, ძალიან დიდ ბოროტებას ჩაიდენ, იმიტომ, რომ მე აქედან სხვა ადამიანი მივდივარ, იმიტომ, რომ გავცოცხლდი, და 18 წლის ბიჭივით მიცემს გული.

ქალი – იმედები რომ გაგიცრუო? და ისეთი არ აღმოვჩნდე, როგორიც შენს წარმოსახვაში?

პატი – არ არსებობს, შემპირდი, რომ ნამდვილად მოხვალ, გთხოვ, ერთხელ მაინც შემხვდი.

ქალი – ჩვენი დრო იწურება. წითელი აინთო, თუმცა, შეგვიძლია გაგრძელება მოვითხოვოთ, გინდა?

პატი – არა, აქ მეტი აღარ მინდა. გარეთ უნდა შეგხვდე, ხო
მპირდები, რომ მოხვალ?

ქალი – შეგვიძლია, დამატებითი დრო აქაც მოვითხოვოთ.

პატი – არა, აღარ მინდა. ერთ კვირაში, შენ მიცნობ... მეც
გიცნობ, დარწმუნებული ვარ, აი, ნახავ. მოხვალ? ხო ნამდვილად
მოხვალ?

ქალი – მოვალ.

პატი – ერთხელ კიდევ მინდა შეგეხო. ვაჭერ იასამნისფერ
ღილაკს.

ისევ სიბრელეა.

პატი – ეხლა შემიძლია, რომ დაგიკოცნო ეს ხელები. ღმერ-
თო ჩემო, არასოდეს მიგრძნია, რომ ხელები ასეთი მნიშვნელო-
ვანი იყო. როგორი წვრილი თითები გაქვს, როგორ გითრთის
(კოცნის თითებზე).

ქალი – იცი, თუ მწვანე ღილაკს დავაჭერთ ხელს, შესაძლე-
ბელია აქ სექსიც გვქონდეს, ოლონდ, ერთმანეთს მაინც ვერ და-
ვინახავთ.

პატი – ვიცი, ამაზე ხელმოწერა კონტრაქტის პირობებშიც
იყო.

ქალი – მერე. არა ხარ თანახმა?

პატი – არა, მე ახლა ამისთვის მზად არა ვარ. ერთ კვირაში
დაგელოდები და თუ არ მოხვალ, იცოდე, შეიძლება დარდისგან
მოვცვდე. წავედი, მეტი აღარ შემიძლია.

(გიორგი მიდის, ქალი სკაფანდრს მოიხსნის. ეს ელენეა.

ელენე დიდხანს ზის ჩაფიქრებული და ერთ წერტილში
იყურება).

ჩაირთვება განგაშის სიგნალი და რობოტის ხმა: გთხოვთ,
სასწრაფოდ დატოვოთ მუყაოს სახლი! გთხოვთ, სასწრაფოდ და-
ტოვოთ მუყაოს სახლი! გთხოვთ, სასწრაფოდ დატოვოთ მუყაოს
სახლი!

(ელენე გადის).

* * *

გიორგის და ელენეს ბინა
გიორგი ტახტბერ მიწოლილი და ტელევიზორს უყურებს. შე-
მოდის ელენე.

გიორგი – სად იყავი?
ელენე – არსად, მაღაზიებში გავიარე.
გიორგი – ჩაის მომიტან?
ელენე – კი. ახლავე. რა ხდება?
გიორგი – „მუყაოს სახლს“ ცეცხლი წაუკიდეს და მგონი ეს
დებილი ვახოა დაჭრილი.
ელენე – ვინ წაუკიდა?
გიორგი – რა ვიცი, მოძრაობა „ერის სინდისიო“ და რა ვიცი.
ელენე – აუწიე, რაა?!

(კადრში ჩანს უურნალისტი, რომელიც პირდაპირ რეპორტაჟს
გადმოსცემს).

უურნალისტი – როგორც წინა ჩართვისას უკვე მოგახსე-
ნეთ, ორგანიზაცია „ერის სინდისის“ წევრებმა ცეცხლი წაუკიდეს
„მუყაოს სახლებს“. დამწვარია რამდენიმე სახლი, თუმცა, საბედ-
ნიეროდ, მსხვერპლი არ არის. დაკავებულია სამი ეჭვიმიტანილი
პირი, რომლებსაც, სავარუდოდ, დაეკისრებათ 1000 ლარიანი
ჯარიმა და ერთი საეკლესიო პირი მამა ალექსანდრე, რომელსაც
ანაფორის ქვეშ ტეტეს ტიპის პისტის ტონილეტი აღმოაჩნდა.

ორგანიზაციის წევრებს სავარაუდოდ ჯარიმის გადახდის
შემდეგ გაათავისუფლებენ, მამა ალექსანდრეს წინააღმდეგ კი
პროკურატურამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

გიორგი – ჰომ, მაგარ შარში გაყვეს თავი.

ელენე – ეს უნდა კიდევ ამ საცოდავ მერის?!

გიორგი – შენ არ იცი თამთას ამბავი?

მერიმ დამირეკა, ვიღაც ესპანელს გაჰყოლია გუშინ.

ელენე – როგორ?

გიორგი – აი, მაგ პროექტით. რა ჰქვია, „მუყაოს სახლში“ გაცნობილს. ეტყობა, აპოვნინეს მეორე ნახევარი.

ელენე – მაგიტომაც მიუვარდებოდა ვახო.

გიორგი – არა, ეგ ჯერ არ იცისო, მერიმ დამირეკა.

ელენე – ჰა, ჰა, ჰა.

გიორგი – ჰა, ჰა, ჰა.

ელენე – აბსურდის ქვეყანაში ვცხოვრობთ.

გიორგი – აი, ეს ის კაცი არ არის?

(კადრში ჩანს „მუყაოს სახლების“ პროექტის ავტორი).

შურნალისტი – ბატონო გრემ, ალბათ ძალიან გულდაწყვეტილი ხართ, რომ თქვენს პროექტს აქ ასეთი ინციდენტი შეემთხვა.

გრემი – რახან გვებრძვიან, ესე იგი, ჩვენმა პროექტმა გაა-მართლა. ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგან რამდენიმე წყვილმა აქაც იპოვა ერთმანეთი.... „მუყაოს სახლები“ შეიძლება დაწვან, თუმცა, ეს იდეაა, იდეები კი, როგორც ხელნაწერები, ცეცხლში არ იწვება.

გიორგი – ჩაის არ დამისხამ?

ელენე – კი, კი.

(ელენეს ჭიქებით ჩაი შემოაქვს და ისიც გიორგის გვერდით ტახტზე მოკალათდება).

გიორგი – სხვა რა არის ახალი?

ელენე – არაფერი, შენკენ?

გიორგი – არც ჩემპენ.

2014

და-ქონ-ნაც-ებულები

მოქმედი პირნი:

თიპო – ექიმი 50 წლამდე
საბა – 50-ს გადაცილებული
გურა – თიკოს ვაჟი
ნინი – გუგას შეყვარებული
იპა – ლაბორანტი, 27 წლის
საბას მემკობრები: გია, ზურა, ნიკუშა, ჯარვე, დიმა
და სხვები.

პირველი მოქმედება

ჩაბნელებული კაბინეტი.

ოდნავ იკვეთება სილუეტები. კომპიუტერის მაგიდასთან გოგონა ზის, (ეკა) ლაბორანტი და ტექსტს კრეფს. სპეციალურ საწოლზე პაციენტი ქალბატონი წევს, მასთან ახლოს კი მაღალ, სატრიალო სკმზე ექიმი ზის (თიკო, 50 წლამდე, კარგად შემონახული). თიკო სპეციალურ ხელსაწყოს ასრიალებს ავადმყოფის სხეულზე და თან ეკრანს უყურებს.

თიკო – რამდენი წლის ბრძანდებით?

პაციენტი ქალი – რამდენის ვიქნები?

თიკო – არ ვიცი, ქალბატონო.

ეპბ – დაბადების თვე და რიცხვი.

პაციენტი ქალი – ორმოცდაშვიდის ვარ... 6 აგვისტო.

თიკო – კისრის არეში გაქვთ ტკივილები?

პაციენტი ქალი – ცოტა.

თიკო – რამდენი ხანია?

პაციენტი ქალი – ორი წელია, თითქმის ყოვედლე.

თიკო – გადატრიალდით და გვერდზე დაწექით... (ეკას) კაროტიდულ სისტემაში ვლინდება ვასკულური რეზისტილობის მატების ტენდენცია პიმცცცა დეხ-ო.93, პი მცა სინ -095.

ეპბ – (იმეორებს) ...კარ-ოტიდ-ულ სისტემაში ვლინდება ვასკულური რეზისტილობის მატების ტენდენცია pimcccc dex-0,93, pi mcca sin-095.

პაციენტი ქალი – დღე არ არის, რო რამე არ მტკიოდეს, ხან რა – ხან რა. ჩემ ასაკამდე რო მოხვალთ, ღმერთმა თქვენ კარგად გამყოფოთ, მეც 40 წლამდე წამალი არ დამჭირებია.

ეპბ – აჲა, ჲა, ჲა, (გადაიხარხარებს).

თიპო – ეკა?!.

ეპბ – უკაცრავად.

პაციენტი ქალი – რა აცინებს? ისე ჩემი შვილიშვილიც ასე უაზროდ იცინის.

თიპო – ინტრაკრანიულად ზომიერად გადატვირთულია ორივე კავერნოზული სინუსი, მარჯვნივ 18 სმ, და სწორი სინუსი 30 სმ.

ეპბ – (ხმამალლა იმეორებს და თან ტექსტს კრეფს) ...ინტრაკ-რანიულად ზომიერად გადატვირთულია ორივე კავერნოზული სინუსი, მარჯვნივ 18 სმ, და სწორი სინუსი 30 სმ.

(პაციენტი კაცი სიბძნელეში კარს შემოაღებს).

პაციენტი პატი – ექიმო, შემოვიდე?

პაციენტი ქალი – აჲ! გახდილი ვარ, სად მოდის?!

თიპო – სად უნდა შემოხვიდეთ?! ვერ ხედავთ, ავადმყოფი მყავს.

პაციენტი პატი – ვაა?! ამდენი ხანი რით ვერ გასინჯა?! (გა-ბრაზებული გაიჯახუნებს კარს).

პაციენტი ქალი – დამინახა?

თიპო – არა, ქალბატონო, ნუ ნერვიულობთ.

პაციენტი ქალი – სანერვიულოს მეტი რა მაქვს?!

თიპო – აქ გტკივათ?

პაციენტი ქალი – მგონი კი, ცოტა...

თიპო – მარცხენა, 23, 4, მარჯვენა 22, 1.

ეპბ – (იმეორებს) მარცხენა, 23, 4, მარჯვენა 22, 1.

პაციენტი ქალი – გადავრჩები, ექიმო? თუ უკვე გვიან არის?

თიპო (თიკო დუმს, საქმეშია ჩართული).

პაციენტი ქალი – რა, არ გადავრჩები? (ტირილი ეპარება ხმაში).

თიპო – ქალბატონო, დაწყნარდით, რა გაქვთ სატირალი. მე გამოკვლევების პასუხებს ვწერ, მკურნალობას თქვენი ექიმი დაგინიშნავთ. საგანგაშოს აქ ვერაფერს ვერ ვხედავ.

(რეკაგს ტელეფონი).

თიპო (ეკას) – გუგაა?! უთხარი, რო არ მცალია, ცოტა ხანში გადავურეკავ.

ეპა – ალო, გუგა, შენ ხარ?! დედაშენი დაკავებულია, ცოტა ხანში, მე თვითონ გადავურეკავო..... რაა?! ... გუგა არა ვარო, ქალბატონო თიკო.

თიპო – აბა, ვინ არის? ჰკითხე.

ეპა – ვერ მოვასწრი, დაკიდა.

თიპო – კარგი. გააგრძელე. კვანძის მოცულობა იგივე, არ გაზრდილა.

ეპა – (იმეორებს) კვანძის მოცულობა იგივე.

თიპო – კარგი, თავისუფალი ხართ, ქალბატონო. შეგიძლიათ ადგეთ. ისე, წონაში თუ დაიკლებთ, ტკივილებიც ნაკლები გექნებათ.

(პაციენტი წამოდგება და ჩაცმას იწყებს).

პაციენტი ჩალი – პასუხს ვერ მეტყვით?

თიპო – რის პასუხს?

პაციენტი – რა მჭირს?

თიპო – თქვენი მკურნალი ექიმი ექოსკოპიის, ანალიზების ყველა პასუხს შეაჯერებს და ის გეტყვით. შემდეგი! შემოდით. თქვენ თავისუფალი ბრძანდებით. ეკა, მომაწოდე ჩემი ტელეფონი.

(ეკა მობილურს აწვდის. თიკო იწყებს შემოსული ზარების ნახვას).

პაციენტი ქალი ისევ დგას.

თიპო – თავისუფალი ბრძანდებით.

პაციენტი ჩალი – ქალალდს არ მაძლევთ?

თიპო – რა ქალალდს!?

პაციენტი ქალი – კაცო, ამდენი ხანი რო მსინჯეთ და წერ-დით?!

თიპო – სანამ თქვენ ექიმთან მიხვალთ, იქ დაგხვდებათ. ჩვენ გავუგზავნით ინტერნეტით.

პაციენტი ქალი – უუჳ?! (უკმაყოფილო გადის) არ გვინდო-და ის მთავრობა?!... ესენი ხო აგვაშენებენ, წესიერად პასუხს რო არავინ გაგცემს ... (ბურტყუნ-ბურტყუნით გადის).

(შემოდის პაციენტი კაცი).

პაციენტი პაცი – სად დავწვე?

ეპა – აქეთ მობრძანდით. წელს ზემოთ გაიხადეთ.

პაციენტი პაცი – კი ბატონო, რა პრობლემაა?!

თიპო – (თიკო მობილურზე რეკავს და თან ახალი პაციენტის გასასინჯად ემზადება).

ალო, თქვენ მირეკავდით, დიახ, თიკო ვარ. თქვენ ვინ ბრძანდებით?.. უკაცრავად... ვერ გიცანით, არა, არც ხმაზე არ მეცნობით. იცით რა, ამდენი დრო არ მაქვს. ან მითხარით, რომე-ლი ხართ, ან ... უკაცრავად, მაგრამ უნდა გავთიშო, პაციენტი მელოდება. რაა?! საბა?!... ვინ საბა?! ... ააა?! საბა! ჩამოხვედი?! როდის ჩამოხვედი?! ... კარგი, რა ვიცი... საღამოს კი, კი მცალია, მეც ძალიან გამიხარდება... რა ვიცი, თუ გინდა, ჩემთან ამოდი სახლში. კი ისევ იქ ვცხოვრობ! კარგი, საღამომდე.

(თიკო ტელეფონს გათიშავს და მაგიდზე დადებს. დუმს).

ეპა – მოხდა რამე?

თიპო – არა, ისეთი არაფერი. უბრალოდ, 30 წლის უნახავი მეგობარი ჩამოვიდა და ...

ეპა – გავაგრძელოთ?

თიპო – მოიცა ერთი წუთით, (რეკავს ტელეფონზე) დოდო, აქ ხარ? მოხვედი უკვე?! შეგიძლია შემცვალო? კი ახლავე სასწრაფოდ უნდა გავიქცე. არა, ყველაფერი რიგზეა. კარგი, გე-ლოდები. კი ახლავე.

სიბნელეში ქალის ახალი სილუეტი გამოჩნდება, რომელიც ექიმის სკამზე ჯდება და მაშინვე შეუდგება საქმეს, თიკო ოთახ-იდან გადის.

დოლო ექიმი – ასაკი?

პაციენტი კაცი – 71-ის გახლავართ.

დოლო ექიმი – მითხარით, აბა, რა ჩივილები გაქვთ? რა გაწუხებთ? რამდენი ხანია?

პაციენტი კაცი – საიდან დავიწყო?

დოლო ექიმი – თავიდან.

პაციენტი კაცი – თავიდან? თავიდან მეოთხე კლასში ვიყავი, პირველად რო მომცა შეტევა აქ, მაშინ ბრმანაწლავი ეგონათ და სასწრაფოდ გამიკეთეს ოპერაცია, სუ ტყუილად ამომაჭრეს. მერე ისევ რო ამტკიცდა, ერთი კაი ექიმი იყო ჩვენ რაიონში, ლოთი, სამსახურიდან გამოგდებული, მაგრამ ისეთ დიაგნოზს სვამდა, ესეც კი ვერ აჯობებდა (კომპიუტერზე)...

* * *

თიკოს ბინა.

თიკო კარს აღებს და ოთახში შედის. ხელში ბევრი პარკი უჭირავს და თმის ვარცხნილობა ახლი გაკეთებული აქვს).

გუგა – ნინი, შენ ხარ?!

(მეორე ოთახიდან 26-27 წლის სიმპათიური ბიჭი გამოდის).

თიკო – ნინის ელოდები?

გუგა – წავიდეს, მაგის კარგიც....

თიკო – რა იყო, კიდევ იჩხუბეთ?!

გუგა – მე რა ვიჩხუბე?! თვითონ გავარდა. მორჩა რა, ამო-მივიდა, აქა მყავს, დავაი დაახვიოს.

თიკო – ოჟ, ვითომ ჯერაც არ გიჩხუბიათ?!

გუგა – შენ რა გჭირს?

თიკო – რა მჭირს?!

გუგა – რავი თავზე?

თიკო – არაფერი?!

გუგა – რა არაფერი?!

თიკო – ააა. ხორ?! სალონში ვიყავი.

გუბა – მიდიხარ სადმე?

თიპო – არა.

გუბა – აბა, რად გინდოდა?

თიპო – ჩემთან მოდის სტუმარი.

გუბა – ვაა, რა თოხლებია?! (გახსნის პარკებს) ვინ სტუმარი?

თიპო – ჩემი ძველი ნაცნობია, დიდი ხანია, არ მინახავს...

გუგა, მოაჭერი რაა მაგ ხაჭაპურს, ხელით რატო გლეჯ?!

გუბა – ოო, მივდივარ რა, მეჩქეარება. დიდი ხანი რამდენია?

თიპო – ალბათ, 30 წელი.

გუბა – მერე იცნობ?

თიპო – მგონი კი.

გუბა – ქალია თუ კაცი?

თიპო – კაცი.

გუბა – ეს ნახე, ტოო?! კაი წავედი და წესიერად. შე მაიმუნო!?

თიპო – გუგა?! შენ თვითონ წესიერად და ძაან არ დააგვიანო.

გუბა – კაი, ერთი 50 ლარი მომეცი რაა?!?

თიპო – რა ამბავია?!

გუბა – რა ამბავია და შეყვარებულმა მიმატოვა, რაა, გული არ გადავაყოლო?

თიპო – რაზე იჩიუბეთ? ისევ იმაზე?

გუბა – ჰო, აბა, ჩვენ სხვაზე არაფერზე არ ვჩიუბობთ! ტიპი ამის იქით ვერაფერს ვერ ხედავს, ეხლა ხო კარგად არის, მაგის-მა საყვარელმა მთავრობამ ხო... „გაუდო“ (უესტით) მამამისს ბოლომდე, ჯერ სად არიან?! ... აი თავისი ხელფასით ერთხელაც რო ვეღარ წავა სალონში, მერე აქოს ისევ ეს დამპლები.

თიპო – იცი რა მიკვირს, გუგა?! შეყვარებულებს პოლიტიკის მეტი სალაპარაკო რო არა გაქვთ და ამაზე რო ჩეუბობთ ყოველ-დღე...

გუბა – ო, მაიცა რაა, დღეს ეს უკვე მარტო პოლიტიკა აღარ არის! ადამიანის გაგებაა, „ქოცი“ თუ ხარ, ესე იგი, ბნელი ხარ, აქ ჩალპობა გინდა და მაშინ ნულარ მებლატავები ევროპაზე და თავისუფლებაზე, შევთანხმდეთ, რო ბნელი ხარ!

თიპო – ესეთი რადიკალები როგორ ხართ, ვგიუდები, შეიძლება ყველაფერს ორ ფერში ხედავდეთ?

გუბა – აუ, დედაჩემი ხარ, თორე შენნაირი ტიპები კიდე ყველაზე მაგრად არ მეგასება და ყველა ქეყშაფსია და სიაფანდი მგონია, „აქ ეცც არ მოწონთ“ „იქ იცც მოწონთ“ (ენის მოჩერექით) დავაი რაა?! მაგარი ტრუხა ბაზარია, წავედი, წავედი...

თიპო – ო, რა ხარ შენ?!

გუბა – აჲა, ესეც, ტაქსის ფული ხო მინდა
(საფულედან კიდევ ერთ კუპიურას ამოიღებს).

თიპო – გუგააა?!

გუბა – კაი, წავედი, გკოცნი.

(გუგა მიდის, თიკო პროდუქტს ალაგებს და ტანსაცმელს იცვლის. კარზე ზარია, თიკო აჩეარდება, სასწრაფოდ ფეხსაცმელებს გამოიცვლის და კარისკენ წავა, ზარს ბრახუნიც მოყვება).

თიპო – ახლავე!

(თიკო კარს აღებს, ოთახში გუგას ასაკის გოგონა შემოდის, შინაურულად მოისვრის ჩანთას).

თიპო – შენ ხარ, ნინი?

ნინი – ხო, როგორ ხართ, თიკო დეიდა?

თიპო – კარგად, შენ?!

ნინი – რავი, ვიჩეუბეთ.

თიპო – ვიცი, მითხრა.

ნინი – ხომ?! სად არის გუგა?!

თიპო – არ ვიცი, ცოტა ხნის წინ წავიდა.

ნინი – თავზე რა გჭირთ?!

თიპო – რა მჭირს?

ნინი – არა, არაფერი, რაღაც სხვანაირად მომეჩვენეთ. თავის ოთახში დაგელოდები, კარგი?! ხო შეიძლება? (ამთქნარებს).

თიპო – კი ბატონო.

ქინი გადის და კარს გაიხურავს. თიკო სარკეში ჩაიხედავს და თმას შეიკრავს. კარზე მოკრძალებული კაცუნია, ჩერდება, თითქოს, არ არის დარწმუნებული, რომ ნამდვილად გაიგონა. კაცუნი ისევ მეორდება. თიკო კარს აღებს. ოთახში მისივე ასაკის მამაკაცი შემოდის, ხელში ვარდების უზარმაზარი თაიგულით).

თიპო – ვაა, საბა?! შემოდი.

საბა – შეიძლება?! ეს შენ!

თიპო – დიდი მადლობა!

როგორ ხარ? ქუჩაში რო შემხვედროდი, ვერც გიცნობდი.

საბა – მართლა?! მე კიდე ძალიან ადვილად გიცნობდი, საერთოდ არ ხარ შეცვლილი.

თიპო – ო, კაი ახლა, არ გინდა.

საბა – გეფიცები, თმაც კი ისე გაქვს, როგორც მაშინ ატარებდი.

თიპო – ა, ჰომ, მართალი ხარ, ასე მქონდა სტუდენტობის დროს.

საბა – არ მითხრა, რო ეს ტყემლები შენი გაკეთებულია?! (ახლოს მივა და თაროზე შემოლაგებულ ქილებს დააკვირდება).

თიპო – და ეს მურაბებიც...

საბა – კაი რაა?! მაგას ვერასოდეს წარმოვიდგენდი, შენ და სამზარეულოში ფუსფუსი?!?

თიპო – მეც ბევრ რამეს ვერ წარმოვიდგენდი...

საბა – ისე, მართლა ვერ მიცნობდი?! პრინციპში არც თმა მაქვს დიდად გაცვენილი და არც ღიპი არ დამიდია...

თიპო – კი, მაგრამ მაინც ვერ გიცნობდი, ახლაც ვერ გცნობ...

საბა – წავალ მაშინ.

თიპო – ჰა, ჰა, ჰა, კაი ხო, გაგეხუმრე, დაჯეექი.

საბა – მოიცა, ვერ მოვათვალიერო აქაურობა...

თიპო – არაფერი არ არის შეცვლილი, რაც ჩემი მშობლები გარდაიცვალნენ, აქ დავბრუნდი.

საბბა – მე პირველად ვარ შენთან, სახლამდე კი მოვსულვარ ბევრჯერ, მაგრამ სახლში არასოდეს არ... მიშვებდი.

თიბო – მართლა?! ეგ არ მახსოვდა.

საბბა – სამაგიეროდ მე მახსოვს ყველაფერი ძალიან კარგად.

თიბო – მერე კაია, ეგეთი კარგი მეხსირება თუ გაქვს, მაგას რა ჯობია. ჩაი თუ ყავა?

საბბა – ჩაი, თუ შეიძლება. მეხსირების რა მოგახსენო, როცა ოკეანის გაღმა ხარ ათეული წლები და ერთსა და იმავეს იხსენებ, აღარ გავიწყდება.

თიბო – ახლავე, ჩაი და ხაჭაპურიც მაქვს.

საბბა – შენ გამოაცხვე?

თიბო – ოოჳ, ბოდიში... ამჯერად... რა ხაჭაპური გამოვაცხვე?

საბბა – რა იყო, ამეებს თუ აკეთებ, ხაჭაპური რაღაა?!

თიბო – რამდენი წელია, რაც წასული ხარ? ალბათ, 25, არა?!

საბბა – 24 წელი, სამი თვე და ერთი კვირა.

თიბო – ჰმ, კარგად დაგითვლია.

საბბა – შენც დიდად არ შეგეშალა?

თიბო – ხოო.

საბბა – მომიყევი, რას შვები?

თიბო – ამერიკაში შენ იყავი, მე რა უნდა მოგიყვე.

საბბა – ოო, ამერიკის დედაც.

თიბო – შენ ამბობ, ბიჭო, მაგას?.. ამერიკაზე აბოდებდი.

საბბა – ეეჳ, მაიცა რაა?! ისე, დედას ვფიცავარ, მართლა არა ხარ შეცვლილი. ხო ... ნუ, რა თქმა უნდა, წლები თავისას მაინც შვება, მაგრამ, მე აქ ხალხი ვნახე... რა ჭირთ? მართლა ვერ ვიცანი.

თიბო – მოიცა ერთი, რაო, რა თქვი ამერიკაზე?

საბბა – კი, მართალი ხარ. ნაღდად ვაბოდებდი და რო არ წავსულიყავი, დეპრესიისგან მოვკვდებოდი ნამდვილად.

თიბო – მერე?

საბბა – მერე, ხო გითხარი, ამერიკის დედაც...

თიპო – ეგრე თუა, ამდენი წელი რამ გაგაჩერა?

საბა – რა ვიცი, რა ვიცი?! ... სხვა გზა აღარ მქონდა.

თიპო – კაი რა, მაგას ვერ ვიგებ, რა სხვა გზა, სახლში დაბრუნებას მიზეზი არ სჭირდება.

საბა – კუდამოძუებული ვერ დავბრუნდებოდი უკან. აუ, და-ჯექი რაა?! ამდენს რას ჩალიჩობ?

თიპო – კი ახლავე, ჩაი დავასხი და მოვდივარ.

საბა – და თუ შეიძლება, ეს ფანჯარაც მიგზუროთ.

თიპო – რატო, გცივა?

საბა – არა, ორპირია.

თიპო – ოჰ, ეს რა მშიშარა გამხდარა?!

საბა – გაარტყი, ნაღდად ეგრეა, მართლა მშიშარა გავხდი, ან ყოველთვის მშიშარა ვიყავი და ვფარავდი.

თიპო – ვითომმ?! რა ვიცი, კარგად მახსოვს კიკეთში ოთხ „ვერზილას“ რო აუშარდი. მაგრად გადარჩი მაშინ, რო არ გცემეს.

საბა – ოო, კაი რა?! ეტყობა ვიცოდი და ტყუილად ვა-ტრაკებდი. შენ გაწონებდი თავს, ვითომ...

თიპო – თვითკრიტიკულიც გამხდარხარ...

საბა – იცი რაა?! სიფათზე ვერ მცნობ, ვერ მცნობ. ხასიათითაც თუ სხვანაირი გახსოვარ, იქნებ მართლა სხვა ვარ და დროზე წავიდე?

თიპო – ჰა, ჰა, ჰა, კარგი იყო, ჩაგეთვალა.

ძმაო, ეგრეა, წლები გავიდა, ჩვენც ვიცვლებით.

საბა – რა ძმაო?! რის ძმაო?! ძალიან გთხოვ, ძმაოთი აღარ მომმართო.

თიპო – ჰოო, 25 წელია, რაც ამერიკაში ხარ... და მე რაც არ მინახავხარ?

საბა – 24 წელი, სამითვე და ერთი კვირა ვარ ამერიკში და ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს 30 წელი და მოიცა... და 2 დღეა.

თიპო – შენა ყველაფერი ასე საათებით და დღეებით გაქვს დათვლილი და დამახსოვრებული?

საბა – აბა?! მეტი რა საქმე მქონდა იქ?

თიპო – და ეს სამი დღე ვითომ რა იყო.

საბა – ოცდაათი წლის და ორი დღის წინ ჩემი დაბადების დღე იყო. ჩვენ ბოლოს ჩემ დაბადების დღეზე შევხვდით, არც ეს არ გახსოვს? რამდენიმე დღის დაცილებულები ვიყავით და შემთხვევით ერთი სასტუმროს ბარში აღმოვჩნდით.

თიპო – კი ეგ მახსოვს. ბარში.

საბა – არა, სასტუმროს ფოიეში.

თიპო – ხო... .

საბა – ოღონდ მე ჩემს მომავალ საცოლესთნ ერთად ვიყავი რესტორანში, შენ შენს საქმროსთან ერთად ბარში. მე და შენ შემთხვევით შევეჯახეთ სასტუმროს ფოიეში, ტუალეტებთან.

ჯერ დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს, მერე მაგრად ვიზავეთ და საერთოდ არ გაგვიცია ერთმანეთისთვის ხმა, ისე უსიტყვოდ დაცილდით. არც ეს არ გახსოვს?

თიპო – მახსოვს...

საბა – კიდევ კარგი, თორე მეც უკვე ეჭვი შემეპარა, სხვას-თან ხო არ მოვედი-მეტქი.

თიპო – როგორ მიყვარდი?!?

საბა – მართლა?!?

თიპო – ო! ვითომ არ იცოდა? გახსოვს, პირველად როგორ შევხვდით ერთმანეთს?

საბა – კი, ჩემთან სახლში, ჩემი ძმაკაცის ნაშა იყავი და იმან ამოგიყვანა.

თიპო – ნაშა არა ისა?!.. გიას ნაშა მე არასოდეს არ ვყო-ფილვარ.

საბა – ხო, გია ვნახე გუშინ. აუ, რა აჭრილია იმ მთავრობაზე, მაგარი „ქოცია“, არადა, როგორი სხვა ტიპი იყო?!

თიპო – ხომ, ვიცი, მეც ვნახულობ, მოდის ხოლმე ჩემთან-გამოკვლევებზე.

საბა – გუშინაც გავიხსენეთ ის ამბავი, ჩემზე ნაწყენი რომ იყო, შენ რა ძმაკაცი ხარ, ქალი დამაწერეო?!

თიპო – ტყუილია, ჩემსა და გიას შორის არასოდეს არაფერი ყოფილა.

საბბა – შენგან შეიძლება არ იყო, მაგრამ იმას მაგრად ევასე-ბოდი.

თიპო – ეგ ეხლა, მე რა შუაში ვარ. შენთან რო მოვედით, მახსოვს, კარი ღია იყო, ზარი არც დაგვირეკავს.

საბბა – სულ ეგრე არ იყო?! სანამ ცოლი არ მოვიყვანე ... იმან ჩაკეტა კარი და იქ დაერხა.

თიპო – იმას რატო დაერხა?

საბბა – აბა, ჩემი ჩაკეტვა შეიძლებოდა?! იმიტომაც დავახ-ვიე... მერე, მერე მოყევი, მეც ყველაფერი კარგად მახსოვს.

თიპო – მაშინ რას მაყოლებ?

საბბა – არა, შენ თუ გახსოვს დეტალები, ის მაინტერესებს...

თიპო – ვაგრძელებ. შემოვედი, ბევრი ხალხი დაბორიალობ-და, არავის არ ვიცნობდი, შენ იჯექი ტახტზე, გიტარით ხელში. უკრავდი „ბიტლებს“ და ხმადაბლა ღილინებდი.

საბბა – აბა, რას?

თიპო – „Yesterday“.

საბბა – ყოჩაღ!

თიპო – მე შენ პირდაპირ ჩამოვჯექი სავარძელში, შენ თავი არ აგიწევია.

საბბა – ფერადი ბრჭყვიალა კოლგოტკები გეცვა, რატომ-დაც...

თიპო – რა რატომლაც?!... მოდაში იყო მაშინ... ე. ი. მიყუ-რებდი.

საბბა – რა თქმა უნდა, კარიდანვე დაგინახე, როგორც კი შემოხვედით.

თიპო – მოგეწონე?

საბბა – კი, აბა?! თავიც იმიტომ ჩავქინდრე, რო არ გავყი-დულიყავი.

თიპო – ...სიმღერა დაამთავრე და ამომხედვე.

საბბა – შენც ხო მოგეწონე?! არ გინდა ახლა...

თიპო – არა.

საბა – რა, არ მოგეწონე? მაგ დროს ქალები ეცემოდნენ
ჩემზე.

თიპო – არა, არ მომწონებიხარ..... შემიყვარდი.

საბა – ოოოო.....მაიცა რაა?!

თიპო – ჰოო, ჰოო...

საბა – როგორ, ეგრევე?!

თიპო – კი, იმ წუთიდან, პირველივე დანახვაზე.

საბა – ე. ი. „ერთი ნახვით შეყვარება!“ აქ ამბები გასკდება?!.

მერე, მერე? არც შენ უჩივი თურმე მეხსიერებას?!

თიპო – მერე მთელი საღამო რასაც მღეროდი, სულ მე მიმ-
ღეროდი.

საბა – რეპერტუარი?

თიპო – ძირითადი ამბიდან ნუ გადაგყავართ, თუ შეიძლება.

საბა – მართალი ხარ, გავაგძელოთ.

თიპო – მერე გიამ, – სახლში მაგვიანდებაო და მე და გია
წავედით.

საბა – მაგ დამპალმა მოწვა, რო ჩვენ შორის რაღაც ძაფები
გაიბა და მაგიტომ თქვა მაგვინდებაო, შენი მოტეხვა უნდოდა.

თიპო – შეიძლება. მაშინ არც მობილურები იყო, არც შენ
გიკითხაგს ჩემთვის ტელეფონი.

საბა – როგორ უნდა მეკითხა, ძმაკაცის...

თიპო – ვაგრძელებ! მოკლედ სახლში წამოვედი და ავად
გავხდი ისე, რომ მეორე დღეს ინსტიტუტშიც ვერ წავედი.
ლოგინიდან ვერ ავდექი, ვერც მესამე დღეს.

საბა – ხოო?! ეგ არ ვიცოდი.

თიპო – ოღონდ ავად მართლა კი არ გავხდი, სიყვარულის-
გან, ლოგინად ჩავვარდი, მართლა, მართლა...

საბა – აუუჳ!!!

თიპო – „ფეხზე წამოდგომა როგორც კი შევძელი“, ინსტი-
ტუტში მივედი, შესასვლელთან ჩემი ჯგუფელი შემხვდა და მეუ-
ბნება, ეს დღეები რო არ დადიოდი, ვიღაც გკითხულობდაო.

ვინ-მეთქი? უი, ეს იყო, ახლაც აქეთ მოდისო. მოვტრიალდი და შენ დაგინახე, მორბოდი, და მეც გამოვიქეცი... შენ უცებ ხელი დამავლე და მაღლა ამიტაცე...

საბა - შენც ეგრევე მთელი ძალით შემომხვივ კისერზე ხელები.

თიპო - მოკლედ, ყველანაირი შესავლის გარეშე გავხდით შეყვარებულები.

საბა - მერე სულ ერთად ვიყავით... რამდენს დავდიოდით ფეხით, გახსოვს?

თიპო - ყველაფერი მახსოვს.

საბა - მართლა?! ყველაფერი ასე დაწვრილებით გახსოვს?

თიპო - კი, ყველაფერი დაწვრილებით მახსოვს, მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს?.. ოცდაათი წლის წინ ის კარი გამოვხურე, სადაც ეს ამბავი ხდებოდა და გასაღებიც წყალში გადავაგდე, რომ აღარასოდეს მეცადა მისი გაღება.

საბა - მე კი პირიქით....

თიპო - ანუ?! პირიქით რა?

საბა - მთელი ეს წლები ვერ ამოგიგდე თავიდან, ვერაფრით... ეხლა ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ამბობენ, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შედიანო...

თიპო - რას ვიზამთ, ცხოვრებაა ასეთი. ხო ხედავ, ამ ისტორიასაც, როგორც ფილმში ნანას ლამაზ ამბავს, ისე ვყვები. თითქოს, მე არანაირ კავშირში არ ვიყო.

საბა - ხო გასაგებია, არადა, ხო შეიძლებოდა რო ერთად ვყოფილიყავით?

თიპო - ეტყობა, არ შეიძლებოდა...

საბა - შეიძლებოდა! ის შენი საშინელი დაქალი რომ არ გამოჩენილიყო.

თიპო - ვინ ჩემი დაქალი?

საბა - ის, ვინც გამომიგზავნე.

თიპო - მე გამოგიგზავნე?

საბა – ხო, ახლაც მაურიალებს მაგ გოგოს გახსენებაზე.

თიპო – მოიცა, მე ვინ გამოგიგზავნე?

საბა – რა ერქვა? ლიზი.

თიპო – ლიზი? მე გამოგიგზავნე?! რა სისულელეა?!

(ოთახის კარი იღება და ნინი შემოდის).

ნინი – გამარჯობათ.

საბა – გამარჯობა.

თიპო – გაიცანი. ეს ნინია, ეს ჩემი ძეველი მეგობარია. საბა...

ნინი – სასიამოვნოა.

საბა – ჩემთვისაც, მე წავალ, კაი?! რაღაც ძალიან გამი-
როძელდა. უხ, რა დრო გასულა?!

ნინი – მე ხომ არ შეგიშალეთ ხელი?

საბა – არა, არა.

თიპო – როდის მიემგზავრები?

საბა – ზეგ.

თიპო – კარგი, აბა კეთილ მგზავრობას გისურვებ.

საბა – წასვლამდე კიდევ მინდოდა მენახე.

თიპო – მეც.

საბა – მაშინ, ხვალ დაგირეკავ და სადმე ერთად ვივახშმოთ.

თიპო – კარგი.

საბა – აბა, ხვალამდე.

თიპო – კარგად.

საბა – კარგად.

ნინი – ნახვამდის (ნინი იწყებს ტირილს).

თიპო – რა გჭირს, ნინი?

(ნინი ტირილს უმატებს).

თიპო – ნინი, ძალიან გთხოვ, რაა?! რა მოგივიდა, ასე გაწ-
ყენინა ამ საზიზლარმა გუგამ?!

ნინი – მეტი აღარ შემიძლია, დამღალა ამ გაუთავებელმა
ჩეუბებმა და კამათმა. მაგან ვერ გაიგო, რო მე ... მე მყავს მსო-
ფლიოში ყველაზე კარგი დედა. მის მშობლებს არ უნდოდათ, რო
... ესწავლა. სახლიდან მაინც წავიდა, ჩააბარა უნივერსიტეტში.

მშობლებს საშუალება არ ჰქონდათ, მისი სტუდენტობის პერიოდი რო დაეფინანსებინათ. მაყვალს და სოკოს აგროვებდა ტყეში, ყიდდა და სტუდენტობა ასე გაატარა. მერე გათხოვდა მამაჩემზე, სამი შვილი გააჩინა. მე უმცროსი ვარ, შვილების გაზრდის პარალელურად ორ სკოლაში ასწავლიდა. მე რომ გავჩინდი, იმ წელს გახდა სკოლის დირექტორი და 25 წელი მუშაობდა. 45 წლის ასაკში ისწავლა ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, ჩემი ოცნება იყოო და მშობლებს საშუალება არ ჰქონდათო. 55 წლის ასაკში ისწავლა მანქანის მართვა. და ახლა ინგლისურსაც სწავლობს და ლაგოდებიდან თბილისში კვირაში ორჯერ დადის ენის კურსებზე, 150 კილომეტრია, თან ორ სკოლაში ასწავლის. ხო, კიდე სამივე შვილს უმაღლესი განათლება მოგვცა და ერთხელაც არ მიგრძნია, რომ „სოფლელი“ ვარ, სანამ გუგა არ შემიყვარდა. სუ სოფლელს და ქაჯს მეძახისსას... (ტირის გულამომვედარი).

თიპო – უხ, ეს დებილი გუგა, ხო იცი, რო გულით არ არის ცუდი ბიჭი. მეც ისეთ რამეებს მეუბნება ხანდახან, მოეთრეს ერთი სახლში?!...

ნინი – არა, ეგ არ არის მთავარი, მთავარი ის არის, რომ დედაჩემს, აი, ასეთ დედაჩემს, უთხრეს, რო „ჩასარეცხი“ ხარო და ყველანაირი მადლობის გარეშე გამოაპანლურეს სკოლიდან, იმ სკოლიდან, რომელსაც თავისი შვილებივით გადაყვა. და ახლა მეუბნება გუგა, რო მე თურმე ის ხალხი უნდა მიყვარდეს, თუ არადა, ქაჯი ვარრრრ (უფრო მაგრად ტირის).

თიპო – ვაიმე, რა ვუყო ახლა ამ ბავშვს. მოიცა, წყალს და-გალევინებ.

(თიკო გარბის და წყალი მოაქვს, ნინი სვამს და ცოტა მშვიდ-დება).

ნინი – მაგრამ მთავარი არც ეგ არი.

თიპო – აბა, რა არის? ახლა გადავირევი მართლა...

ნინი – მაპატიეთ, მეგონა გუგა მოვიდა და კარი ოდნავ შევაღე, მერე კი ცნობისმოყვარეობამ მძლია და ყველაფერი

მესმოდა, რასაც თქვენ და ის კაცი ლაპარაკობდით, მაპატიეთ, მაგრამ ყური მოვკარი და მერე ისეთ საოცრებებს ყვებოდით... არ მინდა, არ მინდა, არ მინდა!! რო მე და გუგაც 30 წლის მერე შევხვდეთ ასე ერთმანეთს და ასე ვიხსენებდეთ, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი. არ მინდაააა... (ტირის).

თიპო – ჰო, კარგი, დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი.

(თიკო ნინის ჩაეხუტება, ნინი ისევ აგრძელებს ტირილს).

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

ქაგილა გაშლილია ოც კაცზე.

სუფრის თაგში ზის საბა და საათზე იყურება.

შემოდის თიკო).

თიპო – უკაცრავად, ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ სანამ ჩემი
შემცვლელი არ მოვილა, ვერ დავტოვებდი ავადმყოფებს.

საბა – მოდი, მოდი, სად დაჯდები, სად გირჩევნია?

თიპო – რა ხდება?... ეს ამხელა სუფრა?!....

საბა – არაფერი ისეთი, ხვალ მივემგზავრები და მინდოდა
ყველა, ვინც მენატრებოდით, ერთად შემეყარეთ. ჩემი დაბადე-
ბის დღე სამშობლოში მინდოდა აღმენიშნა, მაგრამ ზოგს მაშინ
არ ეცალა, ზოგს ... მოკლედ 50 წელი ძალიან ბევრია არა? თუ
რა ვიცი...

თიპო – უი, ჰო, დაბადების დღე არ მახსოვდა, მაპატიე.

საბა – კაი, რა სისულელეა, რა დაბადების დღე, ეს უბრა-
ლოდ მიზეზია.

თიპო – მაშინ მე ყველაზე ადრე მოვსულვარ?!....

საბა – ისინი მოგვიანებით მოვლენ. შენთან ცოტა ხანს მარ-
ტო მინდოდა ყოფნა.

თიპო – აა?!

საბა – არ გშია? რა კარგად გამოიყურები.

თიპო – არა ჯერ, გმადლობ.

საბა – რაღაც დაგვრჩა იმ დღეს, მგონი, სათქმელი, რაღაც
ვერ გავარკვიეთ, არა?

თიპო – უი ხო?!.. რა შენი დაქალიო?

საბა – მართლა არ გახსოვს?

თიპო – რა უნდა მახსოვდეს?

საბა – რა ვიცი, თითქოს ყველაფერი დეტალებში გაიხსენე გუშინ და რაღა ეს?...

თიპო – მართლა ვერ ვხვდები, რაზე მელაპარაკები. ისე, მეც მაინტერესებს, თქვი და შეიძლება გამახსენდეს.

საბა – მოკლედ, ცოტა ხნით ადრე, სანამ დავცილდებოდით, არ გახსოვს კამერა რო დავითრიე და ვითომ ფილმს რო ვიღებ-დი, კასტინგები და მთელი ამბები?...

თიპო – კი მახსოვს, ოღონდ, ეგ ცოტა ადრე არ იყო?

საბა – ხო, მართალი ხარ. მოკლედ, მაგ დროს ეს გოგოები ხო გახსოვს?! რა ამბავი იყო?! თურმე, ყველას უნდოდა კინოში გადაღება, ისე მე მაინც მივქარე რო ეს გზა არ ავირჩიე... ეგ სხვა თემაა, ამ პერიოდში დიდი შემოსევა მქონდა ქალების.

თიპო – მახსოვს, მახსოვს.

საბა – ანუ შენც იცოდი? მე მეგონა, რომ საკაიფოდ ვა-საიდუმლოვებდი.

თიპო – არა, ვხვდებოდი ყველაფერს. თანაც, ერთხელ გაუ-ფრთხილებლად მოვედი შენთან და კარი დაკეტილი დამხვდა, არადა ვიცოდი, რომ სახლში იყავო.

საბა – მართლა?! მეგონა, რო ვერაფერს ვერ მიხვდი.

თიპო – ნატა რო მოვიდა პირველად გადაღებაზე, ისეთი ლამაზი იყო, მაშინვე გამიელვა თავში, რო შენც მოგეწონებოდა, მოკლედ, ვიეჭვიანე და თურმე არც უსაფუძვლოდ.

საბა – უსაფუძვლოდ...

თიპო – როგორ?!

საბა – გეფიცები. საერთოდ არ მომწონებია, თანაც შენ იმ დროს ისე მიყვარდი...

თიპო – როგორ?! ფაქტი სახეზეა, ცოლად მოიყვანე.

საბა – კი, მაგრამ ეგ მერე მოხდა, ჩვენ რო დავცილდით.

თიპო – ხო, მაგრამ მე მაინც მართალი გამოვდივარ.

საბბა – არა, გაიგე რაა, მაგ პერიოდში თავში ამივარდა და იმ დებილ გოგოებსაც, ეტყობა, ფელინი ვეგონე და მეც, მოკლედ ...

თიპო – კარგი, ეს თუ არაფერ შუაშია, გააგრძელე...

საბბა – შუაში კი არ არის, უბრალოდ, იმიტომ გიყვები, რო ერთ დილასაც კარზე ზარია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახლობელი ადამიანი არ იყო, რადგან ყველამ კარგად იცოდით, რო ჩემი სახლის კარი არ იკეტებოდა და მარტო მიწოლა იყო საჭირო. მოკლედ, ვდგები, გალებ კარს ნახევრად მძინარე და, – შემოდი-მეთქი, მგონია, იმ სასტავიდან არის ერთ-ერთი ისევ.

თიპო – როგორ?! ესე გადგებოდნენ?

საბბა – კი, შენ თავს ვფიცავარ.

თიპო – მერე?

საბბა – მერე მე აბაზანაში შევედი, რო გამოვლენიშვნებულიყავი. ვბრუნდები და ვხედავ, სკამზე ზის ვიღაც დიდცხვირა „მიგერა“, რომელსაც ნაღდად პირველად ვხედავ. თან ნერვიულად სიგარეტს ეწევა, ცოტა დავიბენი. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ-მეთქი? – ვეკითხები.

თიპო – კაი რაა?!

საბბა – მე არ მიცნობთ, მაგრამ თქვენ სამაგიეროდ ძალიან კარგად გიცნობთო. აბა, რაშია საქმე-მეთქი? თან დავიძაბე, იმიტომ რო აზრზე ვერ მოვდივარ. მოკლედო, თიკო ჩემი ყველაზე ახლო მეგობარიაო, და მის მომავლს ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვსო. მერე, ჩემგან რა გინდათ-მეთქი?! მოკლედ, ძალიან კარგ ბიჭს უყვარს და თუ მასზე სერიოზულად არ ფიქრობთ, თავი დაანებეთო, რომ იმ კარგ ბიჭზე გათხოვდესო. თიკომ იცის-მეთქი, აქ რო ხართ? კიო, ის ვერ გეუბნება და მე გამომგზავნაო. იცი, რა დამემართა იმ წუთას?.. ამას ვერ აგისხნი ახლა.

თიპო – მერე? მერე?!

საბბა – ჩემგან რას ითხოვთ-მეთქი? ან ცოლად მოიყვანე და ან შეეშვიო. კარგი, რახან ის ვერ მეუბნება, შეშვებული ვარ-მეთქი. ესე იგი, სერიოზულად არც ფიქრობდით არასდროს,

რახან ასე უცებ გადაწყვიტეთო?! რა თქმა უნდა-მეთქი. არც არ-ასოდეს მიფიქრია. მოკლედ, წავიდა ... და მე რა დამემართა?.. შენი დანახვა აღარ მინდოდა, უცებ დამენგრა ყველაფრი. ყვე-ლასგან განსხვავებული, რაღაც სხვანაირი გოგო იყავი ჩემთვის, ამოვარდნილი ამ რეალობიდან, და უცებ, სოფლელი შემტენი ნაშის პრიმიტიული სვლა.

თიპო – ჰმ, და რატომ უთხარი, რო შემეშვებოდი და ჩემზე სერიოზულადაც არასოდეს არ გიფიქრია?

საბა – აბა, რა უნდა მეთქვა?! ასეთ შეკითხვაზე სხვა რანაირი პასუხი უნდა გამეცა?

თიპო – ხოო, ახლა თითქოს მეც გამახსენდა, ოღონდ, ეს წინაპირობა აღარ მახსოვს. მე მითხრა, ვიცნობდი და შემსვდაო, თუ რაღაც ამდაგვარი, მაგრამ ის კი მახსოვს, რაც მითხრა, მაგ საბას ფეხებზე კიდიხარ და მაგრად დაგცინაო.

საბა – და შენც, რა თქმა უნდა, დაიჯერე, არა? ჩემსავით, ჩემი დანახვაც აღარ გინდოდა, არა?

თიპო – ისეთი გულწატკენი და შეურაცხყოფილი ვიყავი, რა გასაკვირია... ეს არც ისე იოლი იყო, მაგრამ, ახლა ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.

საბა – შენ იმ საშინელ გოგოსთან ახლაც მეგობრობ?

თიპო – აბა?! ლიზი ჩემი ბავშვობის მეგობარია.

საბა – ამის მერეც იმეგობრებ?! ვერ ხვდები, რო ყველაფრის მიზეზი ის იყო, რო ჩვენ ერთად არა ვართ, რო....

თიპო – ეტყობა, ისე ძლიერად არ გვიყვარდა ერთმანეთი.

საბა – არა, მე ეს არ მეხება. შენი არ ვიცი. მე ეს არ მეხება! მე შენსავით არავინ არ მყვარებია, შენსავით კი არა, მივხვდი რომ მეტი არც მყვარებია არავინ.

თიპო – ჰა, ჰა, ჰა. კარგი ჰოო, ჰა, ჰა, ჰა.

საბა – რა გაცინებს?

თიპო – რა ვიცი, მეცინება.

საბა – მე არ მეცინება, მე მტკივა ეს ამბავი, თან ძალიან. შენ ეტყობა ჩემგან განსხვავებით უფრო მყარი მასალისგან ხარ შექმნილი, მყარი უჯრედებისგან და იმიტომ არ გტკივა.

თიპო – არა, საბა, მე ის უჯრედები საერთოდ აღარ მაქვს...
ის უჯრედები მკვდარია... გაქრა.

საბა – აზრზე ხარ, ტიპმა რა გვიქნა?

თიპო – ვინ ტიპმა?

საბა – შენმა მეობარმა. ლიზი თუ ვიღაც, ფუ მაგის. საით
არის? „ქოცია“ თუ „ნაცი“.

თიპო – იცი რაა? მის საქციელსაც აქვს ახსნა. ის ბიჭი მისი
ჯგუფელი იყო, კარგად იცნობდა, თვლიდა, რომ წესიერ, ერთ-
გულ ადამიანს ვკარგავდი ვიღაც არასერიოზულის გამო და...

საბა – რა ტიპი ხარ, ტომ?!... მეგონა ამ ამბავს რო გაიგებდი,
აქედან პირდაპირ იმ გრძელცხვირას მოსაკლავად წახვიდოდი.

თიპო – ვიცნობ რაა, მართალია, ცოტა გრძელი ცხვირი აქვს
და ახლაც ყველაფერში ყოფს, მაგრამ ბოროტი არ არის... მგონი.

საბა – არა, ბოროტია! მე მაგან ცხოვრება დამინგრია, ეხლაც
მეშინია, მაგის სახეს რო წარმოვიდგენ. ხო გითხარი, კოშმარად
მახსოვს, ფუუუ...

თიპო – ეგონა, კარგს აკეთებდა.

საბა – იცი რაა?! ამას სიტყვებით ვერ გადმოგცემ, მაგრამ
ძალიან კარგად მიხვდა, როგორ გამცირებდა იმ დროს, როგორ
შემაზიზლა შენი თავი იმ წუთიდან. რას ნიშნავს თუ შენ არა,
მაშინ ის?! შენ მიმართ უცებ ერთბაშად დავკარგე პატივისცემა
და ამას მშვენივრად ხედავდა, ამას ვერც მოყვები, მაგრამ, განა
რამე ღირს იმად, რომ შენი მეგობარი ასე დაამცირო, ეს არის?!...
და შენ დღესაც მეგობრობ არა...

თიპო – მეც პრინციპში იგივე მითხრა შენზე.

საბა – და მერე, რას მიაღწია ამით? ბედნიერია თვითონ?
ასეთი ადამინები არ შეიძლება, რო ბედნიერები იყვნენ, მაგან...

თიპო – კაი ჰოო... დაივიწყე, მოდი, ერთი ჭიქა დამისხი.

საბა – ახლავე. (შამბანურს ასხამს ჭიქებში) მერე ჩვენ ერთ-
მანეთს შევხვდით რამდენიმე დღის შემდეგ, ერთმანეთზე და-
ბოლმილები და განაწყენებულები და ორივემ უფრო დავიჯერეთ
ეს სიმართლე, ასე არ იყო?

თიპო – კი, მე ნამდვილად დავიჯერე...

საბა –და მას მერე დახურე ხო ის კარიც? გასაღებიც სა-დღაც მოვისროლეო?

თიპო – კარგი რაა, რაღა დროს ეს ეგ არი?! ოცდაათი წე-ლია არ მინახავარ.

საბა – მე 30 წელია ეს ამბავი მაწუხებს, შენგან განხვავე-ბით, იმიტომ რომ მთელი ეს წლები... მერე რაა, რო შორს ვიყა-ვი. ყველაფერი ვიცი შენზე, ყოველი ნაბიჯი, რა გადაგხდა, რითი ცხოვრობდი. და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს ყველაფერი მახე იყო, რომელშიც ორივე გავებით.

თიპო – დიდი დრო გავიდა, მეც თითქმის ყველაფერი მახსოვს, მაგრამ უფრო კარგი. ცუდს ვივიწყებ ხოლმე...

საბა – როგორ ახერხებ?

თიპო – რა ვიცი, თავისთავად ხდება.

საბა – ბედნიერი ხარ შენ ქმართან?

თიპო – ააა?!. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვესმის ერთმანე-თის, გვჯერა, პატივს ვცემთ, ვუფრთხილდებით და იცი რაა.. საერთოდ შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ სიყვარული გაფრთხილებაა პირველ რიგში.

საბა – მე არა ვარ ბედნიერი. 25 წელია არ ჩამოვსულვარ და ის მაინც მელოდება, მელოდება, პრინციპში, ისევ ცოლ-ქმარი გვქვია. არც გათხოვდა, არ არავინ გაიჩინა. ყოველდღე ერთ-მანეთს ველაპარაკებით სკაიპში, ამ სკაიპში ბერდება, ბერდება თანდათან... და იმდენსაც ვერ ხვდება, რო გამორთოს მაინც ეკ-რანი, რომ ვერ ვხედავდე.

თიპო – არადა, რა ლამაზი გოგო იყო, ძალიან არის შეცვლი-ლი. ამასწინათ იყო მოსული კლინიკაში და ვერ ვიცანი.

საბა – შენ კიდე რა ვერავის ვერ ცნობ?

თიპო – აჲა, ჲა, ჲა.

საბა – 10 დღით ჩამოვედი და მაღიზიანებს უკვე. ერთი სული მაქვს როდის წავალ.

თიპო – კაი, შენც რა უმადური ხარ, გადაგყვა თან, ასეთი შვილები გაგიზარდა.

საბა – ეგ კი. ბიჭები მაგარი მყავს, მაგრამ... მარტო ეგ არ ყოფილა საკმარისი...

თიპო – არ მოვა?.. ნატა?

საბა – არა, მე ვუთხარი, მარტო ჩემი ძმაკაცები იქნებიან-მეთქი.

თიპო – მერე მე?

საბა – შენც ძმაკაცი ხარ, აბა ვინა ხარ? მაღიზიანებს, მაგიტომაც გადავიცხეწე. ვითომ ოჯახი არ დავანგრიე, მაგრამ „ოჯახი“ ქვია ამას?

თიპო – კაი, რას აკეთებს ასეთ გასაღიზიანებელს?

საბა – არაფერს, ტო?.. არაფერს, მაგრამ მე მაღიზიანებს. ყველაფერი მაღიზიანებს, რო აუთოვებს, აი მაუსს რო ატრიალებს, იმაზეც კი ვღიზიანდები.

თიპო – ეე? ეგრე არ შეიძლება.

საბა – ვიცი, ამიტომაც წავალ ხვალ და ...

თიპო – კიდევ 25 წელი აღარ ჩამოხვალ?

საბა – შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?!... უკვე ნებისმიერ დროს შემიძლია ჩამოსვლა. 18 წელი მართლა მოქალაქეობას ველოდებოდი. ახლა პასპორტიც მაქვს და ფინანსურადაც.... საბედნიეროდ (ჩუმდება).

თიპო – გაგიჭირდა?

საბა – ძალიან. პიცას დავატარებდი, მერე აუზებს ვრეცხავდი, ბუჩქებს ვკრეჭდი. აი, ნახე ეს შრამი, კინაღამ თითები წავიცალე.

თიპო – კინაღამ არ ითვლება.

საბა – თიკო.

თიპო – რაა?!

საბა –ხო კაი, არაფერი....

თიპო – შენ ჩამოსვლას გაუმარჯვოს!

საბა – გაუმარჯოს! და იცოდე, მიუხედავად ყველაფრისა, ჩემთვის უახლოესი ადამიანი ხარ. ნეტავი, მაშინაც ასეთი პოლი-

ტიკურად ანგაუირებულები ყოფილიყვნენ ყველანი, როგორებიც ახლა არიან. მაშინ ამდენი დრო აღარ ექნებოდათ, რომ სხვის ცხოვრებაში ექექათ თავიანთი გრძელი ცხვირებით.

თიპო – კაი ხოო, დაივიწყე.

საბა – რა ტიპი ხარ, ტოო, ეგეთი ხარ, რაა?! ახლაც ვისაც შევხვდი, ან აქეთ არიან, ან იქით, ან „ქოცები“ არიან, ან „ნაცები“. შენ ახლაც შენი პარტია გაქვს. მომეცი ხელი.

თიპო – რა ვენა, ეგეთი ვარ... (ხელს გაუწვდის, საბა მის ხელს ხელებშუა მოიქცევს.)

საბა – იცი რა, როცა ადამიანი ხვდება, რო ვერ იპოვა თავისი მეორე ნახევარი და ისე იცხოვრა, გულდაწყვეტილია, რა თქმა უნდა. მაგრამ როცა ზუსტად იცის, რო მისი მეორე ნახევარი ნამდვილად არსებობს, რომელიც უყვარდა და რომელსაც უყვარდა და...

(დარბაზში შემოდის გია) ეს ჩემისა კიდე რა სუ უდროო დროს უნდა მოდიოდეს მთელი ცხოვრება..

გიბა – ეე, ამათ უყურე, რაა?! თქვენ რა, ძველი ამბავი ხო არ გაიხსენეთ? რა ხელებჩაკიდებულები ზიხართ აქ?

საბა – აუ, როგორ გამიტეხევ...

გიბა – აბაროტს გიღებ, აბაროტს. როგორ ხარ, თიკო, ჩემო საყვარელო. რაო, ეს დებილი ისევ სიყვარულს გეფიცება?

საბა – ვეფიცები, ხო, ვეფიცები.

გიბა – ვაი შენს პარტონს. იცი, რა ქმარი ყავს? შენაირი უსაქმური კი არ არის. სასწაული ვინმეა, არ გააცანი? ჩვენიანი, ნაღლი!

საბა – ე. ი. „ქოცი“ ყოფილა? გამოვიცანი.

გიბა – ბიჭო, რა გამოცნობა უნდა? მაგ გამოსირებულ „ნაცებს“ ყველას სიფათებზე ეტყობათ.

საბა – მე ვერ ვარჩევ.

გიბა – აი მოვლენ ახლა შენი დებილი კლასელები და დიდი ფიქრი არ დაგჭირდება. გააცანი შენი ქმარი?

თიპო – არა, ჩემთან კი იყო გუშინ სატუმრად, მაგრამ ლადო სახლში არ იყო.

საბბა – კიდე კაი, არ იყო.

გიბა – ოჟ! თორემ, ვითომ რაა, რას იმუქრები? რა ჩემ ფეხებს იზავდი.

საბბა – არაფერი, უბრალოდ ამდენს ვეღარ ვილაპარაკებდით.

გიბა – ბიჭო, სად არიან შენი „ნაციისტი“ ძმაკაცები?

საბბა – მოვლენ, რაა...

გიბა – უჟ, მაგათ დედებს?!....

საბბა – არ გინდა ახლა, ჩემთვის ყველა ერთნაირად საყვარლები ხართ, „ქოცი“-„ნაცი“ არ გამაგონოთ დღეს ამ სუფრაზე, გასაგებია? შენც ხო დარჩები ბოლომდე?

თიბო – რავი, ვნახოთ...

საბბა – რატო, შენი ქმარი გაახურებს, თუ რამე საქმე გაქვს?

თიბო – არა, ეგ არ არსებობს, საერთოდ არ არის ეჭვიანი.

საბბა – ხოდა, ძაანაც კაი, აქ ახლა ისეთი მომღერალი ბიჭები მოვლენ, წესით, არ უნდა მოგწყინდეს. აი, მგონი, მოვიდნე.

საბბა გადის. სუფრასთან გია და თიკო რჩებიან).

გიბა – აქეთ რო მოვდიოდი, შენი ბიჭი შემხვდა, ვიღაც ლამაზ გოგოსთან ერთად.

თიბო – წითელი ლაბადით?

გიბა – ჰოო.

თიბო – უი, კიდე კარგი.

გიბა – რა ხდება?

თიბო – არა, ისეთი არაფერი. გია, ვგიუდები, რა შვილიშვილი გყავს?

გიბა – ნახე ხოო?! ფეისბუკში?!?

თიბო – აბა, სხვაგან სად ვნახავდი?

გიბა – ასეა... იზრდებიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები ვირტუალურ სამყაროში.

თიბო – აბა?!?

გიბა – აუ, ეგ მაგიუებს, მაგათი მომავლისთვის ბოლომდე შევაკვდები ამ ნაბიჭვრებს, თორე მე ჩემი ცხოვრება გავიარე. რაო, რა თქვა ამ დებილმა?

თიპო – ისეთი არაფერი.

გიბა – რაც ჩამოვიდა, შენზე მელაპარაკება. შევხვდე? არ შევხვდე? წაიღო ტვინი. მეთქი, შეხვდი შეჩემა, რა იყო?!.. მე მივცი შენი ტელეფონი. იქ არის ჩარჩენილი.. უუუ... შეცვლილია არა?

თიპო – რა ვიცი ...

გიბა – რა, ვერ ხედავ? რალაც კატოკვადავლილივით არის. ისე, ალბათ, ჩვენც ეგეთები ვჩანვართ შორიდან.

თიპო – მე, მართალი გითხრა, ვერ ვიცანი.

გიბა – რას ქვია, ვერ იცანი?

თიპო – აი, ეგრე რაა, ვიცი, რო ის არის, ყველაფერი მახსოვს, გუშინაც ვილაპარაკეთ, დღესაც, მაგრამ ვერ ვიცანი.

გიბა – რა პონტში, ტოო?! არადა, ვაბშე არ არის შეცვლილი. არც თმა აქეს გაცვენილი, არც ლიპი არ დაუდია, ეხლა შენ ბევრს ნუ ახურებ ჩემ ძმაკაცზე. მე თუ მკითხავ, ისევ ისეთი „სიმპატიჩ-ნია“, თუ როგორ ეძახდა, ქურთის ქალი რო იყო დამლაგებელი კორტებზე? გახსოვს? „იმპორტნი ბიჭი!“

თიპო – ხო, მახსოვს, ყველაფერი მახსოვს, მაგრამ ვერ ვიცანი, ხმაზეც კი ვერ ვცნობ.

გიბა – შენ ცოტა ალაოთ ხო არა ხარ, თიკუს? აუუუუ. ჰა. ჰა, ჰა.

აუ, ეს რა სასტავი იჩითება?!!. ნახე, ნახე, ვინ დაუპატიჟებია. აქ ამბავი ატყყდება?!...

დარბაზი უცებ ივსება საბას ასაკის მამაკაცებით. ერთმანეთს ესალმებიან, საბას ეხვევიან და მაგიდასთან სხდებიან, ხმაურობენ.

საბა ჭიქაზე დანას აწკარუნებს, რომ სუფრის წევრების ყურადღება მიიპყროს:

საბა – ერთი წუთით! ერთი წუთით. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ყველანი ვართ? კი ოც კაცზეა შეკვეთილი და ოცნი ვართ ზუსტად.

ზურბა – ისე, ხო იცი, ჩემო საბა, ნათქვამია, თუ ოცი სამშობლოს ერთგული, ჭკვიანი, ღირსეული კაცი ერთად შეიკრიბა, ქვეყანას გადაარჩენენ.

გიბა – არ გვინდა ეგ „რიჟა ბაზარი“. ქვეყნის გადამრჩენელს აქ მე ვერავის ვხედავ.

საბა – ძალიან გთხოვთ, ჩემი ხათრით, ამ საღამოს დაივიწყეთ, ვინ რომელ მხარეს ხართ? ოკ?

ზურბა – შენ თვითონ რომელ მხარეს ხარ?

საბა – მეე?! არც ერთ მხარეს არა ვარ, მაგრამ ამ დილას ვაკის პარკში გავასეინე ჩემი შვილიშვილი და... გულში რაღაც ჩამწყდა. გაფიტრებულ და გათანგულ დედებზე და უიმედო მამებზე, არაფრისმეტყველი თვალებით რომ უცქერენ მოთამაშე შვილებს... რაღაც ისეთი გამახსენა, რაც იყო უკვე ძალიან დიდი ხნის წინ და რასაც აქედან გავეძეცი.

დიმბა – ხოდა, ჩვენც ეგ არ გვინდა, ძმაო, სწორედ, რო ძველ დროში დავბრუნდეთ.

საბა – კაი, კაი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს და თამადად ეს კაცი უნდა დაგნიშნო, ისეთი მაგარი რაღაც თქვა წელან ოც კაცზე, ზურას გაუმარჯოს!!!

გაუმარჯოს, გაუმარჯოს!!

საბა – რა გითხრათ იცი?.. გუშინწინ ჩემი დაბადების დღე იყო... და ეს დღე ოჯახის წევრებთან ერთად გავატარე. დღეს კი თქვენ შეგარიბეთ.. დაბადების დღე ასეთია, სულ ცმუკავ... გინდა, არ გინდა... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მემართება... და რატომ?.. რაღაცის მოლოდინში ხარ... რაღაც სხვანაირია ეს დღე... მაინც, რითი? ეს დღე შენია, ყველა შენკენ იხედება, ყველა გიხსენებს, ყველა გეხება... თან ისე, რომ გრძნობ, უნდათ გაგამხნევონ, მოგეფერონ, გაგრძნობინონ, რომ ისინი გაფასებენ... უყვარხარ, სჭირდები... მოკლედ, კარგია... უფრო მეტიც, გადასარევია!.. თითქოს, არც იცოდე, ვინ ხარ, რა ხარ... და თავიდან პოულობ თავს... გმადლობთ, რომ დღეს აქ მოხვედით. ყველანი მაგრად მიყვარხართ. დიდი მადლობა და ახლა ჩვენს თამადას მოვუს-

მინოთ, ზურა შენ გაგიმარჯოს! აბა ერთხმად, ყველამ! ზურას გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს!

– ზურა გაგიმარჯოს!

(თამადას გაუმარჯოს! – ახმაურდებიან სუფრის წევრები).

ზურა – დიდი მადლობა ყველას! მე ცოტა შორიდან მომიწევს დაწყება, თუ ნებას მომცემთ?

გიბა – კი ძმაო, ოღონდ ძაანაც ნუ გაბურლავ ტვინს.

ზურა – აი ახლა ასეთი რამე მარტო კლასელს შეიძლება მოუთმინოს კაცმა 50 წლის ასაკში, არა?

გიბა – ოჰ, არ მოითმენ და შენი აჯობებს?!

საბა – მიდი, ნუ უსმენ მაგას, გააგრძელე.

ზურა – დარწმუნებული ვარ, ჩვენმა იუბილარმა ყველა ჩემსავით გაგაფრთხილათ, რო პოლიტიკაზე ხმა არ ამოვილოთ და არც ვაპირებ. მაგრამ ერთი რაღაცის თქმა მინდა. ჩვენ თუ ახალი წიგნი არ დავწერეთ ჩვენს წარსულზე, სიმართლის წიგნი, ისე მომავალს ვერ შევქმნით, იცოდეთ! თუ თქვენ თვლით, რომ ვერაგმა რუსეთმა უდრეკი ქართველი ხალხი მიიერთა, მაგრამ ვერ დაიმონა, და 200 წელი ჩვენ ყველა გმირულად ვიბრძოდით თავისუფლებისათვის, და სრულიად შევინარჩუნეთ ჩვენი კულტურა, ენა, სარწმუნოება, მთლიანობა, მაშინ ზღაპრების მომყოლი გჭირდებათ, და ეს წიგნი ჯობია არც დაიწეროს.

თუ გინდათ გაიგოთ, როგორ გავფარჩიაკდით, დავკარგეთ ბევრი რამ, შევიძინეთ რაღაც, უფრო სიმახინჯე, ვიდრე სილამაზე, მაინც გადავრჩით...

მაშინ სულ სხვანაირი წიგნი გჭირდებათ.

როგორი წიგნი მინდა მე? მე მინდა, რომ ამ წიგნმა:

– დაგვანახოს საქართველო და რუსეთი მსოფლიო ისტორიის ორასწლიან კონტექსტში;

– მოჰყვეს ქართულ კოლაბორაციონიზმზე;

– გვაჩვენოს ჩვენში ისეთი საბჭოთა ფენომენების წარმოშობა, როგორიცაა ინტელიგენცია, ორმაგი მორალი და ვითომ

თანაბარი, მაგრამ ღრმად სტრატიფიცირებული საზოგადოება: ვერა-ვაკე, სოფლელები.

დაგვაფიქროს, რატომ უნდოდათ მეოცე საუკუნის დასაწყისში გელათელ ბერებს და აკაკი წერეთელს ქართველების კათოლიკობაში გადასვლა;

– მოჰყვეს, თუ როგორ დაბეჩავდა ქართული სოფელი.

თქვენი არ ვიცი და მე არ მაწყენდა ასეთი წიგნის წაკითხვა“ ეს სიტყვები მე არ მეუზოგნის, მაგრამ ამ კაცმა ჩემი სათქმელი თქვა და, მზად ვარ, ყოველდღე ვიმეორო. მოკლედ ამის თქმა მინდოდა და ჩვენს სამშობლოს გაუმარჯვოს. ჩვენს საცოდავ „დაქოცნაც-ებულ“ სამშობლოს! ალავერდი დიმასთან ვარ.

(გაუმარჯვოს! გაუმარჯვოს! – აყვებიან სხვებიც).

ღიმიტრი – რა ვთქვათ, რა ვიცი, აბა?! გაუმარჯვოს საქართველოს, ჩვენი ტრადიციები არ დაგვეკარგოს.

ნიკუშა – აუ ჩემი, რამდენი წელია, ყელგამოწეული ვეხვეწები ამის მთქმელებს, რომ ჩამომითვალონ ეს ტრადიციები, წმინდად ქართული ტრადიციები. რა არის ეს ქართული ტრადიციები, გამაგებინეთ ერთი?! მშობლების სიყვარული, ქალის პატივისცემა, ქრისტიანობა ჩვენი მოგონილი არ არის. მაშინ მითხარით, რა არის ეს დალოცვილი ქართული ტრადიციები, ხალხი არა ხართ?

ყველა იცინის. ვიღაც წამოიწყებს სიმღერას.

ზურბ – შეავსეთ, შეავსეთ ამ სიმღერაზე სიყვარულის სადღეგრძელო მინდა რომ შემოგთავაზოთ..

საბა – (საბა იწყებს ლექსს).

Не оттого, что зеркало разбилось,
Не оттого, что ветер выл в трубе,
Не оттого, что в мысли о тебе
Уже чужое что-то просочилось, –
Не оттого, совсем не оттого
Я на пороге встретила его.

კანო – რა ვიცი, რუსები არ გინდათ და რუსულ ლექსებს კი კითხულობთ კარგად?

საბა – ჩემთვის, ჯანო, საყვარელო, ხელოვნებას არა აქვს საზღვრები.

ნიკუშა – კი მარა, ეგ ლექსი, ქალის დაწერილია, ძმაო, და კაცს ეძღვნება.

საბა – მერე რა, იყოს.

ნიკუშა – აბა, მაშინ შენ რატო ამბობ შეჩემა?

საბა – იქნებ, იმ ქალს მინდა შევახსენო რაღაც.

გიბა – შეახსენო, თუ გაახენო? აჲა, ჲა, ჲა...

სიყვარულს გაუმარჯოს!

(გაუმარჯოს! – ისევ ახმაურდებიან ყველანი ერთად).

საბა – თქვენ გენაცვალეთ ყველას! რა ბედნიერი ვარ დღეს, თქვენთან ერთად რო ვარ, ნეტა იცოდეთ?!.. არა რა, კლასელი რაღაცა სხვა ფენომენია...

ზურბა – ნიკუშ, შენც გვითხარი რამე.

ნიკუშა – მე, ძმაო, რასაც ვუკვირდები, როგორც ინდოეთში ამბობენ, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი რელიგიაა. მე მხოლოდ ერთი რელიგია მწამს და ამას რეინკარნაცია ჰქვია. მგონია, რომ ყოველი სიცოცხლე იმაზეა აგებული, როგორი გქონდა წინა... ამიტომაც, როგორც ჩანს, წინა ცხოვრებაში მაგრად ჩავიჯვი საქმეში, რომ ახლა ასე ვარ. ეგ არი, რაა...

(ყველა ხარხარებს).

ნიკუშა – რა გაცინებთ, თქვე ჩემისებო, ორი აგური უნდა გეჭიროთ ხელში, ვაი თქვენს პატრონს.

გიბა – ეს „დაუე“ მართლმადიდებელიც კი არ ყოფილა, ვახა, ხა ხა, ეგ არ ვიცოდი, გლიჯავ. ნიკუშ! გლიჯავ! მაგარი ხარ!

საბა – კაი, კაი, მოიცა, ცოტნეს უნდა რაღაცის თქმა, მიდი, ცოტნე, გენაცვალე.

ცოტნე – თქმა არ მინდა, წაკითვა მინდა ერთი მესიჯის, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ მომწერა ჩემმა ცოლმა ბერლინში:

სპბა – აბა, მოვუსმინოთ რაა, მიდი, ცოტნე.

ცოტნე – ცოტნე, შენ არ ინერვიულო, ჩვენ კარგად ვართ. არ ინერვიულო. ბნელ სარდაფებში, მურაბებზე, არაყზე, ღვინოზე და ლურსმნებზე არ ჩავდივართ სანათის და ძალლის გარეშე. ორივე უნდა თან გვექნდეს. თუ ძალლი ან სანათი, ან ორივე ერთად არ გვაქვს, არ ჩავდივართ და ვძლებთ უღვინოდ, უმურაბოდ, ულურსმნოთ. თუ გადავეყარეთ დათვს. ვდგებით მშვიდად, თაგვი ვხრით და ვიღებთ მორჩილების პოზას. არ ვინდრევით. არ ვყვირით. ძალიან ჩუმად მობილურით ვუხმობთ დახმარებას. მაქსიმალურად ნელი მოძრაობებით. ეს ზრდის გადარჩენის შანსს.

თუ გადავეყარეთ ვეფხვს. ვხდებით აგრესიულები, მივდივართ მასზე, ძალიან ხმამაღლა ვყვირით და ვღრიალებთ. ვუხმობთ საშველად. არ ვაქცევთ ზურგს და არ გავრბივართ. კატისებრი თავს ესხმის გაქცეულს. ყოველთვის. ამიტომ მხოლოდ ხმამაღლა შეტევა ზრდის გადარჩენის შანსს.“ /მესიჯის კითხვას ამთავრებს).

იცით როგორ ვიყავი მთელი დღე?! მეგონა, რომ წყალდიდობას გადაურჩა, მაგრამ გაგიჟდა. ეს ნორმალურის დაწერილია ახლა? მე მეჩვენება, რო ამ ქვეყანაში მასიური ფსიქოზია, თუ ვცდები?

(ყველა იცინის ისევ).

ალექსი – არ ვიცი, იცით თუ არა, რომ საქართველოს მოსახლეობა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მილიონ შვიდასი ათასი კაცით არის შემცირებული. ეს ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის კატასტროფაა. გაეროს პროგნოზის მიხედვით, საქართველო არის „მილევადი“ ერი, რომლის არსებობაც 2050 წლისათვის სათუოა... არ ვიცი, ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს.

ნიკოლა – კაი, რა, ჩემო ლექსო. ეგ ყველაზე ნაკლებად მაღელვებს. ათას იდიოტ ქართველს ერთი ჭკვიანი გერმანელი თუ არ მერჩივნოს.

დიმა – რუსი? რამდენი რუსი გიჩევნია?

საბბა – კოსტიას მოვუსმინოთ კოსტიას.

კოსტია – მინდა გითხრათ, რომ ... ეს კვირა ჩემს ცხოვრებაში სასიხარულოდ დატვირთული იყო ... მივიღე პატივდების სიგელი. გავხდი ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსი.. გუშინ „არაგველების“ პირდაპირ ეთერში მიმიწვიეს, მადლობა ... მადლობა ... დაფასებისთვის ულრმესი მადლობა, მადლობა თქვენც ყველას, რო დამაფასეთ და ამ შშვენიერ სუფრაზე მომიწვიეთ.

მია – ბიჭო, რაღაცა ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სუფრაზე კი არა რაღაც „თოქ-შოუზე“ ვართ. ამ ჩათლახმა (საბაზე) ფარული კამერები ხო არ დაგვიყენა, რა ვიცით, რა სანდო ეს არის? 25 წელი ფეხი არ ჩამოუდგამს.. ნალდი შპიონია! ჰა, გამოტყდი, შე ნაბიჭვარო.

საბბა – ჰა, ჰა, ჰა. კი, ნაღდად ეგრეა. ვაცალოთ ამ კაცს, ამდენი ხანია ჭიქა უჭირავს. მიდი, ჯარჯი, შენ შემოგევლე, გისმენთ...

ჯარჯი – რავი, რა გითხრათ, ძმებო, მე რაღაც უცხოდ ვგრძნობ ამ ქალაქში თავს. მე ესე გავიზარდე იტალიურ ეზოში და ეტყობა, მოძველებული აზროვნების კაცი ვარ.

კარის მეზობელი რომ გყავს და ახლო ურთიერთობა რომ გინდა – მეგობრული...

ხინკალს რომ გააკეთებ და დაპატიუებ...

ცოცხალს რომ მოხარშავ და გააწოდებ...

კიბეზე რომ შეგხვდება და, გამარჯობის გარდა, ალალად მოიკითხავ, ხომ ყველაფერი კარგადაა თქვენკენო...

...და სანაცვლოდ რომ ყოველთვის ოდნავ შესამჩნევად, უხმოდ თავის დაკვრას და თითქმის ნაძალადევ, ძააალიან გადალლილი ადამიანის წამისმეასედიან ღიმილს იღებ...

იმიტომ კი არა, რომ შენზე მეტია ან თავს გამეტებს...

იმიტომ კი არა, რომ თავად არ უნდა გაიხსნას და ალალად გამოფინოს ყველა კბილი...

ეგრე გაზარდეს და რა ქნას...

„დასტოინი“ უნდა იყოო...

მძიმედ, ოდნავ გასაგონად უნდა ისაუბრო, რომ მეორე მხარემ სმენა დაძაბოსო...

აჯობებს, თუ კითხვაზე პასუხი ერთი ან ორსიტყვიანი და მაქსიმალურად ბუნდოვანი იქნება – შემკითხველმა იმკითხავოს...

შანსი არაა, თითო-ოროლა ასეთი ყველას არ გყავდეთ სამეზობლო-სანაცნობოში. აი, ეგეთებით გაიგის დღეს ეს ქალაქი, ჩემო საბა და იცოდე, რო შენც დღეს სხვა ქალაქში ჩამოხვედი. ჩვენც შენი ხათრით ვართ ერთად ახლა აქ და არ ვჭამთ ერთმანეთს, თორე უკვე სიფათებზე ვცნობთ, ვინ ვისიანია. შეკითხვაც არ გვჭირდება, მოკლედ რა, ...გაგიმარჯვოთ!

გიბ – რას იზამ, ეს ასეთი ქვეყანაა, სადაც უნამუსოები უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე ნამუსიანი ხალხი. უსამართლო ქვეყანაა. უსამართლო სახელმწიფო, დაქცეული ეკონომიკა, საკუთარი მიწები გაყიდული. გადით სოფელში და ნახეთ, ქართველმა სახლი ბოლოს როდის ააშენა.

ჯარჯი – ამ ქალაქში არც ამდენი კაფე იყო, არც ამდენი ღამის კლუბი, არც ამდენი უნივერსიტეტი და არც ამდენი ჯიპი დადიოდა. მაგრამ ყველას „ჩვენი ეზო“ გვქონდა, გაზაფხულზე ნუში ყვაოდა და შემოდგომის მზეც ყველა უბანს ერთნაირად ათბობდა.

ნიბუშა – არ გინდათ რა ეს სენტიმენტი. მაშინაც გამოსირებულები ვიყავით და ეხლაც ესე ვართ, პროსტა ადრე ამაზე არ ვფიქრობდით.

ჯარჯი – ამან თუ ყველაფერი არ გააბითურა, ისე ხო...

საბა – აუ, სწორს ამბობს ჯარჯი, რაა?! აცადე, ნიკუშ, მეც ზუსტად მაგის ნოსტალგია მაქვს, დედას ვფიცავარ.

ნიბუშა – რისი ნოსტალგია გაქვს, შე დებილო? რო გკითხოს კაცმა, შეგიძლია რო ჩამოაყალიბო, რისი ნოსტალგია გაქვს?

საბა – იცი რა... შენ ახლა ამას ვერ გაიგებ და ისიც კი მენატრებოდა, ერთად რო გავცივდით ომში, გინდა გაუაზრებე-

ლი დაარქვი ამას. თბილისზე მაგრა ზოგჯერ სოხუმი და გაგრა მენატრება.

ნიკუშა – რა გენატრება? შემთხევით რო გადავრჩით ცოცხლები.

საბა – ზოგჯერ მართლა ისე მენატრება, რო ნეტავ ისევ იქ ვიყო და თუ გინდა, მომკლან. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რო ყველაფერი კარგად იქნება, ის მიწებიც დაბრუნდება, ის ხალხიც...

ნიკუშა – ოღონდ, ერთი მიზეზი მითხარით, რატომ უნდა მოუნდეთ ისევ შენთან ყოფნა, რა გვაქვს ისეთი, ისეთი განსაკუთრებულად კარგი, რის გარეშეც გაუჭირდება ვიმებს ცხოვრება? საერთოდ რითი მოგაქვთ თავი?

ჯარჯი – არა ვართ ეგრე ხელწამოსაკრავები, რატო, მაგის დედა ვატირე?! პირველი ევროპელები აქ აღმოაჩინეს. ოქროს პირველი საბადო, ღვინის სამშობლო, ღვთისმშობლის კვართი, დამწერლობა...

ნიკუშა – აუ გააჩუმეთ, რაა?!...

საბა – მე მაინც დარწმუნებული ვარ, რო ყველაფერი კარგად იქნება, კი, ის მიწებიც დაბრუნდება, ის ხალხიც... აი, ნახვთ თუ არა.

ნიკუშა – ვაი შენ პატრონს. რაღაცა ზოგიერთი ბნელი მამაოსავით მელაპარაკება. „ყველაფერი კარგად იქნება?! რომელ სახლმწიფოზე მელაპარაკებით, შენი ქუჩა და ეზო ვერ დაგილაგებია. რა იქნება კარგად?!

საბა – ბიჭო, რა არი, იცი?! აქ, ამ ქვეყანაში, მართლა არის რაღაც, რასაც ხელით ვერ შეეხები და არც სახელი ქვია, მაგრამ სულ გექაჩება. ეს შენც იცი, მაგრამ არ გინდა, რო აღიარო... ოოო?! აღარ მინდა, თორე ისევ სხვა მხარეს წავიდა ბაზარი.

ნიკუშა – იცი რაა, არაფერი სხვა მხარეს არ წასულა, რატო გიტყდებათ რაღაცების აღიარება. ეს კაცი რო არ ჩამოსულიყო, ერთ სუფრასთან დაჯდებოდით? არ დაჯდებოდით. იმიტომ რომ თქვენ ხართ და-„ქოც“-„ნაც“-ებულები. ორ ნაწილად გაყოფილი

საზოგადოება, რადიკალები, არადა მე თუ მკითხავთ, ზუსტად ერთნაირად გამოსირებულები და ბნელები ხართ ორივე მხარეს, ზუსტად.

გიგ – ბიჭო, შენ რომელ მხარეს ხარ? ეე, რა თქვა ინკარნაცია თუ რაო? რომელ მხარეს ხარ?

ნიკუშა – ღმერთმა დამიფაროს რო თქვენსავით პრიმიტიულად ვაზროვნებდე. არც ერთ მხარეს, ეხლა გაიგე?

გიგ – წელან არა თქვა ჩაჯამული გარო, აჟა, ჰა, ჰა.

(შეზარხოშებული სუფრის წევრები ცრემლებამდე იცინიან).

ზურა – კაი, კაი! გეყოფათ. აგერ ერთი მშვენიერი მანდილოსანი გვიზის სუფრასთან. ახლოს თუ არა, შორიდან მაინც ყველა ვიცნობთ და მისი სადღეგრძელო მინდა შევსვა. ჩვენ საამაყო თინათინ ჩადუნელს გაუმარჯოს, არაჩვეულებრივ დედას! ცოლს და სახელოვან ექიმს.

(გაუმარჯოს! გაუმარჯოს! აყვებიან სხვებიც).

თიკო – დიდი მადლობა.

ნიკუშა – თქვენ რომელ მხარეს ხართ, უკაცრავად?

თიკო – რავი, არც ერთ მხარეს.

გიგ – აუ ყველაზე მეტად მაგ ხალხის არ მესმის. ჩემი დაც მასეა და სულ აფერისტს ვეძახი.

თიკო – მაგის გამო ჩემი ქმარიც სიაფანდს მეძახის.

გიგ – აუ მაგიტომ მევასება ასე ლადო, ჯიგარია!

დიმა – თიკო, არ გვეტყვი ერთ-ორ სიტყვას? არ გვინდა ეს ვის მხარეს ხარ, ისე გვითხარი რამე?

თიკო – იცი რა... კარგი გეტყვით, ერთმა ჩემმა პაციენტმა ეს წიგნი მაჩუქა. მთარგმნელია და რამდენიმე დღეა, ამით ვცხოვრობ (ამოიღებს წიგნს).

გიგ – ეს წიგნი უნდა წაგვიკითხო?

თიკო – ჰა, ჰა, ჰა, არა, არა, ნუ გეშინია, ერთი ციტატა...

გიგ – ციტატა შეიძლება, აბა გისმენთ.

თიკო – (სათვალეს გაიკეთებს და წიგნს გადაფურცლავს).

„სამყაროში ყველაფერი ადამიანის „ყოფნისთვის“ არის, და სადარდებელი სწორედ ისაა, თვით ყოფნა რისთვისლა?“

რა სასაცილოები არიან ისინი, რომელთაც თავიანთი ყოფნა იმ რაღაცის იარაღად უქცევიათ, რაც თვითონვე მათი ყოფნის იარაღია“.

ცოტა ხანს სრული სიჩუმე ჩამოვარდება. თიკო სათვალეს მოიხსნის და წიგნთან ერთად უხერხულად შეინახავს ჩანთაში.

(ბრავო! ბრავო! აბა სიმღერა სიმღერა! – ახმაურდებიან უცებ ისევ სუფრის წევრები.

საბა გიტარას აიღებს და სიმღერას იწყებს, სხვებიც აჰყვებიან.

თიკოს ტელეფონი ურეკავს, სუფრიდან დგება და ოდნავ გვერდზე გადის).

თიკო – ხო, ლადო, რესტორანში ვარ.. ჩემი ძველი მეგობარი ჩამოვიდა და დაგვპატიჟა... ამერიკიდან... ხო არ გამომივლი? იცი, რომელ რესტორანში ვართ?!.. რუდიკოს ბიჭის ქორწილი რო იყო, ხო, ხო... ზარი გამომიშვი და აა?! აქვე თუ ხარ, ამოდი, გაეხარდებათ... გიაც აქ არი. კაი, მაშინ ჩამოვალ.... არა, არ მინ-და დარჩენა. მეც დაღლილი ვარ. უკვე მოვდივარ.

რა უნდა ეთქვა?! 25 წელია აქეთ არ ყოფილა... არც ერთ მხარეს არ არის, არც „ნაცია“ და არც „ქოცი“, ხო ჩემსავით ეგაც სიაფანდია... რა ვიცი. 30 წელი არ მყავდა ნანახი. პრინციპში, კარგად ვერც გავიხსენ... ეტყობა, ძალიან ბევრია 30 წელი. კაი, რო გნახავ, მერე მოგიყვები... კი გავიხსენე, მაგრამ ვერ ვიცანი.

თიკო სკამის საზურგიდან ლაბადას მოხსნის და ფეხაკრეფით წავა გასასვლელისკენ, საბა შეამჩნევს, მაგრამ არ გაჰყვება, მხოლოდ თვალს გააყოლებს ბოლომდე.

2015 წ.

პიესების შესახებ

ეს არის თამარ ბართაიას ქართულ ენაზე გამოცემული პიესების მეორე კრებული.

პირველ წიგნში შესული ხუთი პიესიდან ხუთივე დადგმულია საქართველოში და სამი ლონდონის თეატრალურ სცენებზე.

ამ კრებულში შესული პიესების შესახებ:

„სათამაშო პისტოლეტს“ მიღებული აქვს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და თუმანიშვილის ფონდის პირველი პრემია. დადგმულია თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრსა (2009 წ.) და „თავისუფალ თეატრში“ (2010 წ.). 2012 წელს შედგა პრემიერა დიდ ბრიტანეთში, ლონდონში, ჩელსის თეატრში. 2013 წელს დაიდგა ლიტვაში (კლაიპედა). 2014 წელს პრემიერა შედგა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ჩელიაბინსკში. თარგმნილია რუსულ, სომხურ, ლიტვურ, გერმანულ და თურქულ ენებზე.

„მთავარი როლმა“ მიიღო ლიტერატურული პრემია „საბა“ (2010 წ.). დადგმულია ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და ზესტაფონის უშანგი ჩეიიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

„სტალინის სანუკვარი სარდაფი“ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეტრალური ხელოვნების განვითარების ფონდის პრემიის „საუკეთესო თანამედროვე პიესა“ ლაურეატია.

„მუყაოს სახლები“ დაიდგა საინგილოში, კახის რაიონის ალიბეგ-ლოს სახელმწიფო ქართულ თეატრში.

„და-„ქოც“-„ნაც“-ებულები“ მიხეილ თუმანიშვილის სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის პრემიის „საუკეთესო თანამედროვე პიესა“ ლაურეატია.



გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5.
ტელ./ფაქსი: 225 05 22, 291 22 83.
www.intelekti.ge info@intelekti.ge



სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 333855
stamba.damani@gmail.com
 სტამბა დამანი/Print House Damani